

ივანე ჯავახიშვილი

ჩვენი ქებანი

ჭეშმარიტი კულტურის
ფრთებიანი
სპეციოზი

9 (C 41)
9 30.8 (47.922)
მ 595

წინამდებარე ნაშრომში გადმოცემულია გამორჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთი მხარეები. სხვადასხვა არქივებში დაცული დოკუმენტური მასალის, აგრეთვე მეცნიერის შემოქმედების შესახებ არსებული ლიტერატურისა და თანამედროვეთა მოგონებების გამოყენების საფუძველზე, ავტორი იძლევა ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის დახასიათებას, მის საქმიანობას კულტურის ფრონტზე, გამოკვლევებს კულტურის ისტორიის სხვადასხვა პრობლემებზე, ამასთან მოგვითხრობს მეცნიერის ურთიერთობათა შესახებ თავისი დროის გამორჩენილ თანამედროვეებთან.

წიგნში პირველად ქვეყნდება ივანე ჯავახიშვილის შესახებ არსებული ზოგიერთი დოკუმენტური მასალა.

რედაქტორი აკად. შალვა ამირანაშვილი

© გამომცემლობა „ხელოვნება“, 1975

M—505
80101
ადგ. 47—75

„მამაკაცზე მიამბე, მუზავ...“

ჰომეროსი

XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ცხოვრებაში გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც თავისი დიდი დაღი დაასვა ჟამთასვლას. ადამიანი, რომელმაც ჭეშმარიტი მამულიშვილობის მისაბაძი მაგალითი უჩვენა თანამედროვეებს, მაგალითი ღრმა მეცნიერული კვლევისა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა, მოძმეთა პატივისცემისა; მოქალაქე და მეცნიერი, რომლის დიდი მცდელობის შედეგია საქართველოში პირველი უმაღლესი განათლების კერის — უნივერსიტეტის დაარსება და საქართველოს ისტორიის კვლევის, ქართული ისტორიოგრაფიის სრულიად ახალი ეტაპის დაწყება. ეს იყო ივანე ჯავახიშვილი... მის სახელთან დაკავშირებული მოვლენები თუ ნამოქმედარ-ნაღვაწი, არამც თუ ერთ ადამიანს, მთელს თაობას დაამშვენებდა და სიამაყის უფლებას მისცემდა. XX საუკუნის პირველი ორმოცწლეულის საქართველომ არ იცის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მეცნიერებისა თუ კულტურის სფეროში, ივანე ჯავახიშვილის ცხოველი მონაწილეობის გარეშე.

ივანე ჯავახიშვილი მოქალაქე და მოღვაწე... ივანე ჯავახიშვილი მეცნიერი და აღმზრდელი... აი, მრავალმხრივი დაუღალავი შრომის ძირითადი ასპექტები.

ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის ძირითად მიზანს შეადგენდა საქართველოს მდიდარი წარსულის, ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ღრმად შესწავლა.

„ძნელი და ნარეკლიანი იყო საქართველოს გზა საუკუნეთა და ათასწლეულთა განმავლობაში. მაგნიტივით იზიდავდა ამიერკავკასია დამპყრობთა ურდოებს. ვის არ დაულაშქრავს ეს მიწა. მაგრამ ჭირვარამმა, რომელიც წილად ხვდა ქართველ ხალხს, ვერ მოდრიკა იგი, ვერ ჩააქრო მისი შემოქმედებითი ენერგია. ეს ენერგია ისევ და ისევ აღაღვენდა საქართველოს ნანგრევებიდან და ფერფლიდან“. — ეს სიტყვები, საოცარი სიზუსტითა და მაღალხატოვნებით რომ გადმოსცემენ ქართველი ხალხის მძიმე წარსულს, მის ბუნებასა და შემოქმედებით შესაძლებლობებს, წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცდაათი წლისთავისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

ივანე ჯავახიშვილმა სწორედ მრავალჭირნახული საქართველოს ისტორია გამოიკვლია... უაღრესად რთულ და მძიმე პირობებში არგუნა მას ბედმა მოღვაწეობის დაწყება. საქართველოს ისტორიის არც ერთი სამეცნიერო დარგი ფაქტობრივად არ არსებობდა. იყო მხოლოდ მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძის, თედო ჟორდანიას, ექვთიმე თაყაიშვილისა და მოსე ჯანაშვილის ნაშრომები საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. საქართველოს ისტორიის არსებითი, სისტემატიზებული გამოკვლევა მთლიანად ერთ ადამიანს დააწვა მხრებზე; თანაც ეს, რაც შეიძლება მალე უნდა გაკეთებულიყო — დროულად უნდა გატეხილიყო ყამირი. ივანე ჯავახიშვილი გზის გამკაფველი გამოდგა, მან ახალი ქართული ისტორიოგრაფიის გუთნისდედის როლი შეასრულა. ივანე ჯავახიშვილი ცალულელში მყოფი ეწეოდა მეცნიერული კვლევა-ძიების ჭაპანს. „ჩემდა საუბედუროდ — წერდა მოგვიანებით მეცნიერი — შრომისა და მძიმე ტვირთის გამნაწილებელი არავინ მყოლია და მოუცლელობის გამო ისეთ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი, რომ ერთხელ დაწერილის შემოწმებისათვისაც კი დრო არ მქონია“.

ძალზე ბევრი გააკეთა ივანე ჯავახიშვილმა... ქართველი ერის ისტორია, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ქართული სამართლის ისტორია, ისტორიული გეოგრაფიის, მეტროლოგიის, ნუმიზმატიკის, მუსიკის ისტორიის, სამშენებლო საქმის და, საერთოდ, მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხები... აი არასრული ნუსხა იმ

პრობლემებისა, რომლებიც დიდმა მეცნიერმა ცოდნის გარკვეულ ჩარჩოში მოაქცია.

თავის დროზე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი სინანულით ამბობდა, რომ აქილევსს, ან ალექსანდრე მაკედონელს თავისი მოღვაწეობით სრულიადაც არ ჩამოუვარდებოდა დავით აღმაშენებელი, მაგრამ მათი საქმენი „დიდმა მაქებარებმა“ აღწერეს და ამიტომაც უფრო დიდად წარმოაჩინესო, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შესაფერისი წარმოდგენა კი მე ვერ შევძელიო. აქ ერთი რამაა ცხადი — რომ ყოველი საქმის, მოვლენის (დიდისა თუ მცირის) გადმოცემისათვის ისტორიკოსს დიდი ხელოვნება ესაჭიროება. სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს წარსული, მისი კულტურა ივანე ჯავახიშვილის სახით „დიდსა მიემთხჯა მაქებარს“.

გამოჩენილი ქართველი მოღვაწისა და მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის შესახებ დღესდღეობით გარკვეული ლიტერატურაა შექმნილი[1]. ვფიქრობთ, მისი ნაღვაწ-ნამოქმედარის ღრმა მეცნიერული შეფასება, აგრეთვე მისი წვლილის გამომზეურება ისტორიული მეცნიერების ამა თუ იმ დარგში, მისი მოღვაწეობის ცალკეული მხარეების შესწავლა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მკითხველს გააცნოს ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოკვლეული კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, აგრეთვე მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა (მოღვაწეობა უნივერსიტეტში, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, მუზეუმში და სხვ.), მისი ურთიერთობა კულტურის ზოგიერთ მოღვაწესთან და სხვ.

ნაშრომში გამოყენებულია ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებული ლიტერატურა, საქართველოს სხვადასხვა არქივებში დაცული უხვი მასალა (ზოგიერთი ადრე უცნობი დოკუმენტი წიგნში პირველად ქვეყნდება), თანამედროვეთა მოგონებები და სხვ.

ავტორი ვალმოხდილად ჩათვლის თავს თუ წინამდებარე წიგნი ოდნავ მაინც დააკმაყოფილებს მკითხველი საზოგადოების ინტერესს, დიდი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი მხარის გაცნობისადმი.

---

[1] იხ. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1968; წიგნს დართული აქვს ივ. ჯავახიშვილის შესახებ არსებული ლიტერატურის ვრცელი ბიბლიოგრაფია (გვ. 222—231).

მამულიშვილობა და მეცნიერება

„ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული... ის მეცნიერი, რომელიც მეცნიერების წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად აასრულებს... უეჭველია, იმავე დროს ქართულ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს, იმიტომ, რომ ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზეიალებული, ყალბი".

ივანე ჯავახიშვილი

სამოცდაათი წლის წინათ, 1904 წელს, ჯერ გაზეთ „ცნობის ფურცელში", შემდეგ კი ცალკე წიგნად დაიბეჭდა ფრიად საინტერესო ნაშრომი „მამულიშვილობა და მეცნიერება", რომელშიც საკმაოდ მკვეთრად არის ჩამოყალიბებული ივ. ჯავახიშვილის მრწამსი, შეხედულება ჭეშმარიტი მეცნიერის, კერძოდ, ისტორიკოსის მაღალი მოვალეობის შესახებ.

ამა თუ იმ ერის ისტორიის ასახვა მეტად საპატიო, მაგრამ, ამასთანავე, მძიმე მოვალეობაა. მით უმეტეს, როცა საკითხი ეხება შენი ერის წარსულს. მისი შესწავლა-გააზრების საქმეს — ისტორიკოსი ხომ პირუთვნელი ამსახველი უნდა იყოს ამა თუ იმ მოვლენისა, არ უნდა გადასძლიოს იგი „მამულიშვილურმა" გრძნობებმა და პატრიოტული საკაზმებით და ფერ-უმარულით არ უნდა შეამკოს ესა თუ ის ფაქტი. ამით მხოლოდ ზიანს მიაყენებს ჭეშმარიტი ისტორიის შექმნის მეტად საპასუხისმგებლო საქმეს.

ისტორიული მეცნიერების შემეცნებით საშუალებათა არსენალში საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებისა და მოვლენების კლასობრივი ანალიზის მეთოდს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. სწორედ მისი საშუალებით შეუძლია მეცნიერს გაერკვეს ისტორიულ მოვლენათა მრავალგვარობაში, წარმოაჩინოს მათი ნამდვილი მამოძრავებელი ბერკეტები, გახსნას მისი ბუნება და გაიაზროს საზოგადოების განვითარების წარმმართველი ტენდენციები.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით მოითხოვდა, რომ ჩვენ გვჭირდება სწავლა, მაგრამ საჭიროა შემოწმება იმისა, რომ მეცნიერება არ გადაიქცეს ჩვენში მკვდარ საგნად, ან ახალმოდის ფრაზად, რომ მეცნიერება მართლა შეესისხლხორცოს ჩვენს ყოფაცხოვრებას, ნამდვილად გახდეს მისი შემადგენელი ელემენტი.

დღეს, როცა ჩვენი წარსულის შესწავლის საქმე ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი მზრუნველობის საგნადაა ქცეული, როცა ჩვენი დროის ისტორიკოსთა წინაშე მტკიცე ამოცანადაა დასახული კლასობრივი პოზიციიდან, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე, მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე იწერებოდეს გარდასულ დროთა ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის შესახებ, ვფიქრობთ უპრიანი იქნება ყურადღება მივაქციოთ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ივანე ჯავახიშვილის მიერ ისტორიკოსთა წინაშე წამოჭრილ საკითხებს; საკითხებს, რომლებიც ძალუმად ეხმაურებიან დღევანდელობასაც.

სამოცდაათი წლის წინ, XX საუკუნის დასაწყისში, უდიდესი პოლიტიკური და სოციალური ძვრების ეპოქაში, იმ პერიოდში, როცა 1905 წლის რევოლუცია მწიფდებოდა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა-ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, იცნობდა რა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ისტორიოგრაფიის განვითარების მაშინდელ დონეს, მართებულად განჭვრიტა, რომ ისტორიის, როგორც მეცნიერების დარგის წინაშე ახალი მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები იდგა. ბევრი რამ გადასინჯვას, ახლებურად შესწავლასა და შეფასებას მოითხოვდა. ჭეშმარიტი, ნამდვილი მეცნიერული ისტორიის შექმნა უწინარესად მყარ ნიადაგს მოითხოვდა, რისი მიღწევაც შესაძლებელი იყო მაშინდელი თავადაზნაურული ინტელიგენციის იდეოლოგიური არსენალის ე. წ. „მამულიშვილური ზნეობისაგან“ განწმენდით. ამისათვის იმდროინდელ საქართველოში ერთობ მძიმე პი-

რობები იყო — ყოველივე პროგრესულს წინ ცარიზმის მძლავრი ბარიერი ხვდებოდა და ახშობდა. ივანე ჯავახიშვილმა, როგორც ჭეშმარიტმა მამულიშვილმა აირჩია ერთადერთი სწორი გზა, გზა სიმართლის თქმისა და ანტიმეცნიერულ, ყალბ შეხედულებებს საქართველოს ისტორიაზე, კრიტიკის ქარცეცხლი მიაგება. ივანე ჯავახიშვილმა მკაცრად გაილაშქრა იმდროინდელ თავადაზნაურულ ინტელიგენციაში გავრცელებული მოსაზრების წინააღმდეგ, რომელიც მეცნიერის მამულიშვილურ მოვალეობად (და საერთოდ ისტორიის ამოცანად) სახავდა ერის ისტორიის „ადვოკატურ-გამოსარჩლებითი“ ხასიათით შექმნას. მეცნიერი აღშფოთებით წერდა: „ეს მიმართულება ეროვნულ უფლებათა მოსაპოვებლად სრულიად გამოუსადეგარი გახლავთ, იგი ჩვენ საზოგადოებრივ და ნაციონალურ საქმისათვის... ფრიად მავნებლად უნდა ჩაითვალოს იმიტომ, რომ საზოგადოებაში ცრუ აზრი ვრცელდება, ვითომც საჭიროა მხოლოდ „ადვოკატურ გამოსარჩლებით“ ჩვენმა მეცნიერებმა რუსეთის მთავრობას და ხალხს დაუმტკიცონ, რომ ქართველები ნიჭიერები არიან, საუცხოო კულტურა ჰქონდათ ოდესღაც, რომ საქმე გაიჩარხოს და გვითხრან, მოგვინიჭებია ყველა უფლებაო“ (ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, თბ., 1904, გვ. 5.). ივ. ჯავახიშვილი წინააღმდეგი იყო წარსულის იმგვარი ასახვისა, როცა „ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულოვანებები მცირდებიან“. მეცნიერს ამგვარი რამ ერის თვითშეგნების გამოღვიძების საქმეში საზიანოდ, საკუთარი თავისა და საზოგადოების მოტყუებად, თვალის ახვევად მიაჩნდა: „ამგვარი მოქმედება... ხალხს ბაქიობას და უსაფუძვლო ამაყობას და კმაყოფილებას შეაჩვევს“ (იქვე, გვ. 8) — სწუხდა მეცნიერი.

ივანე ჯავახიშვილი მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს საკითხს ისტორიო მეცნიერების, ისტორიკოსების, მაღალი ზნეობრივი მოვალეობის შესახებ, იმ დიდი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც წარსულის მკვლევარს სამშობლოს წინაშე ეკისრება. მეცნიერი ისტორიკოსის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიიჩნევდა წარსულის პირუთვნელ, ღრმად მეცნიერულ ასახვას, ამა თუ იმ სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების პირობების შესწავლასა და ამ განვითარების მიზეზების გარკვევას. საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანა მხოლოდ იმ მეცნიერს შეუძლია, რომელიც უპირველესად თვით მეცნიერების წინაშეა პირნათელი.

გაზვიადებული, „ადვოკატური“ ისტორიის წერა იმ მეცნიერს ხელეწიფების, ვინც ვერ გრძნობს თავის ზნეობრივ მოვალეობასა და მაღალ პასუხისმგებლობას მეცნიერების წინაშე. იქნებ მამულიშვილური გრძნობა, სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარული უბიძგებს, ან აიძულებს ვინმეს ამგვარი ნაბიჯის გადადგმას. ასეთი მოქმედება იმათი ხვედრია ვინც წარსულში ეძებს ხსნას. იმ ერის წარმომადგენელს კი, რომელიც თავისი ქვეყნის სიცოცხლესა და მოქმედებაზე ფიქრობს, ამგვარი სურვილი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს. ივ. ჯავახიშვილი ხმამაღლა აცხადებს, რომ „ქართველმა ისტორიკოსმა სრულიად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული, პირუთვნელად უნდა წარმოუდგინოს თავის სამშობლოს წარსული თანამემამულეებსა და უცხოელებსაც, რადგან მას არ უნდა დაავიწყდეს, რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნების წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის“ (გვ. 11, ხაზგასმა ჩვენია — რ. მ.). მეცნიერს მოჰყავს ეგვიპტელებისა და ასურელების, აგრეთვე სპარსელების მაგალითი, რომელთა ბრწყინვალე წარსული უდიდესი მნიშვნელობის იყო მსოფლიო ისტორიისათვის, მაგრამ იმ დროისათვის (XX საუკუნის დასაწყისი) „შესაბრალის მდგომარეობაში“ იყვნენ თავიანთი პოლიტიკური წონით საერთაშორისო ცხოვრებაში. გამოკვლევამ მეცნიერს შეიძლება დაანახვოს, რომ მისი სამშობლოს წარსული თავისებურსა და დიადს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ იგი არ უნდა შეუშინდეს თავისი დასკვნის გამომზეურებას. მას კარგად უნდა ესმოდეს, რომ ხალხს, რომელსაც „წარსულში განვითარების უმაღლეს წერტილამდე არ მიუღწევია, ყოველთვის შეუძლია შეითვისოს უმაღლესი კულტურა და განათლებულ ერთა შორის საპატიო ადგილი დაიჭიროს“. ქართველი ისტორიკოსი ჯერ კიდევ რევოლუციამდე, მეტად რთული იდეოლოგიური ქაოსის პირობებში საოცარი გამჭრიახობით ასკვნიდა, რომ ყველა ხალხს აქვს უფლება ბრწყინვალე კულტურული მერმისის იმედი ჰქონდეს, თუკი მთელი ძალღონით იბრძოლებს საზოგადოებრივი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ივანე ჯავახიშვილი კატეგორიულად, ხაზგასმით აცხადებდა, რომ მამულიშვილობა, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერი-ისტორიკოსისაგან ჭეშმარიტებასა და პირუთვნელობას მოითხოვს.

ივ. ჯავახიშვილის ასეთი გამუდმებული და მიზანსწრაფული მოქმედება გარკვეულად რევოლუციურ ნაბიჯს წარმოადგენდა. იმდროინდელი ქართული თავადაზნაურული საზოგადოება, რომელიც სულს ღაფავდა და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, რომელიც ქართველი ხალხის ფართო მასებისაგან ღრმა უფსკრულით იყო დაშორებული და ქვეყნის მომავლის იმედი გადაწურული ჰქონდა — საქართველოს ხსნას წარსულში ეძებდა. ბუნებრივია ეს „საზოგადოება“ ყოველივე ახალს, კრიტიკულს, ნათელს, პროგრესულს, ყოველივე მეცნიერულს ხმალამოღებული ებრძოდა. ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა, მისი მაღალი მოქალაქეობრივი შემართება ფაქტობრივად იყო ბრძოლა სიახლის დამკვიდრებისათვის არა მხოლოდ მეცნიერებაში, არამედ იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ივ. ჯავახიშვილმა დაუდგრომელი და ულმობელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ის მოსაზრება, თითქოს საქართველოში წინათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მყუდროება და სიმშვიდე სუფევდა, თითქოს მუდამ სიყვარული, თანხმობა, სათნოება, „მამაშვილური“ განწყობილება არსებობდა და წოდებათა შორის ბრძოლაც არასდროს ყოფილა. ამგვარი წარმოდგენები იმის ბრალი იყო, რომ, სამწუხაროდ, მაშინდელმა საზოგადოებამ, როგორც მეცნიერი შენიშნავდა, სამშობლოს ისტორია მხოლოდ მამა-პაპათაგან გადმოცემებით იცოდა. ივ. ჯავახიშვილი ჩვენი ისტორიის შესწავლის საფუძველზე ასკვნიდა, რომ საქართველოს წარსული „დიაღაც წოდებრივი ბრძოლის მაგალითებით არის სავსე“ (ეს საკითხები შემდგომში უფრო ფართოდ მიმოიხილა მან სხვა ნაშრომებში). დღეს უკვე ჩვენი ისტორიოგრაფია სწორედ განსვენებული მეცნიერის მიერ გააზრებული საკითხების საფუძველზე, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის შუქზე ფართოდ იკვლევს კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლების მიმდინარეობას, ხასიათსა და შედეგებს ძველ საქართველოში.

ივ. ჯავახიშვილმა მტკიცედ დააყენა საკითხი მეცნიერი ისტორიკოსების წინაშე, რომ უპირველესად კრიტიკულად განიხილონ ყველა ის ცნობა, რომელზედაც დამყარებულია წარმოდგენა ხალხის ცხოვრებაზე. თვით ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიის წყაროებს ძალზედ კრიტიკულად იხილავდა. იგი საქართველოს ისტორიის კვლევას მაშინ შეუდგა, როცა ეს დარგი ჩვენში ჯერ კიდევ არტახებში იყო, ისტორიის მეცნიერული კვლევა, მცირე გამონაკ-

ლისის გარდა, ჯერ კიდევ არ იყო სათანადო სიმაღლეზე. მეცნიერი მიუთითებს ისტორიის ცოდნის მეტად დიდ პრაქტიკულ დანიშნულებაზე. მისი აზრით კრიტიკულად შესწავლილი ისტორია რომ ჰქონოდათ, „ქართველ საზოგადოებას შეეძლო ბევრი შეცდომა აეცილებინა თავიდან და ჩვენ მოქმედებას და პოლიტიკას გარკვეული, მტკიცე ხასიათი ექნებოდა“. ასე რომ, ისტორიის ცოდნას საზოგადოებისათვის მარტო თეორიული ხასიათი არ ჰქონია, მისი გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელი იყო გარკვეული ზემოქმედების განხორციელება საზოგადოებრივ წეს-წყობილებაზე, საერთოდ, „ცხოვრების ჩარხის ტრიალზე“. როცა საქართველოში ბატონყმობა ისპობოდა, მაშინ ქართველ მოღვაწეებს რომ მოესაზრებინათ და ბატონყმობის ისტორია შეესწავლათ, გამოერკვიათ ყმათა უფლებები და განთავისუფლებისას „ვისთვისაც ჯერ არს“ აეხსნათ, უეჭველია მებატონეთა და ნაყმევებს შორის ტყისა და საძოვრის თაობაზე უთანხმოება არ ჩამოვარდებოდა. ივ. ჯავახიშვილი კიდევ ერთ მაგალითად ასახელებს — სათანადო სამინისტროს მიერ წყლის მფლობელობის კანონის შედგენას. საზოგადოება, ნაცვლად იმისა, რომ გაერკვია რაზეა ჩვენში დამყარებული წყლის მფლობელობის უფლება და ამის მიხედვით სამინისტროს კანონის პროექტი განეხილა, დუმილით შეხვდა ამ საქმეს. შეწუხებული მეცნიერი აღიარებდა, რომ მაშინდელ საქართველოში „რა დარგიც გნებავთ, ყველაფერში ინტელიგენცია ცხოვრებისა და მეცნიერების მოთხოვნილებაზე ჩამორჩენილი“ იყო. სამაგალითოდ ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს მართლმსაჯულება. იმ დავის გადასაწყვეტად, რომელიც მაშინ მამულების თაობაზე იყო ატეხილი, აუცილებლად საჭირო იყო მსაჯულებსა და ვექილებსაც მიწათსარგებლობის უფლებათა ისტორია და ქართული კანონმდებლობა სცოდნოდათ. სინამდვილეში კი „ერთი ვექილიც, ერთი მოსამართლეც არ მოიპოვება თითქმის, რომელსაც ქართული კანონმდებლობა მეცნიერულად შესწავლილი ჰქონდეს“ (გვ. 18.)—აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი.

ივ. ჯავახიშვილმა მხარი დაუჭირა ნ. მარს, რომელსაც მიაჩნდა, რომ ისტორიის წერისას დაშვებული შეცდომები ზოგჯერ უცოდინარობის შედეგი კი არ იყო, არამედ ის, რომ სამეცნიერო გამოკვლევების წერის დროს პატრიოტული გრძნობით ხელმძღვანელობენო. ნ. მარი მოითხოვდა, რომ ისტორიკოსებმა ყური ათხოვონ იმ ჭეშმარიტებას, რომელიც Jonckbleot-ის „Etube sur le roman de Renard“-შია

მოცემული: „მშვენიერი რამაა სამშობლოსადმი სიყვარული, მაგრამ მაინც კაცი გადაჭარბებას უნდა უფრთხოდეს, მეტადრე მაშინ, თუ ამნაირი გადაჭარბება ჩვენს მსჯელობას ამახინჯებს". ივ. ჯავახიშვილიც იგივეს უსვამდა ხაზს, რომ სამშობლოსადმი სიყვარული მშვენიერია საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, ცხოვრებაში, მეცნიერებაში კი დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა გადამეტებულმა პატრიოტიზმმა მეცნიერს პირუთვნელობა არ დააკარგვინოს.

მართლაც, ისტორია ისეთი უძველესი კულტურის მქონე ქვეყნისა, როგორიც საქართველოა, არავითარ შელამაზებასა და გაზვიადებას არ საჭიროებდა. დიდი ტრადიციების მქონე ქართული ისტორიოგრაფიისაგან ივ. ჯავახიშვილი ბევრს მოითხოვდა. ქართული ისტორიული აზროვნება თავის საწყისებს ხომ უძველეს დროს იღებს. იოანე საბანისძე და გიორგი მერჩულე, ბასილ ზარზმელი და გიორგი მთაწმინდელი, ლეონტი მროველი და ჯუანშერი, ეფრემ მცირე და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თამარის ისტორიკოსები და ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ჟამთააღმწერელი თუ სხვები, ავითარებენ და წინ სწევენ ქართულ ისტორიულ აზროვნებას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი ეტაპი იწყება ვახუშტი ბაგრატიონის მოღვაწეობით, რომელმაც ქართულ მეცნიერულ აზროვნებაში მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა და საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, თუ მეცნიერების სხვა დარგები ცოდნის გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცია. ვახუშტის შემდგომ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ერთგვარი უკანსვლა იგრძნობა საისტორიო აზროვნებაში. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან კი ქართულ ისტორიოგრაფიას გამოცოცხლება დაეტყო. ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიისადმი ინტერესის გაზრდა რამდენადმე პეტერბურგის უნივერსიტეტში მარი ბროსეს თაოსნობით დაარსებულმა ქართული ენის კათედრამ განაპირობა. სწორედ პეტერბურგში ეყრება საფუძველი მეცნიერულ ქართველოლოგიას, რომლის მოთავეები ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი და ნ. მარი იყვნენ. მათი სკოლიდან არა ერთი ქართველოლოგი გამოვიდა, რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინო ადგილი ივ. ჯავახიშვილს უკავია.

ივ. ჯავახიშვილმა მოიპოვა რა დიდძალი ფაქტობრივი ისტორიული მასალა, კრიტიკულ ფილტრში გაატარა იგი და მის მიერვე შემუშავებული კვლევის მეცნიერული მეთოდით საქართველოს ისტორიის საფუძვლიან შესწავლას შეუდგა. ივ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებუ-

ლი, მანამდე უცნობი მეთოდით შექმნა თავისი კაპიტალური შრომა „ქართველი ერის ისტორია“, რომელშიაც პირველად მოგვცა საქართველოს პოლიტიკური ისტორია, სოციალური ურთიერთობისა და სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმები, მატერიალური კულტურისა და იდეოლოგია-სარწმუნოების საკითხები. მეცნიერი შეეცადა ყველა ეს პრობლემა ამომწურავად შეესწავლა და დაესაბუთებია. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „ადვილად წასაკითხი და ლამაზი დაუსაბუთებელი თეორიებისა და დებულებების წამოყენებას... ყოველმხრივ დასაბუთებული ისტორიის წერა სჯობია. მეცნიერ ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს და რომელიც ავალებს თავის დაუსაბუთებელი ჰიპოთეზები ისტორიის სინამდვილედ არ წარმოიდგინოს“ (ქართველი ერის ისტორია, 1, თბ., 1960, გვ. 2). ივ. ჯავახიშვილს თავის მრავალმხრივ და საოცრად მასშტაბურ შემოქმედებაში, არასდროს უღალატია მეცნიერული კვლევის ერთხელ შემუშავებული პრინციპებისათვის. კრიტიკული მიმართულების გამოკვლევებს, როგორც ჩანს, „მამულიშვილი კრიტიკოსები“ მტრულად შეხვდნენ, რის გამოც ივ. ჯავახიშვილი მათ ილია ჭავჭავაძისებურად განუმარტავდა, თუ მის მოქმედებაში — „ამ სიძულვილში“ სამშობლო ქვეყნის რაოდენ დიდი სიყვარული იყო ჩაქსოვილი. შემთხვევითი არ ყოფილა ილია ჭავჭავაძის მოშველიება; როგორც ჩანს, ივ. ჯავახიშვილი საერთოდ ხარბად ეწაფებოდა ილია ჭავჭავაძისა და XIX საუკუნის სხვა საზოგადო მოღვაწეთა მემკვიდრეობას, მათ ეროვნულ-განმათავისუფლებლურ იდეებს. ივ. ჯავახიშვილი თავის მეცნიერულ მოღვაწეობაში აშკარად განიცდიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენას. მისი „საზოგადოებრივი შეხედულებანი იმ სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობის ქვეშ ყალიბდებოდა, რომელმაც საქართველო გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან მოიცვა. ივ. ჯავახიშვილის შრომები ამ მოძრაობის იდეებითაა გამსჭვალული“ (ს. ჯანაშია).

ივ. ჯავახიშვილი ჭეშმარიტად სულიერი თანამოაზრე იყო ილია ჭავჭავაძის, როგორც მოღვაწისა და მამულიშვილის. ილიას მრავალისმომცველი საქმიანობა, კერძოდ კი ისტორიული კონცეფცია, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა და დიდ როლს ასრულებდა ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში. „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნ-

და ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა“ — ილია ჭავჭავაძის ეს მოსაზრება, აგრეთვე მისი მოთხოვნა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიური საფუძვლების გამორკვევის შესახებ (ეს ჭეშმარიტად მატერიალისტური დაყენება იყო საკითხისა), ივ. ჯავახიშვილს იმ დროის მნიშვნელოვან მიღწევად მიაჩნდა ამა თუ იმ ხალხის ისტორიის შესწავლის საქმეში. ილია ჭავჭავაძე მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, საზოგადოებრივი ცხოვრების, ინტელექტუალური აზროვნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური თავკაცი იყო. ივ. ჯავახიშვილი ჩვენი საუკუნის დასაწყისიდანვე თავდაუზოგავი შრომით მტკიცე ბურჯად შეეგება ილიას მიერ დაწყებულ საქმეს ერის კულტურული ცხოვრების წინსვლისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ახალი ძალა და ენერგია შთაბერა მეცნიერს. იგი კარგად გრძნობდა, რომ დადგა ქართული კულტურის მანამდე არნახული აყვავების ხანა; როცა ჭეშმარიტი მეცნიერული კვლევისათვის ყოველგვარი პირობები შეიქმნა. საჭირო იყო შრომა, გიგანტური შრომა ენერგიის დაუზოგავად. და მართლაც ეს სახელოვანი მამულიშვილი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე (ვიდრე მისი სიცოცხლე კათედრაზე ლექციის კითხვისას არ დამთავრდა!) თავგამოდებით იღვწოდა სამამულო მეცნიერების წინსვლასა და განვითარებისათვის. იღვწოდა ისე, რომ არასოდეს უღალატნია თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში განსაზღვრული პრინციპისათვის, რომელიც მეცნიერისაგან მამულიშვილურ სამსახურს პირუთვნელი ჭეშმარიტების ძიებაში ხედავდა.

დიდი ცხოვრების დასაწყისი

„რაც ერთხელ ცხოელად სულს დაბინდების
საშვილიშვილოდ გარდაეცემის“.

ნ. ბარათაშვილი

1876 წლის 11(23) აპრილი...

ალექსანდრე ჯავახიშვილის ოჯახმა ვაჟიანობა იზეიმა...

დაიბადა ივანე ჯავახიშვილი...

ჯავახიშვილთა ძირძველ გვარს კიდევ ერთი ვაჟკაცი შეემატა.

ვინ არიან ჯავახიშვილები? ვახუშტი ბაგრატიონი გვაუწყებს: „ხოლო გუარნი მთავართა მათ ძუელთაგან ესენი არიან: ქობულისძე, დონაური, არელმანელი, ბაღუში... ჯავახიშვილი (ხაზვასმა ჩვენია — რ. მ.) ბურსელი და სხუანი მრავალნი, რომელნი ერისთაობით იწერვიან და გუარნი არა წარიწერებიან ცხადად საცნობელად“[1]. როგორც ისტორიული საბუთებიდან დგინდება, ჯავახიშვილთა გვარი თორელებისგან მომდინარეობს. საგვარეულოს საფუძველი დაუდო ჯავახ თორელმა (XIV ს.), რომლის შთამომავლები იწოდებიან თორელ ჯავახიშვილებად, ან ჩვეულებრივ, ჯავახიშვილებად (იხ. 1338 წლის წყალობის სიგელი გიორგი ბრწყინვალისა ივანე თორელ-ჯავახიშვილისადმი, ქართული სამართლის ძეგლები (ი. დოლიძის გამოცემა, II, თბ., 1965, გვ. 97; 1345 წლის წყალობის სიგელი გიორგი ბრწყინვალისა გამრეკელ ჯავახიშვილისადმი, იქვე, გვ. 98 და სხვ.).

---

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, IV, თბ., 1973 წ. გვ. 27—28.

ჯავახიშვილები შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ჩანან საქართველოს ისტორიაში, როგორც მნიშვნელოვანი ფეოდალური საგვარეულო. ჯავახიშვილთა ერთი შტოს სამფლობელო ჩანს ხოვლე,[1] იმ შტოსი, რომლის შთამომავალიც ივანეს მამა ალექსანდრე ჯავახიშვილი იყო.

ალექსანდრე ჯავახიშვილს თავისი დროისათვის შესაფერისი განათლება ჰქონდა მიღებული. იგი ძირითადად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა[2] და თავისი გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერებით გამოირჩეოდა. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ბრძანება თელავის სამაზრო სასწავლებლის მასწავლებლის ალექსანდრე ჯავახიშვილისათვის ერთგული მუშაობის გამო მადლობის გამოცხადების შესახებ:

«Объявляется благодарность учителю приготовительного класса Телавского уездного училища, губернскому секретарю князю Джавахову за отлично-усердную и ревностную службу его учебному ведомству.

Попечитель Неверов»[3].

ალ. ჯავახიშვილი მასწავლებლად მუშაობდა თელავში, გორში, სიღნაღსა და სხვა ქალაქებში. იგი თბილისში ავლაბრის სამოქალაქო

---

[1] „თეზმის დასავლით არს კეეი ხ ო ვ ლ ე ს ი, გამოსდის რაზმითის მთას, მოდის ჩდილოდა, ერთვის მტკუარს სამხრიდამ; არს ვენახოვანი, ხილიანი და ნაყოფიერი. თეზმიდამ ატენის წყლამდე მინდორი დოესისა, რომელი ირწყვის თეზის რუთი, და არს ფრიად მოსაელიანი, თუნიერ ბრინჯ-ბამბისა“ ბ ა ტ ო ნ შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი. ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), IV, თბ., 1973 წ., გვ. 342.

[2] პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ალექსანდრე ჯავახიშვილი მეცნიერულ კვლევა-ძიებასაც აწარმოებდა. იხ. დ. გვრიტიშვილი ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1968 წ., გვ. 3.

[3] ცსა (თბ.), ფონ. 422, საქ. 264, ფურ. 31; საისტორიო მოამბე, 21—22, თბ. 1967 წ., გვ. 322.

სასწავლებლის ინსპექტორის მოვალეობას ასრულებდა; გადმოცემით, მეტად მშვიდობიანი, ამასთან მტკიცე ნებისყოფის მქონე და გამტანი კაცი იყო.

ივ. ჯავახიშვილის დედა, სოფიო ათანასეს ასული ვახვახიშვილი ლამაზ გარეგნობასა და სიდარბაისლესთან ერთად, სათნო და ჭკვიანი ადამიანი ყოფილა.

ჯავახიშვილებს ტრადიციული ქართული ოჯახი ჰქონდათ და შვილებსაც სამშობლოსა და დედაენისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით ზრდიდნენ. ოჯახში მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონიათ.

9 წლის ივანე 1885 წელს თბილისის პროგიმნაზიაში შეიყვანეს, რომლის დამთავრების შემდეგ 1888 წელს გიმნაზიის მეორე კლასში მიიღეს. გიმნაზიაში სწავლის პერიოდმა თავისი დაღი დაასვა მომავალ მეცნიერს. მაშინ გიმნაზიებში იდევნებოდა ყოველივე პროგრესული, რაიმე ეროვნულზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ბუნებრივია, ივ. ჯავახიშვილის აღზრდა ვერ ეგუებოდა ამგვარ ატმოსფეროს. მას გიმნაზია არ მოსწონდა. სწავლით კი კარგად სწავლობდა.[1] თავის სულიერ მოთხოვნილებას ივ. ჯავახიშვილი გიმნაზიის გარეთ, ქართული კულტურისა და ისტორიის შესწავლაში იკმაყოფილებდა. ივანე ნიჟარაძე იგონებს: „ვანო ძალიან ნაკითხი იყო. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის მის ძვირფას დედ-მამას, რომლებმაც ჩაუნერგეს შვილებს ქართული კულტურის სიყვარული. ჩემის თვალით მინახავს, როგორ ცდილობდნენ ძმები (ვანო, გიორგი, მიშა და დათა) უფრო ადრე წაეკითხათ შინ მიტანილი ქართული ჟურნალ-გაზეთები, ვიდრე შეუდგებოდნენ გიმნაზიის გაკვეთილების შესწავლას".

გიმნაზიაში სწავლის დაწყების უმალ გამომჟღავნდა ივ. ჯავახიშვილის უდიდესი მიდრეკილება ისტორიის შესწავლისადმი. იგი ამ პერიოდშივე იწყებს პატარ-პატარა, ამასთან მეტად საინტერესო რეფერატების წერას. მის ნაშრომებს ანდრია მოციქულის საქართველოში მოგზაურობის შესახებ და ინგლისელი ისტორიკოსის ბოკლის შესახებ იმთავითვე მიუქცევია ყურადღება. ივ. ჯავახიშვილს იმთავითვე გადაუწყვეტია ისტორიკოსი გამოსულიყო[2].

---

[1] იხ. ივანე ნიჟარაძის მოგონება ივ. ჯავახიშვილზე დაწერილი პროფ. დ. გვრიტიშვილის თხოვნით. იხ. დ. გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1968 წ., გვ. 4.

[2] ერთხანს ივ. ჯავახიშვილი ქართული ხელოვნების (კერძოდ მუსიკის) ისტორიაში დასპეციალებაზე ფიქრობდა.

XIX საუკუნის 80—90-იან წლებში მოწინავე საზოგადოების ერთი ნაწილი ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების გამოღვიძებას კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფართოდ გაშლით ცდილობს. პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლები ბავშვებს რევოლუციური და ისტორიული შინაარსის მოთხრობებსა და ლექსებს უკითხავდნენ, აყვარებდნენ საქართველოს ისტორიას, სამშობლოს, დედაენას, ქართულ მწერლობას. სოფლებში იმართებოდა საღამოწარმოდგენები, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს. უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია იმ დროს ლადო აღნიაშვილის მომღერალთა გუნდს, რომელმაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამართა საღამო კონცერტები[1]. გორის მაზრა, ივ. ჯავახიშვილის სამშობლო, გამოირჩეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით. მშობლიური კულტურისადმი ინტერესმა მთელს საქართველოში გაიღვიძა.

ივ. ჯავახიშვილი ფართოდ ჩაება ამ საერთო საქმიანობაში და დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. იგი სოფელ-სოფელ დადიოდა და ადგილობრივ ახალგაზრდობას გატაცებით უამბობდა საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალ პერსპექტივებზე. ამის პარალელურად, როგორც ივ. ჯავახიშვილის მეგობარი კოტე მაყაშვილი იგონებს: „იგი (ივ. ჯავახიშვილი — რ. მ.) ხშირი სტუმარია ტაძართა, სასახლეთა და ციხეთა ნანგრევებისა. მის ცნობისმოყვარე თვალს არა გამოეპარება რა“[2]. ივ. ჯავახიშვილმა სწორედ ამ დროს მოაწყო თავის ტოლ-ამხანაგებთან ერთად ხოვლეს ეკლესიის ნანგრევების თხრა. როცა რაიმე საინტერესოს იპოვიდნენ „აქ უნდა გენახათ ვანოს აღტაცება. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გეგონებოდა ვანო უძვირფასეს მეგობარს შეხვდაო“...[3] გათხრების შემდეგ ზეიმით ბრუნდებოდნენ შინ.

ასე ისისხლხორცებდა ივ. ჯავახიშვილი თავისი მშობელი ქვეყნისა და ქართველი ხალხის კულტურის დიდ სიყვარულს.

1895 წელს ივ. ჯავახიშვილმა გიმნაზია დაამთავრა. გიმნაზიის დირექტორი პეტერბურგის უნივერსიტეტში გასაგზავნად ივ. ჯავახიშვილზე ასეთ დახასიათებას აძლევს:

---

[1] ლადო აღნიაშვილმა აღადგინა ძველი ქართული ხალხური სიმღერები და კონცერტებს მართავდა.

[2] კოტე მაყაშვილი, ვანო ჯავახიშვილი, კრებ. ჩვენი მეცნიერება, № 17—18, თბ., 1926 წ. გვ. 3.

[3] ი ქ ვ ე.

«Ученик Иван Джавахов сын небогатого грузинского князя (смотрителя училища). Добрая патриархальная семья имела прекрасное влияние на юношу, сделав его религиозным, благонравным, вежливым и приветливым. Характера он ровного, обходительного, отчего всеми любим. Джавахов имеет хорошие природные дарования, к тому же очень усерден и трудолюбив. Из него несомненно выйдет прекрасный студент. Здоровье у него от природы хорошее, несколько потрясенное усердными занятиями последних лет. Он много читает и обладает хорошей начитанностью. Он хорошо играет на скрипке и отдается этому занятию. Он прекрасный сын и безукоризненно обходительный юноша не только со старшими, но и с товарищами, даже младшими. Политически он благонадежен»[1].

ივ. ჯავახიშვილი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ხოლეში გაემგზავრა და იქ ემზადებოდა უნივერსიტეტში შესასვლელად. იმავე წელს იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე შევიდა, სადაც სპეციალდება საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში.

ივ. ჯავახიშვილმა თავისი დიდი, ენერგიული შრომით, სიბეჯითითა და ნიჭიერებით სწრაფად მიიქცია პროფესორთა ყურადღება. იგი ცოდნის გაღრმავების მიზნით იურიდიულ ფაკულტეტზეც ისმენს ლექციებს; აქტიურ მონაწილეობას იღებს ქართველთა სათვისტომოს მუშაობაში. ქართულ სათვისტომოსთან რამდენიმე წრე არსებობდა მეცნიერების სხვადასხვა დარგების შესასწავლად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიის, მისი სულიერი და მატერიალური კულტურის შემსწავლელ წრეს უდგას სათავეში. მას ძალზე დიდი გავლენა ჰქონდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველობაზე. კოტე მაყაშვილი იგონებდა, რომ ივანეს გავლენით „ენერგიულად ვკიდებ ხელს ქართული ენის შეთვისებას, ვუზიარ „ვისრამიანს", „ქილილა და დამანას", დაბადებას, ვიზეპირებ „ვეფხისტყაოსანს" და თანდათან ისევ ვქართველდებიო"[2].

ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით ურთიერთობა დამყარდა სომხეთისა და აზერბაიჯანის სათვისტომოებთან და დაარსდა „ამიერკავ-

---

[1] ცსა (თბ.), ფონ. 422, საქ. 5214, ფურ. 124; საისტორიო მოამბე, თბ., 1967 წ., გვ. 323.

[2] კოტე მაყაშვილი, ვანო ჯავახიშვილი, კრებ., ჩვენი მეცნიერება, № 17—18, თბ., 1926 წ., გვ. 3.

კასიის სათვისტომო“. სწორედ ივ. ჯავახიშვილის ინიციატივა იყო პეტერბურგში „ქართული საღამოების“ გამართვა, რომელთა პროგრამა ქართული სიმღერებისა თუ ცეკვებისაგან შედგებოდა: საღამოებს, თურმე, მრავალრიცხოვანი მაყურებელი ესწრებოდა. ფულადი შემოსავალი ღარიბ სტუდენტებს ხმარდებოდათ. ამგვარ ღონისძიებებზე, როგორც ჩანს, ზოგჯერ საგანგებოდ იწვევდნენ საპატიო სტუმრებს. აი, ერთი მოსაწვევი ბარათი, დაწერილი ივ. ჯავახიშვილის ხელით, მისივე ხელმოწერით (დაცულია გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში):

„დიდად პატივცემულო ბატონო ივანე[1]!

პეტერბურღის ქართველი სტუდენტობა გიძღვნის საპატიო ბილეთს საღამოზედ, რომელიც არის დანიშნული 20 დეკემბერს 1895 წ. ღარიბ ქართველ სტუდენტთა სასარგებლოთ.

მინდობილობით

სტუდენტი ივანე ჯავახიშვილი

Казанская ул. д. 15, кв. 7“[2].

ამგვარი საღამოები ხშირად იმართებოდა და წარმატებაც დიდი ჰქონდა.

ივ. ჯავახიშვილი ყოველივე კარგის, პროგრესულის ინიციატორი იყო. იგი სიჭაბუკის წლებიდანვე სრულიად ჩამოყალიბებული საზოგადო მოღვაწე იყო. 1899 წელს ივ. ჯავახიშვილი ამთავრებს უნივერსიტეტს და აღმოსავლური ენების ფაკულტეტის დადგენილებით სტოვებენ უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად... მისი მოღვაწეობა ფრთებს შლის და მასშტაბებს იძენს.

დედის ნანიდან შესისხლხორცებული სიყვარული მშობელი ხალხისა, ინტელიგენტურ ოჯახში მიღებული აღზრდა, სათნოება, სიდარბაისლე და პატრიოტული სულისკვეთება მშობლებისა, სამშობლო ქვეყნის მაშინდელი მდგომარეობა, დიდი მისწრაფება ცოდნისადმი, გონივრულად გატარებული წლები გიმნაზიასა და უნივერსიტეტში იყო ის ძალა, რომელმაც ივ. ჯავახიშვილს შთაბერა მაღალი მოქა-

---

[1] აქ მოხსენებული „ივანეს“ გვარი არ არის მოცემული. ვვარაუდობთ, რომ იგი ივანე მაჩაბელი უნდა იყოს.

[2] გ. ლეონიძის სახელობის სალიტერატურო მუზეუმის არქივი, ფონდი 14094-ბ.

ლაქის სული, გააღვივა მასში „თესლი კეთილი“ და განაპირობა მთელი მისი შემდგომი მოღვაწეობის ხასიათი, — მოღვაწეობისა, რომელსაც ლამპრად საკუთარი ერისა და მოძმის სიყვარული ენთო და გზას უნათებდა მეცნიერების მაღალი მწვერვალებისაკენ.

დიახ, ქართველი ერის წარსულის, მისი კულტურის კვლევა, ზრუნვა სამშობლოს უკეთეს მერმისზე გახდა ივ. ჯავახიშვილის საჯილდაო ასპარეზი. ამ საქმეს მიუძღვნა მან მთელი თავისი ცხოვრება...

ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა

„...მარად და ყველგან, საქართველოვ,
მე ვარ შენთანა!“

ილია ჭავჭავაძე

„საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში დეპუტატის საპატიო მოვალეობის ასრულების დროს უმთავრესად სწავლა-განათლებისა და კულტურის სფეროსთან დაკავშირებით საკანონმდებლო და სხვა-გვარი საკითხების განხილვაში ვფიქრობ მხურვალე მონაწილეობის მიღებას.

ეს განზრახვა იმ რწმენაზეა დამყარებული, რომ თითოეული დეპუტატი ვალდებულია თავის დარგის ცოდნა და გამოცდილება გამოიყენოს თავისი სოციალისტური სამშობლოს აღორძინება-აყვავებისათვის და, რაკი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ვმუშაობდი, მთელი ჩემი მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებელს შევსწირე, ბუნებრივია, რომ უმაღლეს საბჭოშიც ყოველი ჩემი ძალ-ღონე მსურს ვიხმარო ამავე საკითხების გასაშუქებლად, როგორც საბჭოთა საქართველოს შეშვენის“[1] — ასე აცხადებს საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხალხის ჭეშმარიტი მსახური ივანე ჯავახიშვილი. ხალხისა და

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1939 წ., 9 ივლისი.

ერის სამსახური სიჭაბუკიდან იყო დიდი მეცნიერის მოთხოვნილება და როცა ამას მოვალეობაც ემატებოდა, მეცნიერის ენერგია ორმაგდებოდა.

ივ. ჯავახიშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდანვე „გახდა ცენტრალური ფიგურა რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის ყველა საკითხში, თვით იქამდე, რომ ქართული ანბანის დამწერლობის დადგენა, სამედიცინო, იურიდიული და სხვა ტერმინოლოგიის შედგენა, ან უმაღლესი მუსიკალური განათლების რეორგანიზაციის საკითხების გადაწყვეტა და სხვა მისი აუცილებელი მონაწილეობით მიმდინარეობდა“[1].

ივ. ჯავახიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ არაერთგზის დაწერილა. ჩვენს ხელთ არის აკაკი შანიძის, გიორგი ჩუბინაშვილის, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას, სიმონ ყაუხჩიშვილის, გიორგი ჩიტაიას — ივ. ჯავახიშვილის თანამედროვეთა და თანამოსაგრეთა მოგონებები და წერილები. მეცნიერის ბევრი თანამედროვე დღესდღეობით ცოცხალია და ჯანმრთელად არის. ამდენად ამოცანა — გადმოსცე დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის საქმიანობა, მეტად რთული და საპასუხისმგებლოა. ავტორს მხოლოდ სხივნათელი წინაპრისადმი უდიდესი სიყვარული აკადნიერებს თავს იდოს ივ. ჯავახიშვილის მრავალმხრივი გიგანტური საზოგადოებრივი მოღვაწეობის ზოგიერთი მხარის ასახვა.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ჰყავდა თავისი სულიერი მეუფე, პიროვნება, რომელმაც ახალი ერა დაიწყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში; შემოიჭრა ახალი ძალით, ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების იდეით, რომელმაც ხმამაღლა გამოაცხადა „..ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ეშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“... ეს იყო ილია ჭავჭავაძე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ერის მედროშე. მეოცე საუკუნის დასაწყისში ილიას მძიმე ტვირთმა ივანე ჯავახიშვილის მხრებზე გადაინაცვლა. ამ უკანასკნელს წილად ხვდა უაღრესად საპატიო და ამასთან მეტად რთული ხვედრი... ილია ჭავჭავაძეობა გაეწია ერისათვის...

აქ საინტერესო იქნება მოვიგონოთ ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვები ივ. ჯავახიშვილის შესახებ: „იშვიათია კაცი, რომელსაც რა-

---

[1] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ივანე ჯავახიშვილი, მნათობი, 1943, № 11—12, გვ. 209.

ომე ნაკლი არ ჰქონდეს, თუნდაც სულ მცირე. ივანე ჯავახიშვილში სანთლით რომ გეძებნათ, ვერავითარ ნაკლს ვერ აღმოაჩენდით. ეს სრულიად უნაკლო ადამიანი იყო: ზნეობით სპეტაკი, ზრდილი, ალერსიანი, თავმდაბალი, კაცთმოყვარე და გულშემატკივარი, ერთ უკადრის სიტყვას მისგან ვერ გაიგონებდით, ის შვილი იყო ქართველი ინტელიგენტი ოჯახისა, რომელიც გამსჭვალული იყო ქართული პატრიოტიზმით და საქართველოს კეთილდღეობისათვის მუშაობით...“ სწორედ ასეთ ადამიანს შეეძლო ქვეყნის ჭეშმარიტ სამსახურში ჩამდგარიყო, ერის წყლული საკუთარ ტკივილად შეეცნო, საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს საკურთხეველისათვის მიეტანა ზვარაკად და მისივე სიყვარულში ჩაფერფლილიყო.

ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი და ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი. ბედნიერება შეიძლება მრავალგვარი იყოს; ერის ისტორიაშიც მრავალი გზით შეიძლება ადამიანმა მოიპოვოს სასუფეველი. მაგრამ სულ სხვაა — ატარებდე ეროვნული უნივერსიტეტის დამაარსებლის სახელს. ეს უდიდესი ბედნიერებაა!

განუყოფელია ივანე ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტი. ადამიანი და ტაძარი... ადამიანი — შემოქმედი და ტაძარი — სულიერი საზრდოს უშრეტი წყარო... ივანე ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტი.

ერის არსებობაში არის რაღაც ამაღლებული, წმინდა, რისთვისაც ერისშვილი სულსაც არ იშურებს. კონსტანტინე გამსახურდიას გმირი დიდოსტატი კონსტანტინე არსაკიძე აგებს სვეტიცხოველს და თავის სულს სდებს შიგ... აძლევს ყველაფერს და ყველაზე დიდს, რაც კი მას გააჩნდა (მკლავსაც კი სჭრიან: რატომ კარგი აგიგიაო), აძლევს და მაღლდება თვითონ. დიდოსტატი ძლიერი იყო მაშინაც კი, როცა მისი სატრფო „შორენა ჩამოვიდა კედლიდან...

დაუჩოქა სამგზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული.

ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოველისათვის შეეწირა იგი“.

დიახ, ასეთია ხვედრი ჭეშმარიტი შემოქმედისა. ივანე ჯავახიშვილის სვეტიცხოველიც და სამგზის სანატრელიც უნივერსიტეტი იყო. და სწორედ მისი დაარსებისათვის დაშვრა მეცნიერი.

უნივერსიტეტის, როგორც პროგრესული იდეების ცენტრის, დაარსება ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება იყო. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50—60-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული ეროვ-

ნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცები უნივერსიტეტის გახსნას მოითხოვდნენ. ამ იდეას წინ ელობებოდა ცარიზმი თავისი დამყაყებული იდეოლოგიური არსენალით, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებისადმი თავის წინააღმდეგობას „ასაბუთებდა“ ხალხის ინტელექტუალური მოუმზადებლობით.

ქართველი ახალგაზრდობა, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობა-დაბრკოლებისა, მაინც ახერხებდა ევროპისა და რუსეთის სხვადასხვა სასწავლებლებში ცოდნის მიღებას. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში არაერთი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ამკობდა რუსეთის იმპერიის უმაღლესი სასწავლებლების პროფესურას.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული უნივერსიტეტის შექმნის საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა. ამ საქმის თაოსანი იყო ივ. ჯავახიშვილი, რომელიც იმჟამად პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად მუშაობდა. იგი სწორედ პეტერბურგის უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დროს აანალიზებს იმ უშედეგო ბრძოლის გამოცდილებას, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებისთვის წარიმართა და თავს უყრის ამ დიდი საქმისათვის დასაყრდენ სამეცნიერო-საზოგადოებრივ ძალებს. ივ. ჯავახიშვილმა პრაქტიკულად შეიმუშავა ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების გეგმა (ეს გეგმა სრულიად განსხვავებული იყო, როგორც კავკასიის უნივერსიტეტის, ასევე სამეცნიერო აკადემიის დაარსების იდეისაგან). მას კარგად ესმოდა, რომ საქმე სწორედ ეროვნული უნივერსიტეტის შექმნით უნდა დაწყებულიყო. საამისოდ კი პირობები ძალზე მწირი იყო. არც მაშინდელი მთავრობისგან იყო მხარდაჭერა.

1907 წლის ბოლოს ივ. ჯავახიშვილის უშუალო თაოსნობითა და ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელმაც გააერთიანა, უნივერსიტეტის გარდა, სხვა ინსტიტუტების სტუდენტები და ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელი ქართველი ქალები. ამ „წრემ“ უაღრესად კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა რუსეთში, კერძოდ, პეტერბურგში მყოფ ქართველ ახალგაზრდობაზე. ნაყოფიერი მუშაობაც გაჩაღდა საქართველოს წარსულის, ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და ენის შესასწავლად. სწორედ პეტერბურგის სტუდენტთა სამეცნიერო წრემ მოაწყო ანკეტით გამოკითხვა (1911—12 წწ.) რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა.

ანკეტა ივ. ჯავახიშვილის მიერ იყო შედგენილი და ბევრ საინტერესო კითხვას ითვალისწინებდა. როგორც ჩანს, ამ წამოწყებას მეტად სერიოზულად მოეკიდნენ ქართველები და პასუხებმაც არ დააყოვნა. რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან იმედის მომგვრელი ცნობები მოდიოდა, გამოჩნდა, რომ ქართველ ახალგაზრდობაში ცოდნის დაუფლების წყურვილი მეტად დიდი იყო.

იმედის ნაპერწკლები გააღვივა იმ ფრიად მნიშვნელოვანმა მოვლენამ, რომ 1914 წელს მეფის მთავრობამ იძულებით შეასრულა მისთვის მეტად მძიმე აქტი — გამოსცა კანონი რუსეთის იმპერიაში არარუსულ ენაზე კერძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლების დაარსების შესახებ. ეს კანონი ხელ-ფეხს უხსნიდა ივ. ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების საქმიანობას უნივერსიტეტის დაარსებისათვის. დაბრკოლებები მაინც დიდი იყო, თანაც წინააღმდეგობას ქართველი პატრიოტები სწორედ კანონის გამომცემელთა მხრიდან წააწყდნენ... მეფის მთავრობის სიტყვა და საქმე არ თანხვდებოდა ერთმანეთს.

ჟამთასვლა თავისას აკეთებდა... ქვეყანაში რევოლუციური გადატრიალებები ხდებოდა... 1917 წლის თებერვალი ახალი ძვრებით აღინიშნა... საზოგადოების განვითარებას ახალი მიმართულებები, ახალი გზები უჩნდება. უკვე შესაძლებელი ხდება ქართული უნივერსიტეტის დაარსებაზე ხმამაღალი ლაპარაკი და აშკარა საქმიანობა. ივ. ჯავახიშვილმაც არ დააყოვნა და თებერვლის რევოლუციის პირველივე დღეებში დიდი პრაქტიკული საქმიანობა გააჩაღა. მან თავის ბინაზე (პეტერბურგში, ლახტინის ქუჩაზე) შეკრიბა უნივერსიტეტის დაარსებით დაინტერესებული ქართველი მეცნიერები: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე და სხვ. მოითათბირეს უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, საჭიროდ ჩათვალეს საზოგადოებრივი აზრის შექმნა უნივერსიტეტის სასარგებლოდ. საჭირო იყო პეტერბურგში მყოფი ქართველების ჩაბმა ამ საქმიანობაში. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ეროვნული კომიტეტის მიერ მოწვეულმა კრებამ (კინოთეატრ „ელიტში“) იმსჯელა მის შესახებ. კრებაზე, რომელსაც ზურაბ ავალიშვილი თავმჯდომარეობდა, უნივერსიტეტის დაარსების შესახებ მოხსენება ივ. ჯავახიშვილმა გააკეთა. კრების მონაწილეთა გარკვეულმა ნაწილმა (შ. ნუცუბიძე და სხვ.) ივ. ჯავახიშვილს დაუჭირა მხარი. ერთი ჯგუფი (ნ. ნიკოლაძე და სხვ.) პოლიტექნიკუმის დაარსებას მოითხოვდა.

1917 წ. გაზაფხულზე ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგიდან თბილის-

ში ჩამოდის და იწყებს პირველი ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა იმავე წლის 12 მაისს. თბილისში ჩატარდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელსაც იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დაესწრნენ. მათ შორის იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ლუარსაბ ბოცვაძე, გრიგოლ ვეშაპელი, ილია ზურაბიშვილი და სხვ.

დამფუძნებელი კრება გახსნა ივ. ჯავახიშვილმა. მანვე გააკეთა მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ (ეს მოხსენება იმთავითვე დაიბეჭდა გაზეთში „სახალხო საქმე", 1917 წ. №№ 62, 63, 66, 68). მოხსენება მოაგონებდა ქართველ ხალხს საქართველოს უძველეს კულტურულ სიძლიერეს, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ჩვენი ხალხი მეზობელ დაწინაურებულ დიდ სახელმწიფოებსა და ერებსა, ბერძენ-ბიზანტიელებსა, სპარსელებსა და არაბებს, განათლებითა და შემოქმედებითი სამწერლო მოღვაწეობით კვალდაკვალ მისდევდა. იყო დრო მეთორმეტე საუკუნეში, მაგ., როდესაც ჩვენმა წინაპრებმა მცირე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ამ მხრივ უმაღლეს ხარისხს მიაღწიეს"[1]. მეცნიერი აცხადებდა: „ჩვენ წინაპართა დაუცხრომელმა მხნეობამ და სულიერ განვითარებისა და ცოდნისმოყვარეობისადმი შეუფერხებელმა მისწრაფებამ ქართველობას საზღვარგარეთაც ისეთი დაწესებულებანი შეუქმნა, რომელთა წყალობით საქართველოს საშუალება ჰქონდა მეზობელთა სამეცნიერო, სამწერლობო და საკულტურო წარმატებისათვის თვალყური ედევნებინა და რაც მისთვის საჭირო იყო დროზე შეეთვისებინა კიდეც"[2]. ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა, რომ მომდევნო საუკუნეებშიც იყო მცდელობა საქართველოში სასწავლო ცენტრების შექმნისა. „...ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიაც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული... ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენ ვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტუ-

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ, მოხსენება წაკითხულია ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე 1917 წ. 12 მაისს თბილისში და 17 მაისს ქუთაისში, თსუ შრომები, XXXIII, თბ., 1948, გვ. 1.

[2] იქვე.

რულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გავუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალ-ღონით ქართულ მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შე-ვუწყოთ"[1]. ივ. ჯავახიშვილი დაწვრილებით მიმოიხილავდა იმ გზებს, რომლითაც შეიძლებოდა ამ ამოცანის შესრულება, თანაც მოითხოვდა, რომ დაარსებულიყო სწორედ უნივერსიტეტი და არა სამეცნიერო აკადემია, ან პოლიტექნიკუმი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც ამ-გვარად მოხდა: ჯერ უნივერსიტეტები დაარსდა, ხოლო შემდეგ აკა-დემიები შეიქმნა. სამეცნიერო აკადემიისა და უნივერსიტეტის ერთ-დროულად შენახვა იმდროინდელ საქართველოში პრაქტიკულად შე-უძლებელი იყო. ივ. ჯავახიშვილს ნათლად ესახებოდა, რომ უნივერ-სიტეტთან შემდგომში შესაძლებული გახდებოდა სასოფლო-სამეურ-ნეო და ტექნიკური ინსტიტუტების დაარსება. მეცნიერის აზრით, „ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევა-ძიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნი-ერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნი-ერო მუშაობის მეთოდებისა და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნება"[2].

კრებაზე (ივ. ჯავახიშვილის წინადადებით კრების თავმჯდომა-რედ არჩეულ იქნა ექვთიმე თაყაიშვილი, მდივნად ილია ზურაბიშვი-ლი) ხანგრძლივი კამათის შემდეგ (ერთი ნაწილი კვლავ სპეციალური უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას უჭერდა მხარს) გადაწყდა, რომ დაარსებულიყო ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი. პირველად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი უნდა გახსნილიყო. ივ. ჯავახიშ-ვილის წინადადებით შეიქმნა კომისია (ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყა-იშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. აფხაზი, ვ. ყიფიანი, ი. ლორთქიფანიძე, გ. ჟურული), რომელსაც დაევალა საჭირო სახსრების გამონახვა-შეგროვება და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. აღნიშნულ კრებაზე შეიქ-მნა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის განსაკუთრებული საზო-გადოება.

ფართო ხასიათის მუშაობა გაიშალა ქუთაისშიც. 1917 წლის 17 მაისს ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით ქუთაისში ტარდება კულტუ-

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებ-ლობის შესახებ, მოხსენება წაკითხულია ქართული უნივერსიტეტის საზოგადოე-ბის დამფუძნებელ კრებაზე 1917 წ. 12 მაისს თბილისში და 17 მაისს ქუთაისში, თსუ შრომები, XXXIII., 1948, გვ. 7.

[2] იქვე.

რულ, საკრედიტო დაწესებულებათა და პერიოდულ გამოცემათა წარმომადგენლების კრება (ესწრებოდნენ: ი. ოცხელი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ბაქრაძე, მ. თაქთაქიშვილი, გრ. გველესიანი, ი. პურადაშვილი, მ. ფალავა, ს. წერეთელი, ვ. ჭილაძე, ი. ქუთათელაძე, ი. ჩიქოვანი, დ. ნიჟარაძე, გ. ურატაძე, ო. შუშანია, პ. ჯაფარიძე, ა. გორგაძე. კ. გაბარაშვილი, ვ. ბერიძე, ა. წერეთელი, ვ. იმნაძე, ვ. ყიფიანი, მ. ყაუხჩიშვილი, თ. აბაშიძისა, მ. გველესიანისა, ალ. ჯანელიძე)[1], რომელიც ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხს იხილავს (კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ი. ოცხელი, მდივნად — ალ. ჯანელიძე). კრებამ მხარი დაუჭირა (ორი მონაწილის გარდა) ივ. ჯავახიშვილის წინადადებებს უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა კრებას გააცნო უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები. აირჩიეს კომიტეტი 11 კაცის შემადგენლობით, რომელსაც თბილისში არჩეულ კომიტეტთან ერთად უნდა გაეტარებინა სხვადასხვა ღონისძიებები უნივერსიტეტის დაარსების მიზნით.

როგორც ჩანს, ბევრს არარეალურად მიაჩნდა უნივერსიტეტის გახსნა თბილისში და თუმცა ფორმალურად კმაყოფილებას გამოხატავდნენ მისი დაარსებისათვის სამზადისით, ფაქტიურად კი განზე იდგნენ. 1917 წლის 24 მაისს და შემდეგ 28 მაისს დანიშნული უნივერსიტეტის ე. წ. დამხმარე საზოგადოების საორგანიზაციო კომისიის სხდომები დამსწრე წევრთა მცირერიცხოვნების გამო ჩაიშალა.

1917 წლის 3 ივნისს შედგა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის საზოგადოების კრება (დაესწრნენ: ივ. ჯავახიშვილი, კ. აფხაზი, ი. ლორთქიფანიძე, ვ. ყიფიანი, გ. ჟურული, გ. აბაშიძე, ფ. გოგიჩაიშვილი). აი პატარა ამონაწერი კრების ოქმიდან:

„თავ. კნ. აფხაზმა აუწყა კრებას, რომ ეს მესამე კრებაა კომისიისა, საერთო სხდომის შემდეგ, მაგრამ არც ერთხელ სათანადო კვორუმი არ ყოფილა და ამიტომ საქმე კერძო თათბირით თავდებოდა ხოლმე. თათბირი, რასაკვირველია, ეხებოდა მთავარ საგანს ფულის შოვნისას, მაგრამ ჯერჯერობით არავითარი თვალსაჩინო საშუალება არ არის ნაჩვენები“[2]. კ. აფხაზი ასახელებს იმ გზებს, რომლითაც შესაძ-

---

1 ს. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება, კრებ. თბილისის უნივერსიტეტი (1918—1968), თბ., 1968, გვ. 16.

2 ცსა (თბ.), ფონდი რ.—471, საქ. 1, ფურ. 7—8; საისტორიო მოამბე, 21—22, თბ., 1967, გვ. 331.

ლო იყო ფულის შოვნა. ესაა: საჯარო მომგებიანი ლატარეის გამართვა (ამას მთავრობის ნება სჭირდებოდა და მიიღებდნენ თუ არა ამ უფლებას, ეს გაურკვეველი იყო), ან ქართველთა შორის „უწყებულ გარდასახადის გაწერა შემოსავლის კვალობაზედ", ან კიდევ კოოპერატორებისგან (საქართველოში კოოპერატივები მრავლად იყო) დახმარების მიღების მიღწევა.

აი კიდევ ერთი ამონაწერი იმავე კრების ოქმიდან:

„თავ. ივ. ჯავახიშვილი. ამ საქმის დახანება მეტი არ შეიძლება. საჭიროა გამორკვეული იქნას საბოლოოდ, შეიძლება თუ არა მომავალ წლიდან უნივერსიტეტის გახსნა. მხოლოდ წინადვე დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ უსახსრობის გამო უნივერსიტეტის არსებობა უცბად არ შეწყდება. ამ შემთხვევაში გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავაყენებთ მოწვეულ პროფესორებს, რომელნიც ახლა უზრუნველყოფილნი არიან რუსეთის უნივერსიტეტში და მხოლოდ ეროვნულ იდეის გამო მზად არიან დასთმონ ახლანდელი თავიანთი ადგილები, ოღონდ კი სამშობლო მეცნიერებას ემსახურონ. ქართულ პროფესორთა კონტიგენტი სრულ საშუალებას გვაძლევს ამთავითვე ორი ფაკულტეტი დავაარსოთ, სიბრძნის მეტყველებისა და საბუნებისმეტყველო, ოღონდ ნივთიერი სახსარი იყოს"[1]. ივ. ჯავახიშვილის გამოსვლაში ნათლად ჩანს დიდი ოპტიმიზმი და ღრმა რწმენა, რომ მალე უნდა გაიხსნას უნივერსიტეტი. თანაც მეცნიერს კონკრეტული წინადადებები აქვს მთელ რიგ საკითხებზე.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა ფ. გოგიჩაიშვილი: „...ეჭვ-გარეშეა ეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საქმეა, რომ ქართველი საზოგადოება უეჭველად ხელს შეუწყობს მის არსებობას. ამიტომ ყოველნაირი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ საქმე დავიწყოთ..."[2]

შემდეგ კრებამ მოისმინა ი. ლორთქიფანიძის წერილობითი მოხსენება გადასახადის შემოღების შესახებ.

ნივთიერი სახსრის გამოძებნის შესახებ თათბირის დროს აღიძრა საკითხი იმ თანხის გამოყენებისა, რომელიც შემდგარი იყო თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის გირავნობის ფურცლების სავალდებულო განაღდების ზედმეტი გადასახადისაგან. გადაწყდა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების

---

[1] ცსა (თბ.), ფონდი რ.—471, საქ. 1, ფურ. 7—8; საისტორიო მოამბე, 21—22 თბ., 1967, გვ. 331.

[2] იქვე.

პროექტის შემუშავება. ეს პროექტი უნდა წარდგენოდა შემდგომში მთავრობას დასამტკიცებლად. მისი შედგენა-მომზადება იკისრა ივ. ჯავახიშვილმა.

როგორც ჩანს, ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივი აზრის შექმნას უნივერსიტეტის სასარგებლოდ და თბილისს გარდა ქუთაისშიც დიდი მუშაობა მიმდინარეობდა ამ მიმართულებით. 1917 წლის 8 ივნისით დათარიღებულ წერილში ალექსანდრე ჯანელიძე ატყობინებდა ივ. ჯავახიშვილს, რომ ქუთაისში ჩასულა პრივატ-დოცენტი ა. რაზმაძე, მოუწვევია შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, ლ. შურღაია და ალ. ჯანელიძე და გაუცვნია უნივერსიტეტის საქმის მდგომარეობა, გადაუცია თუ რა კეთდება ამ მხრივ თბილისში და ზოგიერთ საკითხებზე აზრი უკითხავს. ალ. ჯანელიძე ივ. ჯავახიშვილს აცნობს თავიანთ მოსაზრებებსაც ტერმინოლოგიის დადგენის, უცხო მეცნიერების მოწვევისა და ქართული პროფესურისათვის პირობების შექმნის შესახებ[1].

ივ. ჯავახიშვილი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებისას ითვალისწინებდა ამგვარად მოწოდებულ წინადადებებსა და მოსაზრებებს. 1917 წლის 15 ივნისს კომისიამ განიხილა ივ. ჯავახიშვილის მიერ მომზადებული პროექტი. გარკვეული შენიშვნების გამოთქმის შემდეგ, 22 ივნისს წესდების პროექტის საბოლოოდ მისაღებად დაინიშნა სხდომა. ამ დღეს ივ. ჯავახიშვილმა წარმოადგინა წესდების შესწორებული პროექტი, რომელიც მოიწონეს და მიიღეს[2]. 3 აგვისტოს წესდების აღნიშნული პროექტი ნოტარიალური გაფორმების შემდეგ გადაეგზავნა მთავრობას დასამტკიცებლად. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა, რომელსაც იმხანად ხარლამოვი თავმჯდომარეობდა, უარყო წარმოდგენილი დოკუმენტიდან ძირითადი დებულებანი და იგი დროებითი მთავრობის განათლების სამინისტროს გადაუგზავნა, ხოლო წესდება (აქედან ლატარიის მოწყობის შესახებ მუხლი უნდა ამოშლილიყო) თბილისის ოლქის სასამართლოს გადაეცა რეგისტრაციისათვის[3].

---

[1] ალექსანდრე ჯანელიძის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი, ცსა (თბ.), ფონდი რ.—471, საქ. 27. ფურ. 30—31; საისტორიო მოამბე, 21—22, თბ., 1967, გვ. 333—334.

[2] იხ. ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი, შედგენილი ივანე ჯავახიშვილის მიერ, ცსა (თბ.), ფონ. რ.—471, საქ. 27. ფურ. 33—35, საისტორიო მოამბე, 21—22, თბ., 1967, გვ. 336—339.

[3] ს. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 17.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდგომ ქართული უნივერსიტეტის ბედი გარკვეული იყო — მის გახსნას ველარავინ შეუშლიდა ხელს. საქართველოს მენშევიკურ მთავრობას უნივერსიტეტის პატრონობა არ შეეძლო და ამიტომ იგი ქართველი პატრიოტების შენაწირი სახსრებით უნდა შენახულიყო[1].

1917 წლის 3 ოქტომბერს გაიმართა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრება, რომელიც გახსნა ივ. ჯავახიშვილმა. მისივე წინადადებით თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი, საპატიო თავმჯდომარედ დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი. დამსწრე საზოგადოებამ დიდი აღფრთოვანებით მოისმინა ივ. ჯავახიშვილის მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობასა და იმ მუშაობის შესახებ, რაც გაწეული იყო მისი გახსნისათვის. ამის შემდგ მოხდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების ახალი წევრებით შევსება (საზოგადოებას შეემატნენ: შ. დადიანი, კ. გამსახურდია, ნ. ლომოური, ს. კლდიაშვილი, გ. ღამბარაშვილი, პ. ვაჩნაძე, ზ. ყანჩაველი, ნ. კვეზერელი — კოპაძე, გ. მუხაძე, შ. მესხიშვილი, პ. გოთუა, გ. თარხნიშვილი, ა. სოლოღაშვილი, ი. თიკანაძე, თ. ჯავახიშვილი, ი. მერკვილაძე, ნ. ნაკაშიძე, ი. ელიაშვილი და სხვ.). კრებამ ქუთაისის საორგანიზაციო კომიტეტის წევრის მექი ფალავას განცხადების საფუძველზე წევრებად მიიღო ქუთაისის წარმომადგენლებიც. 1917 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა საერთო კრება, რომელსაც 200-ზე მეტი წევრი და გარეშე პირი დაესწრო. კრების საპატიო თავმჯდომარე იყო პეტრე მელიქიშვილი, თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი, მდივანი ილ. ზურაბიშვილი. ამ კრების ოქმი გვაუწყებს: „პრ.-დრც. ივ. ჯავახიშვილმა წარმოსთქვა სიტყვა სამოქმედო გეგმის შესახებ. უწინარეს ყოვლისა ივ. ჯავახიშვილი შეეხო უნივერსიტეტის ნივთიერ მხარეს"[2]: ბუნებრივია, ეს არსებითი საკითხი იყო და სათანადო ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. „მოხსენების მეორე ნაწილში ივ. ჯავახიშვილი შეეხო სამოსწავლო საქმის დაყენებას. მისი აზრით, ამ თავითვე შეიძლება დაარსდეს ფაკულტეტი სიბრძნისმეტყველებისა. ეს ფაკულტეტი შეიცავს ჰუმანიურ სამეცნიერო საგნებს — როგორც მაგალითად, ფილოსოფიას, საისტორიო, საფილოლოგიო და სპეციალურ საგნებს — ბუნებისმეტყველებისას და

---

[1] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1968, გვ. 199.

[2] იხ. ცსა (თბ.), ფონ. რ—471, საქ. 3-ა, ფურ. 3, 4; საისტორიო მოამბე, 21—22, 1967, გვ. 334—335.

მათემატიკისას... თუ ამ თავითვე საბუნებისმეტყველო განყოფილების გახსნა შევიძელით, მაშინ რაკი სამკურნალო ფაკულტეტის პირველი ორი კურსი იგივეა, რაც საბუნებისმეტყველო განყოფილებისა, ორი წლის შემდეგ შესაძლებელია მოეწყოს სამკურნალო ფაკულტეტი..."[1]

ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა კრებას განუმარტა, რომ უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებაზე ისწავლიან არაბულ და სპარსულ ენებსაც და „უნივერსიტეტი გაგზავნის ამ ქვეყნებში თვალსაჩინო მოწაფეთ მეცნიერებაში გასაწვრთნელად და შერე მათვე გამოიყენებს თავისთვის"[2].

ივ. ჯავახიშვილის საქმიანი და შთამბეჭდავი მოხსენება ყურადღებით მოისმინეს და მადლობა გადაუხადეს.

ქართველი ხალხი დიდი კმაყოფილებით გამოეხმაურა ამ მოვლენას. შესაწირავის სახით დიდი რაოდენობით შემოდიოდა თანხა, თანაც თავის მორალურ მხარდაჭერას უცხადებდნენ ივ. ჯავახიშვილს. მეცნიერის არქივში დაცულია რამდენიმე ასეთი წერილი. აი ზოგი მათგანი:

„მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს

ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე! ქართული უნივერსიტეტის დაარსების აზრმა უზომოთ გამახარა, ვინაიდან ვგრძნობ, რომ ამ აზრის განხორციელებით ჩვენს ქვეყანას აღორძინების ახალი ხანა უდგება.

ნება მიბოძეთ, მე, როგორც ჩვენის ერის წინ მსვლელობის მონატრე ერთმა ქართველთაგანმა, ერთდროულ დახმარებად ჯერ-ჯერობით მოგართვათ ასი თუმანი (ათასი მანეთი) ქართული უნივერსიტეტის დასაარსებელ თანხის გასაძლიერებლად.

იმედია, თქვენი ჩვეულებრივი მუყაითობით ჩვენს სამშობლოს მალე ეღირსება საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი, ჩვენ დედაქალაქ თბილისში.

დავშთები მარადის თქვენი ღრმად პატივისმცემელი ყარამან სიმონის ძე კიკნაველიძე"[3].

ამ ბარათში, გარდა უნივერსიტეტის დაარსების მოლოდინით გა-

---

[1] იხ. ცსა თბ., ფონ. რ-471, საქ. 3—ა, ფურ. 3,4; საისტორიო მოამბე 21—22, 1967, გვ. 334—335.

[2] იქვე.

[3] იხ. ცა (თბ.), ფონ. რ.—471, საქ 27, ფურ. 28; საისტორიო მოამბე, 21—22, თბ., 1967, გვ. 335—336.

მოწვეული სიხარულისა, აშკარად ჩანს ის დიდი სიყვარული და ავტორიტეტი, რომლითაც ივ. ჯავახიშვილი უკვე სარგებლობდა. ამგვარი ბარათები ბევრი მოვიდა ქვეყნის ყველა კუთხიდან. უნივერსიტეტის დაარსებისთვის საქმიანობას საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებიც გამოეხმაურნენ. ისინი თავიანთ მორალურ მხარდაჭერასთან ერთად მატერიალურადაც ეხმარებოდნენ ამ იდეის განხორციელებას. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ გამოჩენილმა სომეხმა მწერალმა ოვანეს თუმანიანმა უნივერსიტეტს შესწირა 100 მანეთი ოქროთი, თანაც სწერდა: „მხოლოდ მეცნიერებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას შეუძლია ამოავსოს ის უფსკრული, რომელიც აცალკევებს ხალხებს და მხოლოდ მათ შეუძლიათ შექმნან მომავალი უკეთესი ცხოვრება და ნამდვილი ადამიანი...

მე. აღტაცებით წარმოვიდგენ ხალისიან და კეთილშობილ ქართველს, რომელიც მშობლიურ ენაზე იღებს უმაღლეს განათლებას. (1917 წ. 25 ოქტომბერი)".

როგორც ჩანს, სომეხი ხალხის ჭეშმარიტი შვილის ამ მისალმებას დიდი გამამხნევებელი გავლენა მოუხდენია ქართველებზე. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ სამადლობელი წერილით უპასუხა ოვანეს თუმანიანს: „თქვენს ღრმად მგრძნობიარე სიტყვებში, როგორც თავისი სამშობლოს საუკეთესო შვილისა და მისი ფიქრების ნიჭიერად გამომხატველისა, ჩვენ ვხედავთ ალერსსა და მისალმებას მთელი სომეხი ხალხისა". მადლობის წერილს ხელს აწერს კ. აფხაზი[1].

საუნივერსიტეტო ფონდის შექმნაში ცალკეულ პიროვნებათა გარდა, მონაწილეობდნენ სხვადასხვა საზოგადოებები. ამგვარად თანდათან იზრდებოდა თანხა და მიზანიც რეალური ხდებოდა. დღის წესრიგში დადგა პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევის საქმე. 1917 წლის 9 ოქტომბერს შედგა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის გაერთიანებული კრება, რომელმაც სწორედ ეს საკითხი განიხილა და წერილით მიმართა ივ. ჯავახიშვილს:

„დიდად პატივცემულო ბატონო ივანე ალექსანდრეს ძევ!

ამა წლის 9 ოქტომბერს ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ და საფინანსო კომისიამ თავის პირველ შეერთებულ კრე-

---

[1] ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

ბაზედ, ხსენებულ უნივერსიტეტის წესდების ძირითად დებულებათა თანახმად დაადგინა: ქართულ უნივერსიტეტისათვის პროფესორების მოწვევა და პროფესორთა კოლეგიის შედგენა მოგენდოთ თქვენ, ნოვოროსიის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორს ბ-ნ პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილს და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტს ანდრია მიხეილის ძე რაზმაძეს.

განსაკუთრებულ სიამოვნებად მიეითვლი გაუწყოთ ეს დადგენილება და გთხოვთ კეთილ ინებოთ იკისროთ ეს საქმე და შედეგი თქვენის შეთანხმებული მოქმედებისა ზემოხსენებულ პირებთან აცნობოთ გამგეობას.

გამგეობის თავმჯდომარე (ხელრთვა)[1].

1917 წლის 26 ნოემბერს ექვთიმე თაყაიშვილის ბინაზე შედგა საზოგადოების მიერ გამოყოფილი აკადემიური კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, დ. უზნაძე, აკ. შანიძე. სხდომის თავმჯდომარე იყო ივ. ჯავახიშვილი, მდივანი — ა. შანიძე. მიღებული იქნა დადგენილება, რომ დაარსებულიყო ერთი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელსაც ექნებოდა 3 განყოფილება: 1) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურა, ენათმეცნიერება, სოციალური მეცნიერებანი, პედაგოგიკა), 2) სამათემატიკო, 3) საბუნებისმეტყველო. პირველ რიგში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილება უნდა გახსნილიყო. ფ. გოგიჩაიშვილს დაევალა უნივერსიტეტისათვის ქართული გიმნაზიის შენობის მიღების საკითხის მოგვარება[2].

1917 წლის 8 დეკემბერს უნივერსიტეტის მომავალ პროფესორებს (ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე) ივ. ჯავახიშვილმა აუწყა რომ უნივერსიტეტის ძირითადი დებულება დამტკიცებული იყო. ამასთან განიხილა ფ. გოგიჩაიშვილის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის პროექტი.

დეკემბრის დამლევს პრესაში გამოქვეყნდა განცხადება, ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ. ქართული უნივერსი-

---

[1] იხ. ცსა (თბ.), ფონ. 471, საქ. 27, ფურ. 25; საისტორიო მოამბე, 21—22, თბ., 1967, გვ. 336.

[2] ეს ის შენობაა, სადაც ამჟამად უნივერსიტეტია მოთავსებული. აგებული ხუროთმოძღვარ სიმონ კლდიაშვილის პროექტით. იხ. ვახტანგ ბერიძე, ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი, თსუ შრომები, XXXIII, თბ., 1948, გვ. 35—71.

ტეტის პროფესორთა კოლეგიის პირველი ოფიციალური სხდომა 1918 წლის 13 იანვარს შედგა. სხდომას ესწრებოდნენ პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ე. თაყაიშვილი, შ. ნუცუბიძე, ი. ყიფშიძე. თავმჯდომარეობდა პ. მელიქიშვილი, მდივანი იყო ა. შანიძე. აირჩიეს უნივერსიტეტის გამგეობა და ჯავახიშვილს მიმართეს თხოვნით თავს ედო უნივერსიტეტის რექტორობა. ამ წინადადებაზე ივ. ჯავახიშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა და თავის მხრივ სხდომას მოუწოდა რექტორად პეტრე მელიქიშვილი აერჩიათ, რომელიც, როგორც თვით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „დიდად ცნობილი მეცნიერია, როგორც რუსეთში ისე საზღვარგარეთ და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტს"-ო... პროფესორთა კოლეგიამ მიიღო ეს წინადადება და პეტრე მელიქიშვილი აირჩია უნივერსიტეტის რექტორად. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი; პროფესორთა საბჭოს სწავლულ მდივნად — იოსებ ყიფშიძე.

დგება ქართველი ხალხის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი მომენტი... ახლოვდება უნივერსიტეტის გახსნის დღე... გადაწყდა უნივერსიტეტი გაიხსნას 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს.

ქართული უნივერსიტეტის გამგეობის 1918 წლის 20 იანვრის სხდომის ოქმში ვკითხულობთ:

„...ივ. ჯავახიშვილმა აუწყა კრებას, რომ ქართული უნივერსიტეტის გახსნა, პროფესორთა კოლეგიის თაოსნობით, განზრახულია 26 ამა იანვრისათვის. 27 — კი დაიწყება ლექციების კითხვა. უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ მოსაწვილეობა უნდა მიიღოს უნივერსიტეტის გახსნის ზეიმში, როგორც მასპინძელმა.

სადღესასწაულო კრებას გახსნის საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. მერე სიტყვას წარმოთქვამს უნივერსიტეტის რექტორი — პროფ. პეტრე მელიქიშვილი. შემდეგ წაკითხული იქნება უნივერსიტეტის საბჭოს მდივნის დოც. იოსებ ყიფშიძის მიერ მოკლე ისტორია უნივერსიტეტის დაარსებისა და დასასრულ ივანე ჯავახიშვილი წარუდგენს კრებას მოხსენებას უნივერსიტეტის მომავალ მოქმედებისას.

ამის შემდგ ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა დღესასწაულზე მოწვეულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, თანამდებობის პირთა და

ხვათა სია, რომელიც შევსების შემდგ დამტკიცებული იქნა"[1]. უნივერსიტეტის გახსნის მოლოდინში აღფრთოვანებული მოსე ჯანაშვილი 1918 წლის 23 იანვარს წერდა: „ივ. ჯავახიშვილმა იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი — გუთნისდედობა თვით ქართული მძიმე ღრმადმხვნელი გუთნისა... ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო. ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის სავანედ"[2].

დადგა 26 იანვარი 1918 წლისა... ამ დღეს წყნეთის ქუჩაზე №41-ში მდებარე გიმნაზიის შენობაში გაიხსნა პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი — ქართული უნივერსიტეტი.

უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ზეიმი გაიხსნა წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით. სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის რექტორმა პ. მელიქიშვილმა. ი. ყიფშიძემ წაიკითხა მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების ისტორიის შესახებ (მან გააკრიტიკა დროებითი მთავრობის შოვინისტური პოლიტიკა). ახლადაარსებულ უნივერსიტეტს მიესალმნენ სხვადასხვა (რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, პოლონური და სხვ.) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. მოვიდა ბევრი მისალოცი დეპეშა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ ამ დღეს საგანგებო პარაკლისი გადაიხადა.

ზეიმის დასასრულს გათვალისწინებული იყო ივ. ჯავახიშვილის ლექცია, მაგრამ ხალხის სიმრავლის გამო ეს ვერ მოხერხდა. ქართულ უნივერსიტეტში პირველი ლექცია წაიკითხა ივ. ჯავახიშვილმა 1918 წლის 30 იანვარს[3]. ლექციის თემა ასეთი იყო: „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობაში".

ასე დაიწყო ქართული უნივერსიტეტის მაჯისცემა.

აქ გვინდა ჩვენს მკითხველს გავაცნოთ ერთი დოკუმენტი, რომელიც შედგენილია ივ. ჯავახიშვილის მიერ და ტექსტიც მისივე ხელი-

---

[1] იხ. ცსა (თბ.), ფონ. რ.—471, საქ. 3-ა, ფურ. 12; საისტორიო მოამბე, 21—22. თბ., 1947, გვ. 339.

[2] გაზ. „საქართველო", 1918, № 23.

[3] ს. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე. პირველი ლექცია თბილისის უნივერსიტეტში (წაკითხული ივანე ჯავახიშვილის მიერ), გაზ. თბილისის უნივერსიტეტი, 1966 წ. თებერვალი.

თაა დაწერილი. ეს საბუთი ორი ნაწილისგან არის შემდგარი: პირველი თბილისის უნივერსიტეტის გამგეობის მიერ დამტკიცებული, უნივერსიტეტის პროფესორთა, მეცნიერ ხელმძღვანელთა და ლექტორთა შემადგენლობაა 1918 წლის პირველი სემესტრისათვის (პროფესორი იყო 7, პროფესორის მოადგილე — 5, მეცნიერ-ხელმძღვანელი — 2, ლექტორი — 4; სულ — 17).

არანაკლებ საინტერესოა მეორე ნაწილი, სადაც მოცემულია ახლადაარსებული ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სასწავლო გეგმა ყველა დარგისათვის (ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ენათმეცნიერება, ლიტერატურა, ისტორია, ეკონომიკის დარგები).

ეს დოკუმენტი გამოქვეყნდა 1918 წლის იანვარში გაზეთ „სახალხო საქმეში" უნივერსიტეტის გახსნის წინა დღეებში. იგი სრულ წარმოდგენას გვაძლევს ქართული უნივერსიტეტის პირველი პროფესურისა და პირვანდელი სასწავლო გეგმის შესახებ.

აი ეს დოკუმენტიც:

ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიუმისა, მეცნიერ ხელმძღვანელთა და ლექტორების შემადგენლობა 1918 წ. პირველ სემესტრში

უნივერსიტეტის რექტორი: დამსახურებული პროფესორი პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი (ქიმიის დოქტორი).

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი: პროფ. ივ. ა. ჯავახიშვილი (ქართული ფილოლოგიის მაგისტროსი პეტერბურგის უნივერსიტეტისა).

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივანი: პროფ. იოს. ალექ. ყიფშიძე (ქართული ფილოლოგიის მაგისტროსი პეტერბურგის უნივერსიტეტისა).

პროფ. ანდ. ბენაშვილი (გეოლეზიისა და ვარსკვლავთმრიცხველობის პროფესორი პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტისა და სამხედრო-საინჟინრო აკადემიისა. ლექციების კითხვას დაიწყებს, როდესაც სამათემატიკო განყოფილება გაიხსნება).

პროფ. კორნ. კეკელიძე (საეკლესიო ისტორია და მწერლობა. ღვთისმეტყველების მაგისტროსი).

პროფ. დ. უზნაძე (ფსიქოლოგია და პედაგოგიკა. ფილოსოფიის დოქტორი ჰალეს უნივერსიტეტისა).

პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი (პოლიტიკური ეკონომია და სტატისტიკა. ფილოსოფიის დოქტორი ლაიფციგის უნივერსიტეტისა).

პროფესორის მოადგილე ანდ. რაზმაძე (უმაღლეს მათემატიკის მაგისტრანტი, მოსკოვის უნივერსიტეტის პრივ.-დოცენტი. ლექციებს შემოდგომითვან. დაიწყებს).

პროფესორის მოადგილე სვ. ავალიანი (ისტორიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივ.-დოცენტი).

პროფესორის მოადგილე შ. ნუცუბიძე (ფილოსოფიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერს.).

პროფესორის მოადგილე გ. ახვლედიანი (საზოგადო და შედარებითი ინდო-ევროპული ენათმეცნიერება, ენათმეცნიერების მაგისტრანტი, ხარკოვის უნივერს.).

პროფესორის მოადგილე აკ. შანიძე (ენათმეცნიერება, ქართული ფოლოლოგიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერს.).

მეცნიერი ხელმძღვანელი ე. თაყაიშვილი (ქართული საძველეთა-მეცნიერება, ანუ არქეოლოგია).

მეცნიერი ხელმძღვანელი იუს. აბულაძე (სპარსული ენა).

ლექტორი ელ. ორბელიანისა (ფრანგული ენა).

ლექტორი არტ. ლაისტი (გერმანული ენა).

ლექტორი ილ. თ. ყიფშიძე (გერმანული ენა).

ლექტორი ვანდა ლამბაშიძისა (ინგლისური ენა).

ტფილისის უნივერსიტეტის გამგეობა

ტფილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ლექციებისა და სამოსწავლო გეგმების შესახებ

ტფილისის ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიური ფაკულტეტი შეიცავს ყველა იმ საგნებს, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტების სამ ფაკულტეტზეა, — საისტორიო-საფილოლოგიოზე, აღმოსავლეთ ენებისაზე და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოზე. ამჟამად ტეხნიკურ და ქონებრივ დაბრკოლებათა გამო (ლაბორატორიებისა და კაბინეტებისათვის მოწყობილობისა და იარაღების შეძენის შეუძლებლობის გამო) ამ ფაკულტეტის მხოლოდ პუმანურ და სოციალურ დარგების ლექციები მოეწყობა. შემდეგ (იმედია შემოდგომითვანვე) სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო დარგების ლექციებიც დაიწყება. პუმანურ და სოციალურ დარგების ლექციების სიაც თანდათანობით შეივსება და მხოლოდ ოთხ წელიწადში შეიქმნება სრული.

ამჟამად კი, 1918 წ. პირველს სემესტრში, შემდეგი ლექციები იქმნება:

1. ფილოსოფიის შესავალი (კვირაში 1 საათს)
   საფილოსოფიო სემინარი („ 2 ს.)
2. საექსპერიმენტო ფსიქოლოგიის შესავალი (2 ს.)
3. საზოგადო ენათმეცნიერება (2 ს.)
4. მსოფლიო ისტორია (2 ს.)

5. ქართული სიძველეთმეცნიერება, ანუ არქეოლოგია (2 ს.)
6. საქართველოს ისტორია (2 ს.)
   საისტორიო სემინარი (2 ს.)
7. საეკლესიო ისტორია (2 ს.)
8. ქართულ ძველ მხატვრულ მწერლობის ისტორია (1 ს.)
9. რუსეთისა და სლავების ისტორია (2 ს.)
10; ქართულ სამართლის წყაროები და ისტორია (1 ს.)
11. პოლიტიკური ეკონომია (2 ს.)
12. მიწისმფლობელობა საქართველოში (1 ს.)
13. ძველი ქართული (2 ს.)
14. ლათინური ენა (3 ს.)
15. ძველი არაბული ენა (4 ს.)
16. ძველი სომხური ენა (2 ს.)
17. სპარსული ენა (3 ს.)
18. გერმანული ენა (3 ს.)
19. ინგლისური ენა (3 ს.)
20. ფრანგული ენა (3 ს.)

ყველა ამ საგნების ერთად არამცთუ შესწავლა, მოსმენაც — კი, არც ერთს სტუდენტს,ან მსმენელს არ ძალუძს და თუნდაც რომ შეიძლებოდეს, არც საჭიროა. საუნივერსიტეტო საგნების სიერცე და მრავალფეროვანება სამეცნიერო დარგებისდა მიხედვით სპეციალობას აუცილებელ საჭიროებად ხდის. ამის გამო რუსეთის უნივერსიტეტებში განსაკუთრებული განყოფილებანი არსებობენ (კლასიკური, საისტორიო, რომანულ-გერმანული, რუსული და სლაეური). რაკი ამგვარი დანაწილება მხოლოდ პრაქტიკულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არის შექმნილი და მკვიდრ სამეცნიერო საფუძველზე აგებული არაა, ამიტომ ამგვარი დანაწილება ტფილისის უნივერსიტეტში უარყოფილია. ამის მაგიერ სტუდენტების სახელმძღვანელოდ შედგენილია მხოლოდ სანიმუშო სამეცნიერო-სამოსწავლო გეგმა, რომელიც იმ საზოგადო დებულებაზეა დაფუძნებული, რომ ჰუმანურ ცოდნის შეძენა და მეცნიერების შესწავლა შეიძლება ან 1., ფილოსოფიურის თვალსაზრისით, ან 2., ფსიქოლოგიურად, ან 3. ენათმეცნიერების მხრით, ან 4., ხელოვნების თვალსაზრისით (სიტყვიერების ხელოვნება და ხატოვან-ნივთიერი ხელოვნება) ან 5. ისტორიულად ,ან 6. სოციალურ-ეკონომიურ თვალსაზრისით. ამ საზოგადო დებულებისდა თანახმად ქვემოთ ჯერჯერობით შემდეგი სამეცნიერო დარგების გეგმა იქმნება მოყვანილი: 1., ფილოსოფიის დარგისა, 2., ფსიქოლოგიის დარგისა, 3., ენათმეცნიერებისა, 4., სიტყვიერებისა, 5., საისტორიო, 6., საეკონომიო. ამ დარგების გარდა სხვაც შეიძლება იყოს და სტუდენტს, ან მსმენელს თითონაც უფლება აქვს თავის სამეცნიერო მისწრაფებისა და სურვილის მიხედვით სხვა საკუთარი გეგმა შეადგინოს და ამ გეგმისდა თანახმად შეიძინოს უნივერსიტეტში სამეცნიერო ცოდნა.

სამეცნიერო დარგების სხვაობისდა მიუხედავად ისეთი საგნებია, რომელთა ცოდნა ყველასათვის არის საჭირო და ამის გამო ყველა დარგებისათვის არის სავალდებულო, ასეთ ყველასათვის სავალდებულო საგნებად 1., ლოღიკა, 2., ფსიქოლოგია, 3., ფილოსოფიის შესავალი, 4., საქართველოს ისტორია (დროებით) და 5., ერთ-ერთი თანამედროვე ევროპული ენათაგანი იოელება.

ამ ყველასათვის სავალდებულო საგნებს გარდა თვითეულ დარგისათვის განსაკუთრებული საგნებია საჭირო, რომელთა სია ქვემოთ არის მოყვანილი. სანამ სტუდენტი, ან მსმენელი ამ სიების გადაკითხვას შეუდგებოდეს, უნდა გაითვალისწინოს, რომ თვითეული დარგის შესწავლა ან საზოგადო თეორიის მხრივ, ან ამასთანავე ერთ-ერთი ეროვნების, ან ქვეყნის, ან მეცნიერების საგანგებო შტოისა (მაგ., ისტორიკოსმა შეიძლება ან ისტორიის ფილოსოფიას (თეორია და მეთოდოლოგია) აირჩიოს, ან ძველ აღმოსავლეთის, ან ძველ საბერძნეთის და რომის, ან საქართველოს, ან სომხეთის, ან სპარსეთის, ან დასავლეთ ევროპის ისტორია. ამგვარადვე ენათმეცნიერებამ თავის ცოდნის განსაკუთრებულ საგნად შეიძლება ან ქართულებრივი აიღოს, ან ინდოევროპული, ან სემური ენათმეცნიერება, ან არადა მხოლოდ ცალ-ცალკე ენა და სხვა — კი არა). ამისდა გვარად სხვადასხვა საგნებს სხვადასხვა მნიშვნელობა ექმნება: ზოგისათვის ერთი ჯგუფი საგნებისა იქმნება საჭირო, ზოგისათვის მეორე, ზოგისათვის მესამე.

I. ფილოსოფიის დარგი

1. ყველასათვის სავალდებულო საგნები.
2. ფილოსოფიის ისტორია: ძველი, საშუალო, აღმოსავლეთისა, ქართული და ახალი.
3. ენათმეცნიერების შესავალი.
4. უმაღლესი მათემატიკის ერთი საგანთაგანი.
5. ან საზოგადო ფიზიკა, ან საზოგადო ქიმია, ან მსოფლიო ისტორია.
6. ძველი ქართული და სპეციალობისდა მიხედვით ერთ-ერთი ენა: ან ბერძნული, ან ლათინური, ან არაბული, ან სანსკრიტი.

II. ფსიქოლოგიის დარგი

1. ყველასათვის სავალდებულო საგნები.
2. საექსპერიმენტო ფსიქოლოგია (თეორია და პრაქტიკული მუშაობა).
3. ფილოსოფიის ისტორია.
4. ენათმეცნიერების შესავალი.
5. საზოგადო ანატომია და ფიზიოლოგია, განსაკუთრებით ნერვებისა.
6. უმაღლესი მათემატიკის ერთი დარგთაგანი.
7. საზოგადო ფიზიკა და პრაქტიკული მუშაობა.

III. ენათმეცნიერების დარგი

ა

1. ყველასათვის სავალდებულო საგნები.
2. საზოგადო ენათმეცნიერება.
3. საექსპერიმენტო ფონეტიკა, ანუ ბგერათმეცნიერება.

4. ყელ-ცხვირ-პირის ანატომია და ფიზიოლოგია.
5. ძველი ქართული.
6. საზოგადო შედარებითი ენათმეცნიერება (ინდოევროპული, ქართული, სემური, თურქული).
7. ერთ-ერთი კლასიკური ენა: ან ბერძნული, ან ლათინური და სანსკრიტი.

ბ. ქართული ენათმეცნიერება

ზემოაღნიშნულ 7 მუხლში დასახელებულის გარდა.

8. ქართულ მწერლობის საზოგადო ისტორია.
9. ქართული ენის ისტორიული გრამატიკა.
10. ახალი ქართული და კილოკავები.
11. მეგრულ-ჭანური.
12. სვანური.
13. აბხაზური.
14. შედარებითი ქართ-მეგრულ-სვანურის გრამატიკა.
15. არაბული ენა (მომავალში: ან ასურული, ან ებრაული) 4 სემესტრის განმავლობაში.
16. ან სომხური, ან სპარსული, ან თურქული (2 სემესტრის განმავლობაში).

IV. სიტყვიერების დარგი

1. ყველასათვის საკალდებულო საგნები.
2. ენათმეცნიერების შესავალი და სინტაქსისი.
3. სიტყვიერების თეორია.
4. ესთეტიკის ისტორია და თეორია.
5. ძველი ქართული ენა.
6. საზოგადო და ქართული საეკლესიო მწერლობის ისტორია.
7. ძველი ქართული მხატვრული მწერლობის ისტორია.
8. ახალი ქართული მხატვრული მწერლობის ისტორია.
9. ქართული ხალხური პოეზია (და კილოკავები ან მეგრულ-ჭანური, ან სვანური).
10. მსოფლიო მწერლობის ისტორია სპეციალობისდა მიხედვით: ან ბერძნულ-რომანულის, ან ბერძნულ-ლათინურ-ბიზანტიურის, ან არაბულ-სპარსულის, ან სომხურის, ან სპარსულ-თურქულის, ან რუსულის.
11. სპეციალობისდა მიხედვით ენები: ან ბერძნულ-ლათინური, ან სომხური, ან გერმანულ-ფრანგული, ან ინგლისური, ან არაბული და სპარსული, ან თურქული, ან რუსული.

V. საისტორიო დარგი

1. ყველასათვის საკალდებულო საგნები.
2. ენათმეცნიერების შესავალი.

3. ქართულ-სამართლის ისტორია, ან სამართლის თეორია.
4. პოლიტიკური ეკონომია.
5. საზოგადო და ქართული სიძველეთა მეცნიერება.
6. ძველი აღმოსავლეთის ისტორია.
7. მსოფლიო ისტორია.
8. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია (არაბეთი, სპარსეთი და ოსმალეთი, სომხეთი).
9. მსოფლიო და ქართული საეკლესიო ისტორია.
10. ისტორიის მეთოდოლოგია და ფილოსოფია.
11. მსოფლიო ან ქართული ხელოვნების ისტორია.
12. ძველი ქართული ენა და სპეციალობისდა მიხედვით ენები: ან ასსირიული, ან ბერძნულ-ლათინური, ან სომხური და არაბული, ან არაბული და სპარსული, ან ლათინური და ერთი ეროპ. ენათაგანი, ან ოსმალური და იტალიური.

ამის გარდა ვინც განსაკუთრებულ საგნად საქართველოს ისტორიას აირჩევს:

13. ქართველ ერის ისტორია (სპეც. კურსები) და საქართველოს საისტორიო გეოგრაფია.
14. საქართველოს ეკონომიური ისტორია.
15. ქართული მწერლობის ისტორია, (საზოგ. კურსი).
16. ქართული ეპიგრაფიკა, პალეოგრაფია, სფრაგისტიკა და ნუმიზმატიკა.

VI. საეკონომიო დარგი

1. ყველასათვის საეალდებულო საგნები.
2. პოლიტიკური ეკონომია და სემინარი.
3. სტატისტიკა (თეორია და პრაქტიკული ვარჯიშობა).
4. საფინანსო მეცნიერება.
5. სახელმწიფო სამართალი.
6. სააღებმიცემო სამართალი.
7. საერთაშორისო სამართალი.
8. სამოხელეო სამართალი.
9. საეკონომიო მოძღვრებათა ისტორია,
10. საქართველოს ეკონომიური ისტორია.
11. ქართულ სამართლის ისტორია.
12. მიწათმფლობელობა საქართველოში.
13. ერთ-ერთი ან ევროპული, ან აღმოსავლეთის ენათაგანი.
14. ბუხჰალტერია (თეორია და პრაქტიკ. ვარჯიშობა).

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის
დეკანი ი ე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

გახსნისას უნივერსიტეტში 369 სტუდენტი იყო. 89 — თავისუფალი მსმენელი. 1920 წლისთვის სტუდენტთა რიცხვმა 2 500-ს გადააჭარბა.

უნივერსიტეტის მესვეურები ცდილობდნენ პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის ავტორიტეტის ამაღლებას. პ. მელიქიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის წარდგინებით პროფესორთა საბჭომ 1918 წლის 15 მარტს თავის საპატიო წევრად აირჩია აკადემიკოსი ნიკოდიმე პავლეს ძე კონდაკოვი (1844—1925), გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნე (იკვლევდა ქართულ ხელოვნებასაც). ეს მნიშვნელოვანი ფაქტი იყო. ქართული უნივერსიტეტი თანდათან მასშტაბური ხდებოდა.

აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის ზრუნვა უნივერსიტეტის წიგნადი ფონდის გაზრდისათვის. საარქივო მასალებში შემორჩენილია ივ. ჯავახიშვილის მიმართვა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსადმი უნივერსიტეტის წიგნთსაცავისათვის ზოგიერთი წიგნის შეწირვის შესახებ. ამ მიმართვამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადაეცა მრავალი ძვირფასი წიგნი. ამ წიგნებს შორის არის დავით სარაჯიშვილის მთელი ბიბლიოთეკა.

უნივერსიტეტისადმი უდიდესი სიყვარულითაა გამთბარი ცნობილი ისტორიკოსის გიორგი ჟორდანიას წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი, მისი მამის თედო ჟორდანიას ბიბლიოთეკის უნივერსიტეტისათვის გადაცემის შესახებ:

„დიდად პატივცემულო ივანე ალექსანდრეს ძევ! ამასთანავე გაახლებთ თექვსმეტ ცალს განსვენებულის მამის ჩემის „ქრონიკის“ I ტომისას, რომლებიც გთხოვთ გადასცეთ ჩვენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას... კიდევ რამდენიმე ცალი დამრჩა სოფელში და თუ არეულობამ არ დამიშალა მათი ჩამოტანა, იმასაც ჩვენს ნორჩს alma mater-ს მივუძღვნი. „ქრონიკების“ გარდა გაახლებთ ხსენებულსავე მიზნით სხვადასხვა ნაწერებს მამიჩემისას.

განზრახვა მაქვს — უნივერსიტეტსავე გადმოვცე ყველა წიგნები, რაც კი დარჩა განსვენებულს, მისი მცირე ბიბლიოთეკა...

მარადის თქვენი პატივისმცემელი გ. ჟორდანია“[1].

ეს წერილი 1918 წლის 10 მაისითაა დათარიღებული. 5 ივნისს ივ. ჯავახიშვილს მადლობის ბარათი გაუგზავნია გიორგი ჟორდანიასათვის: „...ჩვენი უნივერსიტეტის გამგეობა და პროფესორთა საბჭო დიდი მადლობელი იქმნება, თუ თქვენს სურვილს განახორციელებთ და განსვენებულ მამის თქვენის წიგნთსაცავს უნივერსიტეტს შემოს-

[1] იხ. ცსა (თბ.), ფონ. რ.—471, საქ. 8. ფურ. 20; საისტორიო მოამბე, 21—22,. თბ., 1967, გვ. 342.

წირავეთ". გ. ჟორდანიამ უნივერსიტეტს გადასცა 282 სახელწოდების 460 ტომი და ხელნაწერები. ასე მდიდრდებოდა თანდათან უნივერსიტეტის წიგნთსაცავი.

ივ. ჯავახიშვილის დიდმა, დაუღალავმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო. უნივერსიტეტი აღმავლობის გზას დაადგა. თვითონ მეცნიერი გადაღლილობას უჩიოდა და 1919 წლის 11 დეკემბერს ფაკულტეტს მიმართავდა: „ორი წლის და ნახევრის განუწყვეტელი მუშაობისაგან უნივერსიტეტის გამგეობაში და ფაკულტეტში მეტად დავიღალე და ამიტომ დეკანობას თავს ვანებებ. გთხოვთ ახალი დეკანის არჩევნები დაუყოვნებლივ მოხდეს"[1]. ამავე წლის 17 დეკემბერს მეცნიერი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს თავმჯდომარეს:

„ბატონო თავმჯდომარევ! თუ ვინიცობაა პროფესორთა საბჭოს კრებაზე ჩემი კანდიდატურა წამოყენებული იქმნა უნივერსიტეტის რექტორობის თანამდებობაზე არჩევის დროს, გთხოვთ ამ ჩემი წერილობითი განცხადებით აუწყოთ საბჭოს, რომ მე უარს ვამბობ მეტის-მეტი დაღლილობის გამო კანდიდატობაზე და თანაც გთხოვთ იმ პირთა სიიდან, რომელთაც რექტორობაზე კენჭი ეყრებათ, ჩემი გვარი ამოშალოთ"[2].

პროფესორთა საბჭომ ვერ გაითვალისწინა მეცნიერის ეს თხოვნა, რადგან იმხანად, როცა მენშევიკური მთავრობა არავითარ დახმარებას არ უწევდა უნივერსიტეტს, თუ ივ. ჯავახიშვილი თავისი ჩვეული ენერგიულობით არ ჩაუდგებოდა სათავეში უნივერსიტეტს, შეიძლებოდა ეს დიდი წამოწყება ჩასაშლელად განწირულიყო...

1919 წლის 24 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილი არჩეული იქნა რექტორად. ამ თანამდებობაზე იგი 1926 წლის 24 იანვრამდე მუშაობდა. ეს დრო ივ. ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის შემდგომ კეთილდღეობას მოახმარა. მისი საზრუნავი და სამოქმედო არე მრავალმხრივი იყო. იგი ცდილობს გაზარდოს და აამაღლოს უნივერსიტეტის პროფესურის დონე, იბრძვის პროფესორ-მასწავლებელთა პირობების გაუმჯობესებისათვის, იწვევს სპეციალისტებს სხვადასხვა ქვეყნებიდან,

---

[1] ცსა (თბ.), რ.—471, საქ. 26, ფურ. 113; საისტორიო მოამბე, 21—22, თბ., 1967, გვ. 369.

[2] ცსა (თბ.), რ.—471, საქ. 24, ფურ. 69—70; საისტორიო მოამბე, 21—22, თბ., 1967, გვ. 374.

აყენებს საკითხს უნივერსიტეტისათვის სტამბის გადაცემის თაობაზე და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ფართო გასაქანი შეუქმნა უნივერსიტეტს, მისმა აღმშენებლობამ ფართო მასშტაბები მიიღო. იხსნება ახალი ფაკულტეტები, იზრდება კონტინგენტი, მძლავრდება პროფესორთა შემადგენლობა.

ივ. ჯავახიშვილი, როგორც უნივერსიტეტის რექტორი, სიტყვით გამოვიდა 1925 წლის მარტში სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიაზე (თბილისში) და ხაზი გაუსვა იმ წარმატებებს, რაც საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართველმა ხალხმა მოიპოვა სახელმწიფოებრივი და კულტურული აღორძინების საქმეში. „...თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, — განაცხადა რექტორმა, — გარდა თავისი უშუალო ამოცანის სამსახურისა, იღებდა, იღებს და ყოველთვის მიიღებს აქტიურ მონაწილეობას საქართველოს მთავრობის კულტურულ აღმშენებლობაში, ხალხის ასაყვავებლად და საკეთილდღეოდ“[1].

არ არის ინტერესმოკლებული გავეცნოთ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს. ჩვენს ხელთ არის განათლების სახალხო კომისარიატის არქივში დაცული ერთი დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ. მასში ჩამოთვლილია 1923 წლისთვის უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა და მათი დახასიათება. საბუთი წარმოადგენს უნივერსიტეტის რექტორის ივ. ჯავახიშვილის მიმართვას სახალხო განათლების კომისარიატისადმი. ხელს აწერს ივ. ჯავახიშვილი და უნივერსიტეტის საქმეთა მმართველი. დათარიღებულია 1923 წლის 21 მარტით. დოკუმენტი მოგვაქვს არსებული სტილის უმნიშვნელო ცვლილებებით (შეგნებულად გამოვტოვეთ მეცნიერთა შრომების დასახელება, მათი დიდი მოცულობის გამო).

სახალხო განათლების კომისარიატს


ამასთანავე გაახლებთ სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლეს კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალის სიას და ვთხოვთ აგრეთვე შეტანილ იქნას უმაღლეს კვალიფიკაციის თანამშრომელთა რიცხვში სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების კათედრასთან არსებული ფოტოგრაფიული კაბინეტის გამგე თევდორე კიუნე, რო-

---

[1] გაზ. კომუნისტი. 1925 წ., 10 მარტი.



პატარა ივანე
დედ-მამასთან.



ივ. ჯავახიშვილი (მესამე რიგში მარცხნიდან მეოთხე) გიმნა-
ზიის მე-7 კლასის მოსწავლე, 1894 წ.

ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი.





ივ. ჯავახიშვილი (მარცხნივ) და ნ. მარი სინას მთაზე, 1902 წ.

მელიც საუნგებოდ გერმანიიდან არის მოწვეული და აწარმოებს იშვიათი ღირებულების სამუშაოს.

რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი

საქმეთა მმართველი (ხელრთვა).

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლეს კვალიფიკაციის თანამშრომელთა სია

1) ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი გიორგი (პროფესორი).

სტაჟი: დამთავრა სარკოვის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი 1914 წ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთი წელი იყო მასწავლებლად ქუთაისის გიმნაზიაში. 1915 წ. ვაწვეულ და დატოვებულ იქმნა ხარკოვის უნივერსიტეტთან საპროფესოროდ მოსამზადებლად ინდო-ევროპიული ენათმეცნიერების კათედრასთან. 1916 წელს მიელინებული იყო პეტერბურგის უნივერსიტეტთან სამეცნიერო მუშაობისათვის. 1917 წ. გამოცდილ იქნა სამაგისტრო ხარისხისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1918 წლიდან აბარია ინდო-ევროპიული ენათმეცნიერების კათედრა, უნივერსიტეტის გარეშე აქვს გამგის თანამდებობა I — ტეხნიკუმში.

სამეცნიერო ხარისხი — დოქტორანტი.

სპეციალობა — ენათმეცნიერი.

2) ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი სვიმონ სარიდონის ძე (პროფესორი)

სამკურნალო ფაკულტეტი დამთავრა 1903 წელს.

სტაჟი: 1904 წლიდან 1915 წლამდე ხარკოვის საექიმო საზოგადოების ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის ასისტენტი. 1905 წ. 1918 წლამდე იმავე ინსტიტუტის ბაქტერიოლოგიური განყოფილების გამგე. 1910-12 წწ. ხარკოვის საექიმო საზოგადოების ქალთა საექიმო ინსტიტუტის ბაქტერიოლოგიური კათედრის ასისტენტი.

1912—1919 წწ. ხარკოვის უნივერსიტეტის შტატგარეშე ასისტენტი პიგიენის კათედრასთან.

1919 წლიდან დღემდე ტფილისის უნივერსიტეტთან ბაქტერიოლოგიური კათედრის გამგე. 1920 წლიდან დღემდე იმავე უნივერსიტეტის პიგიენის კათედრის დროებითი გამგე.

სპეციალობა — ბაქტერიოლოგია.

სამეცნიერო ხარისხი — დოქტორანტი.

3) ბ ე ნ ა შ ვ ი ლ ი ანდრია (პროფესორი)

სტაჟი: საერთო სამსახურისა 36 წელიწადი, სამეცნიერო სასწავლო — 25 წელიწადი; 1899 წელს დაამთავრა გენერალ. შტაბის აკადემია და მისი გეოდეზიური განყოფილება. 1901 წ. ბუტკოვის ასტრონომიულ ობსერვატორიაში. 1901 წ. რუსეთის ტრიანგულაციის მმართველობაში სასწავლო სამეცნიერო სამსახური. 1902—1918 წწ. ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში, 1905—1916 წლამდე სამხედრო საინჟინრო აკადემიაში, 1918 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1919 წლიდან სახელმწიფო პოლიტეხნიკუმში, 1918 წ. საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის თანამდებობაზე.

სპეციალობა — ასტრონომია და გეოდეზია.

4) ბერიტაშვილი ივანე (პროფესორი)
სტატია: (მონაცემები შეუგსებელია — რ. მ.).

5) გოგიტიძე სვიმონ (პროფესორი)
სტატია: 1897 წ. დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი და მიიღო ექიმის ხარისხი. მაშინვე შეუდგა ბავშვთა სნეულებათა სპეციალობის (პედიატრიის) შესწავლას კიევის უნივერსიტეტის პედიატრიულ კლინიკაში. 1904 წელს მიიღო მედიცინის დოქტორის ხარისხი, 1909 წ. ჩარიცხულ იქნა პედიატრიის კათედრის პრივატ დოცენტად კიევის უნივერსიტეტში და იმავე წელს მიწვეულ იქნა კიევის საქალებო უმაღლესი კურსების საექიმო განყოფილებაში თეორეტიული პედიატრიის მასწავლებლად. 1912 წ. დანიშნულ იქნა ოდესის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის ექსტრაორდინალურ პროფესორად პედიატრიის კათედრაზე. იმავე წელს მიწვეული იქნა ოდესის ქალთა საექიმო კურსების პედიატრიის მასწავლებლად. 1918 წ. ოდესის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიერ არჩეულ იქნა ორდინალურ პროფესორად, 1921 წ. მიწვეულ იქნა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად პედიატრიის კათედრაზე, იმავე წელს დანიშნულ იქნა ტფილისის ქალაქის პირველ საავადმყოფოს საბავშვო პავილიონის გამგედ.

ამავე დროს იმსახურა და იმუშავა სხვადასხვე დწესებულებაში: 1899—1900 წ. და 1904—1906 წლამდე სამხედრო უწყებაში (პოლკში), ჰოსპიტალში და სანიტრო მატარებელში.

1904 წ. მუშაობდა კიევის ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში (ასისტენტად). 1906 წ. — კიევის ქრონიკულ ავამყოფ ბავშვთა სამკურნალოში. 1907—1912 წწ. კიევის საგუბერნიო ერობის მიგდებულ ბავშვთა ბაგა-თაშესაყარში ჯერ ინსპექტორად, შემდეგ დირექტორის თანაშემწედ. 1909—1922 წწ. კიევის ნ. ზ. ბუნგეს სახელობის სამოქალაქო სასწავლებლის ექიმად.

1919—1921 წლამდე ოდესის გუბპრმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებაში: სანიტარული განთლების ქვეგანყოფილების საბჭოს წევრად და ლექტორად, ბავშვობისა და დედობის დაცვის ქვეგანყოფილების სამეცნიერო საბჭოს წევრად; სამეანო სკოლის პედაგოგიური საბჭოს წევრად, ლექტორად და სხვა.

1922 წლიდან საქართველოს ჯანმრთელობის კომისარიატის სანიტარული განთლების საბჭოს წევრად, იმავე საბჭოს სამეცნიერო სექციის თავმჯდომარედ და საავადმყოფო დამზღვევი კასის კონსულტანტად.

6) ვირსალაძე სპირიდონ (პროფესორი)
სტატია: 1896 წ. დაამთავრა ტომსკის უნივერსიტეტი. 1897 წ. მსახურობდა დაღესტანში საოლქო ექიმად, 1898 წ. იყო დანიშნული შტატგარეშე ორდინატორად და მუშაობდა პეტროგრადის მარიამ მაგდალინელის სახელობის სამკურნალოში. 1898—1900 წ. იყო შტატის ორდინატორად პეტერბურგის ს. პ. ბოტკინის სახელობის გადამდებ სნეულებათა სამკურნალოში. 1900—1903 იყო შტატის ორდინატორად პეტერბურგის ობუხოვის სამკურნალოში. იმავე ხანაში, ე. ი. 1898—1902 წ., მუშაობდა აკადემიკოს ვ. მ. ბეხტერიევის ლაბორატორიაში და ნერვების და სულის ავადმყოფთა კლინიკაში, სადოქტორანტო გამოცდები ჩააბარა 1898—1899 აკადემიური წლის განმავლობაში სამხედრო საექიმო აკადემი-

აში. 1903 წ. დაინიშნა ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს თერაპევტიული განყოფილების გამგედ და უფროსი ექიმის თანაშემწედ. ტფილისში ჩამოსვლამდის იმავე წელს გაიარა ბაქტერიოლოგიის სისტემატიური კურსი ექსპერიმენტალურ ინსტიტუტში ქ. ბ. შულცის ხელმძღვანელობით. 1918 წ. დაინიშნა იმავე სამკურნალოს უფროს ექიმად. ამ სამკურნალოში სამსახურის დროს ორჯერ იყო ვაგზავნილი სამეცნიერო მიზნით რუსეთში და საზღვარგარეთ. 1908 წ. სექტემბრიდან 1909 წ. დეკემბრის ბოლომდე მუშაობდა პეტერბურგში პროფესორ მ. მ. ვოლკოვის საფაკულტეტო კლინიკაში (ქალების საექიმო ინსტიტუტში), ობუხოვის სამკურნალოში და პროფესორ ა. ი. მოისეევის პათოლოგოანატომიურ კაბინეტში სამხედრო საექიმო აკადემიაში და მიიღო მედიცინის დოქტორის ხარისხი. 1909 წ. მეორედ იქნა გაგზავნილი სამეცნიერო მიზნით საზღვარგარეთ, მოისმინა კურსი და გაიარა პრაქტიკული ვარჯიშობა ტროპიკული მედიცინიდან. 1913 წ. იანვრის 1 რიცხვიდან მაისის 20-დე ისმენდა ბერლინის მე-2 მედიკურ კლინიკაში პროფესორ ტრაუხინის ლექციებს და მუშაობდა იმავე კლინიკის ასისტენტად პროფ. პახენგემთან მორფოლოგიურ ლაბორატორიაში. იმავე ხანში მუშაობდა პროფესორ გოლდშაიდერის კლინიკაში პრივატ დოცენტად. ერმანის ხელმძღვანელობით პრაქტიკულად ვარჯიშობდა კუჭისა და ნაწლავების ავადმყოფთა დიაგნოსტიკაში. იმავე წლის მარტში გაიარა პროფ. შტიეერთან კურსი სეროლოგიისა, 1913 წ. რომში პროფ. ჩელის ინსტიტუტში სწავლობდა მალარიას, პარაზიტოლოგიას და ეპიდემიოლოგიას. რეკომენდაციის წესით მოწვეული იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორად, შინაგან სნეულებათა კერძო პათოლოგიის და თერაპიის კათედრაზე, სადაც 1919 წ. შემოღგომაზე წაიკითხა შესავალი ლექცია სისტემატური კურსიდან მუცლის პარტახტიანი, შებრუნებითი ტიფის და ხუნაგის შესახებ.

სპეციალობა — თერაპევტია.

7). ე ო რ ო ნ ი ნი ვლადიმერი (პროფესორი)

სტაჟი: 1883 წლის 9 დეკემბერს დაამთავრა მოსკოეის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1894 წ. ჩარიცხული იქნა შტატგარეშე, ხოლო იმავე წლის 19 დეკემბერს მოსკოეის უნივერსიტეტის თერაპევტიული ფაკულტეტის შტატის ორდინატორად. 1897 წ. 31 მაისს დამტკიცებული იქნა დოქტორად მედიცინის ხარისხით. 1898 წ. 2 მაისს მიღებულ იქნა იმავე უნივერსიტეტის პრივატ დოცენტად საექიმო ბაქტერიოლოგიის მასწაელებლად. 1908 წ. 29 სექტემბერს დანიშნულ იქნა ექსტრა ორდინალურ პროფესორად ზოგად პათოლოგიის კათედრაზე ოდესაში. 1914 წ. ორდინალურ პროფესორად იმავე კათედრაზე. 1922 წ. გადაყვანილი იქნა პროფესორად ზოგადი პათოლოგიისა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სპეციალობა — ზოგადი პათოლოგია.

8) მ ა ჯ ა ე ა რ ი ა ნ ი ალექსანდრე (პროფესორი)

სტაჟი: დაამთავრა სამხედრო სამკურნალო აკადემია I ხარისხის დიპლომით. პეტერბურგის სამკურნალო სამხედრო აკადემიის ქირურგიული კლინიკის ორდინატორი, ვარშავის სამხედრო პოსპიტალის ორდინატორი, სმოლენსკის წითელი ჯვრის საავადმყოფოს უფროსი ქირურგი. ომიანობის დროს სხვადასხვა

ლაშქრების ქირურგი — ინსტრუქტორი და შემდეგ უფროსი ქირურგი — კონსულტანტი. კაუფმანის პოსპიტლის უცროსი ექიმი, ტფილისის სამხედრო პოსპიტლების კონსულტანტი. ტიპოგრაფიულ ანატომიის და ოპერატიულ ქირურგიის პროფესორი. უკანასკნელ ორ წელიწადს ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკის გამგე.

9) უზნაძე ღიმიტრი (პროფესორი)

სტაჟი: 1905 წ. დასრულა ქუთაისის ვიმნაზია (1907 წ. ჩააბარა აბიტურიენტის გამოცდა) 1905 წ. სწაელობდა გერმანიაში, ლეიბციგის უნიეერსიტეტში ფილოსოფიას პროფესორ პ. ბარტის ხელმძღვანელობით, ფსიქოლოგიას ვ. ვუნდისა და ისტორიას — ვილკენის და ლამბრესლის ხელმძღვანელობით. 1908 წ. დაწერა საპრემიო შრომა. 1909 წ. ჰალეს უნიეერსიტეტში სადოქტორო გამოცდები ჩააბარა და დისერტაციაც წარადგინა. სამეცნიერო ხარისხის მიღების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. 1913 წ. ხარკოვის უნივერსიტეტში ჩაბარა სახელმწიფო გამოცდები. 1909 წ. დაინიშნა ისტორიის მასწავლებლად ქუთაისის სააზნაურო ვიმნაზიაში. 1914 წ. საზოგ. „სინათლის" ქალთა გიმნაზიის დირექტორად. 1917 წ. „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის" წევრის თანაშემწედ (სახალხო განათლების უწყებაში). 1918 წ. სახელმწიფო უნიეერსიტეტის სიბრძნის მეტყეელების ფაკულტეტის პროფესორად იქმა არჩეული, იმავე წელს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროში უმაღლეს და საშუალო სკოლების მთავარ გამგედ იქნა დანიშნული. 1919 წ. საპედაგოგო ინსტიტუტის დირექტორად იქნა არჩეული. 1920 წ. საქართველოს მთავრობის განკარგულებით დაინიშნა სახალხო განათლების სკოლის საორგანიზაციო საგანგებო კომისიის თაემჯდომარედ.

სპეციალობა — ფსიქოლოგია.

10) პოლიევქტოვი მიხეილ (პროფესორი)

სტაჟი: 1894 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტთან დატოვებული.

1902 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ დოცენტი.

1918 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი.

1920 წ. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

1921 წ. ტფილისის პოლიტეხნიკუმის პროფესორი.

სპეციალობა: ისტორია

სამეცნიერო ხარისხი: მაგისტრი 1908 წ.

11) ქურდიანი სოლომონი (პროფესორი)

სტაჟი: 1900 წ. დაამთავრა ნოეიალექსანდრიის სააგრონომო და სატყეო ინსტიტუტი. დაწერა ნაშრომი, რომლის დაცვის შემდეგ მიიღო მეცნიერ მეტყეეის ხარისხი. კრს დამთავრების უმალვე მიწვეული იქნა ასისტენტად სატყეო კათედრასთან და ინსტიტუტის სატყეო დემონსტრაციულ დაწესებულების გამგის თანაშემწედ. 1904 წ. პროფესორთა საბჭომ აირჩია დენდროლოგიის მასწავლებლად (დოცენტად). 1908 წ. მუშაობდა რუსეთისა და დასაელეთ ევროპის ფიჭვის რასების გამოკვლევაზე. 1910 წ. ინსტიტუტის საცდელ აგარაკში („რუდა") ორ დესეტინა ნახეაარზე გააშენა თავისი შერჩეული და თავისითვე ამორჩეული ფიჭვის რასები. 1909 წ. აწარმოებდა ხეების სელექციას და იკელევდა ჯი-

შების პარტენოკარპიას. 1910 წ. ვარშავისა და პეტროკოვის გუბერნიის ტყეები შეისწავლა. 1909 წ. გაემგზავრა საზღვარგარეთ. 1917 წ. არჩეული იქნა პროფესორად დენდროლოგიაში და სატყეო მეცნიერებაში უმაღლეს საავრონომო და სატყეო კურსებზე ხარკოვში. 1918 წ. გამოიწვიეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორად და ტყეთა ინსპექტორად მიწათმოქმედების სამინისტროში.

სპეციალობა — მეტყევეობა.

12) ღამბარაშვილი გაბრიელი (პროფესორი)

სტაჟი: 1907 წ. დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი მედიცინის დოქტორის ხარისხით. იმავე წელს ჩაბარა მოსკოვის უნივერსიტეტის სახელმწიფო კომისიას გამოცდები და მიიღო ექიმის ხარისხი.

1909—1912 წ. იყო ორდინატორად გინეკოლოგიურ კლინიკისა მოსკოვის უნივერსიტეტში. 1912 წ. მიიღო მედიცინის დოქტორის ხარისხი. 1913-18 წ. იყო პრივატ დოცენტად მოსკოვის უნივერსიტეტის ძვალთა სნეულებათა კათედრაზე. 1918 წ. არჩეულ იქნა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორად. 1919 წ. არჩეული იქნა გინეკოლოგიურ კლინიკის დირექტორად და პროფესორად მე-3 სამკურნალო ფაკულტეტისა, მოსკოვში. 1920 წ. მოწვეულ იქნა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად გინეკოლოგიურ კათედრასთან.

სპეციალობა: გინეკოლოგი.

13) შანიძე აკაკი (პროფესორი)

სტაჟი: 1913 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტში დაამთავრა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი და დატოვებულ იქნა უნივერსიტეტთან პროფესორობისთვის მოსამზადებლად. სამეცნიერო აკადემიის მიერ გაიგზავნა დუშეთისა და თიანეთის მაზრაში ქართული კილოების შესასწავლად. 1915 წ. ჩაბარა სამაგისტრო გამოცდები. განაგრძო უნივერსიტეტში მუშაობა და მიენდო ქართული ხელნაწერების აღწერა პეტერბურგის საუკარო სამკითხველოში, სადაც ივი ამასთანავე ბიბლიოთეკის თანაშემწედ მსახურობდა. 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და მონაწილეობას იღებდა ქართულ უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. 1918 წ. არჩეული იქნა პროფესორად. ღოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა 1920 წ. (დისერტაცია: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი ქართულ ზმნებში", ტფილისი,1920 წ.). ამჟამად უჭირავს ქართული ენის კათედრა და აგრეთვე ლექციებს კითხულობს არაბულ ენისას, არის რედაქტორი „უნ-ტის მოამბისა".

სპეციალობა — ძველი ენები.

14) ჩუბინაშვილი გიორგი (პროფესორი)

სტაჟი: 1919 წ. იანვრიდან პროფესორი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სპეციალობა — ხელოვნების მეცნიერება და კულტურის განვითარების ფსიქოლოგია.

სამეცნიერო ხარისხი: ხელოვნების დოქტორი.

15) ჯავახიშვილი ალექსანდრე (პროფესორი)

სტაჟი: 1900 წ. დაამთავრა საბუნებისმეტყველო განყოფილება მოსკოვის უნივერსიტეტში I ხარისხით და დატოვებულ იქმნა ქიმიის კათედრაზე პროფესორ პოპისათვის მოსამზადებლად. მუშაობდა უმაღლეს ქალაქების კურსების ლაბორანტისა და ასისტენტის თანამდებობაზე. 1900—1917 წლამდე აწარმოებდა საკუთრივ პრაქტიკულ მეცადინეობას. უმაღლეს სასწავლებლის გარდა იგი ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას, როგორც ბუნებისმეტყველი, სხვადასხვა ტიპის საშუალო სასწავლებელში. მიიღო აქტიური მონაწილეობა მდივნის სახით 1903 წ. პეტრეს ქალაქში ტეხნიკური და პროფესიონალური სწავლა განათლების ყრილობაზე, რომლისთვისაც მან წინასწარ დაამუშავა მრავალი მასალა. 1903 წ. შეუდგა საქართველოს მოსახლეობის სისტემატიურ კვლევა-ძიებას. 1903 წ. — 13 წლამდე თავისი ხარჯით მოგზაურობდა და აგროვებდა მასალებს, და ამ მასალას იგი ამუშავებდა რუსეთში, რომელიც მოხსენების შემდეგ იბეჭდებოდა. შემდეგ მან თავის კვლევა-ძიება გააგრძელა კავკასიის მთელ თანამედროვე მოსახლეობაზე; ხოლო ამ შრომას არ ეღირსა დაბეჭდვა. ტფილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისი წინადადებით შემოღებულ იქნა, პირველად უმაღლეს სასწაელებელში, საუნივერსიტეტო კურსი გეოგრაფიისა; რომელსაც იგი კითხულობდა 1919 წ. როგორც დოცენტი, ხოლო 1919-20 წ. როგორც პროფესორი.

სპეციალობა: გეოგრაფი და ანთროპოლოგი.

წერეთელი გრიგოლ (პროფესორი)

სტაჟი: 1893 წ. 1904 წლამდე იყო დატოვებული პეტერბურგის უნივერსიტეტთან და შემდეგ მიიღო პრივატ დოცენტობა. 1904—1914 წლამდე არჩეულ იქნა იურიევის უნივერსიტეტის პროფესორად. 1914-20 წ. — პროფესორად პეტერბურგის უნივერსიტეტისა. 1920 — პროფესორად სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1917 წლიდან — წევრი-კორესპონდენტი რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა.

სპეციალობა: ძველი კლასიკური ფილოლოგია.

ხარისხი: დოქტორი ძველი კლასიკური ფილოლოგიისა

17) ჯაეახიშვილი ივანე (პროფესორი)

სტაჟი: 1899 გაათავა პეტერბურგის უნივერსიტეტი და მაშინვე დატოვებულ იქმნა საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1900 წ. სამეცნიერო ხარისხის გამოცდა ჩააბარა და გერმანიაში იქმნა გაგზავნილი იქაურ უნივერსიტეტში სამუშაოდ. 1902 წ. გაზაფხულზე სინას მთის ქართულ ხელთნაწერების აღსაწერად იყო წარგზავნილი, სადაც 3 თვეს დაჰყო. 1903 წლის იანვრიდან დაიწყო ლექციების კითხვა საქართველოსა და სომხეთის ისტორიის შესახებ. აქვს მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი და ოცზე მეტი სამეცნიერო შრომა ქართულად, გერმანულად და რუსულად დაბეჭდილი, ბევრი სივაც დასაბეჭდავად დამზადებული. 1918 წლიდან ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

18) რაზმაძე ანდრია (პროფესორი)

სტაჟი: 1910 წ. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამათემატიკო ფაკულტეტი. 1913 წ. სამეცნიერო მიზნით გაგზავნილ იქნა ევროპაში, სადაც, სხვათა

შორის, მუშაობდა (აქ ალბათ ვეარი უნდა იყოს... რ. მ.) ხელმძღვანელობით.

1916 წ. ჩააბარა გამოცდები მათემატიკის მაგისტრის ხარისხზე.

1912 წ. მოწვეულ იქმნა მოსკოვის უნივერსიტეტში პრივატ დოცენტად, წმინდა მათემატიკის კათედრაზე; აქ ორი წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს უმაღლეს სემესტრებისათვის.

1918 წ. შემოდგომაზე ტფილისის უნივერსიტეტში არჩეულ იქნა პროფესორად წმინდა მათემატიკის კათედრაზე.

1920 წ. ტფილისის პოლიტექნიკუმში არჩეულ იქმნა პროფესორად.

19) ა ნ ფ ი მ ო ვ ი იაკობი (დამსახურებული პროფესორი ნერვებისა და სულის ავადმყოფობის კათედრის).

სტაჟი: სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქიატრიულ კათედრის გამგე. ექიმის წოდება მიიღო 1880 წელს მედიკო ქირურგიულ აკადემიაში. აქვს 35 ნაშრომამდე დაბეჭდილი.

ხარისხი — მედიცინის დოქტორი.

20) მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ნიკოლოზი (პროფესორი).

სტაჟი: 1915—20 წლამდე პეტროგრადის უნივერსიტეტში იყო მიმდევრობით უნივერსიტეტთან დატოვებული, ასისტენტი, მასწავლებელი (დოცენტი). ასწავლიდა აგრეთვე სასწაულებელში.

1920 წლიდან ტფილისის უნივერსიტეტშია და პოლიტეხნიკუმში. სამეცნიერო ხარისხი: გამოყენებითი მათემატიკის მაგისტრანტი (პეტროგრადის უნივერსიტეტი).

სპეციალობა — მათემატიკა.

21) ნ ა თ ი შ ვ ი ლ ი ალექსანდრე (პროფესორი).

სტაჟი: 1907 წ. შეიდა ხარკოვის უნივერსიტეტში ნორმალური ანატომიის კათედრის პროზექტორის თანაშემწედ. 1914 წ. არჩეულ იქმნა უფროს ასისტენტად. 1914 წ. ხარკოვის საქალთო ქალთა ინსტიტუტში არჩეულ იქმნა პროზექტორად. 1916 წ. მიიღო მედიცინის დოქტორის სარისხი. 1917 წელს წარდგენილი იქმნა დოცენტად. 1918 წ. არჩეულ იქმნა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად. საერთო სტაჟი: 16 წელი.

სპეციალობა — 1. მორფოლოგია — ადამიანისა.
2. ნორმალური ანატომია
3. პისტოლოგია, ემბრიოლოგია.

22) თ ვ ა ლ ჭ რ ე ლ ი ძ ე ალექსანდრე (პროფესორი).

სტაჟი: 1912 წ. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი, სადაც ასრულებდა პირად ასისტენტის მოვალეობას პროფესორ ე. ი. ვერნადსკისთან.

1913 წ. მუშაობდა სამეცნიერო აკადემიის მინერალოგიურ ლაბორატორიაში, 1913 წ. მარიამობისთვიდან 1919 წლამდე იყო უფროს ასისტენტად დონის პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტში (ნოვოჩერკასკი) და იქვე კითხულობდა ლექციებს კრისტალოგრაფიაში ქალთა უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო კურ-

სებზე. 1919 წ. იელისიდან ტფილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტის პროფესორი.
სპეციალობა — მინერალოგი.

23). გოგიჩაიშვილი ფილიპე (პროფესორი)
სტაჟი: 1897—1901 სწავლობდა მიუნხენისა და ლეიბციგის უნიეერსიტეტში. მუშაობდა სახელმწიფო მეცნიერებათა სემინარში პროფესორ ბიუხერთან, ფრიკერთან და შვიდასთან, სწაელა დაასრულა 1901 წელს ლეიბციგის უნიეერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტეზე ეკონომიურ მეცნიერებათა დარგში, 1902—1907 წლამდე განაგებდა სტატისტიკურ ბიუროს ტფილისში, რედაქტორობდა პერიოდულ გამოცემებს ქართულ ენაზე. თანამშრომლობდა ჟურნალებსა და გაზეთებში. 1915—1916 წლამდე იყო სრულიად რუსეთის ერობათა კავშირის რწმუნებულად კავკასიაში. 1916—1917 წლამდე იყო თავმჯდომარედ კახეთის რკინიგზის საზოგადოების გამგეობისა, 1918-20 წლამდე სახელმწიფო კანტრალიორად, იმაეე წლიდან არის პროფესორად სახელმწიფო უნიეერსიტეტისა, სადაც იგი კითხულობს კურსს შემდეგი საგნებისას: პოლიტიკური ეკონომია (ზოგადი და სპეიცალური), ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია, საფინანსო მეცნიერება და სტატისტიკა, აწარმოებს პრაქტიკულ მეცადინეობას სტუდენტებთან ეკონომიურ სტატიკურ სემინარში.
სპეციალობა — პოლიტიკური ეკონომია, საფინანსო მეცნიერება და სტატისტიკა.
სამეცნიერო ხარისხი: ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი.

24) თიკანაძე ივანე (პროფესორი).
სტაჟი: 1894 წელს დამთავრა უმაღლესი სამხედრო სამკურნალო აკადემია. უმუშავნია ერევნის სამხედრო ჰოსპიტალში და სამკურნალო აკადემიის სამეანო-გინეკოლოგიურ კლინიკაში ორდინატორად, სამშობიარო თავშესაფარის გამგედ, სამეანო და გინეკოლოგიურ განყოფილების გამგედ, ორდინატორად ქირურგიულ კლინიკაში, კონსულტანტად სამხედრო ჰოსპიტალში, უფროს ექიმად სამხედრო კლინიკურ საბებიო და გინეკოლოგიურ ინსტიტუტში პროფ. სტროვანოვის და ოტტოს ხელმძღვანელობით. სამკურნალო აკადემიის სამეანო-გენეკოლოგიურ კლინიკაში (გამგე პროფესორი ლებედევი) და ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკის გინეკოლოგიურ განყოფილებაში (პროფესორი ფეოდოროვი), ოთხი წლის წინათ არჩეულ იქნა კონკურსით სახელმწიფო უნიეერსიტეტის სამეანო კათედრის გამგეთ.
სპეციალობა — მეანობა და გინეკოლოგია.
ხარისხი: მედიცინის დოქტორი.

25) ალადაშვილი ალექსანდრე (პროფესორი).
სტაჟი: 18 წელი.
ხარისხი — მედიცინის დოქტორი.
სპეციალობა: თერაპეეტია.

26) ნუცუბიძე შალვა (პროფესორი)
სტაჟი: 1910 წელს დამთავრა პეტერბურგის უნიეერსიტეტი. გათაეებიდანვე

მუშაობს პედაგოგიურ სარბიელზე. ორჯერ იყო გაგზავნილი ევროპაში მეცნიერული მივლინებით.
სპეციალობა — ფილოსოფია.
სამეცნიერო ხარისხი: 1916 წელს ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები პეტერბურგის უნივერსიტეტში.

27) კეკელიძე კორნელი (პროფესორი)
სტაჟი: დაიბადა 1897 წ. 1904 წ. დამთავრა კიევის უმაღლესი აკადემია, იმავე წელს დატოვებულ იყო საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1908 წ. მიიღო მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი. 1906—1918 წ. მსახურობდა ტფილისის საშუალო სასწავლებელში. ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის გამგედ (1906—1916) და ტფილისის სემინარიის რექტორად 1916—1918 წ. 1913-18 წლებში იყო დოცენტად ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებისა, არჩეული იქნა პროფესორად ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტისა ქართული მწერლობის ისტორიის კათედრაზე. 1920 წლიდან ამ უნივერსიტეტში პროფესორობის გარდა უჭირავს პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის ადგილი და 1921 წლიდან უნივერსიტეტის „სიძველეთა მუზეუმის“ გამგის თანამდებობა.
სპეციალობა — ისტორიკოსი.
ხარისხი: მაგისტრი.

28) მელიქიშვილი პეტრე (დამსახურებული პროფესორი)
სპეციალობა — ქიმია.

29) მოსეშვილი იასონი (პროფესორი)
სპეციალობა — ქიმია.

30) მოსეშვილი ვარლამი (პროფესორი)
სპეციალობა — ფარმაკოლოგი.

31) მუხაძე გრიგოლი (პროფესორი)
სპეციალობა — ქირურგი.

32) ქუთათელაძე იოველი (პროფესორი)
სპეციალობა — ფარმაცია და ფარმაკოგნოზია.

33) ღამბაროვი იური (პროფესორი)
სპეციალობა — იურისტი.

34) ცაგარელი ალექსანდრე (დამსახურებული პროფესორი)
სპეციალობა — ისტორიკოსი.

35) დიდებულიძე ალექსანდრე (პროფესორი)
სპეციალობა — ინჟინერი.

36) ასათიანი მიხეილი (დოცენტი)
სტაჟი: 1907 წ. დამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი ექიმის წოდებით. 1907—10 წლამდე იყო ორდინატორად მოსკოვის ფსიქიატრიულ კლინიკაში. 1909 წ. უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილი იქნა შვეიცარიაში ციურიხის უნივერსიტეტში, რათა შეეთვისებინა ახალი მიმდინარეობა ფსიქიატრიაში. 1911 წ. ოთხი თვის განმავლობაში იმყოფებოდა ბერნში პროფ. (გვარი ვერ ამოვიკითხეთ — რ. მ.) კლინიკებში, რათა შეესწავლა ფსიქოთერაპევტიული მიმდი-

ნარეობა. 1911 წ. იყო წარდგენილი ასისტენტად მოსკოვის ფსიქიატრიულ კლინიკაში. 1911-13 წლამდე მოწვეული იყო და განაგებდა ფსიქოთერაპევტიულ ნაწილს სანატორიუმ „პოდსოლნეჩნაიაში". 1914 წ. მუშაობდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამხედრო ფსიხოზების შესასწავლად. 1915-18 წლამდე იყო ორდინატორად მოსკოვის ცენტრალურ ფსიქიატრიულ გოსპიტალში, 1918 წ. მოსკოვის უნივერსიტეტის ფსიქიატრიულ კლინიკაში (მესამე ფაკულტეტი). მოწვეული იქნა უფროს ასისტენტად. (მესამე ფაკულტეტი). ამავე დროს იყო ორდინატორად მოსკოვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. 1919 წ. ტფილისის სახელმწიფო ნიევრსიტეტის დოცენტად ფსიქიატრიულ კათედრაზე.

სპეციალობა — ფსიქიატრია.

37) ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი კონსტანტინე (დოცენტი)

სტაჟი: დოცენტად სასოფლო სამეურნეო მექანიკის 2 მარიამობისთვიდან 1919 წ. მასწავლებელი და 1906 წ. 1917 წ. აელეეის სასოფლო სამეურნეო სკოლის სახელოსნოების გამგე.

სპეციალობა — ინჟინერ-აგრონომი.

სამეცნიერო ხარისხი: პირველი ხარისხისა (რუსეთის უნივერსიტეტის დიპლომი) და ინჟინერ აგრონომის ხარისხი საფრანგეთი'.

38) თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ივანე (დოცენტი)

სტაჟი: დაასრულა სწავლა პეტერბურგში ნიკოლოზის საინჟინერო აკადემიაში 1892 წ. და არის ინჟინრად 31 წელი. ამ ხნის განმავლობაში მუშაობდა 1892 წ. — 1895 წ. მოსკოვის სამხედრო საინჟინერო ოლქში. 1895—1918 წ. მოსკოვში ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელში მასწავლებლად. 1896—1903 წ. მოსკოვის ქალაქის მმართველობაში ინჟინრად. 1904—1908 წ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხუროთმოძღვრად, 1904-14 წ. ინჟ. პრიოროვის საალმშენებლო კურსებზე ლექტორად — მოსკოში. 1905—10 წ. ინჟინერი პრიოროვის საალმშენებლო სასწავლებელში მოსკოვში — ლექტორად. 1905-9 წლამდე ქალაქების საალმშენებლო კურსებზე მოსკოვში ლექტორად (და ამასთან ერთად იყო ერთი იმის დამაარსებელთაგანი). 1919—1921 წ. შვედების ქვეშევრდომის ინჟ. ნილსონის საამშენებლო ანგარანის კონცერანში (ვამგედ და ინჟინრად).

სპეციალობა — საინჟინრო-საალმშენებლო მოქმედება.

სამეცნიერო ხარისხი: ინჟინერი.

39) მ ე ლ ი ქ ს ე თ ბ ე გ ი ლეონი (დოცენტი)

სტაჟი: 1918 წ. 7 მარტიდან აქამდის.

1) მასწავლებელი ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში 1918 წ.
2) ლექტორი და დოცენტი ტფილისის უნივერსიტეტში 1918 წ.
3) პრივატ დოცენტი ამიერკავკასიის უნივერსიტეტში 1919 წ.
4) მასწავლებელი და დოცენტი ტფილისის პოლიტეხნიკუმში 1920 წ.
5) მეცნიერი მდივანი და მერმე თავმჯდომარე საარქეოლოგიო საზოგადოებაში 1918 წ. 1 თებ.

სპეციალობა — 1. სომხურ-ქართული ფილოლოგია.

2. კავკასიის მეტყველება.
3. სამართლის ისტორია.

შემეცნიერო ხარისხი: სომხური ფილოლოგიის მაგისტრანტი, დოქტორანტი ტფილისის უნივერსიტეტისა, სამართალთა კანდიდატი ოდესის უნივერსიტეტისა.

40) ნათაძე გრიგოლ (დოცენტი)

სტაჟი: საერთო — 16 წელიწადი და ერთი თვე. უმაღლეს სასწავლებელში სამი წელიწადი და ერთი თვე.

სპეციალობა — ისტორიკოსი დასავლეთ ევროპისა.

სამეცნიერო ხარისხი: დასავლეთ ევროპის დოქტორანტი.

41) ჟღენტი ვლადიმერი (დოცენტი)

სტაჟი: 9 წელი, პათოლოგიურ ანატომიურ ინსტიტუტის გამგე, დოცენტი.

სპეციალობა — პათოლოგიური ანატომია.

სამეცნიერო ხარისხი: მედიცინის დოქტორი.

42) ღულაძე ივანე (დოცენტი).

სტაჟი: 1891 წ. დაამთავრა მედიკური ფაკულტეტი ხარკოვის უნივერსიტეტში. 1896-96 წლამდე მსახურობდა უმცროს ექიმად ჯარში. 1897—1910 წ. უმცროს ორდინატორად ვარშავის უაბდოვის სამხედრო პოსპიტალში. 1911-12 წ. უფროს ორდინატორად იმავე პოსპიტალში. 1914-15 წ. ექიმად მე-2 არმიის ბატაბისა ომის დროს. 1915-16 წ. მთავარ ექიმად მინსკის სამხედრო პოსპიტლისა, 1916-18 წლამდე მინდობილობით ექიმად სანიტარულ განყოფილების ინსპექტორთან რუმინეთის ფრონტზე. 1919 წ. ექიმ-კონსულტანტად წითელი ჯვრის ვენერიულ საავადმყოფოში ოდესაში. 1920 წ. ტფილისის სამხედრო პოსპიტალის მთავარ ექიმად. 1921 წ. ტფილისის ცენტრალურ სამკურნალოს ორდინატორად. 1922 წ. გამგედ კანის და ვენერიულ განყოფილებისა იმავე სამკურნალოში.

სპეციალობა — ვენეროლოგია და სიფილოლოგია.

43) ღოღობერიძე ბორისი (დოცენტი)

სტაჟი: 1918 წ. დაამთავრა წარჩინებით ნოვოროსიის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. გათავებისთანავე მიიღო შტატის ორდინატორის თანამდებობა გინეკოლოგიურ და სამეანო კლინიკაში. ასრულებდა ქალაქის სამეანო სახლის ორდინატორის თანამდებობას. 1913 წ. არჩეულ იყო იმავე კლინიკის ასისტენტად, 1914—18 წ. სამხედრო საავადმყოფოში, 1911 წ. მედიცინის დოქტორის ხარისხის გამოცდები ჩააბარა. 1918 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ოდესის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან. იმავე წელს არჩეულ იყო იმავე უნივერსიტეტის დოცენტად სამეანო საგინეკოლოგიო კათედრასთან. 1919-20 წლამდე ორჯერ ამორჩეულ იქნა ეკატერინოსლავის უნივერსიტეტის პროფესორად სამეანო კათედრასთან, მაგრამ სხვადასხვა საოჯახო მიზეზების გამო ეს ადგილი არ დაიჭირა, 1921 წ. დაარსა ოდესის სამეანო და საგინეკოლოგიო საზოგადოება და იყო მისი მდივანი. სპეციალობა — მეანობა და გინეკოლოგია.

44) წინამძღვრიშვილი მიხეილი (დოცენტი)

სტაჟი: 1910 წ. დაასრულა ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1910-13 წლამდე იყო ორდინატორად ამავე უნივერსიტეტისა საჰოსპიტალო თერაპევტიულ კლინიკაში, ერთი წლის განმავლობაში — ორდინატორად ხარკოვის ქალთა სამკურნალო ინსტიტუტის თერაპევტიულ კლინიკაში.

1912 წ. იყო მსმენელად ხარკოვის სამკურნალო საზოგად. პაქტერიულ კურსებზე. 1913 წ. ხარკოვის უნივერსიტეტში დაიჭირა სადოქტორანტო გამოცდები 1915-18 წ. იყო ორდინატორად ტფილისის 38 ლაზარეთის თერაპევტიულ განყოფილებაში, ხოლო 1919 წ. — გამგედ ტფილისის ქალაქის საავადმყოფო თერაპევტიულ განყოფილებაში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დაარსებისთანავე შეივიდა ასისტენტად დიაგნოსტიკის კათედრასთან.

სპეციალობა: დიაგნოსტიკა.

45) ჯავახიშვილი გიორგი (დოცენტი)

სტაჟი: 1903 წ. დაამთავრა უნივერსიტეტი, შემდეგ მუშაობდა: 1903—1905 წ. ბერლინის ზოოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სადაც დაამუშავა შრომა მაიმუნებზე და ადამიანზე.

1907-11 წლამდე — პეტერბურგის ანთროპოლოგიურ და ბიოლოგიურ მუზეუმში ძუძუმწოვართა და ადამიანის რასათა თაეის ქალის განვითარებაზე. 1908 წ. ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები ოდესის უნივერსიტეტში. 1911-17 წ. დაამუშავა მასალა, შეაგსო საქართველოს მუზეუმის მასალით და დაამზადა დასაბეჭდად. 1921 წ. თიბათვეში არჩეულ იქნა ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის დოცენტად სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1921 წ. ჩაიბარა დროებით გამგებლობა იმავე უნივერსიტეტის ზოოლოგიის კათედრისა, სადაც კითხულობს როგორც ზოგადს, ისე, სპეციალურ კურსს ზოოლოგიისას.

46) ხარაძე არჩილ (დოცენტი)

სტაჟი: 1917 წ. მოსკოვის უნივერსიტეტთან დატოვებული საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1918 წ. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი, 1919 წ. უნივერსიტეტის დოცენტი. 1921 წ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დოცენტი.

სპეციალობა: მათემატიკოსი.

სამეცნიერო ხარისხი: მოსკოვის უნივერსიტეტის კანდიდატი, ტფილისის უნივერსიტეტის დოქტორანტი (1922).

47) ყიფიანი ნოე (დოცენტი)

სტაჟი: 11 წელი.

სპეციალობა — გეოლოგი.

სამეცნიერო ხარისხი: დოქტორანტი პარიზის უნივერსიტეტის 1922 წ.

ამ საბუთს აქვს ცალკე დანართი, რომელშიც შემდეგი მეცნიერებია ჩამოთვლილი:

1). მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი პეტრე (დამს. პროფესორი)[1].

სტაჟი: 50 წელი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ. პირველად 1873 წ. დაიწყო სამოსწავლო მოღვაწეობა და ამ ხნიდან მოყოლებული დღემდის კითხულობს ლექციებს.

სპეციალობა — ქიმიკოსი — პროფესორი.

სამეცნიერო ხარისხი: ქიმიის დოქტორი:

2) კ ა ხ ი ა ნ ი ნიკოლოზ (პროფესორი)

სტაჟი: 1910 წ. დაამთავრა უნივერსიტეტი. მე-3 კურსიდან ასრულებდა პროზექტორის თანაშემწის თანამდებობას, ოდესის უნივერსიტეტის ნორმალურ ანატომიის კათედრასთან. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დატოვებული იყო იმავე კათედრასთან იმავე თანამდებობაზე. ამავე დროს დანიშნული იყო ოდესის უმაღლეს ქალთა სამკურნალო კურსებზე პროზექტორად ნორმალურ ანატომიის კათედრასთან. 1912 წ. გადარიცხული უფროსი ასისტენტის თანამდებობაზე. 1913-14 წ. ასრულებდა ასისტენტის მოვალეობას ოდესის უნივერსიტეტის ტოპოგრაფიულ ანატომიის და ოპერატიულ ქირურგიის კათედრასთან, ამავე დროს იყო შტატგარეშე ასისტენტად ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკაში, რომლის გამგედ იყო პროფ. ნაპეშკი. 1912-14 წ. კითხულობდა ლექციებს ანატომიაში ტანთ ვარჯიშების კურსებზე და ქირურგიაში კბილის ექიმების სკოლაში. 1914-17 წ. იყო ომში, სადაც განაგებდა ეგვენიის და კაუფმანის წითელი ჯვრის პოსპიტლებს. 1915 წ. იყო ქირურგიულ კონსულტანტად მე-9 ქალაქთა კავშირის პოსპიტლის და სამას ოცდა ცამეტ საველე მოძრავ პოსპიტალისა, სანიტარულ განყოფილების უფროსად. 1916 წ. კითხულობდა ფრონტზე ახალგაზრდა ექიმთათვის განმეორებით კურსს ოპერატიულ ქირურგიაში. 1917 წ. არჩეულ იყო ეკატერინესლავის უნივერსიტეტში ჯერ ნორმალურ, შემდეგ კი ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერატიული ქირურგიის კათედრაზე პროფესორად. 1919 წ. მოწვეულ იყო პროფესორად ტფილისის უნივერსიტეტში ტოპოგრაფიულ ანატომიის და ოპერატიულ ქირურგიის კათედრაზე. ამჟამად განაგებს ზოგადი ქირურგიის კათედრას და იმავე დროს მინდობილი აქვს ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერატიული ქირურგიის კათედრა.

3) გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი დიმიტრი (დოცენტი)

სტაჟი: 1910-14 წწ. ნიადაგთ მეცნიერად შორეულ აღმოსავლეთის და თურქესტანის ნიადაგთ-ბოტანიკურ ექსპედიციებში.

სპეციალობა — ნიადაგთ მეცნიერი.

4) შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე მიხეილ (დოცენტი)

სტაჟი: 1912 წ. დაიწყო სამსახური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ასისტენტის თანამდებობით.

---

[1] პ. მელიქიშვილი მოხსენებულია ძირითად სიაშიც, მხოლოდ აქ არ არის საკმაოდ დახასიათება.

სპეციალობა — ქიმიკოსი.
სამეცნიერო ხარისხი: დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ივ. ჯავახიშვილის მიერ დაარსებული უნივერსიტეტი თანდათან იზრდებოდა, მძლავრდებოდა, იფურჩქნებოდა და საყოველთაო აღიარებას პოულობდა. თვით პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი ხმამაღლა აცხადებდა: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება".

1923 წელს გაზეთი „ლომისი" წერდა:

„მხოლოდ ერთი ადამიანი ჩასწვდა გულის სიღრმეში საქართველოს სინამდვილეს და განაცხოველა მშვენიერი ტრადიციები ქართული ისტორიული მეცნიერებისა. ეს ადამიანია ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.

ივანე ჯავახიშვილი მშრალი მეცნიერი თეორეტიკოსი კი არ არის, იგი ამასთანავე ერთად არის პრაქტიკული მოღვაწე-ენთუზიასტი, რომელიც თავის კეთილშობილ სულში ატარებს საქართველოსა და მეცნიერებისადმი ჩაუქრობელ ცეცხლს სიყვარულისას, მხოლოდ ამ სიყვარულმა შეაძლებინა ივანე ჯავახიშვილს ყოველგვარი დაბრკოლებანი გადაელახა და საფუძველი ჩაეყარა ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს ა თ ვ ი ს. ქართული უნივერსიტეტი უდიდესი კულტურის შენაძენია, და საქართველოს ისტორიაშიც პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის სახელი ოქროს ასოებით იქნება აღბეჭდილი"[1].

1938 წლის 25 მაისს უნივერსიტეტის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი სესია საგანგებოდ მიესალმა უნივერსიტეტის დამაარსებელს— ივანე ჯავახიშვილს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ივ. ჯავახიშვილი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. ეს უნივერსიტეტის დამაარსებლის ღვაწლის დიდი აღიარება იყო.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ივ. ჯავახიშვილი დარჩა ერთგული გულშემატკივარი საკუთარი პირმშოსი — თბილისის უნივერსიტეტისა.

ქართველმა ხალხმა თავისი დიდი პატივისცემა ივ. ჯავახიშვილისადმი, ცოდნის უკვდავი ტაძრის დაარსებისათვის, იმით გამოხატა,

[1] გაზ. ლომისი, 1923 წ., 21 იანვარი, № 21.

რომ სასიქადულო მამულიშვილის ნეშტი უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალა... დიდი შემოქმედი მისივე ხელით შექმნილმა ტაძარმა ჩაიკრა გულში, თავისი კალთა გადააფარა და არც დღეს აკლებს სიყვარულის ულევ სითბოს.

*
* *

ახლა მოკლედ, ფრაგმენტულად გავეცნოთ ივ. ჯავახიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისეთ მხარეებს, როგორიცაა დიდი მეცნიერის დამოკიდებულება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან, აგრეთვე, მისი ზრუნვა ქართული ენციკლოპედიის შექმნისა და კონსერვატორიის სწორად ორგანიზებისათვის. ცალკე გამოვყოფთ ივ. ჯავახიშვილის სამუზეუმო საქმიანობას.

ივ. ჯავახიშვილი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ივ. ჯავახიშვილს მჭიდრო საქმიანი კონტაქტი ჰქონდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან. მეცნიერი საქართველოს ისტორიის კვლევისას ფართოდ სარგებლობდა საზოგადოების ფონდებში დაცული საბუთებით. ივ. ჯავახიშვილი სიამოვნებით გამოეხმაურა საზოგადოების საგამომცემლო რედაქციის წინადადებას სახელმძღვანელოების შედგენისა და შემდგომ მათი გაძოცემის შესახებ. იგი ატყობინებს რედაქციას, რომ ამ საკითხზე თავის მოწაფეებსაც მოელაპარაკა და სასურველად ჩათვალეს დაიწეროს ორი სახელმძღვანელო ენათმეცნიერებაში. აქედან, ერთი ზოგადი ენათმეცნიერების, მეორე ქართული ენათმეცნიერებისა. ამ წიგნების დაწერა თავს უდვიათ იოსებ ყიფშიძესა და აკაკი შანიძეს. თავის მხრივ ივ. ჯავახიშვილმა შესთავაზა საზოგადოებას, რომ საჭირო იყო ძველი აღმოსავლეთის ზოგადი ისტორიის შექმნა. ამ წიგნის ავტორად მან რეკომენდაცია მ. წერეთელს გაუწია. ივ. ჯავახიშვილი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გზამკვლევის ტიპის საცნობარო ლიტერატურის გამოცემასაც სთავაზობდა.

თავის მხრივ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადობა დიდად აფასებდა ივ. ჯავახიშვილს, მის ღრმად მეცნიერულ შრომებს და ყოველგვარად უწყობდა ხელს მეცნიერს. 1915

წლის 15 აპრილს საზოგადოების თავმჯდომარემ გიორგი ყაზბეგმა, გამგეობის წევრების სახელით, წერილით მიმართა პეტრბურგში მყოფ ივ. ჯავახიშვილს და, წესისამებრ, თანხმობა სთხოვა, რათა მისი ვამოკვლევა „ქართველი ერის ისტორია“ (ორივე ტომი) ჩარიცხულიყო საპრემიოდ წარმოდგენილ თხზულებათა სიაში. ივ. ჯავახიშვილის, როგორც მაღალი რანგის მეცნიერის, დიდი მოქალაქისა და თავმდაბალი პიროვნების ხასიათს გასაოცარი სისრულით ხსნის მისი საპასუხო წერილი:

„პეტრეს ქალაქით.

ყოვლად პატივცემულო ჩემო ბატონო გიორგი! დიდად გმადლობთ თქვენცა და წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის წევრებსაც იმ წერილისათვის, რომლითაც თქვენ კეთილ ინებეთ და წინადადებას მაძლევთ ჩემი „ქ-ლი ერის ისტორია“ (ორივე წიგნი) საპრემიოდ წარმოდგენილ თხზულებათა სიაში მოვათავსო. მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ ამ თქვენ სურვილის აღსრულება არ შემიძლიან შემდეგ პრინციპიალურ მოსაზრების გამო: პრემიები ყველგან და ჩვენშიაც, რასაკვირველია, იმიტომ არის დაწესებული, რომ ახალგაზრდა მკვლევარნი ან წაახალისონ ან ქონებრივი დახმარება გაუწიონ შრომის დასაბეჭდად და სამეცნიერო მუშაობის განსაგრძობად. მე ჩემდა საბედნიეროდ ისედაც შეძლებისდაგვარად ვმუშაობ და ჩემთვის არც რაიმე წახალისებაა საჭირო და არც ქონებრივი დახმარება: უნივერსიტეტის დოცენტობა მე, თუმცა დიდს არა, მაგრამ მაინც საბსარს მაძლევს. ამისთანა პირობებში ზნეობრივად შეუძლებლად მიმაჩნია სხვებს, რომელთაც წახალისებაცა და დახმარებაც სჭირიათ, შევეცილო. მე კარგად ვიცი, რომ საზღვარგარეთაც და რუსეთშიაც აკადემიებში და სხვა შესატყვის დაწესებულებებში ბევრს ჩემზე უფრო მეტად დამსახურებულსა და ქონებრივად უზრუნველყოფილ მეცნიერებს წარუდგენიათ ხოლმე საპრემიოდ თავიანთი თხზულებები, მაგრამ მე ყოველთვის ასე ვფიქრობდი და ეხლაც მგონია, რომ აქ საქებური არაფერია და მათ მაგალითს მე ვერ წავებაძავ. აი ის მოსაზრებანი, რომელიც მაიძულებს ჩემი უკანასკნელი თხზულება საპრემიოდ არ წარმოვადგინო.


ვსარგებლობ შემთხვევით და ვაცნობებ გამგეობას, რომ მაისის გასულს, ან ივნისში მე პირობისამებრ გადავცემ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს (მე-XIII ს. დამდეგამდე) და ვთხოვ საგამომ-



ივ. ჯავახიშვილი თბილისის უნი-
ვერსიტეტის დაარსების დროს,
1918 წ.



უნივერსიტეტის რექტორი ივ. ჯავახიშვილი და პროფესორ-მასწავლებლები: ა. შანიძე, გრ. წერეთელი, კ. კეკელიძე და გ. ახვლედიანი ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებთან ერთად, 1923 წ.



თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი.



ივ. ჯავახიშვილი ისტორიის ფაკულტეტის პირველი გამოშვების სტუდენტებთან ერთად.

ცემლო სექციას, რომ ამ წიგნის დაბეჭდვისათვის საჭირო თანხა გადასდოს.

თქვენი გულწრფელი პატივისმცემელი

ივანე ჯავახიშვილი"[1].

ივ. ჯავახიშვილის „ქართული ერის ისტორიის" ტომები წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მესვეურებს აღარ შეუტანიათ სიაში და არც პრემიით დაუჯილდოებიათ. ამით არაფერი მოკლებია მის ღირსება-მნიშვნელობას. ეს ნაშრომები დღესაც სამაგიდო წიგნებია საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკვლევარებისათვის, ჩვენი ხალხისათვის კი წარსულის ისტორიის შესწავლის შესანიშნავი წყაროა.

ივანე ჯავახიშვილი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელიც 1907 წელს შეიქმნა ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით. ამ საზოგადოებამ მიზნად დაისახა შეეგროვებინა, შეენახა და შეესწავლა ისტორიული, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მასალები, როგორც ძველი საქართველოსი, ასევე მთელი კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნებისა. ივ. ჯავახიშვილი იმთავითვე აქტიურად ჩაება საზოგადოების საქმიანობაში. პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებული მეცნიერი ქართული უნივერსიტეტის რექტორის მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო მოვალეობის შესრულებასთან ერთად საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარედაც მუშაობდა. საზოგადოებამ ბევრი საინტერესო და სასარგებლო საქმე გააკეთა. მან შემოიკრიბა იმ დროის ყველა გამოჩენილი მოღვაწე და სალექციო საქმიანობით თუ ექსპედიციების მოწყობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში. ვფიქრობთ საინტერესო იქნება ჩვენს მკითხველს გავაცნოთ საზოგადოების მმართველი ორგანოების შემადგენლობა (1925 წლის მონაცემები):

---

[1] ცსა (თბ.), ფონ. 481, საქ. 1378, ფურ. 90—93; საისტორიო მოამბე, 21—22, თბ., 1967, გვ. 328—329.

„1) საზ-ბის და საბჭოს თავმჯდომარე — პროფ. ი. ჯავახიშვილი,
2) თავმჯდომარის ამხანაგი — დ. კარიჭაშვილი,
3) მდივანი — ს. ჯანაშია,
4) მოლარე — ირ. სონღულაშვილი,
5) საბჭოს წევრები: პროფესორი კ. კეკელიძე,
6) „ „ „ გ. ჩუბინაშვილი,
7) „ „ „ აკ. შანიძე,
8) „ „ „ გ. ნათაძე,
9) „ „ „ ს. ყაუხჩიშვილი,
10) „ „ „ ს. გორგაძე,
11) „ „ „ გ. ჯაკობია,
12) „ „ „ შ. ამირანაშვილი,
13) „ „ „ გ. ბოჭორიძე.

მათი კანდიდატი

1) თ. სახოკია

სარევიზიო კომისია:

1) იასონ ლორთქიფანიძე,
2) კოტე მაყაშვილი,
3) მიხეილ ლობჯანიძე

საზ-ბის საარქეოლოგიო სექციის თავმჯდომარე — პროფესორი გ. ჩუბინაშვილი“[1].

ანგარიშიდან ჩანს, რომ 1925 წელს საბჭოს ჰქონდა 8 სხდომა; საზოგადოებას ჰქონდა 1 წლიური, 18 ჩვეულებრივი და 10 არაჩვეულებრივი (რიგგარეშე), სულ 29 საზოგადო კრება. სხვადასხვა საკითხებზე მოხსენებები წაიკითხეს: ივ. ჯავახიშვილმა, დ. კარიჭაშვილმა, ს. გორგაძემ, კ. კეკელიძემ, შ. ამირანაშვილმა, ალ. წერეთელმა, მ. პოლიევექტოვმა, მ. ჯანაშვილმა, ნ. ქოიავამ და სხვ. საზოგადოებას ამ წელს მოუწყვია ორი ექსპედიცია ზემო იმერეთში უბისის ტაძრის კედლის მხატვრობის შესწავლისა და ფიქსაციისათვის (ექსპედიციებს ხელმძღვანელობდა შ. ამირანაშვილი, ფოტოგრაფი იყო თ. კიუნე). ექსპედიციებმა წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და საზოგადოების განკარგულებაში მოექცა უმდიდრესი აღწერილობითი და ფოტოგრაფიული მასალა ქართული ხელოვნების ამ პირველხარისხოვანი ძეგლის შესახებ. შ. ამირანაშვილს გადმოუღია აგრეთვე ორი ფრესკის პირი. საზოგადოების გამომცემლობა უსახსრობის გამო, როგორც წინა წლებში, 1925 წელსაც შეჩერებული ყოფილა[2].

---

[1] იხ. კრებ., ჩვენი მეცნიერება, 1926 წ., № 17—18, გვ. 101.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 101—102.

დღემდე შემორჩენილი მიმოწერიდან ნათლად ჩანს, რომ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას მძიმე პირობებში უხდებოდა საქმიანობა. მიუხედავად ამისა, საზოგადოების გამგეობა მაინც დაუცხრომელ მოღვაწეობას ეწეოდა. გავეცნოთ რამდენიმე საბუთს. პირველი დოკუმენტია 1924 წლის 8 მარტს საზოგადოების მიერ განათლების სახალხო კომისარიატისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოსადმი მიწერილი მიმართვა[1]. წერილი საინტერესო ცნობებს შეიცავს, ამიტომ მოგვყავს მთლიანად:

„სახალხო განათლების კომისარიატს. სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარსამართველოს.

მთავარსამართველოს გამგის სიტყვიერი წინადადების თანახმად, პატივი აქვს „საზოგადოების“ საბჭოს მოგახსენოთ შემდეგი:

1917 წლის 11 ნოემბრიდან „საზოგადოებას“ ქ. ტფილისში, წყნეთის ქუჩაზე, შეძენილი ჰქონდა გუბერნიის თავადაზნაურობისაგან ასიათას მანეთად (100.000 მან.) უძრავი ქონება, სახელდობრ მიწის ნაჭერი, დაახლოებით 1 600 კვადრატული საჟენი, ყველა მისი შენობებითა და შრამელებით. გასაბჭოების წინ ეს მამული იჯარით ჰქონდათ აღებული სხვადასხვა მოიჯარადრეებს, რომელთაც წყნეთის ქუჩის პირზე ამ მამულზე ააგეს კიდევ ახალი სადუქნე შენობები; ხოლო შიგნიე თვითონ ეზოში გამართული იყო საავტომობილო გარაჟი და სამჭედური, აგრეთვე შეშის საწყობი და საცხოვრებელი ბინები.

ყველა ეს შენობები და საერთოდ მთელი იჯარით გაცემული მამული აძლევდა „საზოგადოებას“, გასაბჭოების წინ, თვალსაჩინო თანხას, რომლითაც საზოგადოება უძღვებოდა მრავალს თავის მოთხოვნილებას.

დღეს ეს მამული „საზოგადოებას“ ჩამორთმეული აქვს და ქალაქის ხელში იმყოფება: დუქნების უდიდესი ნაწილი წყნეთის ქუჩის პირზე დაკეტილია, თითქმის მთელ მამულზე მოთავსებულია „სამხედრო უმაეთულო ტელეგრაფი“, რომელსაც გამართული აქვს თავისი სამჭედლო, სადურგლო და თავლა ცხენებისათვის და ბინები თავისი მოსამსახურეებისათვის. ამას გარდა ერთი ოთახი უჭირავს მოქანდაკე ნიკოლაძის ატელიეს და ორი ოთახიც ძველ მოიჯარადრეს ზულიაშვილს საცხოვრებელ ბინად.

[1] ამ და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ზოგიერთი სხვა დოკუმენტის შესახებ იხ. რ. მეტრეველი, რამდენიმე საბუთი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობიდან, ჟურნ. სკოლა და ცხოვრება, 1974, № 10, გვ. 84—89.

უცრო დწერილებით ცნობებში იმის შესახებ, თუ რა შემოსავალს აძლევს ქალაქს ამჟამად ეს მამული, „საზოგადოების“ საბჭოს არ მოეპოვება.

მაშული წყნეთის ქუსის მხრივ აღნიშნულია № 16-ით.

საზოგადოების თავმჯდომარე ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.
მდივანი ს. გ ო რ გ ა ძ ე
მოლარე ი რ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი“[1].

აი, ერთი ამონაწერიც საზოგადოების სხდომის ოქმიდან.

„ამონაწერი

საზოგადოების სხდომის № 224(3) ჟურნალიდან (6 თებერვალი 1924 წ.). სხდომა დაიწყო დილის 11½ საათზე. თავმჯდომარეობდა ივ. ჯავახიშვილი. დესწრნენ: დ. კარიჭაშვილი, კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე, ირ. სონღულაშვილი, ს. ჯანაშია, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ამირანაშვილი, ს. გორგაძე, გ. ჩუბინაშვილი.

მუხ. 12. მოისმინეს: გიორგი ამერიჯიბის წერილობითი განცხადება, 1924, II, 5 თარიღით, მის მიერ მუზეუმში შესაძენად წარმოდგენილის ორი ნივთის შესახებ: ვასპანა ბატონიშვილისეული ზარნიშნიანი თოფისა, რომელსაც აფასებს ექვს ჩერეონეცად, 2) ორპირიანი ნაჯახისა („სეკირისა“), რომელსაც აფასებს ოთხ ჩერეონეცად.

დადგინეს: ორივე ნივთი ერთად შეფასებულ იქნას ექვს ჩერეონეცად.

საზოგადოების მდივანი: ს. გ ო რ გ ა ძ ე

1924 წ. 18. II“[2].

ივ. ჯავახიშვილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას სათავეში ედგა 1927 წლამდე, ვიდრე მეცნიერი გარკვეული საპატიო მიზეზების გამო თავისივე თხოვნით არ გადადგა ამ თანამდებობიდან. ამასთან დაკავშირებით იგი დავით კარიჭაშვილს (იმდროისათვის საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობა ეკავა) სწერდა:

„ტფილისს
1927. II. VI.

ღრმად პატივცემულო ბატონო დავით!

ამასთანავე გაახლებთ ჩემ განცხადებას საქართველოს საისტ-საეთნ. საზოგადოების თავმჯდომარეობისაგან იქ აღნიშნული საპატიო მიზეზის გამო გადადგომის შესახებ, გთხოვთ იგი საბჭოსა და საზოგადოების მორიგ სხდომას მოახსენოთ და წესდების ძალით თავმჯდომარეობას შეუდგეთ. გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენც პირადად და საბჭოს ყველა წევრსაც სათითაოდ და საერთო თანხმობრივი

[1] საბუთი დაცულია განათლების სახალხო კომისარიატის საარქივო მასალებში, რომელიც ქსე-ში ინახება.

[2] იხ. განათლების სახალხო კომისარიატის მასალები დაცული ქსე-ს არქივში.

მუშაობისათვის. ვადადგომის შემდგომაც მომავალშიც მზადა ვარ, რითაც კი შემიძლიან, საზოგადოებას დახმარება გავუწიო და ვემსახურო.

მარად თქვენი გულწრფელი პატივისმცემელი
ივ. ჯავახიშვილი[1].

ივ. ჯავახიშვილი მართლაც ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობაში და თავისი დაუღალავი შრომით ფასდაუდებელი ამაგი დასდო, დიდი ავტორიტეტი შეუქმნა ამ საზოგადოებას.

კონსერვატორიის საკითხი. ივ. ჯავახიშვილი როგორც ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწე, ყოველთვის და ყველა მნიშვნელოვან საქმეში თავის კვალს ამჩნევდა, თანაც მის მონაწილეობას ამა თუ იმ საკითხის გადაჭრაში მხოლოდ აზრის გამოთქმის, ან დებულების წამოყენების სახე კი არ ჰქონდა, არამედ მეცნიერისათვის ჩვეული სიღრმით შესწავლის შემდეგომ, პრაქტიკულად გადაჭრას ისახავდა მიზნად. აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის დიდი დაინტერესება საქართველოს კონსერვატორიის მოღვაწეობისა და მისი საქმიანობის რაციონალურად მოწყობის შესახებ. საერთოდ, მეცნიერის დიდი ღვაწლი ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლაში საყოველთაოდ ცნობილია და ამ საკითხზე ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი. რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილის ამაგს საქართველოს მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში, ეს განსაკუთრებული საკითხია. 1922 წლის 27 მაისს ივ. ჯავახიშვილმა საგანგებო მოხსენებით მიმართა საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს საქართველოს კონსერვატორიის შესახებ. „ამჟამად უკვე უდავოა ყველასათვის, — აღნიშნავდა მეცნიერი, — რომ ჩვენი ეროვნული მუსიკა თანდათანობით წარმატების გზას ადგია და დიდი ღირებულების შექმნის და კარგი მომავლის იმედს გვაძლევს, თუ ჩვენ შესაფერისი მზრუნველობა გავუწიეთ ამ განახლების ხანაში მყოფ ნორჩსა და სათუთს საქმეს, რომელსაც სათავეში ორი თანამედროვე ნიჭიერი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი უდგას"[2].

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ყველაზე უფრო სახიფათო ახალი

---

[1] გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმის არქივი. ფონდი 4494—6.

[2] ივ. ჯავახიშვილი, მოხსენება სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს, ცსა (თბ.), ფონ. რ—300, აღწ. 1, საქ. 531, ფურ. 14—16; საისტორიო მოამბე, 21—22, თბ., 1967, გვ. 423.

მუსიკალური კულტურის წარმატებისათვის ხალხის მიერ ევროპული მუსიკალური კულტურისა და ტექნიკური ხელოვნების უცოდინარობა იყო. მუსიკალურ ნაწარმოებს შესაფერისად მომზადებული და გაწვრთნილი შემსრულებელი სჭირდებოდა (განსაკუთრებით საოპერო ნაწარმოებებს). ივ. ჯავახიშვილი სწუხს იმის გამო, რომ საშემსრულებლო ხელოვნებას დაუფლებული მუსიკოსები საქართველოში ძალზე მცირე რაოდენობით იყო, იქამდეც კი, რომ მხოლოდ მათ ანაბარად რომ ყოფილიყო საქართველო, მაშინ ქართველ კომპოზიტორთა (მხედველობაშია ზ. ფალიაშვილი და დ. არაყიშვილი) ნაწარმოებების მოსმენაც კი შეუძლებელი იქნებოდა. ამ პერიოდში ქართველი საზოგადოების მომეტებული ნაწილი ევროპული მუსიკის რთული ნაწარმოების გასაგებად საკმაოდ გაწვრთნილ-განვითარებული არ იყო და ბუნებრივია ამ მუსიკის მსმენელებიც მცირერიცხოვანი იყვნენ. ეს გარემოება, როგორც სამუსიკო საქმის წარმატებისთვის, ისე კომპოზიტორთა ნიჭის გაფურჩქვნისთვის მეტად შემაფერხებელ პირობებს ქმნიდა. ამდენად, ქართული მუსიკალური კულტურისა და შემოქმედების მკვიდრი საძირკველის ჩასაყრელად და მისი განვითარება-წარმატებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად კონსერვატორიას, როგორც უმაღლეს სამუსიკო სასწავლებელს, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს კონსერვატორიის ბედ-იღბალზე ზრუნვა ივ. ჯავახიშვილს თავისი მოღვაწეობის მეტად მნიშვნელოვან მომენტად მიაჩნდა. მეცნიერი თვლიდა, რომ კონსერვატორიის დანიშნულება და მიზნები ნათლად უნდა იქნას გათვალისწინებული და ამის მიხედვით შედგეს ამ დაწესებულების სამოქმედო გეგმა.

ივ. ჯავახიშვილი მკვეთრად გამოჰყოფდა იმ ორ მიზანს, რომელიც საქართველოს კონსერვატორიას უნდა ჰქონოდა დასახული. ერთი მხრივ, კონსერვატორია „მუსიკალურის შემოქმედებისა და კვლევა-ძიების იმ კერად უნდა გახდეს, რომელიც სხვებს ახალ გზებს დაანახვებს, საუკეთესო მაგალითს მისცემს და მუსიკის ხელოვნების წარმატებას სათავეში ჩაუდგება“[1]. მეორე მხრივ, კონსერვატორია საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელი უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიმართავდა წინადადებით, რომ კონსერვატორიის წესდების

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. მოხსენება, იქვე.

პირველი პარაგრაფის პირველი მუხლი ასე ჩამოყალიბებულიყო: „§ 1. ტფილისის კონსერვატორია საქართველოს უმაღლესი სამუსიკო დაწესებულება და სასწავლებელია და მის მიზანს შეადგენს უმაღლესი მუსიკალური განათლება მისცეს იმ პირთ, რომელთაც მუსიკის ხელოვნება თავის განსაკუთრებულ სპეციალობად და სამოქმედო ასპარეზად აქვს არჩეული, და თანაც მუსიკურ კვლევა-ძიებასა და შემოქმედებას სათავეში უდგეს და თანაც ამ ხელოვნების კულტურის ამაღლებასა და წარმატებას საქართველოში ხელი შეუწყოს".

ივ. ჯავახიშვილს საქართველოს კონსერვატორიის დანიშნულება შემოქმედებისა და კვლევა-ძიების სფეროში შემდეგნაირად ესახებოდა: ერთის მხრივ, ყურადღება უნდა მიექცეს ძველი ქართული მუსიკის მეცნიერულ შესწავლას, ახლის აყვავებისათვის ზრუნვას, მეორე მხრივ, მახლობელი აღმოსავლეთის, სომხების, მთიელთა, სპარსელების, თურქების და სხვათა მუსიკის შესწავლას. კონსერვატორიის პროგრამაც შესაბამისად უნდა ყოფილიყო შედგენილი. ამ მიზნების განსახორციელებლად და, საერთოდ, კონსერვატორიის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად მეცნიერს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა, რომ კონსერვატორიის პროფესორები და დოცენტები თავისი მოწოდებისა და წოდების შესაფერისი ყოფილიყვნენ. ამიტომ მათ ასარჩევად ისეთი მტკიცე და გარკვეული დებულების შექმნა იყო საჭირო, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული კადრების სათანადო მომზადებას. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ კონსერვატორიის სასწავლო გეგმა სამ ნაწილად უნდა დაყოფილიყო: 1. მუსიკის თეორიული საგნები, მუსიკალური შემოქმედების თეორია და ისტორია, 2. საკრავების მუსიკა, 3. სიმღერა-ვალობა. მეცნიერი აყენებდა წინადადებას, რომ ეს დებულებაც ცალკე მუხლად (§ 2) ჩამოყალიბებულიყო კონსერვატორიის წესდებაში. შემდეგ კონსერვატორიის პედაგოგთა პირადი შემადგენლობის შერჩევის პრინციპების შემცველი მუხლები უნდა ყოფილიყო. ასე მაგალითად: „§ 3. კონსერვატორიის პროფესორად პირველი დარგისათვის შეიძლება მხოლოდ ისეთი ხელოვანი იყოს, რომელსაც საქართველოს ან ევროპის ერთ-ერთი კონსერვატორია აქვს გათავებული, რომელიც თავის ხარისხით საქართველოს კონსერვატორიას უდრის, თანაც მუსიკის დოქტორის ხარისხი აქვს მოპოვებული დისერტაციით ან სამეცნიერო გამოკვლევის სახით, ან საკუთარი რთული სამუსიკო შემოქმედების წარდგენით, რომლითგანაც ავტორის ნიჭი და მუსიკის ტექნიკის ზედმიწევნით ცოდნა ნათლადა

ჩანს (ოპერის მოქმედება ან სიმფონია, ან კვარტეტი). § 4. დისერტაცია კონსერვატორიის პროფესორთა საბჭოსგან განხილული, მოწონებული და მუსიკის დოქტორის ხარისხის მისანიჭებლად ღირსად უნდა იყოს ცნობილი ფარული კენჭისყრით სათანადო საბუთების განხილვის შემდგომ, ამასთანავე პროფესორად შეიძლება არჩეულ იყოს მხოლოდ ის დოცენტი, რომელსაც უკვე სამი წლის სტაჟი აქვს განვლილი. § 5. მეორე და მესამე დარგის დოცენტებს უნდა კონსერვატორია ჰქონდეთ გათავებული ან მუსიკის დოქტორის ხარისხი ჰქონდეთ ან ცნობილი იყვნენ და სახელი ჰქონდეთ მოხვეჭილი თავიანთი არტისტული ხელოვნებით და მუსიკის მასწავლებლობის ან პროფესორის ასისტენტობის 3 წლის სტაჟი მაინც მოეპოვებოდეთ. ხოლო პროფესორად შეიძლება მხოლოდ ის დოცენტი იყოს არჩეული, რომელსაც 5 წლის დოცენტობის სტაჟი აქვს, თუ უხარისხოა, და 3 წლის სტაჟი თუ ხარისხიანია. არჩევანი სათანადო საბუთების განხილვის შემდგომ ფარული კენჭისყრით უნდა მოხდეს"[1].

ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლებოდა გალობის დოცენტად და პროფესორადაც განთქმული და სახელმოხვეჭილი მომღერალი ყოფილიყო მოწვეული, თუნდაც ამ უკანასკნელს კონსერვატორია არ ჰქონოდა დამთავრებული, ოღონდ მისი პედაგოგიური გამოცდილება „ეჭვს გარეშე" უნდა ყოფილიყო.

მეცნიერი მიზანშეწონილად მიიჩნევდა, რომ პირველ ხანებში, სანამ ეროვნული კადრები შეიქმნებოდა პროფესორ-მასწავლებლებისა, საჭირო იყო უცხოელი სპეციალისტების მოწვევა. იგი იმასაც ითვალისწინებდა, რომ რაკი კონსერვატორიის წესდება ავტონომიის პრინციპზე იყო აგებული, პირველ ხანს ხმის უმრავლესობა უცხოელებს ექნებოდათ და შესაძლო იყო მთელი რიგი ღონისძიებები განუხორციელებელი დარჩენილიყო (რადგან უცხოელები არ იქნებოდნენ ამით დაინტერესებული). ამიტომ ივ. ჯავახიშვილის აზრით, ავტონომიის განხორციელებისათვის შესაფერისი პირობების შექმნამდე, კონსერვატორიის პროფესორისა და დოცენტის საბოლოო არჩევანი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ხელში უნდა ყოფილიყო.

ივ. ჯავახიშვილი კონკრეტულად სვამდა საკითხს: „ასეთ პატარა სახელმწიფოს, როგორც საქართველოა, ორი კონსერვატორიის

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. მოხსენება, გვ. 424—425.

შენახვა არ შეუძლიან... ამიტომ ორი კონსერვატორიის მაგიერ ერთი კონსერვატორია უნდა იყოს და ერთი საშუალო სამუსიკო სასწავლებელი. ამასთანავე კონსერვატორიას თანდათანობით საშუალო სასწავლებლის კლასი ჩამოშორდეს და მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლად შეიქმნას“[1].

ჭეშმარიტად არსებითი ხასიათის იყო ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებები კონსერვატორიის მოწყობის შესახებ. მეცნიერმა თავისი დიდი გულისტკივილი და მზრუნველობა ქართული მუსიკალური განათლების შემდგომი ბედისადმი პრაქტიკულ წინადადებებში გამოხატა, წინადადებებში, რომლებიც ღრმა ცოდნასა და მეცნიერულ საბუთიანობაზე იყო დაფუძნებული, და რომლებმაც არსებითი როლი შეასრულეს კონსერვატორიის შემდგომ საქმიანობაში.

დღეს, როცა სიამაყით ვლაპარაკობთ ქართული მუსიკალური და საშემსრულებლო ხელოვნების მაღალ დონესა და განვითარებაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საქმის საწყისებთან, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველო თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა სოციალისტური კულტურის წინსვლა-წარმატებისათვის, მტკიცე ბურჯად იდგა ივანე ჯავახიშვილი.

ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი და ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ც ი კ ლ ო პ ე დ ი ა. ამ სამოცდაათიოდე წლის წინ ქართველმა პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებმა მოიწადინეს ენციკლოპედიის გამოცემა. ამ საქმეს სათავეში ედგნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე სწავლულები: პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი და მოსკოვის ლაზარევის სახელობის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი[2].

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. მოხსენება, იქვე;

[2] იხ. კ. კ ი ნ წ უ რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორიის საკურადღებო ფურცელი. ლიტერატურული საქართველო, 1974, № 13. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, სიტყვის კონა ანუ ცოდნის სალარო, მნათობი, 1974 წ., № 9, გვ. 159—166.

„საქართველოს ენციკლოპედიის“ გამოსაცემად შეიქმნა ამხანაგობა „ცისკარი“, რომლის გამგეობაში შევიდნენ ი. გოგებაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, პ. გოთუა, პ. თუმანიშვილი, კ. თუმანიშვილი და ი. მაჭავარიანი. მოწვეულ თანამშრომელთა შორის იყვნენ ცნობილი მოღვაწეები: ზ. ავალიშვილი, ე. თაყაიშვილი, მ. თამარაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი, ნ. მარი, ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მ. ჯანაშვილი, პ. მელიქიშვილი და სხვ.

შეიქმნა დაახლოებითი პროგრამაც. ენციკლოპედიის გამოცემა გათვალისწინებული იყო ათ განყოფილებად. პირველ განყოფილებაში, რომელიც საქართველოს ისტორიას ეთმობოდა, უნდა განხილულიყო საქართველოს ისტორიისა და ქართული ისტორიოგრაფიის წყაროები, საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ისტორია. მეორე განყოფილება მთლიანად საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის საკითხებს ეძღვნებოდა; შემდეგ უნდა განხილულიყო საქართველოს მოსახლეობა, მისი ეკონომიური მდგომარეობა, სხვა ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობათა ისტორია, ისტორიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით აღწერილიყო საქართველოს ქალაქები და დასახლებული პუნქტები, ცენტრალური დაწესებულებების, საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო მმართველობის ორგანოები.

ცალკე განყოფილებაში განიხილებოდა სხვა ენათა ოჯახში ქართული ენის ადგილის განსაზღვრის საკითხი, ქართული ენის განვითარების ისტორია, ქართული ენის გრამატიკა. ენციკლოპედიაში ასევე სათანადო ყურადღება ეთმობოდა ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურულ ურთიერთობათა, წიგნის ბეჭდვისა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესის პრობლემებს. შემდეგ აისახებოდა განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების საკითხები.

საქართველოს ენციკლოპედიის მეათე, უკანასკნელ მონაკვეთში განიხილებოდა ქართველთა სამართლებრივი მდგომარეობა, ყოფა, ზნე-ჩვეულებები, ქართველთა ურთიერთობანი მეზობელ ხალხებთან, ქართველი ქალი, ქართველი საზოგადო მოღვაწეები და სხვა აქტუალური და თავისი მნიშვნელობით ყურადსაღები მოვლენა თუ საკითხი საქართველოს სოციალური და კულტურული ცხოვრებიდან.

საქართველოს ენციკლოპედიის ზემოთმოცემულ პროგრამაში ბევრი ისეთი საკითხია გათვალისწინებული, რომელიც გარკვეულ წარ-

შოდგენას გვაძლევს იმდროინდელი ქართული მეცნიერების განვითარების დონეზე.

მაშინდელმა პირობებმა საშუალება არ მისცა ჩვენს სახელოვან სწავლულებს და მათ თანამოაზრეებს ენციკლოპედიის გამოცემის პატრიოტული საქმე განეხორციელებიათ.

ისე, როგორც მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგის განვითარება, ლექსიკოლოგიური მუშაობის ახალი აღორძინებაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება. იქმნება ჭეშმარიტად ხელსაყრელი პირობები მოსახლეობის ფართო მასების სწავლა-განათლებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, გაიზარდა მოთხოვნილება ენციკლოპედიურ-ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაზე[1].

უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო პარტიისა და მთავრობის მიერ სათანადო გადაწყვეტილებათა მიღება ამიერკავკასიის ენციკლოპედიის გამოცემის შესახებ. ამას მოჰყვა საკავშირო კპ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წლის 25 სექტემბრის დადგენილება, რომლის მიხედვითაც გადაწყდა ცალ-ცალკე ყოფილიყო გამოცემული ენციკლოპედიები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოჰყო „ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის" სარედაქციო კოლეგია, რომელმაც ფართო საორგანიზაციო მუშაობა გაშალა. შემორჩენილი საარქივო მასალა ნათლად გვიჩვენებს ივ. ჯავახიშვილის აქტიურ მონაწილეობას საენციკლოპედიო საქმიანობაში. იგი იყო ავტორი სტატიებისა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის სხვაღასხვა საკითხების შესახებ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი ტომისთვის მზად იყო ივ. ჯავახიშვილის სტატიები „ანბანი", „ანდრია მოციქული" და სხვ. ეს სტატიები დღესაცაა შემორჩენილი (სხვადასხვა მიზეზების გამო იმხანად ქართული ენციკლოპედიის გამოცემა ვერ მოხერხდა). ისინი იმდენად მაღალმეცნიერულ დონეზეა დაწერილი, ენციკლოპედიური სტილის დაცვით, რომ დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მეცნიერული ღირებულება. მკითხველისათვის სასიამოვნო იქნება ის გარემოება, რომ ახლად გამოცემულ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში", სხვა ავტორების მასალებთან ერთად იხილავს ივ. ჯავახიშვილის მიერ დაწერილ სტატიებს.

[1] იხ. რ. მეტრეველი, დასახელებული ნაშრომი გვ. 159—166.

ასე რომ, ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული სითბოს დიდი მადლი ქართულ ენციკლოპედიასაც გადასწვდა და ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში დარგულმა მეცნიერულმა თესლმა თავისი დიდი ნაყოფი ახლაც გვაგემა.

სამუზეუმო მოღვაწეობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისში არსებული „კავკასიის მუზეუმი“ საქართველოს მუზეუმად გადაიქცა — ჩვენში სამუზეუმო საქმის აღმავლობა დაიწყო. მუზეუმი თანდათან გაფართოვდა — შეუერთდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმის ქონება. ამით საქართველოს მუზეუმი მთელს ქვეყანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრად იქცა.

ივ. ჯავახიშვილი ყოველთვის ყურადღებით ეკიდებოდა სამუზეუმო საქმიანობას. 1931 წელს იგი საქართველოს მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად დაინიშნა. აქედან მოყოლებული იწყება ივ. ჯავახიშვილის ფართო მოღვაწეობა მუზეუმში. მეცნიერი აყენებს საკითხებს საქართველოს მუზეუმში საისტორიო განყოფილების დაარსების შესახებ. როგორც ჩანს ამ წინადადებას თავდაპირველად მუზეუმის ზოგიერთი თანამშრომელი თანაგრძნობით არ შეხვედრია, ივ. ჯავახიშვილი კი მთელი ძალით განაგრძობდა ამ განყოფილების დაარსების აუცილებლობის მტკიცებას. აი, საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში დაცული ივ. ჯავახიშვილის ერთი მოხსენება მუზეუმში საისტორიო განყოფილების დაარსების აუცილებლობაზე:

„საქართველოს მუზეუმის დირექტორს:

ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ საქ. მუზეუმის საბჭოს სხდომაზე საქ. მუზეუმში არქეოლოგიური განყოფილების ქონების განაწილების საკითხის განხილვის დროს აღვნიშნე, რომ აუცილებლად საჭიროა საისტორიო განყოფილება დაარსდეს. ამ აზრს არქეოლ. განყოფილების გამგე გ. ნიორაძე და მისი თანაშემწე ს. მაკალათია წინ აღუდგნენ. პირველ სხდომაზე საკითხი დაუმთავრებელი დარჩა და შემდეგ სხდომაზე უნდა გადაწყვეტილიყო. პირველი სხდომის შემდეგ ზემოდდასახელებულ ორ პირს მუზეუმის დირექტორისათვის წერილობითი განცხადება წარედგინათ, რომელშიც ამტკიცებდნენ, თითქოს ზემოაღნიშნული წინადადება მარქსისტული და საბჭოთა

შეცნიერების მთელ გეზს ეწინააღმდეგებოდეს. ამაზე ჯეროვანი პასუხის გაცემას ვაპირებდი მეორე სხდომაზე, მაგრამ არ ვიცი რა მიზეზით, მეორე სხდომა აღარ ყოფილა მოწვეული და საკითხები სამუზეუმო ქონების განყოფილებათა შორის განაწილებისა და საისტორიო განყოფილების დაარსების შესახებაც გადაუწყვეტელი დარჩა. საკავშირო და საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო და მთავრობის ორგანოების გამოცემულ განკარგულებათა შემდგომ ისტორიის შესახებ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში იმ მოსაზრებას რომელიც საქ. მუზეუმის საბჭოს სხდომაზე მქონდა გამოთქმული, უკვე ბევრი დასაბუთება აღარ სჭირდება, მით უმეტეს ზედმეტი იქმნებოდა გ. ნიორაძისა და ს. მაკალათიას განცახადებათა სრული უსაფუძვლობის დამტკიცება. მთავრობის განკარგულებამ საბედნიეროდ ისტორიაში ასეთ ნავარდსაც ბოლო მოუღო, საისტორიო მეცნიერებისა და ცოდნის უაღრესი მნიშვნელობაც დააკანონა, კვლევა-ძიებისა და სწავლების კონკრეტულობა და ისტორიის პერიოდიზაციის საკითხიც უცილობელი და სავალდებულო გახადა.

თავისთავად ცხადია, რომ მთავრობის ამ დადგენილებას მარტო საშუალო და უმაღლესი სასწავლებელთათვის არა აქვს მნიშვნელობა, არამედ ამიერითგან სამეცნიერო-საკვლევო და სამუზეუმო დაწესებულებებმაც უნდა იხელმძღვანელონ და მთავრობისაგან დასახულ მიზანს ხელი შეუწყონ. ყოველი შეგნებული ადამიანი ადვილად მიხვდება, თუ რაოდენ დიდი ვალდებულება დააწვა ამიერითგან მუზეუმებს. რა თქმა უნდა, პოლიტიკური, ნივთიერი და გონებრივი კულტურის ისტორიის საფუძვლიანი, გაღრმავებული შესწავლისათვის ფართო საზოგადოებასა და მეტადრე მოსწავლე თაობასაც ისეთი მუზეუმებიც სჭირდება, სადაც ყოველს მსურველს წაკითხული ისტორიის თითქოს ხორცშესხმულად გამათვალისწინებელი იმდროინდელი ნივთიერი ნაშთების ნახვა შეეძლება და ისტორიის მასწავლებლებსაც საშუალება ექმნება თავისი საგნის სწავლება უფრო საინტერესოც გახადოს და მოწაფეებსა თუ მსმენელებსაც ამ დისციპლინის შეთვისება გაუადვილოს. ამიტომ, წმინდა სამეცნიერო მიზნებსა და მოსაზრებასაც რომ თავი დავანებოთ, მარტო მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილებისა და განკარგულებისათვის ხელის შესაწყობადაც, საქ. მუზეუმი ვალდებულია თავის წიაღში საისტორიო განყოფილება შექმნას.

რასაკვირველია, რაკი აქამდე ამაზე არც არავის უზრუნვია, არც

ვისმეს უფიქრია, ამიტომაც საისტორიო განყოფილების შექმნა და ძეტადრე მოწყობა მხოლოდ თანდათანობით მოხერხდება. მაგრამ მაინც ამისთვის უნდა წინასწარვე მიზანიც მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და მისი თანდათანი განხორციელებისათვის კარგად მოფიქრებული გეგმაც გვქონდეს შემუშავებული ისევე, როგორც ამთავითვე უნდა ამ განყოფილებისათვის საჭირო თანამშრომლების მომზადებაზეც ვიზრუნოთ. სანამ საკითხი პრინციპულად არ გადაწყდება საისტორიო განყოფილების მიზანსა, გეგმასა და პირად შემადგენლობაზე, დაწვრილებით საუბარი, რასაკვირველია, ნაადრევი იქნებოდა, ამიტომ საკმარისი იქმნება, თუ ყველა ამას აქ მხოლოდ ზოგადად შევეხებით.

საისტორიო განყოფილებას რომ მიზნად ზოგადად მსოფლიო ისტორიისა და კერძოდ მახლობელი აღმოსავლეთისა, კავკასიისა და ჩვენი ქვეყნის, საქართველოს, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის თუნდაც მთავარი საფეხურები და უმნიშვნელოვანესი ხანის შეძლებისამებრ სრული სურათის გადაშლა დაესახა, ეს, რა თქმა უნდა ტყუილი თავის მოტყუება იქმნებოდა. ასეთი იდეალურად სრული მუზეუმი დედამიწის ზურგზე არც არსებობს. ჩვეულებრივ, ყოველ სახელმწიფოს თავის მუზეუმში უმთავრესად თავისი ქვეყნის და შემდეგ ნაწილობრივ სხვა, უფრო მეზობელი ქვეყნების ნივთიერი ნაშთები აქვს ხოლმე თავ-მოყრილი. მარტო ისეთს დიდსა და მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმში როგორიც ბრიტანიის მუზეუმია ლონდონში, ლუვრი პარიზში, სახელმწიფო ერმიტაჟი ლენინგრადში და ორიოდე კიდევ სხვაგან, მოიპოვება მთელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხითგან ჩატანილი უძვირფასესი კოლექციები. მაგრამ ექსპონატების სათანადო სისრულე ასეთ ძველსა და მდიდარ მუზეუმებშიც კი ყველა განყოფილებაში არ არის. უმთავრეს ხანათათვის ძეგლების თვით დედნების შოვნა, რასაკვირველია, ადვილი არ არის და მეტად ძვირიც ჯდება, ამიტომაც როგორც აღვნიშნეთ, ყველა დანარჩენ მუზეუმებს უმთავრესად თავ-თავიანთი ქვეყნის ნაშთების თავ-მოყრა აქვთ მიზნად დასახული გარკვეული დროითგან, მართალია ნამდვილი ძეგლების მაგიერ მულაჟების გამოყენებას მიჰყვეს ხელი (მაგ. მოსკოვის მხატვრ. ხელოვნებათა მუზეუმშიც ბევრია) და ამ გზით დანაკლისის შევსება გაცილებით უფრო ადვილადაც და უფრო იაფადაც შეიძლება, მაგრამ, ცხადია, რომ მულაჟების ჩართვა მხოლოდ დედნების გარკვეული ოდენობის კოლექციებშია მიზანშეწონილი, რადგან, იქ, სადაც მულაჟები სჭარბობენ, მუზეუმს სამეცნიერო დაწესებულების

თვისება ეკარგება და უკვე სასწავლო საჩვენებელ დამხმარე დაწესებულებად ხდება.

ზემოდასახელებული ყველა მოსაზრების გამო, უეჭველია საქ. მუზეუმმაც საისტორიო განყოფილებისათვის მიზანი უნდა უფრო ვიწროდ შემოიფარგლოს და უპირველეს თავის მოვალეობად კავკასიისა და საქართველოს ისტორიის ნივთიერი ნაშთების შეგროვება, შესწავლა და გამოფენა მიიჩნიოს. ხოლო, რაკი ქართველი ერის წარსული მახლობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის არა ერთი დიდი ერის სახელმწიფოებრივობასა და კულტურასთან იყო მრავალჯერ დაკავშირებული, ამიტომაც, ცხადია, თანდათანობით მათი ნაშთების შეგროვება-გამოფენის სასურველობაცა და მოვალეობაც უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული. ასე შემოფარგლული მიზნის მიღწევაც ადვილი არ იქმნება, რადგან ბევრი იშვიათი ნაშთი დიდი ხანია რაც უცხოეთისა და რუსეთის მუზეუმებშია გატანილ-მოთავსებული. მათი მსგავსის შოვნა საქართველოში ამჟამად ან სრულებით აღარ შეიძლება, ანდა ძალიან ძნელია. მაგ. შესაძლებელია მხედრისა და ცხენის სრული მე-XIII ს. ჯავშანის ორი ცალი იყოს დასახელებული, რომელიც გერმანიაშია ხევსურეთითგან გატანილი და ბერლინის Zeughant-ში ზარდახანშია ორი მხედრის მანეკენად გამოფენილი. საქართველოში ცხენის ჯავშანი ამჟამად, თუ არ ვცდები, აღარსად უნდა მოიპოვებოდეს, და სხვაც ბევრია ამის მსგავსი უნიკუმი გატანილი.

საისტორიო განყოფილებისათვის ზემოდასახელებული მიზანის განსახორციელებლად მისი აგებულებისა და სამუშაოს გეგმაც უნდა გვქონდეს გათვალისწინებული. ისტორიული განყოფილება უნდა სექციებად დაიყოს, რომელთაგანს თვითეულს თავის დარგი ექმნება. პ ი რ ვ ე ლ ს ე ქ ც ი ა ს საგნად უძველესი, კლასთა უწინარესისა და კლასთა დასაწყისის ხანის კულტურა ექმნება. მ ე ო რ ე ს ე ქ ც ი ა ს საშუალო საუკუნეების და განახლების ხანის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი კულტურისა და კერძო ყოფა-ცხოვრების ნივთიერი ნაშთის შეგროვება, შესწავლა და გამოფენა. მ ე ს ა მ ე ს ე ქ ც ი ა ს საჭურველი და საბრძოლველი იარაღები, მ ე ო თ ხ ე ს ე ქ ც ი ა ს ბეჭდები და საფას-საზომები და მ ე ხ უ თ ე ს უახლესი ისტორიის მიმდინარეობის ასახვა. თვითეულ სექციას თავისი გამგე და თავისი თანამშრომლები უნდა ჰყავდეს.

ამ სექციათაგან უძველესი ხანის კულტურისა და ნუმიზმატიკისა უკვე არსებობს და მოკლე ხანში ადვილად მოეწყობა, მხოლოდ ნუმი-

ზმატიკას უნდა ბეჭდებიც გადაეცეს, ისევე როგორც სასურველია, რომ საზომთა ყველა ერთეულების ნიმუშების შეგროვება, შესწავლა და გამოფენაც ამავე სექციას დაეკისროს ამისდა გვარად ბეჭდების და საფას-საზომთა ანუ სფრაგისტიკისა და საფას-საზომთა სექცია უნდა ეწოდოს!


საჭურველისა და საბრძოლველი იარაღის სექციის შესაქმნელად საქ. მუზეუმს უკვე საკმაოდ მოზრდილიცა და საინტერესო მარაგიც მოეპოვება. მისთვის მხოლოდ ჯერ არავის ხელი არ უხლია და სრულებით შეუსწავლელია. მაინც საკმაო მარაგი ამ სექციის მოწყობას საგრძნობლად გააადვილებს.

ყველაზე ძნელი, რა თქმა უნდა, საშუალო საუკუნეებისა და განახლების ხანის კულტურის სექციის მოწყობა იქმნება, რათგან, რაკი ამაზე არავის უზრუნვია, მასალა მეტად მცირეა შეგროვებული და რაც მოიპოვება, ისიც სხვადასხვა მუზეუმებსა და განყოფილებებშია გაფანტული.

სექციების მოსაწყობად უპირველესად საქ. მუზეუმებისა და თვით საქ. მუზეუმის განყოფილებათა მთელი ქონების გულდასმით გადაშინჯვა და მიზანშეწონილი განაწილება იქმნება საჭირო, რომ ამის შემდგომ ყველა სექციას საშუალება ჰქონდეს დასახული მიზნისა და გეგმის ინტენსიურად განხორციელებას შეუდგეს.

საისტორიო განყოფილების შესაქმნელად სათანადოდ განსწავლული თანამშრომლების შემადგენლობაა საჭირო. ისტორიის საფუძვლიან ცოდნასთან ერთად ძველი და ახალი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ენებიც უნდა ჰქონდეთ შეთვისებული, უძველესი ხანისათვის მომავალში ჩრდილო-კავკასიის ენების რამოდენიმე მცოდნეც დაგვჭირდება. ამიტომ საისტორიო განყოფილების ახლად შესაქმნელ სექციებისათვის პირადი შემადგენლობის შერჩევა-მომზადება იქმნება საჭირო. რაკი საშუალო საუკუნეებისა და განახლების ხანის სექცია დანარჩენებზე უფრო დიდიცა და უფრო მრავალფეროვანიც უნდა იყოს, მუშაობაც მეტი დასჭირდება და რასაკვირველია თანამშრომლებიც მეტი უნდა ჰყვანდეს.

დასასრულ უნდა საქ. მუზეუმის შენობის მეტისმეტს სივიწროვესაც მიექცეს ყურადღება. ამ შენობაში ეხლაც უკვე დიდი ვიწროობაა საგრძნობი, საისტორიო განყოფილების სრულად მოწყობისა და გამოფენისათვის კი აუცილებლად საჭირო იქმნება რომ საქ. მუზეუმის აწინდელ ფართობს გვერდითა და უკან მდებარე შენობებიც (ტეხნი-




სახლი (თბილისი, კალინინის ქ. № 66), სადაც ცხოვრობდა ივ. ჯავახიშვილი.



ივ. ჯავახიშვილი
კოლეგებთან და მოწაფეებთან



ივ. ჯავახიშვილი თავის ასპირანტებთან (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, მ. ივანიცკაია და მ. კალაშნიკოვა) ერთად, 1923 წ.



ივ. ჯავახიშვილი
უფროს შვილიშვილთან.

კუმისა, სტამბის განათლების მუშაკთა კავშირისა და საჯარო წიგნთსაცავის გვერდით მდებარე შენობებითურთ) საქ. მუზეუმს გადმოეცეს თანდათანობით მაინც. უამისოდ საქ. მუზეუმის ზრდა და ნორმალური განვითარება სრულებით შეუძლებელი იქმნება.

ვფიქრობ, რომ ზემოაღნიშნული მიზნების და გეგმის განხორციელებით საქ. მუზეუმის დირექტორატი საკანონმდებლო და მთავრობის ორგანოების დადგენილებასა და დავალებას საუცხოოდ შეუწყობს ხელს და ამ უაღრესად მნიშვნელოვან დარგში თავის მხრივაც ძვირფასს წვლილს შეიტანს.

ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი
1934 წ. 25 ივნისს[1]

ივ. ჯავახიშვილის დასაბუთებულმა მოთხოვნით მუზეუმში შეიქმნა ისტორიის განყოფილება. 1936 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ამ განყოფილებას განაგებდა ივ. ჯავახიშვილი. მან შეადგინა მუზეუმის მუშაობის გარდაქმნის პროექტი, რომელშიც სამუზეუმო მეცნიერ მუშაკების მომზადებასაც დიდი ადგილი დაუთმო[2].

ივ. ჯავახიშვილის ღრმა მეცნიერული ცოდნა, დიდი ნიჭიერება და ფაქიზი გემოვნება თვალნათლივ გამოჩნდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენის მოწყობისას. რომელსაც იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა. მეცნიერმა მეტად საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა არქეოლოგიური გამოფენის მოწყობის თაობაზე, ყურადღება გაამახვილა არა მხოლოდ გამოფენის სტრუქტურის, არამედ მუზეუმის მუშაობისა და, კერძოდ, არქეოლოგიური მასალის გამოყენების თვალსაზრისით[3]. იგი უდიდესი სიამოვნებით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ საქართველოს მუზეუმის ამ განყოფილებაში დაცული მნიშვნელოვანი და საინტერესო არქეოლოგიური საგანძური, რომელიც აქამდე უსისტემოდ და უქმად იყო, მეცნიერებისათვისაც მთელი შესაძლებლობით ჯეროვნად გამოუყენებელი რჩებოდა, ხოლო ფართო საზოგადოებისათვის სრუ-

---

[1] წერილი დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის არქივში, ფონდი № 2189-ხ.

[2] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1962 წ., გვ. 204.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 206—207.

ლებით მიუწვდომელი იყო, ახლა გამოიფინებოდა და ყველა დაინტერესებულს მისი ნახვა და შესწავლა შეეძლებოდა.

ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ძველი სამარხების გათხრისას აღმოჩენილი ნივთების გამოფენას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. მოითხოვდა ისე მოწყობილიყო გამოფენა, რომ „დამთვალიერებელს სრული საშუალება ჰქონდეს მაშინდელი ადამიანის ნივთიერი ავლადიდება და კულტურის დონე შეძლებისამებრ სრულად წარმოიდგინოს. ამისთვის სხვადასხვა დროისა და სახეობის სამარხები გამოფენილი უნდა იყოს მთელი თავისი აგებულება-მოწყობილობითურთ. სამარხების ასე უხვს გამომზეურებას და მთელი გამოფენის მოწყობასაც ამ მხრივაც მიექცეს ყურადღება, რომ მთელი ეს საქმე აღმზრდელობითი მიზნით იქნეს გამოყენებული.

ივ. ჯავახიშვილმა სამუზეუმო მუშაობის ყველა დარგის გარდაქმნა-გაუმჯობესების საქმეში თავისი დიდი წვლილი შეიტანა. იგი თავის ცოდნასა და ენერგიას არ ზოგავდა მუზეუმის ავტორიტეტის გაზრდა — ამაღლებისათვის[1].

*

* *

ივ. ჯავახიშვილის მეტად ფართო პლანის საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჭეშმარიტად ნათელი მაგალითია სამშობლოს, ხალხის დიდი უანგარო სიყვარულისა. ღვთიური ნიჭით უხვად მომადლებული ერისკაცი თავის საქმიანობას ჩვენი ქვეყნის აღმავლობის საქმეს ახმარდა. ივ. ჯავახიშვილმა იმ დროს დაიწყო საზოგადოებრივი მოღვაწეობა, როცა იოანე მთაწმინდელის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ქართლისა ქვეყანა დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნი აკლიან“ და მისივე ექვთიმე მთაწმინდელისადმი მიმართული სიტყვები შეიძლება პირდაპირ მივუყენოთ ივ. ჯავახიშვილს: „ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა: აწ იღუაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღვთისაგან“. ივ. ჯავახიშვილმა ჭეშმარიტად ბევრი „იღუაწა“ — იმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ივ. ჯავახიშვილის მადლიანი, მაღალმოქალაქეობრივი ღვაწლის ნათელი ბეჭედი აზის.

---

[1] ივ. ჯავახიშვილის სამუზეუმო მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხებს. საჭიროებისამებრ, ქვემოთაც შევეხებით.

ივანე ჯავახიშვილი და ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შესწავლის საკითხი

„მოქალაქენო, გაუფრთხილდით... მემკვიდრეობას, გაუფრთხილდით სურათებს, ქანდაკებებს, შენობებს — ისინი თქვენი წინაპრების სულიერ სიმძლავრეს განასახიერებენ... გახსოვდეთ, რომ ეს არის საფუძველი, რომელზედაც აღორძინდება თქვენი ახალი ხალხური ხელოვნება".

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოწოდებიდან.

1917 წ. ნოემბერთ.

ივ. ჯავახიშვილი თავისი დროის მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა დონეზე იდგა და, ამდენად, ისე, როგორც ისტორიული მეცნიერების სხვა დარგებს, ხელოვნების შესწავლასაც მაღალმეცნიერული, პირველხარისხოვანი გამოკვლევები უძღვნა.

ივ. ჯავახიშვილის მაღალი მეცნიერული პრინციპებიდან გამომდინარე ღრმა ინტერესები ფარვანასავით დასტრიალებდა ქართველი ერის კულტურის საკითხებს. ივ. ჯავახიშვილი კარგად იცნობდა ჩვენი ქვეყნის თუ ევროპის ხელოვნებაში არსებულ შემოქმედებით მიმდინარეობებს, და, ამდენად, მას ჰქონდა თავისი დამოკიდებულება, როგორც ყველა მოვლენისა და მეცნიერული თეორიისადმი ზოგადად, ისე კონკრეტულად ხელოვნების საკითხებისადმი. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ივ. ჯავახიშვილმა დაგმო კონსტრუქტივიზმი არქიტექტურაში ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს მიმდინარეობა თავის არსებობას იწყებდა; დაგმო მხტერობაში შიშველი სიუჟეტურობა და მხარი დაუჭირა სინამდვილის ნათელ და მართებულ ფერებში ასახვას. სრულიადაც არ ყოფილა შემთხვევითი, რომ „ქართული ხელოვნების სა-

კითხებიც, ქართული ხელოვნების წარსულის შესწავლაც, ხელისშეწყობა დღევანდელი აღმავლობისათვის და მისი მომავალი ბედი ივანე ჯავახიშვილისათვის ისევე ძვირფასნი და ახლონი იყვნენ, როგორც ქართული კულტურის სხვა საკითხებიც"[1].

ივ. ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტის დაარსების უმალ შეუდგა ქართული ხელოვნების ისტორიის კათედრის შექმნისთვის ზრუნვას. ეს ნაკარნახევი იყო იმ გარემოებით, რომ აღნიშნული დისციპლინის სათანადო დონეზე სწავლება მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. უპირველესად, საჭირო იყო კადრების მომზადებაზე ზრუნვა, თვალსაჩინოებათა დამზადება და სახელმძღვანელოების შექმნა-მონახვა. მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის მიზნით აუცილებელი იყო ადგილებზე კვლევა-ძიებითი სამუშაოების ჩატარება. აკად. გ. ჩუბინაშვილი იგონებს, რომ „ივანე ჯავახიშვილის მხრით ყოველთვის დიდ ყურადღებას იქცევდა (მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხები — რ. მ.), არასდროს არ საჭიროებდა რაიმე ვრცელ დასაბუთებას. ივანე ჯავახიშვილს საქმის ყველა ასეთი რეალური მოთხოვნილება, შეიძლება ითქვას, სიტყვის უთქმელად ესმოდა, არც თვითონ ხარჯავდა სიტყვებს, ყველა ღონისძიებას ღებულობდა და მათი სისრულეში მოსაყვანად შესაფერ განკარგულებებს იძლეოდა"[2]. ბუნებრივია, ივ. ჯავახიშვილის ასეთმა მონდომებამ და დიდმა დაინტერესებამ ხელი შეუწყო და დროულად გადაიჭრა ხელოვნების მეცნიერების კაბინეტის შექმნის საკითხი (ეს კაბინეტი შემდგომში (1921 წ.) არქიტექტორების შტატის შექმნის შედეგად გაფართოვდა კიდეც). ბუნებრივად, ყოველგვარი გართულების გარეშე, დამტკიცდა წარდგენილი სალექციო კურსები, რომლებიც არ იზღუდებოდნენ ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხებით და გარკვეულ ადგილს უთმობდნენ დასავლეთ ევროპის ხელოვნების ისტორიის ცალკეულ მნიშვნელოვან პრობლემებს. ივ. ჯავახიშვილის უშუალო თაოსნობით და ხელდასხმით გატარებული ღონისძიებები ქართული ხელოვნების მომავალი მკვლევარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას ემსახურებოდა.

ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველი საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვან მხატვრულ შემოქმედე-

---

[1] გ. ჩუბინაშვილი, აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლის თავისათვის, ენიმკის მოამბე, XII, თბ., 1942, გვ. 272.

[2] იქვე, გვ. 273.

ბას (პლასტიკური ხელოვნების დარგებს — არქიტექტურას, სკულპტურას, ოქრომჭედლობას და სხვ.) და მას ქართველი ხალხის მაღალი კულტურის, დამოუკიდებლობისა და ძლიერების მაჩვენებლად აღიარებდა. საგულისხმოა, რომ მას ჯერ კიდევ 1913 წელს შეუმუშავებია ქართული ხელოვნების ისტორიის შედგენის სათანდო გეგმა, ხოლო 1914 წელს როგორც ჩანს, „ქართული ხელოვნების ისტორია" ივ. ჯავახიშვილს უკვე მზად ჰქონია.

ჩვენს წინ არის ივ. ჯავახიშვილის წერილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო სექციისადმი. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისადმი და მისი შრომებს გამოცემასაც კისრულობდა. მეცნიერის წერილი, რომელიც 1914 წლის აპრილით თარიღდება, სწორედ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის ერთ-ერთი მიმართვის პასუხია. აი, ერთი მონაკვეთი ამ წერილიდან:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო სექციას.

პატივცემულო ბატონებო!

დიდად გმადლობთ წინადადებებისათვის და სიამოვნებით მივიღებთ მეცა და ჩემი მოწაფეებიც მონაწილეობას თქვენგან განზრახულ საქმეში. პირადად მე დიდი ხანია, რაც შევპირდი წ. კ. ს. „ქართველი ერის ისტორიის" საზოგადო სახელმძღვანელოს შედგენას და ახლა დამთავრდება თუ არა ჩემი ისტორიის მეორე წიგნის ბეჭდვა, სწორედ ამ სახელმძღვანელოს შედგენას მივყოფ ხელს. მე მაქვს აგრეთვე „ქართული ხელოვნების ისტორია", მაგრამ იმას ბევრი სურათები სჭირია და მისი გამოცემა ძვირი დაჯდება. ისე, რომ თუ არ ხელის მოწერით, მისი გამოცემა ვგონებ სახიფათო იქმნება, ამიტომ მე ამ წიგნის შესახებ არას ვამბობ"[1].

ამგვარად, როგორც ვხედავთ, „ქართული ხელოვნების ისტორია"

---

[1] ცსა (თბ), ფონ. 481, საქ. 1428, ფურ. 52—54. აღნიშნული წერილის პუბლიკაცია იხ. გაზ. ახალ გაზრდა კომუნისტი, 1966 წ., 23 აპრილი; საისტორიო მოამბე, 21—22, თბ., 1967, გვ. 328—329.

ივ. ჯავახიშვილს 1914 წლის აპრილისთვის უკვე მზად ჰქონია[1]. ამ გამოკვლევის ერთი ნაწილი დაიბეჭდა სათაურით: «Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материальной культуры в древнегрузинской литературе»[2]. (ამ ნაშრომზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით).

განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული კულტურის ძეგლების დაცვის საქმეში. მეცნიერი იწონებდა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისა[3] და ქართველი მხატვრების საშვილიშვილო საქმიანობას ძველი ქართული მხატვრობის ნაშთების გადარჩენისა და გადმოღების მიზნით. იგი აღტაცებული იყო ნაბახტევში მომუშავე მხატვრების (ლ. გუდიაშვილი, გ. ერისთავი, მ. თოიძე და მისი ვაჟი ერეკლე, მ. ჭიაურელი და დ. შევარდნაძე) საქმისადმი უანგარო სიყვარულით, რაც დაწყებული დიდი აღდგენითი საქმიანობის ნაყოფიერების საწინდარი ჩანდა[4]. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო კულტურის ძეგლების დაცვა-აღდგენის საქმის დროული ხელის შეწყობა და გარკვეული, მიზანშეწონილი სამოქმედო გეგმა.

ივ. ჯავახიშვილმა 1916 წლის აგვისტოში საგანგებო მოხსენება წარუდგინა ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას[5]. „ამ პატარა მოხსენებით — წერდა მეცნიერი — მეც ჩემს თავს ნებას ვაძლევ... მომავლისათვის საჭირო სამოქმედო გეგმა შეძლებისდაგვარად გამოვარკვიო და ქართველ ხელოვანთა საზოგადოებასა ვთხოვ განიხილოს იგი და ამავე საგანზე ჯეროვან მსჯელობის შემდგომ თა-

---

[1] ამავე ნაშრომს თავის ცალკე მონოგრაფიულ გამოკვლევად იხსენიებს ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე გამოცემაში (ტ. I, 1913 წ., წინასიტყვაობა).

[2] Христианский Восток, С.—Петербург, т. III, вып. I, 1914, стр. 17—31.

[3] ქართველ ხელოვანთა საზოგადოება 1911 წელს ჩამოყალიბდა. ფართო საქმიანობა დაიწყო 1912 წლიდან. საზოგადოების კომიტეტის პირველი თავმჯდომარე იყო გიორგი ყურული, მდივანი — იოსებ გეგელაშვილი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადაკეთდა ხელოვანთა კავშირად, რომლის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს მუზეუმის ფონდი და ბიბლიოთეკა.

[4] ი. ლორთქიფანიძე, ნაბახტევის მხატვრობა, თბ., 1973.

[5] აღნიშნული მოხსენება დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის სახ. კაბინეტში. მოხსენების ტექსტი დედნის მიხედვით უცვლელად დაიბეჭდა 1966 წელს. იხ. ძეგლის მეგობარი, 1966, № 7, გვ. 43—51.

ვისი სამოქმედო გეგმა შეიმუშაოს, ხოლო შემდეგ მის განხორციელებას შეუდგეს"[1].

ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ, როგორც ცნობილია, თავისი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზნად დაისახა ქართული ხელოვნების ძეგლების დაცვა-აღდგენა. ივ. ჯავახიშვილი მიესალმებოდა რა ამგვარ თაოსნობას, ამასთან ერთად, მიზნის მიღწევისა და განზრახული წადილის შესასრულებლად საზოგადოებას თავის მოსაზრებებს სთავაზობდა. ამოცანის შესასრულებლად ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით სამი გზა არსებობდა: 1) ქართული ხელოვნების ძველი ძეგლების შეგროვება, შენახვა და მეცნიერულ-მხატვრული შესწავლა. 2) თანამედროვე (მხედველობაშია XX საუკუნის 10—20-იანი წლები), ქართული ეთნოგრაფიული მასალების (შინამრეწველობის სხვადასხვა დარგის საგნები, ავეჯეულობა, ჭურჭლეულობა და სხვ. ნიმუშები) შეგროვება და შესწავლა. 3) საქართველოს ბუნების („ყოველი ხელოვნების უპირველესისა და დაუშრეტელი წყაროს" — ი. ჯ.) შესწავლითა და „შემოქმედებითი აღბეჭდვით".

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ „სამივე ზემოაღნიშნული გზა ქ-ლ ხელოვნების აღორძინებისა და აყვავებისათვის ერთნაირად და თანასწორად არის საჭირო, რომ მრავალტოტებიან ბუმბერაზ კაკლის ხესავით ქართულ განახლებულ ხელოვნებას ფესვები ღრმად და მაგრად ჰქონდეს გამდგარი, თანაც იმ მრავალფეროვანებითა და თავისებურებით იყოს შემკული, რომელიც ყოველ ხელოვნებას დაუჭკნობელს მშვენიერებას და ფასდაუდებელ ღირებულებას ანიჭებს ხოლმე"[2].

ეთნოგრაფიული მასალებისა და ქართული შინამრეწველობის ნიმუშების შეგროვება ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებასაც[3] ჰქონდა მიზნად დასახული და საჭირო მასალებს აგროვებდა კიდეც. ამიტომ ივ. ჯავახიშვილს საჭიროდ მიაჩნდა, რომ ქართველ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას—მოხსენება, ძეგლის მეგობარი, 1966, № 7, გვ. 43—44.

[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. მოხსენება, გვ. 44.

[3] ქართული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება დაარსდა 1907 წელს ე. თაყაიშვილის თაოსნობით. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე თვით ე. თაყაიშვილი იყო. აღნიშნული საზოგადოების საქმიანობის შესახებ იხ.: Р. Метревели, Экватине Такаишвили и историко-этнографическое общество. газ. Молодежь грузии, 1962, 27 დეკემბერი; აგრეთვე რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე, ეკვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1962, გვ. 26—38.

ხელოვანთა საზოგადოებას ხსენებულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან შეთანხმებულად ემოქმედნა, რათა ორივე საზოგადოებას ერთი და იმავე საქმისათვის ფუჭად არ შეელია ძალა. შინამრეწველობის აღდგენას იმ დროისათვის ქართული სამეურნეო საზოგადოებაც[1] ეწეოდა და ამიტომ აქაც გარკვეული შეთანხმება იყო საჭირო.

ამგვარად, ივ. ჯავახიშვილის წინადადებით, მომავალი საქმიანობა ზემოაღნიშნულ დარგებში დასახელებულ სამ საზოგადოებას შორის უნდა განაწილებულიყო, რომ მათ საქმე თუმცა ცალ-ცალკე, მაგრამ მაინც შეთანხმებულად, ერთიანი ძალით განეხორციელებინათ. მეცნიერი საზოგადოებათა სამოქმედო ასპარეზს შემდეგნაირად განსაზღვრავდა: საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება საქართველოს ყოველ კუთხეში საეთნოგრაფიო მასალებს და შინამრეწველობის ნიმუშებს შეაგროვებდა და თავის მუზეუმში მოუყრიდა თავს. ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას თავის მხრივ ეს მასალები უნდა შეესწავლა და დაემუშავებინა, თანაც ქართული მხატვრული შინამრეწველობის განახლებისათვის საჭირო სახეების ნიმუშები და სამაგალითო ესკიზები შეედგინა. ქართულ სამეურნეო საზოგადოებას ეთნოგრაფიული მასალები და შინამრეწველობის ნიმუშები ტექნიკურად უნდა შეესწავლა. გაეთვალისწინებია და გაერკვია მხატვრული შინამრეწველობის განახლებისთვის საჭირო ტექნიკური საკითხები.

ივ. ჯავახიშვილის წინადადებებში, გარდა ამ უდიდესი საქმისადმი დაულალავი ზრუნვისა, აშკარად მოჩანს დიდი მეცნიერის მაღალმოქალაქეობრივი მრწამსი; მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის, მიზანსწრაფული მოქმედება. ივ. ჯავახიშვილი, როგორც მეცნიერი და მოქალაქე, ვალდებულად სთვლიდა თავს, ერის საგანძურის დაცვის აუცილებლობაზე თავისი მაღალი პოზიციებიდან გაეფრთხილებინა საზოგადოებრიობა. დიდ მენციერს ჰქონდა ამის უფლება! მისი წინადადებები ზედმიწევნით კონკრეტული იყო: „თუ ნაშთების შეგროვებისა და გადარჩენისათვის ყველაზე საუკეთესო ამ ორი საზოგადოების (საისტორიო-საეთნოგრაფიო და სამეურნეო — რ. მ.) შეერთებული შრომა

---

[1] ქართული სამეურნეო საზოგადოება შეიქმნა 1915 წელს და არსება 1921 წლამდე. მისი თავმჯდომარე იყო დიმიტრი ჩოლოყაშვილი.

იქმნებოდა, მხატვრობის გადმოღება, ან გადმოხატვა და იმ ძეგლების მხატვრული ღირსების შესწავლა, ხელოვნების მხრივ დაფასება კი — სწორედ ქართველ ხელოვანთა საზოგადოების წმინდა მოვალეობაა დააქ მას ვერვინ გაუწევს მეტოქეობას"[1] (ხაზგასმა ავტორისაა — რ. მ.).

სხვადასხვა ძეგლების მიმოხილვისა და აღწერის თვალსაზრისით ისტორიკოსების მიერ გარკვეული შრომა უკვე ჩატარებული ჰქონდათ, თუმცა იგი ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათისა უფრო იყო, ვიდრე — ხელოვნებათმცოდნური. ამიტომ ივ. ჯავახიშვილი მოითხოვდა, რომ ყველა ცნობილი ძეგლი ხელახლა შეესწავლათ, უცნობი ძეგლები აღენუსხათ, შეეფასებინათ როგორც ხელოვნების თვალსაზრისით, ისე იმ მიზნითაც, რომ გარკვეულიყო რომელი კედლის მხატვრობა ან ქანდაკება იყო დაზიანებული, რომელი საჭიროებდა დროულ გამაგრებას, ან გადმოღება-გადმოხატვას.

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი საქმის ღრმა ცოდნით ძალზე პრაქტიკულ საკითხებს აყენებდა. მეცნიერს აწუხებდა რევოლუციამდელ საქართველოში კულტურის ძეგლებისადმი გულგრილი, უყურადღებო დამოკიდებულება: „შენახული მხატვრობის ძეგლების... სიმრავლე, მუშაკთა და ქონებრივი სახსრის სიმცირე გვაიძულებს ეს დიადი და საშვილიშვილო საქმე, რომლის განხორციელებაზე სხვა ქვეყნებში თვით მთავრობა ზრუნავს და ამისთვის არავითარ ხარჯს არ ერიდება, ჩვენში კი — კერძო პირთა და სამეცნიერო-სახელოვნო საზოგადოებათა გარდა გულშემატკივარი და მზრუნველი არავინა ჰყავს, — თანდათანობით განხორციელებული იქნეს"[2].

ივ. ჯავახიშვილი საზოგადოებებს კონკრეტულ პრაქტიკულ გეგმას სთავაზობდა, რომლის მიხედვითაც, პირველ რიგში უნდა გადმოხატულიყო და გადმოეღოთ ისეთი ძეგლები, რომელნიც განსაცდელში იყვნენ და რომელთა გადარჩენისათვის დაუყოვნებლივ ზრუნვა იყო საჭირო. ისეთი ძეგლები კი, რომლებიც შედარებით ნორმალურ მდგომარეობაში იყვნენ, საჭიროებისამებრ უნდა გაემაგრებინათ. მთელი ყურადღება განსაცდელში მყოფ ძეგლებზე (ასეთი, როგორც ჩანს, იმ დროს ძალზე ბევრი იყო) უნდა გადასულიყო. მეორე ეტაპად ივ.

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. მოხსენება, გვ. 45.

[2] იქვე, გვ. 46.

ჯავახიშვილს (ყველა ხელოვნების ძეგლის გადარჩენის შემდეგ) მიაჩნდა ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლა და გადმოღება-გადმოხატვა. კედლის მხატვრობის შესწავლა მეთოდოლოგიურად სწორად უნდა წარმართულიყო: პირველ რიგში ის ფრესკები უნდა შეესწავლათ, რომელთა შესახებაც გარკვეული ცნობები მოიპოვებოდა, ხოლო შემდეგ — დაუთარიღებელი ნაწარმოებები. მეცნიერი მოითხოვდა, რომ განსაკუთრებული სიფრთხილით მოპყრობოდნენ უნიკალურ ისტორიულ ქანდაკებებსა და მხატვრობას, რადგან თვითეული ასეთი დაღუპული ძეგლის აღდგენა და დანაკლისის შევსება აღარ შეიძლებოდა.

ჭეშმარიტად სახელმძღვანელოა ქართველი მეცნიერის ეს მითითებები. ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა იგი, როდესაც ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას ურჩია ნაბახტევის ეკლესიის კედლის მხატვრობისათვის ყურადღების მიქცევა და დაღუპვისაგან გადარჩენა.

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ქართული მხატვრობის ისტორიის სრულყოფილი შესწავლისათვის აუცილებელი იყო ქართულ ხელნაწერებში დაცული ნახატების მხატვრულ-მეცნიერული გამოკვლევაც, მეცნიერი ხელნაწერების მხატვრული თვალსაზრისით შესწავლას სხვადასხვა მიზნებს უსახავდა: 1) ქართულ ხელნაწერებში დაცული ნახატების, როგორც ხელოვნების ძეგლების, განხილვა-გამოკვლევა. მათი ღირსება-ნაკლის შეფასება; ფერადოვნებისა და ტექნიკური მხარეების შესწავლა, აგრეთვე, მათი სადაურობის დადგენა. 2) კამარათა მწერლობისა და სხვადასხვა არშია-სახეების შესწავლა. ეს, თავის მხრივ, უკავშირდება ჩუქურთმების, კედლის მხატვრობის, ოქრონაჭედი არშიებისა და სახეების შესწავლას (ბუნებრივია, მათი შედარებითი განხილვა მეტად მნიშვნელოვანია ხელოვნების ისტორიის შესწავლისათვის). 3) ქართული ხელნაწერების განხილვა სამწიგნობრო ხელოვნების შესწავლის მიზნით, რათა გაირკვეს მხატვრული ანბანისა და სხვადასხვა ხელის (საზენაო, ხუცური და მხედრული, ასომთავრულისა და დაქსელილის და სხვ.) განვითარების გზა.

ივ. ჯავახიშვილს ძალზედ კარგად ესმოდა, რომ მისი გეგმის განხორციელება ერთბაშად არ შეიძლებოდა, რადგან ერთი და ორი ადამიანი შეასრულებდა მას. ეს გეგმა თანდათანობით, კომპლექსურად უნდა განხორციელებულიყო. ამასთან, მეცნიერი მოითხოვდა, რომ ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას საჯარო სხდომაზე დროგამოშვე-

ბით ვანეხილა მოხსენებები ცალკეულ ძეგლთა შესწავლის მიმდინარეობის შესახებ, მოეწყო გადმოხატული ძეგლების გამოფენები. „მაშინ — მიუთითებდა ივ. ჯავახიშვილი — ქართველი ფართო საზოგადოებაც... ქართველ ხელოვანთა დიდ ღვაწლს დააფასებს და ჩვენი ძველი ხელოვნების მნიშვნელობასა და მაღალ ღირსებას თავისი თვალით დაინახავს"[1].

ჩვენ საგანგებოდ შევჩერდით ასე ვრცლად ივ. ჯავახიშვილის მეტად მნიშვნელოვან მოხსენებაზე, რომელშიც პრაქტიკულად არის დასახული ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევის პრინციპები, მეთოდები და კონკრეტული გეგმები. სწორედ ეს პრინციპები დაედო საფუძვლად ხელოვნების ისტორიის ისეთი დარგის კვლევას, როგორიცაა კედლის მხატვრობა.

ივ. ჯავახიშვილი, მონუმენტურ მხატვრობასთან ერთად, უდიდეს ყურადღებას აქცევდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს და მათი მეცნიერული შესწავლა პირველი რიგის ამოცანად მიაჩნდა. მეცნიერი თვითონ პირადად იღებდა გარკვეულ, მეტად ქმედით ზომებს ხუროთმოძღვრების ძეგლების დაცვა-შენახვის უზრუნველსაყოფად.

ჩვენი საუკუნის ოციან წლებში (განსაკუთრებით 1923-24 წწ.) ფართოდ გაჩაღდა რელიგიის საწინააღმდეგო მოძრაობა. რაიონებიდან არაერთი ცნობა მოვიდა ზოგიერთი მატერიალური კულტურის ძეგლების განადგურების შესახებ, იღუპებოდა ხელოვნების ის ძველი ძეგლები, რომლებიც ეკლესიებში ინახებოდა.

აი, რამდენიმე ოფიციალური დოკუმენტი აღნიშნული მდგომარეობის შესახებ:

„ფ რ. ს ა ს წ რ ა ფ ო.

ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარეს

რესპუბლიკის სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საავანგებო კომიტეტში მოსულ ცნობებით, ანტირელიგიურ მოძრაობასთან დაკავშირებით, მაზრაში ბევრგან ისეთს სახუროთმოძღვრებო ძეგლებსა და შიგ დაცულ სიმდიდრეს შეეხენ, რომელთაც დიდი სამეცნიერო-საისტორიო მნიშვნელობა აქვს.

ამასთანავე გიგზავნით ტფილისის და მისი მაზრის საისტორიო-სამეცნიერო მნიშვნელობის ძეგლთა სიას და გთხოვთ სასწრაფო ვანკარგულებას ადგილობრივ აღმასკომებისადმი მათი დაცვის შესახებ.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. მოხსენება, გვ. 49.

კერძოდ საგანგებო კომიტეტი მიაქცევს აღმასკომის ყურადღებას კოჯორის ახლო მდებარე მსოფლიო მნიშვნელობის ბეთანიის მონასტრის შენობისადმი. ვინაიდან მთავრობას არა აქვს სათანადო თანხა, რომ ამ ძეგლის დასაცავად თავისი შტატი იყოლიოს, საგანგებო კომიტეტმა ჯერჯერობით მისი მოვლა-პატრონობა იქვე მცხოვრებ ბერებს მიანდო, მაგრამ უკანასკნელთ მხოლოდ მაშინ შეეძლებათ ჩვენი დავალების შესრულება, თუ საშუალება ექნებათ მონასტრის ფარგლებშიეე გამონახონ საცხოვრებელი სახსარი მცირეოდენ მიწის ფართის დამუშავებით. ამაეე დროს, როგორც საგანგებო კომიტეტმა გაიგო, მონასტრის ეზოში ჩასახლებულა ვინმე თეზელაშვილი, რომელიც მონასტრის მცველს, ბერს ილიას, აეიწროვებს და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ გააძევოს იგი.

გაუწყებთ რა ზემოაღნიშნულს, საგანგებო კომიტეტი გთხოვთ სასწრაფო განკარგულებას კოჯრის აღმასკომისადმი, რათა ბეთანიის დაცვის საქმე ძოგვარებულ იქნას თანახმად საგანგებო კომიტეტის მიერ შეშუშავებული გეგმისა.

საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე (ხელს აწერს დ. კანდელაკი)

სამეც. დაწ. მთავარმმართვ. გამგე (ხელს აწერს ვუკ. ბერიძე)"[1].

ანალოგიური მდგომარეობაა გადმოცემული სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მოხსენებით ბარათში სახალხო კომისართა საბჭოსადმი:

„სახალხო კომისართა საბჭოს.
პირი განათლების კომისარს.

ჩვენ მიერ მიღებული ცნობების თანახმად რკინიგზის მთავარ სახელოსნოს მუშებს დაუდგენიათ დიდუბის ეკლესიის დახურვა. ვინაიდან დიდუბის ეკლესია ისტორიულია, გალავანი კი წარმოადგენს ქართველ მოღვაწეთა და ხელოვანთა პანთეონს, სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი გთხოვთ მიიღოთ საჭირო ზომები რათა ხსენებული ეკლესია და გალავანი — პანთეონი დაცული იქნას, როგორც ისტორიული ძეგლი.

სრულიად საქარ. ხელ. კავშირი

მთ. კომ. თავმჯდომარე: (ხელს აწერს კ. მაყაშვილი)

მდივანი: (ხელმოწერა გაურკვეველია)"[2].

ეს დოკუმენტი დათარიღებულია 1923 წლის 7 ივნისის (№ 104). საბუთებიდან ჩანს, რომ ამგვარი საქმიანობის აღსაკვეთად მეტად ქმედითი ღონისძიებები გატარდა. მოვიყვანთ განათლების სახალხო კომისარიატის საარქივო მასალებში დაცულ ერთ მიმართვას სამხრეთ ოსეთის აღმასრულებელი კომიტეტისადმი:

«ЦИКу Юго-Осетии

По дошедшим до Особого Комитета по охране памятников старины и искусства сведениям, в связи с антирелигиозным движением, в Юго-

[1] ეს საბუთი დაცულია განათლების სახალხო კომისარიატის საარქივო მასალებში.

[2] საბუთი დაცულია განათლების სახალხო კომისარიატის იმ მასალებში, რომლებიც ჯერ არქივში ინახება.

Осетии, были затронуты, и такие архитектурные памятники, которые имеют высокое научно-культурное значение. В частности, разобрана старинная с неисследованными древними надписями, Тбетская церковь.

Уведомляя об этом, Особый Комитет просит срочно сообщить, насколько вышеозначенные сведения, соответствуют действительности, и в положительном случае — указать, с чьего именно разрешения разобрана означенная Тбетская церковь.

Вместе с этим, Особый Комитет присовокупляет, что согласно постановлению Совнаркома от 21 марта с. г. надзор за памятниками Старины и Искусства повсеместно в республике принадлежит Особому Комитету и без его предварительного разрешения никакие перестройки, ремонты и починки означенных памятников не допускаются.

Председатель Особого Комитета (Д. Канделаки)
Член Комитета (Д. Вардзиели)
Зав. Главнаукой (Вук. Беридзе)».

საქართველოს მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა შექმნილ მდგომარეობას. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ საგანგებო დადგენილება მიიღო საეკლესიო განძეულობის გამოყენების წესის შესახებ. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ამ დადგენილების მოტანა:

„დადგენილება № 115

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი

საეკლესიო განძეულობის გამოყენების წესის შესახებ

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დახურული ეკლესიების მთელი საეკლესიო ქონება არის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობაში.

2. ამ ქონების ის საეკლესიო განძეულობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს დაცულ უნდა იქნას სახალხო განათლების კომისარიატის სამუზეუმო დაწესებულებათათვის გადასაცემად (ხიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ 1923 წლის აპრილის 17-ს თარიღითა და 232 ნომრით გამოცემული ინსტრუქცია).

3. დანარჩენი საეკლესიო განძეული (ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები), რომელსაც მეორე მუხლში აღნიშნული მნიშვნელობა არა აქვს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ თვითეული შემთხვევაში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით საკულტურო-საგანმანათლებლო მიზნებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი სამეურნეო

საჭიროებისათვის, უმთავრესად კი ადგილობრივი გლეხობის საჭიროებისათვის.

4. ყველა სხვა საეკლესიო ქონებას, რაც საჭიროა ღვთისმსახურებისათვის, შეინახავენ აღმასრულებელი კომიტეტები და ეს ქონება შეიძლება გადაეცეს — ადგილობრივ მცხოვრებთ რელიგიური საზოგადოების სახით — იმ წესის თანახმად, რაც განსაზღვრულია იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ რელიგიურ საზოგადოებათა შესახებ გამოცემულ ინსტრუქციაში (გაზ. „კომუნისტი“ № 222, 1923 წ. სექტემბრის 23).

ს. ს. ს. რ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯ. მოადგ. — ა. გეგეჭკორი
სახ. კომ. საბჭოს მდივანი — ა. სალარიძე.
1923 წ. ნოემბრის 23.
ტფილისი — სასახლე“.

ხელმძღვანელი ორგანოებისა და მოწინავე საზოგადოებრიობის მცდელობამ თავისი დადებითი შედეგი გამოიღო. განათლების სახალხო კომისარიატის მეცნიერებათა მთავარმა სამმართველომ მხტერული და ისტორიული ძეგლების გადასარჩენად სასწრაფოდ შეადგინა ბრიგადები და მიაელინა რაიონებში. ამ ღონისძიებამ მეტად მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. მთელ რიგ რაიონებში შეარჩიეს ქართული ხელოვნების ნიმუშები, რომელთა გარკვეული ნაწილი თბილისში იქნა ჩამოტანილი. მეცნიერებათა მთავარი სამმართველოს განკარგულებაში ამ გზით ძვირფასი სამუზეუმო ქონება აღმოჩნდა. ქართველი საზოგადოებრიობის წინაშე ადრეც დასმულა საკითხი ძველი ხელოვნების სპეციალური მუზეუმის შექმნის შესახებ, მაგრამ წინ ყოველთვის უბინაობა ელობებოდა, ამჯერად მწვავედ დადგა მუზეუმის დაარსების საკითხი, რადგან მეცნიერების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში მყოფი პირველხარისხოვანი მხატვრული მნიშვნელობის მასალა დაბინავებას მოითხოვდა. 1924 წლის აპრილში საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს სხდომაზე დაისვა ეს საკითხი. ივ. ჯავახიშვილმა (იგი იმხანად უნივერსიტეტის რექტორი და საისტორიო-საეთნოგრფიო საზოგადოების თავმჯდომარე იყო) ამ საკითხს პრაქტიკული გადაწყვეტა მოუნახა: უნივერსიტეტის ეზოში მოთავსებული ეკლესია, რომელიც სხვადასხვა სამეურნეო საქონლის საწყობს

წარმოადგენდა, უნდა გაეთავისუფლებიათ და გადაეცათ ხელოვნების კაბინეტისათვის, ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის შესაქმნელად. აკად. გ. ჩუბინაშვილი იგონებს: „ეს წინადადება იმდენად სადად, სწრაფად და უსიტყვოდ იყო მიღებული, რომ სხდომის ოქმშიაც კი არ შეუტანიათ. ამ აზრს მხარი დაუჭირა მეცნიერების მთავარმა სამმართველომაც, რომელმაც თბილისში ჩამოტანილი და ჩამოსატანი სიძველენი გაამწესა ივანე ჯავახიშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯით საძირკველჩაყრილი მუზეუმისათვის“[1]. სამუზეუმო სადგომის განტვირთვა, გასუფთავება-შეკეთება და დარბაზის მომზადება ექსპოზიციისათვის ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ივ. ჯავახიშვილი ყველა ამ საკითხს მხარს უჭერდა და პრაქტიკულად წყვეტდა. ასე შეიქმნა ივ. ჯავახიშვილის თაოსნობითა და დახმარებით უნივერსიტეტში ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი[2].

ივ. ჯავახიშვილი ყოველთვის გასაოცარი გულისხმიერებით ეპყრობოდა მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს. იგი არაერთგზის ამახვილებდა მთავრობის ყურადღებას ხელოვნების ძეგლების დაცვის ორგანიზაციის მოწესრიგებაზე. საქართველოს ცაკ-თან მაშინ არსებულმა ქართული კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტმა, საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის მითითებით, როცა თხოვნით მიმართა სრულიად საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, ივ. ჯავახიშვილმა პირველმა მოაწერა ხელი მოხსენებით ბარათს. ამ მოხსენებითი ბარათის განხილვის შემდეგ სრულიად საკავშირო სახკომსაბჭომ საქართველოს ძველი კულტურის ძეგლების რესტავრაციისათვის ხუთი მილიონი მანეთი გამოჰყო. აღნიშნულის წყალობით საქართველოში დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა და წარსულის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ივ. ჯავახიშვილი, ქართული ხელოვნების ძეგლების დაცვა-შესწავლასთან ერთად, არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა გამოფენების

---

[1] გ. ჩუბინაშვილი, აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის, ენიმკის მოამბე, XII, თბ., 1942, გვ. 274.


[2] ხელოვნების მუზეუმი. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთების გამო, თავისი ბინიდან გამოიყვანეს და რამოდენიმე წლის მანძილზე საქართველოს მუზეუმს შეეკედლა. ამ მუზეუმმა სხვა სამუზეუმო ქონებასთან ერთად საფუძველი დაუდო ხელოვნების მუზეუმს „მეტეხს“, ხოლო 1941 წელს მის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი.

ორგანიზებასა დ სამუზეუმო ექსპოზიციების მოწყობას. მეცნიერი ძალზედ დაინტერესდა ქართული ხუროთმოძღვრული ისტორიული მასალების მოკლევადიანი გამოფენებით (პირველი გამოფენა მოეწყო 1923 წელს საქართველოს მუზეუმის შენობის ახალდამთავრებულ შენობაში, მეორე — 1925 წელს მაშინდელი სამხატვრო აკადემიის საკლუბო დარბაზში). იგი უდიდესი მხარდაჭერით შეხვდა 1930 წელს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ საზღვარგარეთ მოწყობილ საშუალო საუკუნეების ქართული ხელოვნების გამოფენას.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ივ. ჯავახიშვილის თავგამოდებული, აქტიური მონაწილეობა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის მოწყობაში. „ბატონი ივანე თავგამოდებით იცავდა სპეციალური ძიებებით გაძლიერებულ ქართული ხელოვნების, როგორც მთელი გამოფენის დამოუკიდებელი განყოფილების, ფართოდ ჩვენების აუცილებლობას, ივანე ჯავახიშვილმა უშუალო პირადი ხელმძღვანელობა გაუწია შოთა რუსთაველის ეპოქის საქართველოს მატერიალური კულტურისა და ყოფა-ცხოვრების განყოფილების ორგანიზაციას. აქ შეეძლო თვალყური ედევნებია კაცს, თუ როგორი გარკვეულობით ამუშავებდა იგი განყოფილების შინაარსის მთელ გეგმას, მისი აგების რამდენიმე ვარიანტს შორის თუ როგორი გეგმაშეწონილობით შეჩერდა განხორციელებულზე და როგორ მისცა მას ის მხატვრული გაფორმება, რომელიც შოთა რუსთაველის ეპოქის ამ განყოფილებამ მიიღო. იგი ნათლად ხელმძღვანელობდა, მიმართავდა ან უარყოფდა მისთვის მიუღებელ წინადადებებს ავადმყოფობის დროსაც კი, როცა ლოგინში იწვა... მე ვიგონებ ამ სამუშაოს იმიტომ, რომ ამ კერძო შემთხვევაშიც მთელი სისრულით თავი იჩინა ადამიანმა, რომელსაც სამუზეუმო ექსპოზიციის შინაარსზე და მოთხოვნაზე თავისი გარკვეული, მკაფიო და სწორი შეხედულება ჰქონდა“[1].

იბრძოდა რა შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენის მაღალ დონეზე ორგანიზებისათვის, ივ. ჯავახიშვილმა 1937 წლის 28 ივლისს მიმართა მთავარ საიუბილეო კომიტეტს, რათა გამოფენის აუცილებელი საჭიროებისათვის დაებრუნებინათ რუსეთის მუზეუმებში დაცული ქართული ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები, რომლებიც სხვადასხვა დროს იყო გატანილი საქართველოდან.

[1] გ. ჩუბინაშვილი, დასახ. მოგონება, გვ. 276.



ივ. ჯავახიშვილი საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის სას.





ივ. ჯავახიშვილის ძეგლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში (მოქანდაკე თ. ღვინიაშვილი, არქიტ. კ. ნახუცრიშვილი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უმალ დაიწყო ზრუნვა გატანილი ნივთებისა და საარქივო მასალების რეევაკუაციისათვის[1]. ეს მუშაობა საკმაოდ წარმატებით ჩატარდა და 1923 წლის მიწურულისათვის მასალა უკვე საქართველოში იყო დაბინავებული. მოვიყვანთ ერთ საბუთს საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის საარქივო მასალიდან:

„სახალხო კომისართა საბჭოს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს სიძველეთა რეევაკუაცია მოსკოვისა და პეტრეს ქალაქიდან უკვე დამთავრდა: ყველა განძი ჩამოტანილია ტფილისში და დაცული სათანადო დაწესებულებებში.

თანახმად საქართველოს და რუსეთის შეერთებულ კომისიის დადგენილებისა, ახლავე საჭიროა ზოგიერთ ძეირფას სელნაწერის (უნიკუმის) გადაღება ფოტოგრაფიულად როგორც აქ ტფილისში, ისე აგრეთვე პეტრეს ქალაქში და მოსკოვში; ამ ფოტოგრაფიებმა უნდა გასწიონ ორიგინალის მაგიერობა რუსეთის სავანძურებში იმ შემთხვევაში თუ ორიგინალი ჩვენ გადმოგვეცა და პირიქით, ჩვენ უნდა ვისარგებლოთ იმ ფოტოგრაფიული ხელნაწერით, რომლის ორიგინალი რუსეთში დაეტოვეთ.

ამით შესანიშნავად ტარდება ცხოვრებაში რუსეთის მეცნიერთა სურვილი, რათა საშუალება ჰქონოდათ კელავ განეგრძოთ სამეცნიერო მუშაობა ქართულ მეტყველების დარგში.

გარდა ზემოხსენებულისა, საქართველოში ჩამოსატანია კიდევ ლივადიასა, ნიჟნაში, ასტრახანში და უკრაინის რესპუბლიკაში მრავლად დაცული ფასდაუდებელ ღირებულების განძები (უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოსაგან სათანადო თანხმობა უკვე გვაქვს). ყველაფერს ამას და საზოგადოდ რეევაკუაციის საბოლოოდ დამთავრებას დასჭირდება არა ნაკლებ 500 ჩერვონცისა.

გაუწყებთ რა ზემოაღნიშნულს, გთხოვთ სათანადო დადგენილებას.

განათლების სახალხო კომისარი (დ. კანდელაკი)
სამეც. დაწ. მთაეარმმართველობის გამგე (ვ. ბერიძე)"[2].

დოკუმენტი დათარიღებულია 1923 წლის 19 სექტემბრით. ქართული სიძველეების რეევაკუაცია უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი სრულად მაინც ვერ განხორციელდა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ბევრი დოკუმენტის მიკვლევა გაჭირდა და შემდგომშიც გრძელდებოდა მათი ძებნა და ჩამოტა-

[1] შ. ამირანაშვილი, საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1969.

[2] დოკუმენტი დაცულია ქსე-ს არქივში.

ნისათვის ზრუნვა. საარქივო მთავარსამმართველოს გამგე სარგის კაკაბაძე 1923 წლის 13 ოქტომბერს განათლების სახალხო კომისარს ატყობინებდა, რომ მოსკოვში, ყოფილ ლაზარევის ინსტიტუტში, განსვენებული ალექსანდრე ხახანაშვილის არქივში დაცული ყოფილა შემდეგი ქართული საბუთები: 1) ბიჭვინთის საკათალიკოსო ტყავის დიდი გრაგნილი ბაგრატ მეფის დროს მიცემული (XVI ს.), 2) წილკნელის ეპისკოპოსის განჩინება მთიულეთის შესახებ, ქაღალდის დიდი გრაგნილი (XVIII ს.), 3) ნიქოზის ეკლესიის საბუთი, წერილი ანტონ კათალიკოსისა ფავლენიშვილებისადმი, 4) შეწირულების წიგნი და სიგელი დაწერილი ქორონიკონს 293 (სუგ) და დამტკიცებული 321 ქორონიკონს როსტომ მეფის მიერ. 5) ქვათახევის მონასტრის სიგელი ტყავისა დაწერილი 100 ქორონიკონს № 51, 6) ნასყიდობის სიგელი ავთანდილ ჯავახიშვილისა მაღალაშვილისადმი 1721 წლისა. „ეს საბუთები — აღნიშნავს ს. კაკაბაძე — გატანილი ჰქონდა არქივებიდან ნათხოვრობით ბეჭდვის დროს. პირველი სამი საბუთი დაბეჭდილი აქვს თვითონ ხახანაშვილს თავისს „გუჯრებში“ ქუთაისი 1891 წ. დანარჩენი საბუთები აგრეთვე ტფილისის არქივებიდან არის გატანილი“[1]. საარქივო სამმართველო მოითხოვდა, რომ ეს დოკუმენტები გამოთხოვილიყო და მოთავსებულიყო ცენტრარქივში, როგორც მისი კუთვნილება. როგორც ჩანს, ქართული სიძველეების ძიება-მოპოვებისა და ჩამოტანის პროცესი დიდხანს გრძელდებოდა. ამის დამადასტურებელია ივ. ჯავახიშვილის ზემოხსენებული მიმართვა, რომელიც გვაუწყებს, რომ 1937 წლისთვისაც ბევრი მასალა ჯერ კიდევ დაუბინავებელი იყო. მეცნიერი ხელმძღვანელობდა შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენის ისტორიულ სექტორს და აუცილებლად მიიჩნევდა XI—XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურის წარმოსადგენად ჩამოტანილიყო: 1) X—XIII სს. ოქროქსოვილების 10 ნაჭერი სვანეთიდან, 1895 წ. ცნობილი არქეოლოგის გრაფი უვაროვის ცოლის მიერ გატანილი, 2) ფოლადის ოქროს ზარნიშიანი მუზარადი (ივ. ჯავახიშვილის მიხედვით დაცული იყო Оружейная палата-ში, რომლის შესახებ ამ მუზეუმის აღწერილობაში ნათქვამია, რომ იგი საქართველოს მეფეს უნდა ჰკუთვნებოდა). 3) მანგლელი ეპისკოპოსის მიტრა XIII საუკუნის, რუსუდან მეფის

---

[1] საარქივო სამმართველოს მიმართვა განათლების სახალხო კომისრისადმი. დაცულია განათლების სახალხო კომისარიატის მასალებში ქსე-ს არქივში.

დროის (გატანილი თბილისის სიონის ტაძრიდან და მოსკოვის Успенский собор-ში დაცული), 4. სამსჭვალის სასვენებელი (ე. ი. ბუდე) ოქროსი ძვირფასი თვლებითა და მინანქრით შეკული XIII ს., რომელსაც ქართული ასომთავრული წარწერა ჰქონდა: „მეფე ყოვლისა საქართველოისა დავით ძე რუსუდანისა აღმშენებელი წმიდისა სამსჭვლისა სასვენებლისა ამის“ (ეს ნივთი ჯერ მოსკოვის Успенский собор-ში ინახებოდა, 1920 წლიდან Воздвиженка-ს ეკლესიაში გადაუტანიათ, რომლის გაუქმების შემდეგ, 1931 წლიდან, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, საჭურვლის პალატაში უნდა იყოს დაცული).

ივ. ჯავახიშვილს მის მიერ წამოყენებული წინადადებების დასაბუთებისა და განმტკიცებისათვის მოჰყავს სათანადო წყაროებიდან ამოღებული ამონაწერები. «Графиня Уварова-ს «Материалы по Археологии Кавказа»-ს მე-10 წიგნში ნათქვამი აქვს: «Интереснейшая же находка, сделанная нами в Сванетии, представляется под видом остатков (к сожалению, в ужасающем виде) шелковых тканей, явно восточного происхождения. Ткани, подобные найденным, могли бы считаться редкостью даже на Западе, умеющем сохранять более тщательно памятники старины... состоят эти образцы из двух различных родов тканей и четырех различных рисунков. К первому роду принадлежат три куска (стр. 154—155), второй род ткани, имеющийся в нашем собрании в количестве 7 образцов (გვ. 156). 159 გვერდზე ის სვანეთიდან გატანილ ამ ქსოვილების 10 ნაჭერს თავის კერძო კოლექციის საკუთრებად თვლის. ავტორის სიკვდილის შემდეგ საქართველოდან გატანილი ეს ქსოვილები, მის კოლექციასთან ერთად, ალბათ მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში იქნება დაცული.

1860 წელს მოსკოვში დაბეჭდილ წიგნში „Московская оружейная палата“, რომლის ავტორია ა. ველტმანი, გვ. 231-ზე დაბეჭდილია: «В. К. Александра Ярославична Невского шлем или шапка епихонская красного железа с наушниками и баршицей, состоящей из 7 щитков, богато насеченной золотом. По изображению корон и над ними крестов первоначально принадлежал которому-нибудь из древних царей Грузии»[1].

---

[1] ივანე ჯავახიშვილის მიმართვა შოთა რუსთაველის მთავარ საიუბილეო კომიტეტისადმი (1937 წლის 28 ივლისი). ცსა (თბ.), ფონდი რ—570, საქ. 3. ფურ. 85—86; იხ. საისტორიო მოამბე. 21—22, თბ., 1967 წ. გვ. 491—492.

ასე თავდადებით იბრძოდა ივ. ჯავახიშვილი საქართველოდან სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირთა მიერ გატანილი მატერიალური კულტურის უძვირფასესი ძეგლების უკან დასაბრუნებლად.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის აღსანიშნავ საიუბილეო კრებულში[1] ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ გამოფენაზე „უნდა წარმოდგენილი ყოფილიყო იმდროინდელ საქართველოს მაღალი კულტურის დონე, როგორც მეურნეობაში, ისევე ყოფაცხოვრებაშიაც. ეს ამოცანა მეტად პასუხსაგებსა და ძნელად ასასრულებელს დავალებას წარმოადგენდა, რადგან საქართველოს წარსული, მეურნეობისა და მეტადრე მატერიალური კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, თითქმის სრულებით შესწავლილი არ იყო“[2]. ივ. ჯავახიშვილს სრულიად კანონიერად მიაჩნდა, რომ ყოველ გამოფენას თავისი დროის კულტურის დონის ექსპონატები შეეფერებოდა. სამწუხაროდ, საქართველოს მუზეუმებს ასეთი მასალა არ გააჩნდა. ამიტომ ყველაფერი, რისი მოპოვებაც მოკლე დროის განმავლობაში მოხერხდებოდა, უნდა შესწავლილიყო და სხვადასხვა დარგების რუსთაველის დროინდელი მასალის შესწავლა-გამომზეურება ცალკეულ მეცნიერებს დაევალათ. პროფ. ლ. დეკაპრელევიჩს შეუსწავლია ორი პრობლემა: „შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის უმთავრესი კულტურები“ და „შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის ზოგიერთი უმთავრესი კულტურის სამეურნეო მნიშვნელობა“; პროფ. ს. ჩოლოყაშვილს დაუმუშაებია „მასალები საქართველოს XII—XIII სს. ვაზის ჯიშის საკითხისათვის“, მ. რჩეულიშვილს — „მასალები ქართული ცხვრის შესწავლისათვის“, დოც. ალ. ლოსაბერიძეს — „საქართველოს ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები“, შ. ხიდაშელს — „სხალტბა-შიომღვიმის 1202 წლის წყალსადენი“ (შესწავლილი იქნა საგანგებო არქეოლოგიური გათხრის წყალობით), ლ. რჩეულიშვილსა და ნ. ჩუბინაშვილს შეუსწავლიათ „XI—XII სს. ხიდი მდინარე ბესლეთზე“, თამარ ლომოურს — „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“ და სხვ.

ყველა ეს მასალა ივ. ჯავახიშვილმა შეკრიბა და ზემოდდასახელებული კრებულის სახით გამოსცა. მეცნიერი ასეთ შეფასებას აძლევდა ამ გამოცემას: „ამ კრებულის ზემოდასახელებულ წერილებს ამო-

---

[1] იხ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1938.

[2] იქვე, გვ. V.

ცანისაცა და განხილული საკითხების ხანის იგივეობაც აერთებს და მკითხველს XI—XIII ს. საქართველოს მატერიალური კულტურის ვითარების გათვალისწინებას ნაწილობრივ მაინც გაუადვილებს... მკითხველი ამ კრებულში მოთავსებული ნაშრომების წაკითხვის შემდეგ საქართველოს წარსულის შესახებ ბევრს სრულებით ახალსა და ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიძენს. პირველი მაგალითია ჩვენში, რომ საქართველოს ისტორია ამ თვალსაზრისით არის განხილული და ერთსა და იმავე დროს მატერიალური კულტურის სხვადასხვა დარგის ვითარების წარმოსადგენად ესოდენ საგულისხმო პრობლემებია გადაშლილი"[1].

1946 წელს, ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდგომ, გამოიცა მეცნიერის მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში)". ამ საკითხის კვლევა ივ. ჯავახიშვილს ჯერ კიდევ პეტერბურგში მოღვაწეობისას დაუწყია და ერთი ნაწილი როგორც უკვე აღვნიშნეთ (Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материльной культуры в древнегрузинской литературе") დაუბეჭდავს[2].

ქართული არქიტექტურის ისტორიის ზოგიერთ საკითხებზე (კერძოდ არქიტექტურის ტერმინოლოგიის შესახებ) მას საჯარო ლექციების წაუკითხავს[3]. ამ პრობლემის ირგვლივ მას 1939 წელსაც წაუკითხავს რამდენიმე ლექცია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებისა და ხუროთმოძღვართათვის. შრომის დასტამბვა კი აღარ დასცალდა მენციერს. ივ. ჯავახიშვილის ლექციები წიგნად[4] გამოსცა ილია აბულაძემ. იგი წინასიტყვაობაში წერს, რომ გამოცემისათვის გამოყენებული იყო, ერთის მხრივ, ავტორის ხელნაწერი ნაშრომი[5], ხოლო, მეორე მხრივ, ლექციების სტენოგრაფიული ჩანაწე-

---

[1] იხ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1938. გვ. VII.

[2] იხ. Христианский Восток, 1914. т. III, вып. I. стр. 17—31.

[3] ლექციების საკმაოდ ვრცელი რეზიუმეები მოთავსებულია „სახალხო გაზეთში", 1913 წ., №№ 797, 800, 801, 802.

[4] იხ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946. გვ. V (ილია აბულაძის წინასიტყვაობა).

[5] ეს ნაშრომი წარმოადგენდა სხვადასხვა დროის ნაწერებს, რომელთა ნაწილი დამუშავებული იყო, ნაწილი კი დაუმუშავებელი (შენიშვნებისა და ამონაწერების სახით).

რები. ილია აბულაძესთან ერთად ტექსტის სასტამბოდ მომზადებაში მონაწილეობდნენ განსვენებული მეცნიერის შვილები ნათელა და ალექსანდრე ჯავახიშვილები.

ქართული საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები (სასახლეები, საცხოვრებელი სახლები და ძველი ნაგებობები) შემორჩენილი არ არის. ივ. ჯავახიშვილი სწორედ ამიტომ მიიჩნევდა, რომ კულტურის ისტორიის შესწავლა ორი მიმართულებით უნდა წარმართულიყო: 1. წერილობითი წყაროების მიხედვით, და 2. ნივთიერი ნაშთების გათვალისწინებით. წერილობითი წყაროები, ბუნებრივია, საშუალებას იძლევიან შეივსოს ის ხარვეზები, რაც საერთო ხუროთმოძღვრების ძველი ძეგლების დაღუპვითაა გამოწვეული. ივ. ჯავახიშვილმა თავი მოუყარა ხელოვნების ძეგლების შესახებ ყველა იმ მასალას, რომელიც იმდროისათვის არსებობდა და საკითხი დიდი მეცნიერული სიზუსტით გააშუქა. მის მიერ ჩატარებულ ამგვარ შრომას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საკითხი პრაქტიკულად შეუსწავლელი იყო და მეცნიერულ ყამირს წარმოადგენდა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროფ. ნ. კონდაკოვის გამოკვლევას ქართული კულტურის ძეგლების შესახებ). ივ. ჯავახიშვილი თავისი გამოკვლევის შესავალში ასეთ შენიშვნას აკეთებს: „კვლევის იმ საფეხურზე, რომელზედაც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით, არაერთი საკითხი რჩება გაურკვეველი. მომავალში მხოლოდ, როდესაც მრავალრიცხოვანი მკვლევარები აიღებენ ამ საგანს თავისი შესწავლის ობიექტად, სულ სხვა მდგომარეობა იქმნება. ამჟამად ჩვენ მხოლოდ იმას გადმოვცემთ, რის გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს და ისიც არასპეციალისტს ამ დარგში. ამ საკითხზე ვმუშაობ და ვმუშაობდი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისტორიკოსმა უნდა იცოდეს წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სინამდვილე, რასაც მარტო სიტყვიერი მასალით ისე კარგად ვერ წარმოადგენს კაცი, როგორც ნივთიერი მასალით“[1].

ივ. ჯავახიშვილის ეს ნაშრომი შვიდი ნაწილისაგან (კარისაგან) შედგება. პ ი რ ვ ე ლ ნ ა წ ი ლ შ ი განხილულია საერთო ნაგებობათა სახეობანი (ა. საშენებელი მასალის მიხედვით, ბ. საცხოვრებელი ადგილები და ნაგებობანი ზოგადად, გ. სასახლეების ტერმინები, დ. სახლის ნაწილების ტერმინები, ე. საერო ნაგებობანი დანიშნულების

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, ა.ბ., 1946. გვ. 1.

მიხედვით, ვ. საცხოვრებელ ნაგებობებთან დაკავშირებული შენობები). მეორე ნაწილი მიძღვნილია ქალაქისა და მისი ნაგებობების დახასიათებისადმი (ა. დამახასიათებელი ნიშნები, ბ. მთავარი ნაგებობანი, გ. სავაჭრო და საზოგადოებრივი ნაგებობანი, დ. გზები და ხიდები). მესამე ნაწილში განხილულია საკულტო ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინები (ა. საკულტო ნაგებობები ზოგადად, ბ. ქრისტიანული საღვთისმსახურო ნაგებობანი, გ. ტაძართა სახეები, დ. მონასტრები და მათი ნაგებობანი, ე. მონასტრების სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი, ვ. საკულტო დანიშნულების სხვა ნაგებობანი). მეოთხე ნაწილში გამოკვლეულია საკულტო ნაგებობათა ნაწილები (ა. სააღმშენებლო ხელოვნების ზოგად ცნებათა ტერმინები, ბ. შენობის ნაწილები, გ. საკულტო ნაგებობათა შინაგანი ნაწილები). მეხუთე ნაწილი მიძღვნილია სასახლის შინაგანი განაწილების საკითხებისადმი (ა. დარბაზი ანუ სამეფო სასახლე, ბ. სახუროთმოძღვრო ამოცანები სასახლის აგების დროს, გ. სასახლის შინაგანი მოკაზმულობა). მეექვსე ნაწილში განხილულია ნაგებობათა მასალა და მშენებლობისათვის განკუთვნილი ტექნიკური საშუალებანი (ა. ხუროთმოძღვრის ამოცანები შენობის ასაგები ადგილის შერჩევისას, ბ. მშენებლობის საქმე, გ. ქვით ხუროობა, დ. ნაგებობის ტექნიკური თვისებების დამახასიათებელი ტერმინები). მეშვიდე ნაწილი ხით ხუროობის საკითხებს ასახავს.

ივ. ჯავახიშვილის ამ გამოკვლევას დართული აქვს დამატებანი:

1. Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материяльной культуры в древнегрузинской литературе.

2. ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ათვისებისა და თანამედროვე ქართული ხელოვნების ამოცანები.

3. ტერმინებისათვის (მოწმობანი).

საკითხები, რომლებიც განსვენებულმა მეცნიერმა გამოიკვლია, მეტად აქტუალური იყო. მანამდე სერიოზულად არავინ დაინტერესებულა ამ პრობლემებით. ყოველი შემთხვევისთვის, ამ დარგში ბევრი კითხვის ნიშანი იყო და სათანადო პასუხს მოითხოვდა.

ივ. ჯავახიშვილმა ფართო ისტორიული მასალის მიმოხილვის საფუძველზე დაასკვნა, რომ საქართველოში გავრცელებული იყო სხვადასხვა მასალისგან აშენებული ნაგებობანი, არსებობდა კლდეებში გამოკვეთილი საცხოვრებელი სახლები და მთელი ქალაქებიც კი. უძ-

ველეს ხანაში ქვაში ნაკვეთი ნაგებობანი ჩანს, შემდეგ — უქვითკირო, ხოლო უფრო გვიან — ქვითკირით აგებული. მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ლეონტი მროველი კლდეში გაბოკვეთილი საცხოვრებლის არსებობას საქართველოშიც გულისხმობს — „...უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას, დასავლით კერძო, კ ლ დ ე თ ა შ ო რ ი ს გ ა მ ო კ უ ე თ ი ლ ი, ღრმა და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ: და ეწოდა მას ადგილსა სარკინე“[1]. ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ კლდეში კაფვა და მუშაობა შემდგომშიც იყო. მისი ცნობით, როდესაც ალექსანდრე მაკედონელისაგან[2] გარშემორტყმულ ს ა რ კ ი ნ ე ს გაუჭირდა, „იწყეს ფარულად კლდესა კაფა და განხურიტეს კლდე იგი, რომელი ლბილ იყო და ადვილად საკურეტელი. და განკრბეს კურელსა მას სარკინელნი ღამე, და შეივლოტეს კავკასად და დაუტევეს ცალიერად ქალაქი“[3]. ივ ჯავახიშვილი საქართველოში კლდეში ნაკვეთი ქალაქების ხნოვანების დადგენისას საგულისხმოდ მიიჩნევს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობას იმის შესახებ, რომ „ციხე დიდი სარკინისა უფლის ციხე“ საქართველოს უძველეს ციხეთა შორის აქვს დასახელებული[4].

ლეონტი მროველის ცნობით, ქვითკირით მშენებლობა საქართველოში სპარსთა მეფის აფრიდონის წარმოგზავნილი არდამ ერისთავის დროს დაწყებულა: „ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღუსკარს და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმნების „დაკშაკარი“. და მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქუთკირითა. და აქამომდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქუთკირისა. და ამის გამო დაისწავლეს ქუთკირი“[5].

თავისი ნაშრომის პირველ ნაწილში ივ. ჯავახიშვილი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, იკვლევს საცხოვრებელ ნაგებობათა სახეებს, მათ სახელწოდებებს, წარმოშობისა და განვითარების საკითხებს.

---

[1] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, 1, თბ., 1955, გვ. 15.

[2] დღესდღეობით დადგენილია, რომ ლეონტი მროველის ცნობა ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობის შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს. იხ. მ. ალექსიშვილი, ალექსანდრე მაკედონელი, თბ., 1950, გვ. 169—187.

[3] ლეონტი მროველი, დასახ. თხზ., გვ. 18.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 5.

[5] ლეონტი მროველი, დასახ. თხზ., გვ. 13.

საცხოვრებელი ადგილის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი ძველად რამდენიმე ყოფილა. სახლს საყოფელი ეწოდებოდა, შემდეგში იგი სამყოფით შეიცვალა[1]. მეცნიერი სხვადასხვა ისტორიული წყაროების საფუძვლიანი შესწავლის შედეგად ასკვნის, რომ „საცხოვრებელ ადგილსა და ნაგებობას საგდომი-ც ეწოდებოდა და სადგური-ც“[2] (გარდამოვიდა მეფე ბაგრატ IV — რ. მ.) ქართლად და ჩადგა დიდგორთა, რამეთუ საზაფხულო მეფეთა სადგომი არს ადგილი იგი“[3]). სადგომი მოხსენებულია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში („სადგომი სამეფო“[4]). იგივე ისტორიკოსთან ვხვდებით სადგურსაც („ყიენჩაყთა... უჩინა საზამთრო სადგური“). რაკი ერთ და იმავე ხანაში ერთი მხრივ გვაქვს სადგომი, ხოლო მეორე მხრივ სადგური ამ ორ ტერმინს შორის განსხვავება უნდა ყოფილიყო. „სადგომი, საფიქრებელია, ადამიანისათვის განკუთვნილს საცხოვრებელს წარმოადგენდა, სადგური კი უფრო ან ცხოველთან დაკავშირებულს, ან საგნებთან დაკავშირებულს, სადაც ან სდგამდნენ რამეს, ან ჰყავდათ საქონელი. ამნაირად, სადგური განსხვავდება სადგომისაგან, თუმცა ეს განსხვავება ზოგიერთ ძეგლებში მთლად არა ჩანს“[5].

ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საცხოვრებელი ადგილისა და ნაგებობის გამოსახატავად უძველეს ძეგლებში ტერმინი ვანი გვხვდება, რომელიც შემდგომში საერთოდ ქრება და ქართულ მწერლობაში აღარა ჩანს. ეს სახელი შემორჩა, როგორც გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი. მეცნიერი შენიშნავს, რომ საქართველოში ცნობილი იყო სოფლები, რომელთაც ვანი ეწოდებოდა. არსებობდა ქალაქი ვანი — ხალდების დედაქალაქი. გარდა ამისა მთელ ქვეყანას ეწოდებოდა შარვანი (ვანი საცხოვრებელი ადგილის აღმნიშვნელია, შარ კი იმ ტომის სახელია, რომელიც აქ მოსახლეობდა). ვანის „ცოცხალი არსებობისა და გავრცელების ხანა უკვე მეექვსე და მეშვიდე საუკუნეებს აღარ სცილდება და ამაზე უწინარეს ყოფილა იგი ქართლში გაბატონებული“[6].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

[2] იქვე.

[3] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955. გვ. 310.

[4] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება. I, თბ., 1955, გვ. 324.

[5] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

[6] იქვე, გვ. 8

აღნიშნულ ხანაში გვხვდება სახლიც. სახლი უფრო ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე ვანი. ვანი მხოლოდ ბინის ე. ი. ნივთიერი ნაგებობის აღმნიშვნელი იყო. სახლი კი გულისხმობდა როგორც თვით ნაგებობას, ისე ნაგებობაში მცხოვრებ მოსახლეობას, ოჯახს და საგვარეულოსაც კი[1].

სახლი შემადგენლობის მიხედვით რთული კონსტრუქციისა იყო (შინაგანი სახლი, შუა სახლი, ალაყაფის შუა სახლი, ალაყაფის აივნის შუა სახლი, ახალი სასახლე და სხვ.). სახლები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ დანიშნულების მიხედვით (სახლი სადედოფლო, სახლი სამეფო, სახლი სალხინო, საქვრივო სახლი, სამდივნო სახლი). მეხუთე საუკუნის ქართულ ძეგლებში ნაგებობის გარკვეული სახეობის აღსანიშნავად იხმარება — ტაძარი. ტაძარი წარჩინებული მოხელის სახლს ეწოდებოდა. VIII, IX, X საუკუნეების ძეგლებშიც აზნაურთა სასახლეებს ტაძარი ეწოდებოდა. შემდგომში ტაძარი კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას და XI—XII საუკუნეებში უკვე საეკლესიო ნაგებობას აღნიშნავს[2].

XI—XII საუკუნეებში სახლის აღსანიშნავად პალატი იხმარება, მაგრამ, ამავე დროს, მეორე ტერმინიც მოიპოვება — დარბაზი[3], რომელმაც შემდგომში პალატი განდევნა.

ივ. ჯავახიშვილმა ცალკე გამოჰყო და შეისწავლა სახლის ნაწილების ტერმინები. შენობის იმ ნაწილს, რომელიც მეორე სართულად (ზოგჯერ — მესამე და მეოთხე) იყო აგებული, ქორი — ეწოდებოდა. მისი აგებულება განსხვავდებოდა იმ სართულის აგებულებისგან, რომელზეც იგი იდგა. არსებული ეთნოგრაფიული ცნობებით, ქორი სააღმშენებლო ტერმინად აღარსად ჩანს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მისი ანარეკლი თუშური სახლის სახურავის საყრდნობის ქორბელას სახელის პირველ ნაწილშია[4].

სახლი შედგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან: საჯდომი ოთახი, საწოლი, საკუჭნაო, სალარო, სამზარეულო, მარანი. ივ. ჯავახიშვილს მოაქვს არქანჯელო ლამ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

[2] იქვე, გვ. 13.

[3] დარბაზი სპარსული სიტყვაა და კარს ნიშნავს (დერვაზ-კარი). ქართულში სასახლის მნიშვნელობა მიიღო. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა სპარსული სიტყვა ტაძარი და ბერძნულ-ლათინური ტერმინი პალატი. თვით ტერმინი სასახლე XIV—XV სს-დან ჩანს.

[4] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

ბერტის ცნობა იმის შესახებ, რომ სამეგრელოში თითოეულ, ცოტად თუ ბევრად შეძლებულ მოსახლეს, ერთი სახლის მაგიერ რამოდენიმე სახლი აქვს. ერთში თვითონ იდგნენ, სტუმრისთვის კი ცალკე სახლი იყო. ეს ცნობა XVII საუკუნის სამეგრელოს შეეხება, მაგრამ შეცნიერი არკვევს, რომ ადრეც ამგვარად უნდა ყოფილიყო (რასაკვირველია, მოსახლეობის შეძლებულ ნაწილში).

სახლის ასაშენებლად სხვადასხვა მასალა გამოიყენებოდა (ქვა, კირი, მუხა, ნაძვი და სხვ.). ნიკორწმინდელი თავის „დაწერილში“ ამბობს: „ნიკოლაოს — წმიდას შევქმენ სახლი. ქვითკირი: ა: და ზედა სახლი მუხისაჲ... შევქმენ სახლი მუხისაჲ: ა: და ზედა სახლი ქორედიანი და სესიანი :ა:, — სხუა სახლი შვქმენ ცილოფისა და მუხისაჲ“[1]

საყურადღებოა ტერმინი ჭიშკარი („შევქმენ ჭიშკარი ბოსელქორედიანი: ა“), რომელიც წარმომდგარი არის ბჭის კარიდან (ბჭე დიდ კარს ნიშნავს). არსებობდა ჯარგვალი და ხერხული. ჯარგვალი (ჯარგვალი — მეგრულად მრგვალი ხე) ისეთი ნაგებობა იყო, რომელიც მრგვალი ხეებით იყო აგებული. ხერხული — გახერხილი ხეებისგან აგებული შენობაა. „ზნაკუას შევქმენ სასაწნახლო ქვითკირი ა, და შიგანყურძნისა საწნეხი ბ, და შეშისა საწნეხელი ა, ქვითკირი ბოსელი ა, და ზედა ხერხული ბელელი ა, ქვითკირი ფარეხი ა, და ზედა ქორეთი სახლი ა“[2]. როგორც ჩანს, ნიკორწმინდელს ქვითკირის ბოსელი უშენებია და ზედ დაუდგამს გახერხილი ხეებისგან აგებული (ხერხული) ბოსელი.

XII საუკუნეში სასტუმროს აღმნიშვნელად იხმარება ტერმინი ფუნდუკი. ფუნდუკი (ბერძნულიდან მოდის: το πανδοχετον „პანდოქეონ“ — სასტუმრო სახლი) ნიშნავდა ქარვასლის მსგავს ნაგებობას, რომლებშიც მგზავრებს შეეძლოთ თავშესაფარი ეშოვათ და თან საქონელიც დაეყენებინათ.

ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია საცხოვრებელ ნაგებობებთან დაკავშირებული შენობები (აბანო, საჯინიბო, ბოსელი, ფარეხი)[3], შემდეგ დაწვრილებით შეჩერდა ქალაქის დამახასიათებელ ნიშნებსა და მის ნაგებობებზე. საქალაქო ცხოვრების განვითარებასთან ერთად, ბუნებრივია, ვითარდებოდა ქალაქის ნაგებობათა მშენებ-

---

[1] ნიკორწმინდის ადგილარი, ქართული სამართლის ძეგლები (პროფ. ი. დოლიძის რედაქციით). III. თბ., 1970. გვ. 28.

[2] იქვე.

[3] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 29,—31.

ლობის საქმე. ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ უკვე პირველ საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე საქალაქო დაწესებულებანი და მათი ნაგებობანი საქართველოში მაღალ დონეზე იყო. საყურადღებოა თვით ტერმინი ქალაქი. ამ სიტყვის ეტიმოლოგია გარკვეული არ არის. ნიკო მარმა წამოაყენა დებულება, რომ ასურულ ქარქა-სთანაა დაკავშირებული, მაგრამ შემდეგ თვითონვე უარყო ეს აზრი და ფიქრობდა, რომ სიტყვა „ქალაქი“ ნასესხები არ უნდა იყოსო. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ „ამ საკითხის გადაწყვეტა ძნელდება, რადგან ეტიმოლოგია არც პირველსა და არც მეორე შემთხვევაში მაინცდამაინც ისეთი დამაჯერებელი არ არის, რომ დანამდვილებით რისამე თქმა შეიძლებოდეს. არც ასურულში მოეპოვება მას თავისი ეტიმოლოგია და ჯერჯერობით არც ქართულში უჩანს სრულებით დამაჯერებელი ეტიმოლოგია“[1]. რეალური მნიშვნელობა იმისა, თუ რას გულისხმობდა ქალაქი, საკმაოდ საფუძვლიანად გაარკვია ივ. ჯავახიშვილმა. მან შეისწავლა წყაროები, სადაც მინიშნებული იყო იმის შესახებ, თუ როგორ დასახლებულ ადგილს ეწოდებოდა ქალაქი, რა-ატრიბუტებით განსხვავდება იგი სოფლისგან. მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა ატენის სიონის 1060-68 წ. წარწერაზე. წარწერა გვამცნობს: „მე... ატენისა ციხისთავმან ავაგენ სახლნი და ქოლბაგი მას ჟამსა, ოდეს... მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს... მირიანს პატრონსა ჩემსა, სეფესა ზუარსა შიდა ქალაქისა შენებაჲ... ვითა სწადდა მეფობასა მათსა, ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი. შეგვწყალნა მეფობამან მათმან: სასახლენი ადგილნი და საქოლბაგენი მკჳდრად ნებიერობით გჳბოძნა მირიანს და ყმათა მისთა, რომელთაცა შენებაჲ შეეძლო. მე ავაგე სახლი და ქოლბაგი და შევწირე წმიდასა სიონსა ატენისსა“. ამ წარწერიდან გამომდინარე ივ. ჯავახიშვილი ასკვნიდა, რომ „ქალაქის შენება ანუ დაბის ქალაქად ქცევა, მარტო სტიქიური და ბუნებრივი, თანდათანი ზრდის შედეგი კი არ იყო ხოლმე, არამედ შესაძლებელია ქალაქი ერთდროულადაც, მთავრობის განკარგულებით, მეფის ბრძანებითაც ყოფილიყო შექმნილი. ამასთანავე ზოგი ქალაქი, შესაძლებელია, იმდენად მომცრო ყოფილიყო, რომ სეფე-ზვრის ფართობზეც კი დატეულიყო“[2].

ქალაქისთვის მხოლოდ სახლების მშენებლობა არ იყო დამახასიათებელი. არსებითი აქ ქულბაქების მშენებლობაა. ქულბაქი (სპარ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 34.
[2] იქვე, გვ. 34.

სულია, ქულბეჰ — სავაჭრო ადგილი, დუქანი) X–XI საუკუნიდან ევხვდება. ატენის ქალაქად გადასაქცევად სწორედ ქულბაქები ააგეს. ქალაქს, ბუნებრივია, სათანადო ნაგებობები უნდა ჰქონოდა. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ იქ ქალაქის დარბაზი უნდა ყოფილიყო, ასევე ქალაქის მოხელეთათვის განკუთვნილი შენობებიც. ქალაქში საქონლის შემოტანისა და გატანის დროს ბაჟის გადახდევინების მიზნით საბაჟო არსებობდა. იყო აგრეთვე საკოშრე დაწესებულება, სადაც სახელმწიფო სასწორით გასაყიდ სხვადასხვა საქონელს სწონიდნენ[1].

XVII–XVIII სს-ში საკოშრეს მაგიერ ტერმინად საყაფნო შემოვიდა, ქულბაქის მაგიერ კი დუქანი.

ივ. ჯავახიშვილი მიმოიხილავს ყველა იმ ძირითად ატრიბუტებს, რომელიც ქალაქისთვის იყო განმსაზღვრელი (უბნები, ქუჩები, ციხე-გალავნები, შესასვლელ-გამოსასვლელი კარები, ბაზრები, მოედნები, ხიდები, წისქვილები, სახელოსნოები, საპატიმროები, სასტუმროები და სხვ.). „ჩვენ მართლაც შეგვიძლია — ამბობს ივ. ჯავახიშვილი — ეხლავე აპრიორულად გადავწყვიტოთ, რომ უბნების (მხედველობაშია ქალაქის უბნები — რ. მ.) დანაწილება და სახელები, მარტო ცარიელ სახელებად არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული, არამედ თავისებურება უნდა ჰქონოდა ნაგებობის მიხედვით, თუნდაც რომ მარტო სამლოცველო ავიღოთ, ქრისტიანთა უბანში ეკლესია იქნებოდა, ებრაელთა უბანში ბაგინი იქნებოდა, მოგვთა უბანში საგზებელი იქნებოდა, — განსაზღვრული ნაგებობანი, რომლებიც გარკვეულ ხუროთმოძღვრულ თავისებურებას მიანიჭებდა თითოეულ ამ უბანს“[2].

მეცნიერი თავისი შრომის მესამე ნაწილში საგანგებოდ მიმოიხილავს საკულტო ნაგებობებს. სხვადასხვა სარწმუნოებამ, რომელმაც გავრცელება ჰპოვა საქართველოში, თავისი დაღი დაასვა საკულტო ნაგებობებს (ამ დარგის საამშენებლო ხელოვნებას). ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ სამლოცველოთა აღსანიშნავად ქრისტიანობის ხანაში სამი სხვადასხვა წარმოშობის ტერმინი არსებობდა: ბაგინი, ეკლესია და ტაძარი. მეცნიერი ღრმა დაკვირვების შემდგომ ასკვნიდა, რომ „იმ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში, რომელიც ჩვენში გაჩნდა, უეჭველად წარმართული ხანის ხუროთმოძღვრების წვლილი უნდა

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

[2] იქვე, გვ. 38.

იყოს შეტანილი. სხვაგანაც ასე იყო, ყველგან წარმართობამ უანდერძა ქრისტიანობას ის ხუროთმოძღვრება, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანას ჰქონდა ქრისტიანობამდე"[1].

მეცნიერი დეტალურად მიმოიხილავს ქრისტიანულ საკულტო ნაგებობებს (ტაძრები, მონასტრები და სხვ.), ადგენს მათ დანიშნულებასა და წარმოშობას. იგი არკვევს, რომ ეკლესია და საყდარი წინათ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან დანიშნულების მიხედვით. ეკლესია საღვთისმსახურო ტაძრის ზოგადი სახელი იყო, საყდარი კი ისეთი ეკლესია, რომელიც ეპისკოპოსის ან ქორეპისკოპოსის საჯდომად ითვლებოდა[2]. ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს, რომ XIV საუკუნიდან საყდარი და ეკლესია ერთი და იგივე მნიშვნელობისა არიან.

საკულტო ნაგებობანი (ეკლესიები, ტაძრები) ერთმანეთისაგან გეგმით განირჩევიან. ქრისტიანობის პირველი ხანის შენობები შენახული არ არის. წყაროებიდან დგინდება, რომ მარტო აღმოსავლეთ საქართველოში 35 საეპისკოპოსო (ბუნებრივია ამდენივე ტაძარიც) იყო. გავრცელებული ჩანს „ჯვრის" ტიპის ნაგებობები. განთქმული ყოფილა „მცხეთის ჯუარი" და „მანგლისის ჯუარი". „ჯუარი მცხეთისაჲ" ლიტერატურულ ძეგლებშიაცაა მოხსენებული. ჯუარი საყდრებს ტაძრის გეგმის შესაბამისად ეწოდებათ. ჯვარი, როგორც ივ. ჯავახიშვილი ადგენს, ძველი ტერმინია და წარმართულ სარწმუნოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. იგი იმდენად გავრცელებული ყოფილა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაშიც შესულა (ოსები სამლოცველოს ძუარს უწოდებენ).

ჯვრის გეგმის ნაგებობებს[3] გარდა საქართველოში გავრცელებუ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

[2] იქვე, გვ. 75.

[3] ჯვრის ტიპის საკულტო ნაგებობების შესახებ საქართველოში იხ. Чубинашвили Г. Н., Памятники типа Джвари. Тб., 1949; გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1955; ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955, გვ. 38—42. Д. М. Мшвениерадзе, Строительное искусство в древней Грузии, Тб., 1959, გვ. 54—62. საკითხის ირგვლივ არსებული კამათის შესახებ ფრიად მნიშვნელოვანი წერილი გამოაქვეყნა ახალ. ვ. ბერიძემ. იხ. მისი Письмо в редакцию журнала „Мацне" (еще раз о храме Джвари, о взаимоотношениях грузинской и армянской архитектур и некоторых статьях, касающихся этих вопросов), მაცნე, თბ., 1970, № 6, გვ.

ლი იყო ეკლესიების სიონად აშენება. ეს სიტყვაც გეგმის განსაკუთრებული სახის დამახასიათებელი სახელია. სიონი ბაზილიკას ნიშნავდა.

ივ. ჯავახიშვილი ახასიათებს სამონასტრო ნაგებობებს ტიპების მიხედვით. მეცნიერი აუცილებელ ამოცანად სახავდა ყველა იმ სახე-

---

287—294. აქვე მიზანშეწონილად გვეჩვენება მოვიყვანოთ აწ განსვენებული აკადემიკოსის გიორგი ჩუბინაშვილის წერილი სამეცნიერო დაწერსებულებათა მთავარი სამმართველოსადმი. აღნიშნული წერილი ჩვენ მიეკვლიეთ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საარქივო მასალებში. იგი დათარიღებულია 1923 წლის 12 ოქტომბრით. ვფიქრობთ მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ამ წერილის სრული სახით გაცნობა (ავტორის სტილის დაცვით):

«В Главное Управление Научными Учреждениями.

Мои научные разыскания в области истории грузинской архитектуры, производимыя по определенному систематическому плану, дали мне возможность научно обработать целый ряд групп памятников древней купольной архитектуры Грузии (в частности 5—6 вв.). Среди них особенно большое значение имеют храмы типа Мцхетского Креста, каковыми в Грузии являются еще Атенский сион, ст. Шуамта и выдающийся кафедральный храм в Мартвили; последний памятник научно обследован с производством обмеров летом текущего года, остальные раньше. Памятники этого же типа имеются в Армении (таковы Рипсиме, Аван, Таргманчац-ванн и др.), при чем в научной литературе приоритет создания типа обычно (однако без достаточных оснований) приписывается Армении. Поэтому для окончательного выяснения этого вопроса первостепенной научной важности необходимо для меня личное обследование этих памятников. Кроме того для других вопросов, каковы храмы типа тетраконха. триконха, «kuffe,quadvat», «kuffelkalle» и некоторых других, также необходимо личное знакомство с представителями данного типа в Армении. Это даст всем научным выводам и построениям необходимый твердый фундамент в вопросе соотношений армянской и грузинской архитектур.

Поэтому прошу дать мне возможность на две недели поехать в Армению для обследования соответствующих памятников, именно я желал бы посетить Узуплар, Мечитли, Артик, Амбатаванк, Зариндже, Мазарджух, Мастара. Иринд, Таеи, Талиш, Агавнатун, Аван, Вагаршапат, Адиаман, Таргманчац-ванк. Если бы была возможность получить разрешение от Турецкого Консульства на посещение в пограничной с Арменией полость Мрена (ныне Карабаг), Тагарана, Аграка, Беш-Килисе, Аламанана и Ани, то это дало бы по известным группам памятников полную картину.

При этом прошу дать мне возможность сделать нужные фотографические снимки, для чего взять с собой фотографа.

На означенную командировку прошу выдать аванс в размере пятнадцати червонцев.

Проф. Г. Н. Чубинашвили.

აღნიშნულ დოკუმენტზე არის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს (იმჟამად ამ სამმართველოს ეუყოლ ბერძე ხელმძღვანელობდა) ცნობა: „ექსპედიცია შედგა". მართლაც ეს ექსპედიცია 1924 წელს შედგა. მის შემადგენლობაში იყვნენ პროფ. გ. ჩუბინაშვილი (ხელმძღვანელი), პროფ. ა. შანიძე, პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, არქიტექტორი ნ. სეეროვი.

ლების ცოდნას, „რომლებიც ძეგლებში მოგვეპოვება, რომ მომავალში, არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების ნაშთების შესწავლისას უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავვარდეთ ხლომე — შევძლოთ იმის გაგება, თუ რა ნაგებობაა და რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს მას“[1]. მეცნიერს ესმოდა გზის პირველგამკვლევის როლი ქართულ მეცნიერებაში, კერძოდ, ხელოვნების ისტორიაში და ამიტომ ცდილობდა მყარი საფუძველი შეექმნა მომდევნო მეცნიერებისათვის, რათა ამ უკანასკნელებს კვლევა გაადვილებოდათ. ზემომოყვანილი სიტყვები სწორედ მომავალზე თავდადებით მზრუნველი მამულიშვილი მეცნიერის ფიქრისა და სურვილების თვალნათელი გამოხატულებაა.

ივ. ჯავახიშვილი დეტალურად განიხილავს სამშენებლო ხელოვნების ტერმინოლოგიას. მისი აზრით, ეს ტერმინოლოგია „ძალიან მდიდარია და ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ სპეციალურ ტერმინოლოგიაში თუ სიღარიბე ჩანს, ამაში ბრალი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ წინაპრებს არ მიუძღვის, არამედ თვით ჩვენ“[2]. ივ. ჯავახიშვილი აშკარად ილაშქრებდა მეცნიერებაში იმ დროს არსებული ხარვეზების წინააღმდეგ. მას საჭიროდ მიაჩნდა ხალხური საუნჯის შესწავლა: „... ჩვენი შეცდომა — წერდა მეცნიერი — როდესაც ახალ ქართულ ტერმინოლოგიას ვქმნიდით, მეცნიერების ყველა დარგში, უმთავრესად ტექნიკური დარგებისათვის, იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ ანგარიშს არ ეუწევდით, რაც ხალხშია მემკვიდრეობით დარჩენილი...“[3]

ივ. ჯავახიშვილმა სწორედ ხალხური მემკვიდრეობის შესწავლის საფუძველზე დაასკვნა, რომ საამშენებლო ხელოვნებას ძველ ქართულში ხ უ რ ო ო ბ ა ეწოდებოდა. იგი ორი სახისა იყო: ქვით ხუროობა და ხით ხუროობა. შესაბამისად ტერმინოლოგიაც ორგვარი იყო. ქართული სააღმშენებლო ხელოვნების საფუძველს ხით ხუროობა წარმოადგენდა და ქვით ხუროობის ტრადიცია იქიდან მომდინარეობს[4]. მეცნიერი კონკრეტულ საკითხებსაც შეეხო, დაადგინა არსი ტერმინებისა: შ ე ნ ე ბ ა, ა გ ე ბ ა, ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ ი, ქ ვ ა კ უ-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 85.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 93.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 94 (სქოლიო).
[4] ი ქ ვ ე, გვ. 93.

თხედი, ბალავარი, ხარისხი, სუეტი (სვეტი), თავი სვეტისა, საბურავი, ბუღაური, კამარა, თაღი, სტოა, ბჭე, გუმბათი, გვირგვინი და სხვ. ივ. ჯავახიშვილი ცალკე შეეხო საკულტო ნაგებობათა შინაგანი ნაწილების (საკურთხეველი, კანკელი, ტრაპეზი, სალხინებელი, სადიაკვნო და სხვ.) დანიშნულებას.

მეცნიერმა სხვადასხვა წყაროებზე დაკვირვების შემდგომ შეამჩნია, რომ ძველად საქართველოში სხვადასხვა შენობათა აგების დროს ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა მთელი გარემოს ბუნებრივ პირობებს (და არა მხოლოდ ნაგებობას!), რაც იმდროინდელი საერო ხუროთმოძღვრების მაღალ დონეზე მიგვანიშნებს[1].

ივ. ჯავახიშვილის ამ წიგნს, როგორც აღინიშნა, „დამატებანი" აქვს. ეს დამატებანი სრულიად მართებულად შეუტანიათ წიგნის გამომცემლებს.

პირველი დამატება „Термины исскуств и главнейшие сведения о памятниках искуства и материальной культуры в вдревнегрузинской литературе" (როგორც აღინიშნა 1914 წელს „Христианский Восток" — ის მესამე ნაკვეთში დაიბეჭდა) ფაქტობრივად შეეიდა ივ. ჯავახიშვილის ზემოგანხილულ გამოკვლევაში, მაგრამ მის ცალკე გამოქვეყნებას დამატების სახით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მენციერის მიერ აღებული პრობლემით დაინტერესებისა და კვლევის ისტორიის გარკვევისათვის.

მეორე დამატებაა: „ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ათვისებისა და თანამედროვე ქართული ხელოვნების ამოცანები". ეს პრობლემა მეცნიერმა ლექციის სახით გააცნო ხელოვნების მუშაკებს. ივ. ჯავახიშვილმა მთელი სიგრძე-სიგანით დასვა მისი თანამედროვე ქართული მშენებლობის პრობლემები. იგი წუხდა რომ მთელი რიგი საკითხების შეუსწავლელობის გამო „ქართული ხუროთმოძღვრების ნიშანდობლივი თვისებების დახასიათება, ამ დარგის შესწავლა თანამედროვე მდგომარეობაში ყოველს ჩვენგანს მხოლოდ ზოგადად შეუძლიაო"[2]. მეცნიერი „კონკრეტული, ფორმულებად ჩამონაკვთილი სახით, დებულებათა და კანონების დასახელება"-ს მოითხოვდა. „განა შესაძლებელია განახლებული ფართო ქართული მშენებლობა იმ სის-

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 131.

[2] იქვე, გვ. 191.

წრაფითა და იმ მასშტაბით, რომელიც საბჭოთა საქართველოს სოციალისტური კულტურისათვის არის საჭირო, წესიერად და მიზანშეწონილად, თანაც მხატვრული გემოვნებითა და სილამაზით განხორციელდეს, თუ რომ ქართული ხუროთმოძღვრების ძირითადი კანონები გამორკვეული არ იქნება?“[1] — კითხულობდა ივ. ჯავახიშვილი და დაუშვებლად სთვლიდა, რომ იმჟამად თითოეული ხუროთმოძღვარი იძულებული იყო თავის მოსაზრებასა და გემოვნებას დამყარებოდა და საკუთარი სურვილისამებრ წაებაძა ამა თუ იმ ძველი ქართული ძეგლისათვის. ამიტომ, ბუნებრივია, ხუროთმოძღვართა მუშაობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. „... ამ გზითა და ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისა და თეორიის ცოდნის წინანდელი მარაგითა და დონით ახალი ქართული ხუროთმოძღვრების, გინდ ცალკეული დიადი და სამარადისო ღირებულების ძეგლის შექმნა სრულებით შეუძლებელია“[2] — ხმამაღლა აცხადებდა მეცნიერი და კონკრეტულ ამოცანებს უსახავდა ქართველ ხუროთმოძღვართ. იგი მოითხოვდა, რომ საამშენებლო ხელოვნებაში აუცილებლად ყოფილიყო გათვალისწინებული ქართველ ხალხში საუკუნეების წინ დამკვიდრებული ტრადიციები. ივ. ჯავახიშვილი სთვლიდა, რომ ხუროთმოძღვრებს მეტი უნდა ეფიქრათ ქართველი მშრომელი ხალხის ესთეტიკური გრძნობის განვითარება-ამაღლებაზე. ამასთან, იგი ზოგადად წარსულის ბრმა გადმოღებას კი არ მოითხოვდა, არამედ მხოლოდ იმისას, რაც საუკეთესო და მისაბაძი შექმნა წარსულმა — „წარსულის კულტურაში საუკეთესო და საქებური თვისებებია მისაბაძი, ისეთი თვისებები, რომელთა ღირსებაც საუკუნეთა განმავლობის განსხვავებისდა მიუხედავად ეხლაც ცხადად მოჩანს“[3].

ივ. ჯავახიშვილი უკიჟინებდა მისი დროის მხატვრებს წარსულის მდიდარი მხატვრული კულტურის გაცნობისა და გონივრული ათვისებისადმი გულგრილობას. ერთი სიტყვით, ივ. ჯავახიშვილი თავის წერილში (ასევე ლექციაში) წარსული ხელოვნების მემკვიდრეობის აუცილებელ ათვისებას და მონუმენტური ქანდაკებისა და კედლის მხატვრობის აღორძინებას მოითხოვდა, აგრეთვე, აუცილებლად მიაჩნდა ქართული ისტორიული მხატვრობის ჟანრის არსებობა და

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 191—192.
[2] ● ქ ვ ე, გვ. 192.
[3] ● ქ ვ ე, გვ. 204.

წიგნის ილუსტრაციებისა და შემკულობისადმი მეტი ყურადღების დათმობა.

ივ. ჯავახიშვილს ხელოვნების ისტორიის ჩამორჩენილობის დაძლევის გზა იმგვარად ესახებოდა, რომ უპირველესად უნდა გაღრმავებულიყო მკვლევართა თეორიული და ისტორიული ცოდნა; ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის დარგების განვითარებისთვის აუცილებელი იყო სათანადო სამეცნიერო დარგების არსებობა. მეცნიერი მადლიერებით მოიხსენებს იმ ღვაწლს, რომელიც პროფ. გ. ჩუბინაშვილსა (ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია) და პროფ. შ. ამირანაშვილს (მხატვრობის ისტორია) მიუძღოდათ ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევაში, მაგრამ აყენებს საკითხს, რომ კვლევა უფრო ფართო მასშტაბით უნდა წარიმართოს. აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი სათანადო სპეციალისტების მომზადებას მოითხოვდა.

ხელოვნება რომ კარგად იქნას ათვისებული, არ შეიძლება მარტო ახსნით დაკმაყოფილება. საჭიროა ახალგაზრდობას თვალწინ ჰქონდეს მაგალითები, ნიმუშები. ივ. ჯავახიშვილი წუხილით აღნიშნავდა, რომ ამ მხრივ იმდროინდელი საქართველო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. „არც ერთი მუზეუმი არ არსებობს თბილისში, რომელსაც ისეთი ფართობი ჰქონდეს, რომ ის განძეული, რომელიც აქვს, გამოიფინოს“[1]. ივ. ჯავახიშვილი სათანადო ორგანოების წინაშე აყენებდა საკითხს, რომ მუზეუმებს საშუალება მისცემოდა გამოეფინათ ის განძეულობა, რომელიც ჰქონდათ, ხოლო, თუკი რაიმე აკლდათ, შეევსოთ.

„საქართველო მთლიანად მუზეუმია — აცხადებდა ივ. ჯავახიშვილი — და ჩვენ ამას არ ვიყენებთ. რა საოცარი მოვლენაა, რომ დადგება თუ არა გაზაფხული, თითქმის ზამთრის პირამდე მთელი საქართველო, მთელი საბჭოთა კავშირიდან და უცხოთიდან მოსული ექსკურსანტებით იფარება. ჩვენ კი ქართველებს ისე გვეზარება სიარული, რომ თბილისში რაცა გვაქვს, ის არა გვაქვს შესწავლილი. ბუნება საუკეთესოა; თუ ბუნებას თვალს ავარიდებთ, ვერასდროს ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. აქ არის უენერგიობა, უნებისყოფობა, რის მოსპობაც არის საჭირო“[2].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 210.

[2] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, თბ., 1965, გვ. 210.

საოცრად შთამბეჭდავია მამულიშვილი მეცნიერის ეს სიტყვები, რომელიც ჩვენს ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, დღესაც მოუწოდებს სამშობლოს უანგარო, თავდადებული სიყვარულისკენ, ამასთან, აღაგზნებს სამშობლოს ბუნებისა და წარსულისადმი ღრმა პასუხისმგებლობით დამოკიდებულების ცეცხლით. სრულიადაც არ იყო შემთხვევითი, რომ ივ. ჯავახიშვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო რედაქციას 1915 წლის აპრილში სთხოვდა ე. წ. გზამკვლევის სახის ცნობარის გამოცემას. „... ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს კარგი გზისმაჩვენებელი, ბედეკერის მსგავსად შედგენილი, საქართველოს ყველა კუთხეებისათვის" — აცხადებდა მეცნიერი და ამასთან კონკრეტულ ამოცანებს უსახავდა ამ ცნობარს. მასში უნდა ყოფილიყო მოთავსებელი „მკაფიო და გარკვეული ცნობები... ამა თუ იმ კუთხის ფიზიკური გეოგრაფიითგან, ბუნების, ბუნების საკვირველებანი და სანახაობა, რაც კი იმ კუთხეში მოიპოვება; მოსახლეობის ხასიათის შესახებ და იმ კუთხის ისტორია მოკლედ და ყველა ადგილები და ნაშთები, რომელიც ან წარსულის ცხოვრების და ხელოვნების ძეგლად უნდა ჩაითვალოს, ან თანამედროვე ცხოვრებისა და მრეწველობის დამახასიათებელია... ამ წიგნში უნდა იყოს, რასაკვირველია, ჩამოთვლილი უმთავრესი გზებიც და მოგზაურობის პირობები"[1]. ივ. ჯავახიშვილს ამგვარი საცნობარო ლიტერატურის შესადგენად გარკვეული ნაბიჯები გადაუდგამს კიდეც: „რაკი ი. ყიფშიძე რამდენიმე წლის განმავლობაში მოგზაურობდა სამეცნიერო მიზნით სამეგრელოში, ხოლო აკ. შანიძეს ამგვარადვე შესწავლილი აქვს მთიულეთი და თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ამიტომ პირველს მე მივანდე სამეგრელოსათვის გზისმაჩვენებლის შედგენა, მეორეს თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და მთიულეთისათვის. საქართველოს დანარჩენი კუთხეებისათვის წიგნის შესადგენად მუშაობა სამეცნიერო წრის წევრებს შორის გავანაწილე. ისინი ამ ზაფხულს ადგილობრივ შეისწავლიან და დაათვალიერებენ. ამასთანავე რაც კი დაბეჭდილია ქართულად და სპარსულად ამა თუ იმ კუთხის შესახებ, იმის ნუსხა მივეცი და შემოდგომაზე ჩემის ხელმძღვანელობით წერას შეუდგებიან"[2]. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ

---

[1] იხ. ივანე ჯავახიშვილის წერილი ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო რედაქციისადმი, ცსა (თბ.), ფონ. 481, საქ. 1428, ფურ. 52—54. საისტორიო მოამბე, 21—22, თბ., 1967, გვ. 326—328.

[2] იქვე, გვ. 326—328.

ამ გზისმაჩვენებლების გამოცემა ნაწილ-ნაწილ შეიძლებოდა. იგი კატეგორიულად მიმართავდა სარედაქციო საბჭოს, რომ თუ ხელსაყრელად არ სცნობდნენ ამგვარი წიგნების გამოცემას, მაშინ იგი თითონ მოაგვარებდა ამ საქმეს. „მე ამ საქმეს მაინც თავს არ დავანებებ და მის გამოქვეყნებას როგორმე მოვახერხებ, — მ ე ტ ა დ ს ა ჭ ი რ ო ა ა მ გ ვ ა რ ი წ ი გ ნ ე ბ ი ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს“ — აცხადებდა მეცნიერი და თავის მიზანდასახულების პრაქტიკულად განხორციელებისთვის იბრძოდა. ამგვარი საქმიანობა ივანე ჯავახიშვილს ჩვენი ქვეყნის ბუნების, ისტორიისა და მატერიალური კულტურის პოპულარიზაციის აუცილებელ პირობად ესახებოდა.

მოცემული წიგნის მესამე დამატება არის „ტერმინებისათვის (მოწმობანი)“, რომელშიც მიმოხილულია საქართველოში მშენებლობის ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური საკითხები[1].

ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიის ისეთი საკითხი, როგორიცაა, საფენელ-საგებლის ავეჯისა და ჭურჭლის სახეები ძველ საქართველოში. ისტორიული წყაროების შესწავლა-განხილვისა და შეჯერების საფუძველზე მეცნიერმა დაასკვნა, რომ ნივთიერი კულტურის განვითარება საქართველოში, ამ დარგის ისტორიის თვალსაზრისით, ორ პერიოდად იყოფა. პირველი (უძველესი ხანა) — ავეჯის შემცველი ხანა, ხოლო შემდგომში გარკვეული დროიდან მოყოლებული ავეჯი თანდათან გაქრა და გაჩნდა მოფენილობა — ხალიჩები, ფარდაგები და სხვ. (მეორე პერიოდი)[2].

ივ. ჯავახიშვილის კვლევის სფეროში მოექცა ნივთიერი კულტურის ისეთი ძეგლები, როგორიცაა: ტანისამოსი, ქსოვილები, საომარი საჭურველი, აგრეთვე — ხელსაქმე, და სამხედრო საქმე. მეცნიერმა

---

[1] იხ. ივანე ჯავახიშვილის წერილი ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო რედაქციისადმი, ცსა (თბ.), ფონ. 481, საქ. 1428, ფურც. 52—54. საისტორიო მოამბე 21—22 თბ., 1967, გვ. 326—328.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, თბ., 1965, გვ. 9.

საფუძვლიანად გაარკვია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები.

ამგვარად, ზემოგანხილული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ივ. ჯავახიშვილი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის საქმეს, იგი, როგორც მეცნიერი, განუმეორებელ მაგალითს იძლეოდა იმისა, თუ როგორ უნდა ყოფილიყო შესწავლილი ძველი საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორია, ხოლო, როგორც მოქალაქე და პატრიოტი მამულიშვილი, კულტურის ძეგლთა მოვლა პატრონობისა და დაცვისათვის მებრძოლის ნიმუშს წარმოადგენდა.

ივანე ჯავახიშვილი და ქართული მუსიკა

ქართული მუსიკის ისტორიის, როგორც მეცნიერების, განვითარება განუყრელადაა დაკავშირებული ივანე ჯავახიშვილის სახელთან. მუსიკის სიყვარული მას ბავშვობიდანვე ჰქონდა შესისხლხორცებული. მაღალგანვითარებული ქართული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილს, მშვენიერი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მეცნიერს განსაკუთრებულად უყვარდა მუსიკა. ივანე ჯავახიშვილის სიყრმის მეგობარი პოეტი კოტე მაყაშვილი იგონებს: „დიდის ყურადღებით, გულდასმით ვუსმენ ვანოს, მაკვირვებს მისი ნაკითხობა და ენთუზიაზმი... გაოცებული ვარ, როდესაც მის ხელში ვხედავ ვიოლინოს: მასზე დაკვრას სწავლობს. მ უ ს ი კ ა ჰ ყ ვ ა რ ე ბ ი ა. მე კი მეგონა, რომ ვანოს ქართული ენის და თავისი გაკვეთილების მეტი სხვა არა აგონდება რა“[1].

მთავარი ისაა რომ, ეს გატაცება ხელოვნების ამ დარგში სრულიად კომპეტენტური პირის შემოქმედებითი წვა იყო. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ივანე ჯავახიშვილმა თავისი რჩევა-დარიგებებით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას. მეცნიერის აზრს კომპოზიტორისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ყველა ახალ ნაწარმოებს ზაქარია ფალიაშვილი ივანე ჯავახიშვილს ასმენინებდა პირველად. მეცნიერი აქტიურად ეხმარებოდა კომპოზიტორს ხალხური სიმღერების შეკრებაში. მისი ინიციატივით მოწყობილი ერთი ასეთი მოგზაურობის დროს ქართლის სოფლებში ზაქარია ფალიაშვილს „აბესალომ და ეთერის“ ლეკური ჩაუწერია და შემდგომში მას შინაურობაში, ხუმრობით „ივანეს ლეკურს“ უწო-

---

[1] კოტე მაყაშვილი, ვანო ჯავახიშვილი, კრებ. „ჩვენი მეცნიერება“, ტფ., 1926 წ., № 17—18, გვ. 2 (ეს კრებული ივ. ჯავახიშვილის 50 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი).

დებდა[1]. ასე, რომ, ივანე ჯავახიშვილი ფრიად დიდი მოყვარული იყო მუსიკისა და ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლა მას გადაუდებელ საქმედ ესახებოდა. აკად. გ. ჩუბინაშვილი იგონებდა ივ. ჯავახიშვილის ნათქვამს: „თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერილ შრომასთან (მხედველობაშია „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები" — რ. მ.) დაკავშირებით ბატონმა ივანემ როგორღაც მითხრა: ჩემს ახალგაზრდობაში ისე ვიყავი გატაცებული მუსიკის მეცნიერული საკითხებით, რომ თავდაპირველად ვფიქრობდი სწორედ ამ საკითხების შესწავლას შევდგომოდიო"[2]. მეცნიერმა თავის გატაცებას მუსიკის ისტორიით მოწიფულობის ასაკში დაადგა შემოქმედებითი გვირგვინი.

ივანე ჯავახიშვილმა სხვადასხვა, მეტად მრავალგვარი სახის წყაროების შესწავლის საფუძველზე შეისწავლა და ჩამოაყალიბა ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები (ქართული მუსიკის განვითარების მთავარი საფეხურები, ქართული მუსიკის მრავალხმიანობის წარმოშობა, ქართული მუსიკალური ტერმინები, მუსიკალური საკრავები და სხვ.).

ივანე ჯავახიშვილამდე ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლა ვერ იდგა მაღალ მეცნიერულ დონეზე. ის ისტორიკოსები, რომლებიც ამ საკითხის შესწავლით იყვნენ დაინტერესებული (დავით მაჩაბელი[3], პოლიევქტოს კარბელაშვილი[4], დიმიტრი არაყიშვილი[5], ზიგფრიდ ნადელი[6] და სხვ.), ქართული მუსიკის ცალკეულ საკითხებზე მუშაობდნენ. მათი ნაშრომები ვერ იძლეოდა ქართული მუსიკის ისტორიის სრულ სურათს, მხოლოდ ცალმხრივად, ზოგჯერ ზერელედ აშუქებდნენ ამა თუ იმ საკითხს და ქართული მუსიკის ისტორიის ყოველმხრივი, საფუძვლიანი შესწავლა მომავლის საქმედ რჩებოდა.

ივანე ჯავახიშვილმა, ძალზე შრომატევადი მუშაობის ჩატარების

---

[1] ნათელა ჯავახიშვილი, სახელოვანი მეგობრობა, დროშა, 1953 წ., № 5, გვ. 14.

[2] გ. ჩუბინაშვილი, აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1942, გვ. 272.

[3] დ. მაჩაბელი, ქართული ზნეობანი, ცისკარი, 1864 წ., მაისი.

[4] პ. კარბელაშვილი, ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული. მიმოხილვა, თბ., 1898.

[5] დ. არაყიშვილი, Краткий очерк развития грузинской народной песни, 1906.

[6] Dr. Ziegfried V. Nadel, Georgische Gesänge, ბერლინი, 1933.

შემდეგ ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები მეცნიერული სიზუსტით განიხილა[1]. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული მუსიკის ისტორიის წინამორბედ მკვლევარებს, გულმოდგინედ მიმოიხილა და სათანადოდ შეაფასა ამ მეცნიერთა შრომები.

ქართული მუსიკის წარსულით დაინტერესებულა ჯერ კიდევ იოანე ბატონიშვილი, რომელიც მიიჩნევდა, რომ თავდაპირველად ქართველები „გალობდნენ ბერძულის ხმითა", ხოლო ქართული გალობა შეუქმნია გიორგი მთაწმინდელს, „რომელიც იყო ბერძულსა და ქართულსა ენასაზედა მეცნიერ და გალობათა და საკრავდა შინაცა გამოცდილ". შემდეგში კი „უფრორე განაშვენეს იმერთა და მეტადრე გურიაში". იოანე ბატონიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ რაჭის ერისთავთან მოკალმასეების ყოფნისას „ვითარცა ჩუეულება არს იმერთა იწყეს გალობა, დია სასიამოვნოდ სასმენი": საინტერესოა იოანეს და მეთოდის დიალოგი. როცა პირველი აღნიშნავს, რომ „ჭეშმარიტად იმერული გალობა დია სასიამოვნო ხმა არს და კარგად შეწყობილი, რომელ საკრავსა მიემსგავსების"-ო, მეორე უპასუხებს: „მართალს ანბობთ ქართულ გალობაზე იმერული უკეთ არის შეწყობილი"-ო.

საინტერესოა, რომ ავტორი გვაძლევს ცნობას მგალობელთა შესახებ (ამ გარემოებას ი. ჯავახიშვილმა საგანგებო ყურადღება მიაქცია): „პირველი მგალობელი ჭლაქონიძე გიორგი, რომელიც იყო გურული და რომელმანც იცოდა ჭრელი ათასერთი. მან აღზარდა მრავალნი მგალობელნი კ~დ შვილნი თჳსნი. ამანვე აღზარდა მეთოდი რაჭის ერისთავისშვილი მდივანბეკი ქართლისა, მსგავსად მგალობლობასა შინა თავისებრ სრული, იყო ჩინებული მგალობელი. იესელა კანდელაკის შვილი, ეგნატე და ღაბუა, ოქროპირი და სხვანი პირველნი მგალობელნი და კეთილად შემწყობნი ხმათანი ხოლო ქართლსა შინა კირილე მთავარეპისკოპოსი ციციშვილი, იოთამ მგალობელი, დიმიტრი გარსევანიშვილი, კოკია და სოლომონ, მეღვინეთუხუცესის შვილი პაატა. ესენი საკუთრად მეფის ირაკლისა იყვნენ მგალობელ-მწიგნობარნი და ისწავლესცა მრავალთა".

შემდეგ ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს დავით მაჩაბელზე, რომელმაც გასული საუკუნის სამოციან წლებში მეტად საინ-

[1] აღნიშნულ საკითხს ჩვენ შევეხეთ წერილში „ივანე ჯავახიშვილი და ქართული მუსიკის ისტორიის საკითხები", იხ. ცისკარი, 1961, № 4, გვ. 154—158.

ტერესო მოსაზრება გამოთქვა. მისი აზრით ქართველები „კონსტანტინოპოლიდან ქრისტიანობის მიღებიდან მოყოლებული, იქიდანვე „გალობისაცა“ შემომღები იყვნენ. შემდგომში ქართველებს ეს „გალობა“ განუვითარებიათ „საკუთარს გემოზედ“. დ. მაჩაბელს მიაჩნდა, რომ „ქართული გალობა არის საშუალო ბერძნულისა“, რომელიც მხოლოდ ერთხმიანი იყო და „იტალიურის გალობათა“; იგი „არს შეწყობილი მრავალთა ხმათა ერთს ღარმონიად“[1]. ავტორი ჩამოთვლის იმ ხალხურ სიმღერებს, რომელთა მიბაძვითაც უნდა იყოს გამოკვეთილი ქართული საეკლესიო გალობის თავისებურება. ესენია: „ღიღინი“, „მგოსნობა“, „ოროველა ანუ მეურმული“, „ზარი“ და „ხეური“. ამის გარდა სხვა სიმღერათა რიცხვში დასახელებულია: „ჩონგურო“, „ყურშაო“, „გუბრძანე“, „ჯავახური“, „თუშური“, „გოგონა“, „მზეშინა“, „სამაია“, „ფერხისა“, „მუშური“, „ჰოპუნა“ და „მაყრული“.

დ. მაჩაბელი გარკვეულ განმარტებებს იძლევა სხვადასხვა სიმღერების შესახებ, ახასიათებს მათ[2]. ასე მაგალითად, ავტორის აზრით, „ღ ი ღ ი ნ ი“ არის „სიმღერა საერთო შესაქცევარი, სამს ხმად შეწყობილი გალობის სახედ, თ ქ მ ა დ, მ ო ძ ა ხ ი ლ ა დ და ბ ა ნ ა დ. ამ სიმღერასა აქვს გალობის კილოზედ მიმოხურა და ისმის სასიამოვნოდ. ღიღინი აწ მრავალ-გუარად დაგრიხეს, მეტადრე იმერთა, ოდიშელთა და გურიის მცხოვრებთა“[3]. „მ გ ო ს ნ ო ბ ა“, დ. მაჩაბლის მიხედვით, არის „ძუელადგან დარჩენილი სამიჯნურო საერო სიმღერა ქალთა მეჩანგეთა“. მისი აზრით ქართული გალობა „არის შეწყობილი ცხრათა ხმათაგან, ანუ კილოთაგან და აგრეთვე ჭრელებთაგან“[4]. დ. მაჩაბელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართული გალობა „არის შეწყობილი ნოტზედ“[5]. იგი ვარაუდობდა, რომ ქართული გალობა „უნდა იყოს მოგონილი პირველსავე ქრისტიანობაში და მოსული სისრულეში მერვე საუკუნეში“[6].

ქართული მუსიკის ისტორიას შეეხო პოლიევკტოს კარბელაშვილი, რომელმაც 1898 წელს გამოსცა პატარა წიგნაკი „ქართული საერო

---

[1] დ. მაჩაბელი, ქართველთა ზნეობანი, ცისკარი, 1844 წ., მაისი, გვ. 52—53.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 54—55.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 56.
[5] ი ქ ვ ე გვ. 56—57.
[6] ი ქ ვ ე, გვ. 57.

და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა". პ. კარბელაშვილი წერს: „ეკლესიამ წარმართულ კილოებს ამოუყენა საქრისტიანო საგალობელთა სიტყვები (ტექსტი) და ძველი კილო ხელუხლებელი დარჩა"[1]. ავტორის მიხედვით, სწორედ კერპთა პატივსაცემად შექმნილი საგალობლებია დღემდე შემორჩენილი სიმღერები: „იავნანა", „მზე-შინა", „მგზავრული", „მუმლი მუხასა", „ფერხული", „დიდება", „ალილო", „ჭონა", „წმინდა გიორგი ცხოველო", „ზარი" და სხვ[2]. ქართული საეკლესიო მუსიკის საეროდან წარმოშობას, ავტორის აზრით ადასტურებს დღევანდელი საერო სიმღერები, რომელნიც პირველთაგანვე დედნებად შექმნილან, ან საფუძვლად დასდებია საეკლესიო საგალობლებს. პ. კარბელაშვილი ამგვარ კილოებად მიიჩნევს ბევრ სიმღერას („ყურშაო", „ღმერთო, ღმერთო მოწყალეო", „შაშვი კაკაბი", „ბედზედ დაგნატრი, ბარათო", „ვაი შენ, ჩემო თეთრო ბატო", „დიდება" და სხვ.).[3]. ავტორი მიიჩნევს, რომ ძველი საერო კილო: „ვინცა კაცია, არნანო, ჩოხა ჯაჭვია, თარნანო, ქუდი ნაბდისა, არნანო, ჩაბალახია", წარმოადგენს დედანს გალობისა, „შენ გიგალობთ, შენ გაკურთხებთ, შენ გმადლობთ უფალო, და გევედრებით შენ, ღმერთო ჩვენო"; აგრეთვე სიმღერა „ბედზედ დაგნატრი ბარათო" არის დედანი საგალობლისა „მამასა და ძესა"[4].

ივ. ჯავახიშვილმა სრულიად მართებულად მიუთითა, რომ პ. კარბელაშვილის დებულება ქართული საეკლესიო მუსიკის საეროდან წარმომავლობის შესახებ სიახლეს არ წარმოადგენდა. ამის დამტკიცებას ჯერ კიდევ დ. მაჩაბელი ცდილობდა. ივ. ჯავახიშვილმა ეს მოსაზრება დაუსაბუთებლად მიიჩნია, რადგან საეკლესიო და საერო ჰანგების მსგავსება „იმის დამაჯერებელ საბუთად ვერ გამოდგება თითქოს მათგან უფრო ხნიერად და ამის გამო დედან ჰანგადაც ყოველთვის უეჭველად საერთო სიმღერის ჰანგი უნდა ვიცნათ"[5]. ივ. ჯავახიშვილი მოითხოვდა, რომ თვითოეული ასეთი დებულება როგორც მუსიკის, ასევე შინაარს-სიტყვების თვალსაზრისით განხილულიყო.

---

[1] პ. კარბელაშვილი, ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიულ მიმოხილვა, ტფ. 1898, გვ. 10—11.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 29.

[4] იქვე, გვ. 29—30.

[5] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

იგი ასკვნიდა, რომ „დ. მაჩაბლისა და პ. კარბელაშვილის მოსაზრებანი უფრო რწმენაა, ვიდრე დასაბუთებული დებულება“[1].

ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულად მაღალ შეფასებას აძლევდა დიმიტრი არაყიშვილის ღვაწლს, რომელიც მარტო ქართული ხალხური სიმღერების ჩაწერით კი არ დაკმაყოფილდა, არამედ, მუსიკის თეორიისა და ისტორიის თვალსაზრისით, მათი შესწავლა და დახასიათებაც სცადა. დ. არაყიშვილის დასკვნით, ქართულ ჰარმონიას ევროპულთანაც აქვს საერთო, მაგრამ მისი განვითარების გზა დამოუკიდებელია. ავტორი თავის ნაშრომში „ქართული მუსიკა“ აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ გალობის მრავალი კადენცია დასავლეთ ევროპის კადენციებს მიაგავს, მაინც უყოყმანოდ ვიტყოდით, რომ ჩვენი გალობის ბგერათა წყებები ხალხურია, ქართველი ხალხის შექმნილია... ის არ არის არც ამბროსის ბგერაწყება, არც გრიგოლის და, რასაკვირველია, არც თანამედროვე მაჟორი, ან მინორი“ (გვ. 29).

დ. არაყიშვილი ყურადღებას აქცევდა როგორც საერო, ისე საეკლესიო სიმღერებს, როგორც ხმიერ, ისე საკრავიერ მუსიკასაც და, ბუნებრივია ეს მრავალმხრივი შრომა წინ სწევდა ქართულ მუსიკათმცოდნეობას. დ. არაყიშვილის შრომებს ნაკლოვანი მხარეებიც გააჩნდა — საეკლესიო და საერო სიმღერა-განხილვის დროს არ ჩანდა წყაროების ჯეროვანი ცოდნა. სწორედ ამ ნაკლზე[2] მიუთითებდა ავტორს ივ. ჯავახიშვილი.

ქართული მუსიკის ისტორიის ზოგიერთ საკითხს შეეხო გერმანელი მეცნიერი ზიგფრიდ ნადელი, რომელმაც 1933 წელს ბერლინში საგანგებო შრომაც[3] კი გამოაქვეყნა ამ თემაზე. გერმანელი მეცნიერი მუსიკის ისტორიის ზოგადი საკითხების კარგად მცოდნე იყო, ამასთან, მას ხელთ ჰქონდა ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილისა და ი. კარგარეთელის შრომები. ზ. ნადელის დამსახურება არის ის, რომ მან აღნიშნა მსგავსება, რომელიც ქართული მუსიკისა და დასავლეთ ევროპის საეკლესიო მუსიკის განვითარების გარკვეულ საფეხურს ცხადად ემჩნევა[4]. ზ. ნადელი ვარაუდობდა, რომ ქართული მრავალხმიანობა, ერთხმიანობისაგან წარმოსდგება და ამ დებულების დამტკიცებას ცდილობდა ერთი ხალხური სამხმიანი სიმღერის — „თებ-

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 27.
[2] იქვე.
[3] Dr. Ziegfried V. Nadel, Georgische Gesänge, Berlin, 1933..
[4] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

რონე მიდის წყალზედა“ — განხილვით[1]. გერმანელი მეცნიერი დაასკვნის, რომ ეს სიმღერა თავდაპირველად ორხმიანი უნდა ყოფილიყოო[2]. ზ. ნადელს თავისი მოსაზრებები ძირითადად, ჰიპოთეზების სახით აქვს მოცემული, რადგან მისთვის საჭირო მასალების უქონლობის გამო, ძნელი იყო საკითხებში ღრმად ჩაწვდომა და სათანადო დასკვნების გაკეთება.

ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ შეეხო ქართული საკრავიერი მუსიკის შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომებს: ვ. მ. ბელიაევის გამოკვლევას „К вопросу изучения грузинских музикальных инструментов“, რომელიც ქართული საკრავების წყობის მეცნიერული შესწავლის საგულისხმო ცდას წარმოადგენს, და ვ. კ. სტეშენკო-კუფტინას მონოგრაფიას „Древнейшие инструментальные основы грузинской народной музыки I. флента Пана“ (ორივე ნაშრომი 1936 წელს გამოქვეყნდა).

ამგვარად, თუკი თვალს გავადევნებთ ქართული მუსიკის ისტორიის საკითხების შესწავლის მდგომარეობას ივანე ჯავახიშვილამდე[3], აშკარად დავინახავთ, რომ, ამ მხრივ, საქმე ვერ იდგა სათანადო დონეზე. მუსიკის ისტორიის საკითხების საფუძვლიანი მეცნიერული კვლევა ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ნაკლებად იყენებდნენ ქართულ ისტორიულ წყაროებს, რის გამოც, ზოგჯერ დასკვნები ზერელე ხასიათისა იყო.

იმ მკვლევარის წინაშე, რომელიც მიზნად დაისახავდა ქართული მუსიკის ისტორიის კვლევას, ძალზედ რთული ამოცანა იდგა — ძველ ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, წინამორბედი ავტორების ღვაწლის გათვალისწინებით, მსოფლიო მეცნიერების იმდროინდელ დონეზე უნდა გადაეჭრა მოცემული პრობლემა.

---

[1] Dr. Ziegfried V. Nadel, დასახ. ნაშრ., გვ. 10—11. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ქართული სიმღერები ზ. ნადელს ჩაუწერია ფონოგრაფით პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი ქართველი ჯარისკაცების ნამღერი. ეს სიმღერები მეცნიერს ნოტებზე გადაუღია და თავისი გამოკვლევისათვის დაურთავს.

[2] Dr. Ziegfried V. Nadel, დასახ. ნაშრ., გვ. 30—31.

[3] ამ საკითხზე იხ. Г. Чхиквадзе, Древнегрузинская музыкальная культура, მისივე Народная песня, კრებ. Грузинская музыкальная культура, Москва, 1957; ვ. გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, თბ., 1962. გვ. გვ. 7—20, 20—21. აგრეთვე ნ. მაისურაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური კულტურა, თბ., 1971, გვ. 3—10.

სწორედ ეს მძიმე ტვირთი იდო თავს ივანე ჯავახიშვილმა, და ქართველმა ხალხმა მიიღო უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევა[1].

ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხებისადმი მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის შრომა ოთხი ნაწილისგან შედგება: I — ხმიერი მუსიკა, II — საკრავიერი მუსიკა, III — ქართული მუსიკის განვითარების მთავარი საფუძვლები, IV — ქართული მუსიკის და მრავალხმიანობის წარმოშობა და წარმოშობის პირველი საფეხურები.

ივ. ჯავახიშვილს ამ წიგნში საგანგებოდ აქვს განხილული მუსიკალური ტერმინოლოგიის საკითხები.

მუსიკალური ბგერის აღმნიშვნელად ძველ ქართულში არის ჴმა ანუ ხმა. ეს ტერმინი იხმარებოდა, როგორც ადამიანის ყელის, ისე ყოველგვარი საკრავის მუსიკალური ბგერის აღმნიშვნელად. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გვაუწყებს, რომ „და მოიღეს გურგჳნი, და აიღეს ჴმა მგალობელთა“[2]. ჴმა მგალობელთა“-ს გვერდით წყაროებში გვხვდება „ჴმა საყვირისა“, „ჴმა ნესტჳსა“, რაც ადასტურებს იმ დებულებას, რომ ხმა ბგერის ზოგადი აღმნიშვნელია. ამ ზოგადი ტერმინის გარდა არსებობდა სპეციალური ტერმინებიც (იმის მიხედვით თუ რის ბგერა იყო ესა თუ ის ხმა). ამგვარ ტერმინთა რიცხვს ეკუთვნის გალობა და მღერა, საგალობელი და სიმღერა. ამასთან, ეს ტერმინები არსებითად ერთი და იმავე ცნების გამომხატველია, მაგრამ მათ შორის გარკვეული განსხვავებაც არსებობს.

გალობასა და მღერას შორის განსხვავება ძველთაგანვე არსებობდა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „სიმღერა მსოფლიო ჴმიანობაა“, ხოლო „გალობა არს ჴმა ავაჯიანი შეწყობით აღტეეებული თჳნიერ ორღანოსა, გინა ორღანოთა და მწყობრითა... გალობა არს მართლმადიდებლობითთა მიერ ღვთისმეტყველება“[3].

ამგვარად, სრულიად ნათელია, რომ ს.-ს. ორბელიანს სიმღერა საერო მუსიკად მიაჩნდა, გალობა — სასულიეროდ.

---

[1] აღნიშნულ ნაშრომს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული თეატრის ისტორიის რიგი საკითხების გარკვევისათვისაც. ამის შესახებ იხ. დ. მ ი ტ რ ი ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი შრომის მნიშვნელობა ქართული თეატრის ისტორიისათვის, მნათობი, 1946 წ., № 4, გვ. გვ. 145—154.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, 11, თბ., 1959, გვ. 26.

[3] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1966, გვ. 129.

ასეთივე განმარტებას იძლევა იოანე ბატონიშვილიც „კალმასობაში“: „გალობა არს ჴმა ანგელოსთადმი შემსგავსებული, რომელნიცა წინაშე საყდართა ღთაებისათა გალობენ „წმინდაო, წმინდაო წმინდაო უფალო საბაოთ“ და ამისთჳს გალობა, თუ არ საღრმთოთა ზედა, სხვებრ არ მოიღების. ხოლო გალობა სახელ-იდების ეკლესიურსა მსახურებასა შინა, მოღებული საღმრთოთა წერილებითგან სტიხად, პოემად ანუ წარსაკითხავად ცისკართა ზედა კანონისამებრ, რომელნიცა არიან რიცხვით ცხრანი“.

იე. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ძველად ტერმინი გალობა ყოველგვარი ყელისმიერი მუსიკალური ბგერის ზოგადი აღმნიშვნელი იყო[1]. ამის კვალი თანამედროვე ქართულსაც ემჩნევა. სალიტერატურო ქართულში ფართოდ იხმარება გამოთქმა „ბულბული გალობს“-ო. დავით გურამიშვილსაც აქვს ნათქვამი „ამბობს ტორუა, გალობს ბულბული“. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ბულბულის გვერდით მგალობლად შაშვიცაა მოხსენებული: „იყო შაშვი მგალობელი“, „გაზაფხულისა პირზედა შაშვმა დაიწყო გალობა“. ე. ი. გალობა ძველად მხოლოდ სასულიერო (საეკლესიო) სიმღერის აღმნიშვნელი კი არა, არამედ, ზოგადად ყოველნაირი გაბმული ბგერის ანუ ხმის აღმნიშვნელი იყო.

რაც შეეხება ტერმინ მღერას, იგი წინათ თამაშობის აღმნიშვნელი იყო. ამის საილუსტრაციოდ იე. ჯავახიშვილს მოჰყავს გიორგი ხუცესმონაზონის „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“, სადაც გიორგი მთაწმინდელი ამბობს: „ვიყავ რა მდინარისა მის დიდისა პირსა, რომელსა ქცია ეწოდების წიაღკერძო მდინარეს ვიხილე ყრმა... მიხმობდა, მოვედ და ვიმღეროთ“[2]. აქ სიტყვა „ვიმღეროთ“ და „ვითამაშოთ“ სინონიმებია. ამავე მნიშვნელობითაა ნახმარი იგი „ვეფხისტყაოსანშიც:“

„ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა,
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა:
ესე მღერასა ბედითსა ჰგავს, ვაჟთა ყმაწვილობასა.
კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა“.

როცა შოთა რუსთაველი ნადირობის დროს ავთანდილის როსტევანზე გამარჯვებას აღწერს, ამბობს:

---

[1] იე. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 44.

[2] გიორგი ხუცეს-მონაზონი, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, იხ. ათონის ივერიის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, ტფ., საეკლესიო მუზეუმი, 1901, გვ. 287.

„მეფესა ესე ამბავი უჩნს, ვითა მ ღ ე რ ა ნ ა რ დ ი ს ა,
უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა“.

აქ, რა თქმა უნდა, მ ღ ე რ ა ნ ა რ დ ი ს ა — ნარდის თამაშს ნიშნავს.

მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ უკვე სხვა ალაგას „მღერა“ გალობის მნიშვნელობითაა ნახმარი:

„ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ მართ პერანგი,
ი მ ღ ე რ დ ა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი“.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ სრულიად გარკვევით გულისხმობს („აღიღეს ჴმა მგალობელთა“). ს ი მ ღ ე რ ა იგივე თხზულების მიხედვით, საერო მუსიკის ტერმინია. როცა გიორგი III-ის გარდაცვალების შემდგომ ამბებს გადმოგვცემს, ისტორიკოსი ამბობს, რომ სამეფო კარზე „შუებათა წილ და ს ი მ ღ ე რ ი ს ა, აღჴდეს ჴმანი ვაებისა და ტყეპისანი“. აქ აშკარაა, რომ ს ი მ ღ ე რ ა თამაშობის აღმნიშვნელად არ არის ნახმარი.

ქართულ წყაროებში გვხვდება ტერმინი ძ ნ ო ბ ა (აქედან მძნობარი (მძნობრი). ს.-ს. ორბელიანთან გვხვდება „ძნობით შეწყობილი ხმით“, რაც, საბასავე განმარტებით, სიმღერას ნიშნავდა. „მძნობელი ძნობის მოქმედიაო“, — ხსნის საბა. ივ. ჯავახიშვილმა შეაჯერა „დაბადების“ ქართული თარგმანის ტექსტი ბერძნულ, ლათინურ და სომხურთან, გაარკვია შავთელთან და ჩახრუხაძესთან ამ სიტყვების მნიშველობა და სულხან-საბა ორბელიანის განმარტების მხედველობაში მიღების საფუძველზე მოგვცა „ძნობისა“ და „მძნობარის“ ახსნა. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, ეს ტერმინი XI საუკუნემდე აღნიშნავდა მოცეკვავეთა გუნდს, ხოლო აქედან მოყოლებული უკვე მუსიკასთანაა დაკავშირებული. ზოგადად ტერმინები ძ ნ ო ბ ა, მ ძ ნ ო ბ ა რ ი გუნდობრიობის გამომხატველი ჩანს და დაკავშირებული უნდა იყოს ძ ნ ა ს თ ა ნ (ყანის კონა — საბა). ამდენად შესაძლებელია, რომ ძ ნ ო ბ ა ფერხულისა და ფერხისის მსგავსი ხელჩაკიდებული „მობმით“ როკვის[1], ხოლო მ ძ ნ ო ბ ა რ ი კი მროკველთა გუნდის აღ-

---

[1] იხ. ლ. გვარამიძე, ქართული ხალხური ქორეოგრაფია (ოთარ ეგაძის რედაქციით), თბ., 1957, გვ. 4—31. წიგნის წინასიტყვაობაში, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე, ხელოვნების ამ დარგის წარმომაელობა-განვითარების შესახებ ფრიად საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ისტორიულ მეცნ. დოქტორს ოთარ ეგაძეს, იქვე, გვ. III—XXIV.

მნიშვნელი ყოფილიყო თავდაპირველად[1]. ივ. ჯავახიშვილი ასკვნის რომ „ძნობა და მძნობარი, თუ მძნობრი უძველეს ხანაში უმთავრესად გუნდობრიობის ცნებასთან ყოფილა დაკავშირებული და უფრო სარწმუნოებრივ ცეკვის ამსრულებელთა გუნდებს ჰგულისხმობდა, მაგრამ რაკი ყოველი ასეთი როკვა ჩვეულებრივ გალობა-საკრავების აყოლებით იცოდნენ, ამიტომ მგალობელთა გუნდის აღმნიშვნელადაც ქცეულა“[2].

ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, რომ მაშინდელ საქართველოში მხიარულების დროს გარკვეული ადგილი ეკავა მგოსანს. თამარის პირველი ისტორიკოსი, როცა მეფე-ქალის დავით სოსლანზე ქორწინების ამბავს გადმოგვცემს, ამბობს: „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა, სახიობათა მჭურეტელი იყო რაზმთა სიმრავლე და სრულ-ქმნა ამას შინა“[3]. ამ თხზულებაში მგოსანი სხვა ადგილასაც არის მოხსენებული. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ამდროინდელი ქართული წყაროების მგოსანი მოშაირე მომღერალს ნიშნავს[4].

„ისმის მგოსანთა,
ვით საფირონთა,
ჴმანი ებნისა
და წინწილისა“ —

ნათქვამია იოანე შავთელის „აბდულმესიანში“. მგოსანი „ვეფხისტყაოსანსა“ და „ვისრამიანშიცაა“ მოხსენებული. „ვეფხისტყაოსანში“ ნათქვამია:

„ქვაბისა კარსა ასმათი მარტო ზის, არ ბარგოსანი,
შეხედნა იცნა ტარიელ, თანა ყმა ჭარმაგოსანი,
ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით იადონი მგოსანი“.

„ვისრამიანი“ გვაუწყებს, რომ „იყო მგოსანთა და მუტრიბთა რამინის სახელსა ზედა ძვირად სყიდვა და მოშაირეთაგან საქებართა და სალოცავთა შაირთა თქმა“.

ივ. ჯავახიშვილი არკვევს, რომ ტერმინი მგოსანი ქართულში

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 51.

[2] იქვე, გვ. 52.

[3] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959 გვ. 47.

[4] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

ძველი სპარსულიდანაა შემოსული (სანსკრიტულად გოშა ხმასა ნიშნავს. გოშანა ხმამაღლა ლაპარაკს ეწოდება, ხოლო გუსან ახალ სპარსულშიც მომღერლის სახელია). ქართულს ამ ძველი სპარსული სიტყვისათვის მ ფორმანტი დაურთავს და დროთა განმავლობაში მნიშველობაც შეუცვლია. მე-12 საუკუნის საქართველოში მგოსანი ჩვეულებრივი რიგითი მომღერალი კი არა, არამედ საკუთარი შაირებისა და ლექსების გამომთქმელი ყოფილა[1]. მეთორმეტე საუკუნის ლიტერატურულ ძეგლებში (განსაკუთრებით ქართულ მეხოტბეთა თხზულებებში) ვხვდებით ტერმინ „მუსიკობა"-ს, რასაც ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს მუსიკის ხელოვნებად[2]. ამავე პერიოდის წყაროებში სხვა ტერმინებთან ერთად გვხვდება მუტრიბი, რაც არაბულად გამრთობს ნიშნავს. „ვისრამიანში" ვკითხულობთ: „ათასფერნი მუტრიბნი სხდეს და გარე მრავალ-ფერთა ჴმათა იმღერდეს", ან „მუტრიბთა მისაგან სხუა ყურთა ჴმა აღარ ისმოდა, მფრინველნი მუტრიბობდეს" და სხვ. შოთა რუსთაველი მუტრიბს ასხვავებს მომღერლისაგან: „მომღერალნი და მუტრიბნი არ იყვნენ სულ-დაღებულნი", ან „მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული ღვინის მსმელი". მეთორმეტე საუკუნეში მომღერალი ხმით მგალობელსა ნიშნავდა, ხოლო მუტრიბი კი იმით განსხვავდებოდა მომღერლისაგან, რომ ის დამკვრელიც იყო და მომღერალიც (ერთ და იმავე დროს)[3].

ამგვარად, ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია რა ძველი ქართული მუსიკის ტერმინოლოგიური საკითხები, დაასაბუთა, რომ სიმღერის აღმნიშვნელად ძველ ქართულში სხვადასხვა ტერმინები იხმარებოდა, ამასთან, მომღერალ-მუსიკოსნი სხვადასხვაგვარად (მგოსანი, მუტრიბი, მძნობარი) იწოდებოდნენ. ყოველივე ეს კი ძველი ქართული მუსიკალური კულტურის მაღალგანვითარებულობაზე მიუთითებს.

მრავალხმიანი ქართული გალობა-სიმღერის ხმათა სახელები უთუოდ საინტერესოა. სამწუხაროდ, ამ საკითხზე ძალზე მწირი წყაროები მოგვეპოვება. თვით ს.-ს. ორბელიანს, საკრავების სიმების სახელების გამორკვევა უცდია, ხმების სახელები კი არ შეუტანია თავის „ლექსიკონში", თუმცა, ევროპაში მოგზაურობის აღწერაში ზოგი საყურადღებო ცნობა აქვს მოცემული, რომელთა გაანალიზე-

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ., გვ. 53.
[2] იქვე, გვ. 54.
[3] იქვე, გვ. 56.

ბის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ სამხმიან გუნდში „პირველ ხმას წვრილი ხმა, მეორეს საშუალო ხმა და მესამეს ბოხი ხმა“ ეწოდებოდა[1].

ქართულ სიმღერაში მონაწილე ხმათა სახელების გარკვევისათვის საყურადღებო მასალა მოეპოვება დავით გურამიშვილს, აი ერთი ადგილი მისი ლექსიდან:

„შოთა მღერს, მეფე თემურაზ
არჩილ მოსძახის ძმურება,
მეფე ვახტანგ და იაკობ
მაღლა ზილს მიეტკბურება,
ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი,
ონანა ბანს ეუბნება,
და დვრინვენ ყარან და მამუკა,
მე მსურის მათი ყურება.
(„ქართველ მეფეთა მეგვარტომობის ამბავი“).

ამ მეტად საინტერესო გუნდში ერთი (შოთა) მღერის, ორი (თეიმურაზ და არჩილ) მოსძახის, ორი (ვახტანგ და იაკობ) ზილს ამბობს, ოთხი (ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი, ონანა) ბანს ეუბნება, ხოლო ორი (ყარან და მამუკა) „დვრინვენ“. აქედან ის ჩანს, რომ დ. გურამიშვილის მიერ შედგენილი გუნდი ხუთ ხმაზე მღერის, თანაც ეს ხუთხმიანობა ჩვეულებრივი ამბავი უნდა იყოს იმ დროისათვის. აი, მაგალითი იგივე დავით გურამიშვილიდან:

ამბობს ტორუა, გალობს ბულბული,
ტკბილად მოსძახის ოფოფს გუგული,
შაშვი ამბობს ზილსა,
მსმენი იკრთობს ძილსა,
დვრინავს ქედანი,
სხვანი მფრინველნი ამბობენ ბანსა“.
(„ზამთრის დამარცხება და ზაფხულის გამარჯვება“).

აქ ერთი ამბობს, ერთი გალობს, ორი მოსძახის, ერთი ამბობს ზილს, ბევრნი ამბობენ ბანს და ერთი დვრინავს. ე. ი. ეს გუნდი ექვსხმიანი გამოდის.

ივ. ჯავახიშვილმა მიმოიხილა სხვა წყაროებში დაცული ცნობე-

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

ბიც (განსაკუთრებით იოანე ბატონიშვილის ცნობები) და დაადგინა, რომ სამხმიან გუნდში XIII—XVIII საუკუნეებში „ერთი მხრით პირველს ხმას წვრილი ჯმა, ანუ დაბალი ხმა ეწოდებოდა, — მეორე მხრით 1-ლ ხმას მთქმელი (ანუ ვინც მღერის, თუ გალობს), მეორეს — მოძახილი და მესამეს ბანი ერქვა"[1]. ამგვარად, მრავალხმიანი ქართული მუსიკა განვითარების მაღალ დონეზე იდგა[2].

ქართული სიმღერების მრავალხმიანობასთან ერთად აღსანიშნავია ქართული მუსიკის მრავალგვარობა[3].

ხალხური სამუსიკო საკრავები, ისევე როგორც თვით ხალხური მუსიკა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა შემოგვინახეს და გადმოგვცეს, წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საბუთს, რომელიც გვიჩვენებს გარდასულ საუკუნეებში ხალხის კულტურული განვითარების გზებსა და დონეს.

ივ. ჯავახიშვილი იკვლევს როგორც საკრავიერ მუსიკას ზოგადად, ასევე ცალკეულ საკრავებს და აქედან გამომდინარე იძლევა ქართული მუსიკალური საკრავების კლასიფიკაციას. ამას თავისთავად ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან გაურკვეველი იყო ქართულ წყაროებში შემორჩენილი მთელი რიგი საკრავების სახელები. როგორი ტიპის საკრავს აღნიშნავდნენ (ვთქვათ საცემს თუ ჩამოსაკრავს, ან კიდევ სხვას). ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია მათი მნიშვნელობა და სათანადო ადგილი მიუჩინა. იგი ძველ ქართულ საკრავიერ მუსიკაში შემდეგ სახეებს არჩევდა:

1. ძალებიანი ანუ სიმებიანი საკრავები:

ა) ძალთა რაოდენობის აღმნიშვნელი საკრავების ჯგუფი (ორძალი, სამძალი, ოთხძალი, ხუთძალი, ათძალი).

ბ) მოზიდვითი და ძალთსაცემლიანი საკრავების ჯგუფი (ებანი, ქნარი, ორღანი, ჩანგი, მუღნი, ყამუნი, სანთური).

გ) ჩამოსაკრავი საკრავების ჯგუფი (ფანდური, ბარბითი, ჩონგური, ჩანგური, ცანგალა, უდი, სეთაი, თარი, საზი).

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 89.

[2] იხ. Г. Чхиквадзе, Древнегрузинская музыкальная культура, კრებ. „Грузинская музыкальная культура, М, 1957, გვ. 7—20.

[3] იხ. დ. არაყიშვილი, ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა, თბ., 1940 (გრ. ჩხიკვაძის რედაქციით).

დ) შვილდაკიანი საკრავების ჯგუფი (ჩაღანა, ქამანჩა, ჭიანური, ჭუნირი).

2. ჩასაბერი საკრავები (საყვირი, ბუკი, ყვიროსტვირი, სტვირი, ზრობაკუდი, გუდასტვირი, სალამური, სოინარი, ნაღარა, ზურნა და სხვ.).

3. საჩხარუნებელი და ჟღარუნები (წინწილა, ლინი, ზარი, სარეკელი, ეჟვანი).

4. საცემელი ანუ სარტყმელი საკრავები (ბობღანი, სპილენძ-ჭური, ნაღარა, დაფი, დაფდაფი, დუმბული, ტაბლა, ტაბლაკი, დიპლიპიტო).

მოცემული კლასიფიკაცია თვალნათლივ მიუთითებს, რომ საქართველოში ძველთაგანვე იყო განვითარებული სხვადასხვა ტიპის მუსიკალური საკრავები, ხოლო ეს ცალკეული ტიპები, თავის მხრივ, მოიცავდა მრავალ მუსიკალურ ინსტრუმენტს. ყოველივე ეს მიუთითებს საქართველოში საერთოდ მუსიკისა და კერძოდ საკრავიერი მუსიკის განვითარების მაღალ დონეზე.

ყველა დასკვნები ივ. ჯავახიშვილს გაკეთებული აქვს ძველი ქართული ისტორიული და ლიტერატურული წყაროების ფართო მოშველიებითა და საფუძვლიანი ანალიზის შედეგად; მოცემულია საკრავების კლასიფიკაცია, ძველ ქართულ წყაროებსა და ზეპირ გადმოცემებში დაცული ცნობები საკრავების შესახებ, ძალებიანი (სიმებიანი) საკრავების დამზადების წესი და ტექნიკა, ზოგადი ტერმინოლოგია. აღწერილია საქართველოში გავრცელებული და ცნობილი სხვადასხვა სახის საკრავები, საკრავის ძალების სახელები, ქართულ სანახაობებში გამოყენებული საკრავები (ათძალი, ებანი, ჩანგი, მუღნი, სანთური, ფანდური, ბირბითი, ჩანგური, ცანგალა, თარი, საზი, ჭიანური, ჭუნირი, ქამანჩა, გუდასტვირი, სოინარი და სხვ.).

ქართული მუსიკის წარმოშობა-განვითარების საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია მუსიკის ისტორიის შესწავლისათვის. ივ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ პრობლემას. ქართული მუსიკა, ისე, როგორც ბევრი სხვა ერების მუსიკა, თავის საწყისს უძველეს დროში იღებს. ბერძენ ისტორიკოსს ქსენოფონტეს მოეპოვება ცნობები, რომ წარმართობის ხანაში ქართველ ტომებში გავრცელებული ყოფილა საერო მუსიკა (მხედრული და საცეკვაო სიმღერები). მისი სიტყვით ჭანთა ტომები ომს საომარი სიმღერა-ცეკვით იწყებენ. საერო მუსიკა, ბუნებრივია, სხვა ტომებსაც ჰქონ-

დათ. შემთხვევითი არ არის, რომ დღემდე შემორჩენილი წარმართული ხალხური სიმღერები საერო ხასიათისა არიან.

წარმართული საერო და სარწმუნოებრივი მუსიკის ბუნებრივ განვითარებას ზღვარი დაუდო ქრისტიანობამ, რომელსაც, ახალ რწმენასა და მსოფლმხედველობასთან ერთად, წირვა-ლოცვის ახალი ჰანგებიც შემოჰყვა[1].

ქრისტიანობამ, თავის მხრივ, ებრაელთაგან წირვა-ლოცვაში ერთხმიანი გალობა გადაიღო. ამგვარი (ერთხმიანი გალობა) მუსიკა დღემდე შემორჩა ბევრ (ბერძნულ, სომხურ, ასურულ) ეკლესიას. გამონაკლისს დასავლეთ ევროპის კათოლიკური (მეათე საუკუნემდე რომის ეკლესიასაც ერთხმიანი გალობა ჰქონდა) და ქართული ეკლესიები შეადგენენ.

ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ თავდაპირველად ქართულ ეკლესიაშიც ერთხმიანი საეკლესიო გალობა უნდა ყოფილიყო. მისი აზრით, „რამდენადაც საქართველოში ორი გზით, დასავლეთიდან, საბერძნეთიდან ერთი მხრით და სამხრეთითგან, პალესტინა-სომხეთის მხრითაც, — არის შემოსული, იმდენადვე უეჭველია, რომ ქართული საეკლესიო გალობაც უძველეს ხანაში იმავე ებრაული გალობის ტრადიციების და ჰანგების დამცველი უნდა ყოფილიყო, რომელიც ზემოდასახელებულ ქვეყნებში იყო გაბატონებული“[2]. როცა ლაპარაკია ქართული საეკლესიო მუსიკის თავისებურებაზე, იგი უთუოდ იმ პერიოდს უნდა დავუკავშიროთ, როდესაც უპირველესი ტრადიციებისა და ჰანგებისაგან თავის დაღწევა მოხდა. ამდენად, საკითხი დაისვა ასე: როდის უნდა ჩამოშორებულიყო ქართული გალობა ებრაულ-ასურულ-სომხურ და ბერძნულ გალობა-საგალობლებს და დამოუკიდებელ განსხვავებულ ერთეულად ჩამოყალიბებულიყო.

ივ. ჯავახიშვილმა დაწვრილებით განიხილა ყველა წყარო, რომელიც კი აღნიშნული საკითხის გარკვევის საშუალებას იძლეოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქრისტიანობასა და წარმართობას შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. ამ ბრძოლამ წარმართულ და ქრისტიანულ ხელოვნებაშიც (კერძოდ, მუსიკაში) იჩინა თავი. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ხალხი მიჩვეული იყო ძველ წარმართულ სიმღერებს, რომელსაც ლხინისა და ჭირის დროსაც ამბობდნენ ხოლმე, როგორც წარმართულ რწმენასა და ცეკვა-გასარ-

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 223—224.
[2] ი ქ ვ ე. გვ. 224.

თობებთან უმჭიდროესად დაკავშირებულს; ამ საერო სიმღერას ახალი სარწმუნოებისათვის ძლიერი მეტოქეობის გაწევა შეეძლო, ამიტომაც ყველგან ქრისტიანობის მესვეურნი წარმართული სიმღერის ასეთი გავლენის ყოველნაირი საშუალებით ჯერ შესუსტებას, შემდეგ მის სრულიად მოსპობას ცდილობდნენ. ივ. ჯავახიშვილს მოჰყავდა გამოჩენილი ასური მოღვაწის ბარდესანის მაგალითი, რომელმაც თანამემამულეთა შორის წარმართობისათვის ნიადაგის გამოსაცლელად წარმართული ჰანგები და ცეკვაც კი გამოიყენა, თანაც წარმართული სიტყვები ქრისტიანული ლოცვით შესცვალა[1]. ასეთი ბრძოლა, ბუნებრივია, საქართველოშიც იყო. ამის დასამტკიცებლად ივ. ჯავახიშვილმა სათანადო ცნობებზე მიუთითა. კერძოდ, პეტრე ქართველის ცხოვრების ასურულ ტექსტში ნათქვამია, რომ თუ დიდებულები დროსტარებისას მგოსან ქალთა და კაცთა სიმღერებს უსმენენ, არჩილ მეფემ საეკლესიო მგალობლები გაიჩინა, რომელნიც პურის ჭამისა თუ სხვა დროს, ღმრთის წმინდა სიტყვებს გალობდნენ, ისე რომ მისი სასახლე ეკლესიისგან არაფრით განსხვავდებოდაო[2]. აქედან გამომდინარე ივ. ჯავახიშვილი ასკვნიდა, რომ საქართველოში ბრძოლა წარმართული მუსიკის წინააღმდეგ ჯერ კიდევ არჩილ მეფის დროიდან (მეხუთე საუკუნე) დაწყებულა. მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა (ქრისტიანული გალობის საეროზე საბოლოო გამარჯვება) ასე მალე არ შეიძლებოდა, რადგან ხალხში სიმღერა ღრმად იყო ფესვგადგმული, მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის ყოფაცხოვრებასა და საქმიანობასთან.

მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში ჩნდება საერო მხატვრული მწერლობა, როგორც ნათარგმნ-გადმოქართულებული, ასევე ორიგინალურიც. აქედან მოკიდებული, საერო მსოფლმხედველობა საეკლესიოზე ძლევამოსილი და, ამასთან, საბოლოოდ გამარჯვებულია. ყოველივე ამან, ბუნებრივია, ფართო შესაძლებლობები შეუქმნა საერო მუსიკის განვითარებას.

ძველი ქართული წარმართული მუსიკის დამცველი იყო ხალხი, რომელმაც ხატობა-დღეობებთან დაკავშირებულ სიმღერა-გართობის სახით წარმართული სული შემოინახა. ქრისტიანული ეკლესია ცდილობს აქედანაც აღმოფხვრას ეს გადმონაშთი. 1103 წლის რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“ აცხადებს: „ნუღარამცა კადრებულ არს ქმნად ამიერიდან ნუცა მონასტერთა შინა შექმნად სავაჭროთა

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 228.
[2] ივ. ი ქ ვ ე, გვ. 224.

ერის კრებათა, ნუმცა რაჲ სხუაჲ სამოქალაქოჲ და სოფლიოჲ წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა"... ბუნებრივია, ხატობა-დღეობებთან დაკავშირებული ბაზრობის („სავაჭრო ერის კრებაჲ") აკრძალვასთან ერთად „სხუაჲ სამოქალაქოჲ და სოფლიოჲ წესი"-ც არის დაგმობილი[1]. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით აქ დღეობების დროს მიღებული სიმღერებიც იგულისხმება[2]. როგორც ჩანს, დადგენილების განხორციელება მაშინვე არ მომხდარა. მისი ცხოვრებაში გატარება გარკვეული დროის განმავლობაში მიმდინარეობდა. შემთხვევითი არ არის, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამბობს: „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გიწება, ღმრთისა საძულელი, და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა"[3]. ისტორიკოსის მიერ ლაშქარში უწესობის მოხსენიება და მის წინააღმდეგ ბრძოლა სხვა საკითხებთან ერთად წარმართული სიმღერების („საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომა და გინება, ღმრთისა საძულელი") მოსპობისთვის ბრძოლასაც გულისხმობდა.

ამგვარად, ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, ქრისტიანული მუსიკა წარმართულ ბრძოლაში გარკვეულ გამარჯვებას აღწევს მეხუთე საუკუნიდან, მაგრამ ამ დროიდან მოყოლებული, რუის-ურბნისის კრების მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, შემდგომშიც არის ხალხში შენარჩუნებული წარმართული მუსიკა. როგორც დავითის ისტორიკოსი ამბობს, მხოლოდ ლაშქარში მოუსპიათ იგი. რაც შეეხება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ამ ცნობას, იგი ცოტა გადაჭარბებული ჩანს, რადგან წარმართულ სახიობათა არსებობა შემდგომ პერიოდშიც გრძელდება (ლაშქარშიც). „ხელმწიფის კარის გარიგება" პირდაპირ მიანიშნებს, რომ თევდორობის „ორშაბათს მეორეს ლამპარს მონადირენი[4] შეიქმნენ მეფეს წინაშე მიიღებენ და ცოლსა მეფისასა და შჯლთა და ვაზირთა... მიართმევენ... ლამპარსა ანთებულსა მჯარსა შეიდებენ, ეგრე მრგვალს დააბმენ". აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ „XIV ს. პირველ ნახევრამდე

---

[1] ამ საკითხის შესახებ იხ. რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 43.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 229.

[3] ცხოვრება მეფეთ–მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, 1, თბ., 1955, გვ. 352.

[4] ნადირობა ძველ საქართველოში ლაშქრობის ბევრის აუცილებელსა და სავალდებულო ნაწილს წარმოადგენდა.

საქართველოს სამეფო კარზე „ლამპრობა“ და „რგვალი“, ე. ი. ფერხული სიმღერა შაირობითურთ იმდენად ურყევ წესად ყოფილა განმტკიცებული, რომ ხელმოჭერილ და პურძვირ ხელისუფლებსაც კი არ ინდობდნენ თურმე და შაირობის დროს ავად იხსენიებდნენ და დასცინოდნენ... ცხადია, რომ იმ ბრძოლაში, რომელსაც ეკლესია წარმართულ ქართულ სიმღერა-გასართობთან საუკუნეთა განმავლობაში აწარმოებდა, სწორედ წარმართულს და ხალხურ საერო მუსიკას იმ მხრივ გაუმარჯვნია, რომ ეკლესიის მესვეურთა და საეკლესიო მუსიკას მისი მოსპობა ვერ მოუხერხებია“[1].

ხშირად ბრძოლა წარმართულსა და ქრისტიანულ სიმღერებს შორის იმით მთავრდებოდა, რომ მელოდია იგივე რჩებოდა, სიტყვებიკი, რომელიც ქრისტიანობისთვის მიუღებელი იყო, ახალი სიტყვებით იცვლებოდა. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ სიმღერა კონკრეტულსიუჟეტური ტექსტის გარეშე რჩებოდა. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ ისეთ სიმღერებზე, როგორიცაა, მაგალითად, ო დ ო ი ა (სამეგრელოში) და ო დ უ რ ი (კახეთში). ორივე ეს სიმღერა სრულდება ხვნა-თესვის ან თოხნის დროს. მათში გამოხატულია ვედრება ო დ ი ს ა დ მ ი (მოსავლის ღმერთისადმი), რათა მოლბეს იგი და ქვეყანას ნაყოფიერება მოჰფინოს; როგორც ოდოია, ისე ოდური ძველი ქართული სიმღერებია და ბუნებრივია, მათ სიტყვებიც ექნებოდა, მაგრამ შემდეგში უკვე ქრისტიანობის ხანაში, როცა წინანდელი სიტყვები ქრისტიანობისათვის იდეოლოგიურად მიუღებელი იყო, ისინი ჩამოაშორეს და ეს სიმღერები დღემდე უსიტყვოდ იმღერება[2].

დიდ ინტერესს იწვევს ივ. ჯავახიშვილის მიერ საგანგებოდ შესწავლილი მუსიკის ხელოვნების . ორგანიზაცია და მოძღვრება ძველ საქართველოში. ამ საკითხის შესწავლის დიდ მნიშვნელობაზე თეატრის ისტორიის თვალსაზრისითაც საგანგებოდ მიუთითა თავის დრო-ზე დ. ჯანელიძემ[3].

ივ. ჯავახიშვილმა ქართულ ისტორიულ ძეგლებზე დაყრნობით გაარკვია მთელი რიგი საინტერესო საკითხები. მან დაადგინა, რომ თუ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 230.

[2] აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. ე. ბერიძე, „ოდი, ოდიში, ოდოია“, მნათობი, 1959, წ., № 12.

[3] დ. ჯანელიძე, ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი შრომის მნიშვნელობა ქართული თეატრის ისტორიისათვის, მნათობი, თბ., 1946, № 4, გვ. 152—153.

უფრო ადრე არა, IX საუკუნიდან მოყოლებული მაინც, საქართველოში ყოფილა გალობის სწავლების მოძღვრება. საზოგადოებაში დახელოვნებული მომღერლებიც იყვნენ და მგალობელნიც. ჩვეულებრივ მგალობლებს გარდა კ ე თ ი ლ ა დ მ გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი ც იყო. ხოლო — მგალობელს გარდა, ერთად მომღერალნიც იყვნენ. გუნდის გალობის თანამონაწილეს ეწოდებოდა თ ა ნ ა მ გ ა ლ ო ბ ე ლ ი[1].

ძველი სანახაობანი რამდენიმე, ან ბევრ მოთამაშეთა სიმღერა-გალობასა და როკვა-ცეკვას შეიცავდა. ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია ასეთ მგალობელ მოთამაშეთა, ან მგალობელ მროკველთა აღმნიშვნელი ტერმინები (ძნობა, მძნობარი, მძნობრი, მწყობრი, გუნდი და დასი). თუ ძნობა და მძნობრი უძველესი ხანის ქართულ ძეგლებში გვხვდება და შემდეგში მხოლოდ მწიგნობრულ სიტყვად ჩანს, მ წ ყ ო ბ რ ი უძველეს ძეგლებშიც მოიპოვება და მერმინდელშიც[2]. „დაბადებაში“ გვხვდება ტერმინი „მწყობრი მემღერეთაჲ“, რომელიც, როგორც ბერძნულს, ლათინურსა და სომხურთან შეჯერებით გაირკვა, მოთამაშეთა გუნდის აღმნიშვნელი ყოფილა[3].

„დაბადების“ ქართული თარგმანის სხვადასხვა რედაქციების ერთმანეთთან შედარებამ აჩვენა, რომ ტერმინები გ უ ნ დ ი და დ ა ს ი ერთმანეთის სინონიმებია. მწყობრის ცალკეულ წევრს მ ე მ წ ყ ო ბ რ ე ეწოდებოდა, დასისას — მ ო დ ა ს ე (იხ. „აბდულმესიანი“ — „წმინდათ მ ე მ წ ყ ო ბ რ ე, მათთან მოსაგრე, ზეცისა ძალთა ხარ მ ო დ ა ს ე ც ა“).

საგულისხმოა, რომ დ ა ს ი ქაოთული თეატრის (და არა მუსიკის) ტერმინოლოგიაში დამკვიდრდა. გ უ ნ დ ი მხოლოდ მომღერალთა ნაკრების აღმნიშვნელ სიტყვად იქნა მიჩნეული (უფრო ზოგადი ცნების გამოსახატავად ძველმა ქართულმა ტერმინოლოგიამ მ წ ყ ო ბ რ ი შეინარჩუნა).

ივ. ჯავახიშვილი არკვევს სიმღერა-გალობაში დახელოვნების, ოსტატობისა და ხელმძღვანელობის აღმნიშვნელ ტერმინებს.

მ გ ა ლ ო ბ ე ლ თ უ ხ უ ც ე ს ი იყო მომღერალ-მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელი და მასწავლებელი. გ ა ლ ო ბ ი ს მ ო ძ ღ უ ა რ ი — სიმღერა-გალობის მასწავლებელს ერქვა. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი მ გ ა ლ ო ბ ე ლ ი — სიმღერის დამწყები იყო („სხვებზე წინ იწყებდა

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 234.
[2] იქვე.
[3] იქვე.

გალობას და ამით დანარჩენს წინაურობდა"). უპირობდა, ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ერთ-ერთი დახელოვნებულ მგალობელთაგანი იყო, რომელიც სხვებს ხელმძღვანელობას უწევდა და მომღერალთა შორის პირველ დამწყებად ითვლებოდა[1]. წყაროებში დამოწმებული ტერმინი მთავარი მგალობელთა იგივეს აღნიშნავდა, რასაც წინამძღვარი მგალობელი.

ივ. ჯავახიშვილი წყაროებზე დაყრდნობის საფუძველზე ასკვნის, რომ „საგალობლის სიტყვების თარგმნა, თუ შეთხზვა და მისთვის საგანგებოდ ჰანგების დაწერა, თუ ამაზე უწინარეს არა, მაინც და მაინც XII ს. დამდეგს უკვე სხვადასხვა სპეციალობად ყოფილა ქცეული"[2]. ამ პერიოდში საქართველოს უკვე ჰყოლია ისეთი პირები, რომლებიც მხოლოდ ჰანგსა სთხზავდნენ. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ სიტყვიერი შემოქმედების ნაწარმოებისათვის ჰანგის შეთხზვას „ჴმისა დადებაჲ" ეწოდებოდა. ასეთი სამუშაოს დაწყებას „ჴმისა დადებისა ჴელყოფაჲ" რქმევია. საყურადღებოა, რომ ასეთ ხმის დამდებთა (კომპოზიტორთა) შორის ყველაზე დამსახურებული თანამდებობის პირი ჴელოვან-მთავარის სახელს ატარებდა[3].

ივ. ჯავახიშვილი მიმოიხილავს საგალობო ნიშნებს. მან ყურადღება მიაქცია, რომ მუსიკის ხელოვნებისა და ისტორიის ქართველი მკვლევარების (პ. კარბელაშვილი, ია კარგარეთელი და სხვ.) გარდა ამ საკითხს სათანადო ყურადღება დაუთმო ლათინური და ბერძნული საგალობო ნიშნების ცნობილმა მკვლევარმა აბე ჟ. ბ. ტიბომ. ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ „ქართული ძირითადი საგალობო ნიშნების გარეგნული გამოყვანილობა უახლოესს ანალოგიას წარმოადგენს დასავლეთის, ლათინთა, ეკლესიის ნევმური ნიშნებისას". მისივე დაკვირვებით, ქართული საგალობო ნიშნების სისტემა 10 ძირითად ნიშანს შეიცავდა, რომელნიც მდებარეობის მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს (ხუთი ნიშანი სტრიქონს ზევით იწერება, ხუთი — ქვევით)[4].

ივ. ჯავახიშვილმა არსებული ლიტერატურისა და წყაროების ღრმად შესწავლის საფუძველზე ბევრი საგულისხმო დასკვნა მოგვცა

---

[1] ივ. ჯავახიშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 236.
[2] იქვე, გვ., 240.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 246.

საგალობო ნიშნების შესახებ. იგი ამ საკითხს საბოლოოდ გადაჭრილად არ თვლიდა, მაგრამ მისი გარკვევის გზებს აშკარად იძლეოდა. საერთოდ, ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული დებულებები მუსიკის ხელოვნების ორგანიზაციისა და მოძღვრების შესახებ ძველ საქართველოში უაღრესად მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელია.

მეცნიერს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ისეთი საკითხი, როგორიცაა ხმის თვისებების მაშინდელი შეფასება და მთელი თავი უძღვნა მას (გვ. 269—272).

ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ ქართული სიმღერები ძველთაგანვე მრავალგვარი იყო. საქართველოში ოდითგანვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სიმღერები. ჯერ კიდევ თამარის პირველ ისტორიკოსს აქვს საგანგებოდ ხაზგასმული — თამარ მეფეს ისეთი სახელი ჰქონია საქართველოში გავარდნილი, რომ „ყრმანი მემროწლენი, განპებასა შინა ორნატთასა, თამარის ქებათა მელექსეობდიან“[1]. ე. ი. მიწის ხვნის დროს სიმღერებში (გუთნურში) თამარის საქებარ ლექსებს ჩაურთავენო.

საქართველოში სხვადასხვა სიმღერების შესრულების ვრცელი აღწერილობა მოეპოვება XVII საუკუნის იტალიელ მოგზაურს არქანჯელო ლამბერტის[2]. აღნიშნული ავტორის ცნობებიდან ირკვევა, რომ იმ დროის საქართველოში გავრცელებული ყოფილა თოხნური, მგზავრული და სუფრული საგუნდო სიმღერები.

პურის ჭამის დროს რომ თავისებური სიმღერები არსებობდა, ამას ადასტურებს მთელი რიგი ცნობებიც. ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე კახეთის ამბების მოთხრობისას გადმოგვცემს: „შეიქმნა ღვინის სმა და ლხინი და ჩანგთა კვრა და მეჩანგეთა შუშპარი და სიმღერა გააბშირეს“.

მაშინდელი მრავალფეროვანი სიმღერების ერთი დარგთაგანი იყო სამიჯნურო ლექსები. თეიმურაზ მეორეს აღნიშნული აქვს, რომ ნიშნობის დროს საქართველოში ჩვეულებად ჰქონიათ:

„მუშაითთაგან კვრანი და ხმატკბილად ამღერებანი,
თქვან მუნასიბი ლექსები, ყმისა და ქალის ქებანი“.

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1959, გვ. 146.

[2] იხ. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938.

გარდა ამისა, თეიმურაზ მეორეს დაცული აქვს მეტად საინტერესო ცნობა, რომ საქორწილო კაბების გამოჭრის დროსაც კი აუცილებელია სიმღერა-მაყრულის თქმა. „დასჭრიან ჯვარის საწერსა თეთრ კაბებს მაყრულითა და სამჯერ იტყვიან მაყრულსა, სანამ დასჭრიან კაბებსა“ („სარკე თქმულთა“).

არქანჯელო ლამბერტი, აღწერს რა სამეგრელოში ქორწილის ჩვეულებას, ხაზს უსვამს, რომ სიმღერა აუცილებელი კომპონენტი იყო დროსტარებისა[1]. ამასთან, საქორწილო სიმღერის (მაყრულის) თქმა სხვადასხვაგვარად ხდებოდა. გარეთ, მგზავრობის დროს, მაყრული ხმამაღლა იმღერებოდა („მეფის წასვლის დროს ასტეხონ ხმამაღლად თვით მაყრულები“), სახლში — შედარებით დაბალ ხმაზე.

ივ. ჯავახიშვილი, სავსებით სამართლიანად, მუსიკას მიაკუთვნებს სამგლოვიარო მოთქმით ტირილს — ზარს. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, კარგი ხმის პატრონს რამდენიმე პირს ამოარჩევდნენ და მათგან ადგენდნენ მოზარეთა ორ გუნდს. მოზარეები მღერიან ნელი ხმით, თითქოს კიდეც მღერიან და კიდეც ტირიანო, სიტყვებს არ ამბობენ და მხოლოდ იძახიან „ოჰი, ოჰი, ოჰი“-ო[2]. საქართველოში დაცული ზარის წესისა და ჰანგთაგან ყველაზე საყურადღებოდ ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა ზ. ფალიაშვილის მიერ ჩაწერილი სვანური ზარი[3].

ყოველივე ზემომოტანილი მაგალითებიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ქართული სიმღერა თავის სიძველესთან ერთად მრავალგვარი იყო.

ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით ჩერდება ქართული მუსიკის წარმოშობის საკითხებზე და მრავალი სახის ისტორიული წყაროების განხილვა-გაანალიზების საფუძველზე ასკვნის, რომ „ქართული ხმიერი მუსიკა თავდაპირველად თამაშობასთან ყოფილა დაკავშირებული და იქ ყოფილა სწორედ მისი სათავე“[4]. ივ. ჯავახიშვილი სათანადო ისტორიულ მასალაზე გულისხმიერი დაკვირვების შემდეგ მიიჩნევდა, რომ პირველად დასაკრავ-დასარტყმელი საკრაველი წარმოშობილა, ხოლო შემდეგ — ძალებიანი და ჩასაბერი.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მრავალხმიანობის სა-

---

[1] იხ. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938., გვ. 92.

[2] იქვე, გვ. 62.

[3] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 280.

[4] იქვე, გვ. 287.

დაურობის დადგენას. ივ. ჯავახიშვილმა დასაბუთებულად უარყო ის თეორია, რომელიც მიიჩნევდა, რომ მრავალხმიანობა ქართულ მუსიკაში დასავლეთ ევროპის გავლენითაა შემოსული. მეცნიერი მრავალხმიანობის წყაროს თვით საქართველოში ეძებს. მას მიაჩნია, რომ ქართული მრავალხმიანობის ისტორიისა და სადაურობის საკითხის გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ ყოველგვარი წყაროების საფუძვლიანი გამოყენებითა და განხილვით. თვით ივ. ჯავახიშვილი, ითვალისწინებს რა ძეგლებში საგალობლებისა და გალობის შესახებ დაცულ ცნობებს, საკრავიერი მუსიკის ტერმინოლოგიას, ადამიანისა და ხმების სახელების თავდაპირველ მნიშვნელობას, ასკვნის: „მრავალხმიანობა ქართულ მუსიკას წარმართობის ხანაშივე უნდა ჰქონოდა და იმ დროითგანვე უნდა ჰქონდეს საუკუნეთა განმავლობაში შენარჩუნებული“[1]. გამარჯვებული ქრისტიანობისათვის ჰანგი კი არა, სიტყვები იყო მიუღებელი. ხოლო როცა ძველ ჰანგს საეკლესიო საგალობლის სიტყვებს მიუმარჯვებდნენ, ჰანგი უკვე ეკლესიისათვის აღარავითარ წინააღმდეგობას არ წარმოადგენდა. როგორც ჩანს, საქართველოშიც „ამავე გზით უნდა იყოს ხალხისათვის ჩვეული წარმართულ-საერო სიმღერების ჰანგები და ორ-სამხმიანობა ქართული საეკლესიო გალობის მიერაც შეთვისებული“[2].

ივ. ჯავახიშვილი ყოველგვარი გარემოებებისა და მოსაზრებების კრიტიკულმა განხილვამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მრავალხმიანობა ქართული მუსიკის შინაგანი განვითარების ნაყოფია[3].

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ივ. ჯავახიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხების შესწავლა-დამუშავების საქმეში, განიხილა და დაადგინა ხმიერი და საკ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 326—327.

[2] იქვე, გვ. 327.

[3] აღნიშნულ დებულებას ამაგრებს და შემდგომ ასაბუთებს ცნობილი ქართველი მეცნიერი პაველ ინგოროყვა, რომელიც სხვადასხვა წყაროების განხილვას საფუძველზე ასევე აკეთებს დასკვნას, რომ „თვითმყოფი დამოუკიდებელი ეროვნული სახეობა ქართული მუსიკისა მის სამხმიანობაში მდგომარეობს, და, როგორც დასტურდება, ეს სამხმიანობა ქართული მუსიკისა უძველესი ხანიდან მომდინარეობს (პ. ინგოროყვა, ანტიკური ხანისა და საშუალო საუკუნეთა ქართული მუსიკალური დამწერლობის ახსნა და ძველი ქართული მუსიკის აღდგენა, მნათობი, 1958, №2, გვ. 124.).

რავიერი მუსიკის ზოგადი ტერმინოლოგია, მოგვცა ძველ საქართველოში გავრცელებული საკრავების დაჯგუფება-კლასიფიკაცია, ჩამოაყალიბა ქართული მუსიკის განვითარების მთავარი საფუძვლები; ხაზი გაუსვა რა ქართული სიმღერის სიძველესა და მრავალხმიანობას, გამოამჟღავნა ქართული მუსიკის თვითმყოფი ხასიათი — მისი მრავალხმიანობა — და ახსნა ამ მრავალხმიანობის წარმოშობა და სადაურობა.

ივანე ჯავახიშვილს, ისე, როგორც ქართული ისტორიული მეცნიერების ყველა სხვა დარგში, მუსიკის ისტორიის შესწავლაშიც ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის.

ივანე ჯავახიშვილი და ქართველი საზოგადო მოღვაწეები

ივ. ჯავახიშვილს სხვადასხვა საკითხების გადაჭრისას, ან ამა თუ იმ საქმის მოგვარებისას, გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა ქართული კულტურის მოღვაწეებთან, იმ პირებთან, რომლებიც იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

ამ თავში გვინდა მკითხველს გავაცნოთ დიდი მეცნიერის ურთიერთობა ზოგიერთ მოღვაწესთან. აღნიშნული საკითხის სრულყოფილად გადმოცემა მეტად რთულია, რადგან ბოლომდე გახსნა იმ დამოკიდებულება-ურთიერთობისა, რაც ივ. ჯავახიშვილს ცალკეულ მოღვაწეებთან ჰქონდა, შეუძლებელია, ზოგ შემთხვევაში მასალის უკმარისობის, ზოგჯერ კი მიუწვდომლობის გამო. ამიტომ ჩვენც მხოლოდ ცალკეულ ეპიზოდებზე შევჩერდებით; შევჩერდებით მოვლენებზე, რომლებიც ხაზგასმით გვიჩვენებენ ივ. ჯავახიშვილის დიდბუნებოვნებას, მაღალ მოქალაქეობრივ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი საქმისადმი და კულტურული ცხოვრებისადმი, მის ზრუნვას მეგობრებისა და დიდ გულისხმიერებას მოწაფეებისადმი[1].

ივანე ჯავახიშვილი და ზაქარია ფალიაშვილი

„ძალიან გულით მინდოდა, რომ თქვენ აქ ყოფილიყავით და მოგესმინათ ეს სიმღერები[2], რადგანაც ჩვენში მათი კარგისა თუ ავი აზ-

[1] ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულების შესახებ ახალგაზრდა მეცნიერებთან იხ. დ. გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1968 წ., გვ. 207—210.

[2] მხედველობაშია 1908 წლის შემოდგომაზე ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ საღამოზე შესრულებული ზ. ფალიაშვილის ნაწარმოებები.

რის გამომთქმელათ მე თქვენ გაფასებთ უფრო, ვიდრემც „დიპლომიანებს“, ანუ ჩვენ ქართველ მუსიკოსებს“ — სწერდა პეტერბურგში მყოფ ივ. ჯავახიშვილს 1908 წლის 16 დეკემბერს ზაქარია ფალიაშვილი[1]. ამ სიტყვებში აშკარად ჩანს დიდი დაფასება, სიყვარული და, ამაჯთან, ივ. ჯავახიშვილის და ზ. ფალიაშვილის ურთიერთობა. ეს იყო ქართველი ერის ორი დიდი მოღვაწის სახელოვანი მეგობრობა. ამ მეგობრობის ასახვას მეტად საინტერესო წერილი მიუძღვნა ივ. ჯავახიშვილის ქალიშვილმა — ნათელა ჯავახიშვილმა[2].

ივ. ჯავახიშვილისა და ზ. ფალიაშვილის ნაცნობობა ჩვენი საუკუნის დამდეგს დაიწყო, თანდათან გაღრმავდა და სულიერ მეგობრობაში გადაიზარდა. „რა ვქნა, როცა აქ (თბილისია მხედველობაში — რ. მ.) არც ერთმა მუსიკოსმა და არც ერთმა ადგილობრივმა გაზეთმა არც ავი და არც კარგი თქვა. თქვენ თითონ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მე ყვირილი არ მიყვარს და ვერავისთვის ხმა ვერ გამიცია და ვერ მითქვამს, რომ ამ თუ დიდი არა, მაინც არც ძალიან მცირე ჩემმა შრომამ, ესე შეუმჩნეველად ჩაიარა“ — ამ სიტყვებით ზაქარია ფალიაშვილს შეეძლო მიემართა მხოლოდ სულიერი მეგობრისათვის (წერილი დათარიღებულია 1911 წლის 29 იანვრით).

როგორც ჩანს, კომპოზიტორი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. ჯავახიშვილის აზრს, ასმენინებდა თავის ახალ ნაწარმოებებს. ზ. ფალიაშვილი თხოვნით მიმართავდა ივ. ჯავახიშვილს, დახმარებოდა მათ გამოცემაში. ივ. ჯავახიშვილი, თავის მხრივ, ძალას არ იშურებდა ხელი გაემართა კომპოზიტორისათვის. ეს ნათლად ჩანს ივ. ჯავახიშვილისადმი გაგზავნილი ზ. ფალიაშვილის მადლობის წერილიდან. წერილი გაგზავნილია თბილისიდან პეტერბურგში, 1908 წლის 16 დეკემბერს და საინტერესოა იმითაც, რომ სხვა ამბებთან ერთად მასში მოთხრობილია აკაკი წერეთლის იუბილესათვის მზადების ზოგი საკითხი. ეს იუბილე, როგორც ცნობილია, 1908 წლის 7 დეკემბერს შედგა. შესრულებული იქნა ზ. ფალიაშვილის მიერ საგანგებოდ დაწერილი „მრავალჟამიერი“ (ე. წ. „აკაკის მრავალჟამიერი“). „ამ „მრავალჟამიერის“ მოკლე ისტორია — წერს ზ. ფალიაშვილი —

---

[1] ზაქარია ფალიაშვილის წერილები ივანე ჯავახიშვილისადმი, ნათელა ჯავახიშვილის პუბლიკაცია, საბჭოთა ხელოვნება, 1974 წ. № 4, გვ. 90. ჩვენ შემდგომშიც ამ პუბლიკაციით ვისარგებლებთ წერილების ტექსტის მოწოდებისას.

[2] ნათელა ჯავახიშვილი, სახელოვანი მეგობრობა, დროშა 1953 წ., № 5, გვ. 14—15.

ესე იყო. 7 ქრისტეშობისთვის იყო დანიშნული აკაკის იუბილე და ეს კი დავსწერე 2-ს ქრისტეშობისთვეს ერთ საღამოზედ, რადგანაც არასფერს არ ვაპირებდი, მაშინ ფილარმონიული საზოგადოების ძალდატანებით ესე უცებ, ერთ საღამოში, დავწერე ეს მუსიკა". ეს „მრავალჟამიერი" სადღესასწაულო ხასიათისა იყო და საზოგადოება დიდი კმაყოფილებით შეხვდა. ეს იყო ზაქარია ფალიაშვილის მნიშვნელოვანი ნაბიჯი (როგორც თვით კომპოზიტორი აღნიშნავს) ქართული მუსიკის შეთხზვაში.

1909 წლის ზაფხულში ივანემ ზაქარია ქართლში, სოფ. ხოვლეში წაიყვანა. აქ ზ. ფალიაშვილმა მოისმინა ქართული ხალხური სიმღერები ძმები კავსაძეების გუნდის შესრულებით. აღსანიშნავია, რომ გუნდში თვით ივანე და მისი ძმა დათაც მღეროდნენ. ზ. ფალიაშვილს ფონოგრაფზე ჩაუწერია ზოგიერთი სიმღერა. სიმღერების შერჩევასა და შესრულების სიზუსტესაც თურმე ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა[1]. აქედან ქართლის სხვა სოფლებშიც გამგზავრებულა ზაქარია. ამ დროს ჩაუწერია „აბესალომ და ეთერის ლეკური", რომელსაც შემდეგში, ალბათ ივ. ჯავახიშვილის წვლილის აღსანიშნავად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „ივანეს ლეკურსაც" ეძახდა ხუმრობით[2]. ზ. ფალიაშვილმა ილია ჭავჭავაძის სიტყვებზე დაწერილი თავისი სიმღერა „ნანა შვილო" ივ. ჯავახიშვილს მიუძღვნა. ამ უკანასკნელის მადლობის შემდგომ კომპოზიტორი წერს: „მადლობაც არა ღირს, დამერწმუნეთ, თქვენ, როგორც ერთადერთი გულწრფელი მოტრფიალე ქართული ხელოვნებისა ბევრად მეტის ღირსი ხართ".

ივ. ჯავახიშვილსა და ზ. ფალიაშვილს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო მჭიდრო ხდება მას შემდეგ, რაც ივანე თბილისში ბრუნდება. მიუხედავად იმისა, რომ დიდ მეცნიერს სმენა თანდათან უსუსტდებოდა, მუსიკისათვის იგი ყოველთვის თავგადადებული იყო. მეცნიერის ქალიშვილი ნათელა ჯავახიშვილი იგონებს: „რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ივანე ჯავახიშვილს კატასტროფიულად უსუსტდებოდა ყურთა სმენა. ბუნებამ ამ დიდი ნებისყოფის ადამიანს შეუბრალებელი გამოცდა გაუმართა. ივანე ჯავახიშვილისათვის უკიდურესად მძაფრი შრომის დღეებში ერთადერთი დასვენება მუსიკის მოსმენა იყო; არა მარტო დასვენება, ეს იყო მისი დიდი ფიქრების მასაზრდოებელი, წარმმართველი და დამამშვიდებელი; სმენა კი იმდენად სწრა-

[1] ნათელა ჯავახიშვილი, სახელოვანი მეგობრობა, დროშა 1953 წ., № 5 გვ. 14.
[2] იქვე.

ფად უსუსტდებოდა, რომ დროდადრო ხმამაღალი ლაპარაკიც ძნელად ესმოდა“. ივ. ჯავახიშვილი მეტად მტკივნეულად განიცდიდა ამ მდგომარეობას და კონცერტებსა და ოპერაში სიარულს თავი დაანება. ამ დროს მეცნიერს სიმხნევეს ჰმატებდა ზაქარია ფალიაშვილის მისდამი ფაქიზი დამოკიდებულება. კომპოზიტორი ივ. ჯავახიშვილს ასწენიებს ცალკეულ ადგილებსა და ცალკეულ აქტებსაც „აბესალომ და ეთერიდან“. ამ ოპერაზე მუშაობის შესახებ ზ. ფალიაშვილი ადრეც ატყობინებდა პეტრებურგში ივ. ჯავახიშვილს. 1911 წლის 2 იანვრით დათარიღებულ წერილში კომპოზიტორი წერს: „ჩემი „აბესალომ და ეთერის“ საქმისას თუ იკითხავთ, საუბედუროთ, — რასაკვირველია, დროის უქონლობის გამო, ვერა მივუმატე რა იმის გარდა, რომ იმ სამ სურათს, რომელიც ამ ზაფხულს დავწერე, მეორე რედაქციას ვუკეთებ და სუფთადა ვწერ, მაგრამ რა ვქნა, როცა სამსახურები ნებას არ მაძლევენ და ეს ჩემი დაწყებული საქმე ზაფხულისათვის (როცა თავისუფლება ბევრი მაქვს) გადამაქვს. არა უშავს რა, იმედი მაქვს ნელა-ნელათი ბოლო მოვუღო, სჯობს ნელა იყოს და გვარიანად, ვინემც ჩქარა და სულ უვარგისი“.

და აი დადგა 1919 წლის 21 თებერვალი... მეტად მნიშვნელოვანი დღე საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში... დანიშნულია მეორე ქართული ოპერის პრემიერა. ზ. ფალიაშვილს თვითონ მოუტანია ბილეთები ივანესათვის. კომპოზიტორის მღელვარება მეცნიერსაც გადასდებია — მოუთმენლად მოელოდა თურმე იგი ოპერის დაწყებას. „აბესალომ და ეთერის“ წარმოდგენა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, ჭეშმარიტი სახალხო ზეიმი იყო. ივ. ჯავახიშვილი აღტაცებით შეხვდა მას, „ეს მარტო თქვენი გამარჯვება კი არა, მთელი ქართველი ხალხის გამარჯვებაა“ — აღტაცებით უთქვამს ივანეს ოპერის დამთავრების უმალ მასთან მისული ზაქარია ფალიაშვილისათვის. მეცნიერს კარგად ესმოდა ახალშექმნილი ქართული საოპერო შედევრის ყადრი. ნათელა ჯავახიშვილი ხაზგასმით ამბობს, რომ „აბესალომ და ეთერს“ — ივანე ჯავახიშვილის გულში ვერც ერთმა სხვა ოპერამ ვერ გაუწია მეტოქეობა“.

შემდგომ პერიოდში ივ. ჯავახიშვილი და ზაქარია ფალიაშვილი უკვე უფრო მეტად დაახლოვდნენ. ყოველ ახალშექმნილ ნაწარმოებს კომპოზიტორი პირველად ივ. ჯავახიშვილს ასმენინებდა. სმენადაქვეითებული მეცნიერისთვის ზაქარიას გამოჩენა ნამდვილი დღესასწაული ყოფილა. „ივანე ჯავახიშვილი, საერთოდ დიდი სტუმართმოყ-

ყარე მასპინძელი, გაახალგაზრდავებული და აღფრთოვანებული ეგებებოდა ზაქარიას და მაშინვე ფორტეპიანოსკენ მიემართებოდა. ზაქარიას არაჩვეულებრივად ცოცხალს, მოძრავს და მოუსვენარს, ქარბუქივით შემოჰქონდა სიცოცხლე, სიხარული და ნათელი შემოქმედებითი აღტყინება, მთლიანად განცდადქცეული, ამღერებული, თვითონაც დიდი სიმოვნებით მიაშურებდა ხოლმე საკრავს. უკრავდა, თან უხსნიდა და უმარტავდა ამა თუ იმ ადგილს, თან მღეროდა, და ზოგჯერ თითები და ხმაც აღარ ყოფნიდა ხოლმე — ღელავდა, შფოთავდა და მაშინ ივანეც ცალი თითით იწყებდა მოხმარებას. იგი გვერდზედ უჯდა ხოლმე ზაქარიას, ცალი ხელით ყურს იფარებდა, რომ არც ერთი ბგერა არ გამოჰპარვოდა, მეორეთი — ნოტებს ფურცლავდა. სახეზე უდიდესი კმაყოფილება ეხატებოდა. ადგილ-ადგილ აჩერებდა, რჩევას აძლევდა, ან უკვე თავშეუკავებლად აღტაცებას გამოსთქვამდა; და როცა უკანასკნელი აკორდი აჟღერდებოდა, დაქანცული ზაქარია სკამს მიეყუდებოდა, რამდენიმე ხანს სრული სიჩუმე ჩამოვარდებოდა, რომელსაც ისევე ზაქარია დაარღვევდა ხოლმე"[1] — მოგვყავს ასე ვრცლად მოგონების სტრიქონები ორი დიდი მოღვაწის ურთიერთობის შესახებ და მადლიერებით ვიესებით მისი ავტორისადმი, რომელმაც ასე ცოცხლად და ნატიფად წარმოგვიდგინა ივ. ჯავახიშვილისა და ზ. ფალიაშვილის მეტად ფაქიზი მეგობრობა.

დიდ სიყვარულსა და პატივისცემასთან ერთად ივ. ჯავახიშვილი პირუთნელი პირდაპირობით აძლევდა სხვადასხვა რჩევებს ზაქარიას. ივანეს ფალიაშვილის შემოქმედებისათვის შეუფერებლად მიაჩნდა მალხაზის არია „თავო ჩემო" და ურჩევდა ამოელო „დაისიდან". ზაქარია ფალიაშვილს კი ძალიან მოსწონდა ეს არია და „დაისსაც" დღემდე შემორჩა იგი.

1926 წელს გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „ჩვენი მეცნიერება", რომელშიც პეტრე მელიქიშვილისა და კორნელი კეკელიძის სამეცნიერო სტატიების გვერდით დაიბეჭდა ზ. ფალიაშვილის წერილი „ქართული ეროვნული მუსიკა". ეს არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა. ზაქარია ყოველთვის მზად იყო თავისი პატივისცემა გამოეხატა ივ. ჯავახიშვილისადმი და ეს წერილიც ამის ნათელი დადასტურებაა, მით უმეტეს, რომ მასში კომპოზი-

[1] ნათელა ჯავახიშვილი. დასახ. წერილი. გვ. 15.

ტორმა ქართული ეროვნული სიმღერა-მუსიკის განვითარების მწვავე პრობლემები დააყენა[1].

ზაქარია ფალიაშვილის გარდაცვალების შემდეგ ივ. ჯავახიშვილი ყოველთვის დიდი ზრუნვითა და ყურადღებით ეკიდებოდა კომპოზიტორის შემოქმედებით მემკვიდრეობას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის კონსულტაციებს „აბესალომ და ეთერის“ მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე დადგმისას.

ივ. ჯავახიშვილისა და ზ. ფალიაშვილის ურთიერთობა ჭეშმარიტი მაგალითია ერის კულტურის სამსახურში მყოფი ორი მოღვაწის მეგობრობისა.

ზოგი რამ ივანე ჯავახიშვილისა და დავით კაკაბაძის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ივ. ჯავახიშვილის წერილი[2] გიორგი ზდანევიჩისადმი[3], რომელიც მნიშვნელოვან მონაცემებს შეიცავს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილისა და ცნობილი მხატვრის დავით კაკაბაძის ურთიერდამოკიდებულების შესახებ.

როგორც ცნობილია, დავით კაკაბაძე პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლისას მხატვრობასა და ხელოვნების ისტორიის შესწავლასაც ეწაფებოდა (მხატვრობას იგი სწავლობდა, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილიც მიუთითებს, დიმიტრევ-კავკაზსკის სკოლაში, ხოლო ხელოვნების ისტორიას — უნივერსიტეტში აინალოვთან). ნიჭიერი მხატვარი ამითაც არ კმაყო-

---

[1] ზ. ფალიაშვილი, ქართული ეროვნული მუსიკა, კრებ. ჩვენი მეცნიერება, № 17—18, თბ.. 1926 წ., გვ. 19—20.

[2] ამჟამად ეს წერილი ინახება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. მის შესახებ იხ. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დიდი მეცნიერის საინტერესო წერილი (ერთი საბუთი ივანე ჯავახიშვილისა და დავით კაკაბაძის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ), ცისკარი, 1962 წ.. № 1, გვ. 133-134.

[3] გიორგი ფილიმონის ძე ზდანევიჩი-მაიაშვილი (1855—1917) იყო ცნობილი ხალხოსანი, საზოგადო მოღვაწე, 1896—1917 წწ. მუშაობდა მისივე თაოსნობით ჩამოყალიბებულ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარედ. გიორგი ზდანევიჩი-მაიაშვილი დიდ დახმარებას უწევდა ყოველგვარ კულტურულ წამოწყებას.

ფილდებოდა და იმავე უნივერსიტეტში ქართული ხელოვნების ისტორიას საგანგებოდ სწავლობდა ივ. ჯავახიშვილთან „... ამასთანავე — წერს ივ. ჯავახიშვილი დ. კაკაბაძის შესახებ — ჩემთან სწავლობს და მუშაობს, რამდენადაც ეს საჭიროა ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლისათვის". სახელოვან მეცნიერს მოსწონებია დავით კაკაბაძის ნამუშევრები და იმთავითვე მაღალი შეფასება მიუცია მისი მხატვრული ნიჭისათვის.

ზემოაღნიშნული წერილიდან ნათლად ჩანს, რომ დავით კაკაბაძე პეტერბურგში სწავლისას მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიდა. სწორედ ამიტომ წერს ქართველი მეცნიერი პირად წერილს შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარეს გიორგი ზდანოვიჩს და ითხოვს, რომ შავი ქვის მრეწველთა საბჭომ დავით ნესტორის ძე კაკაბაძეს მისცეს სტიპენდია, ან ერთდროული დახმარება: „პეტერბურგის ქართული სათვისტომო შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სთხოვს რომ მან დაუნიშნოს (ხაზგასმა ჩვენია — რ. მ.) აქაურს სტუდენტს დავით ნესტორის ძეს კაკაბაძეს სტიპენდია ან ერთდროული დახმარება".

წერილი თარიღდება 1912 წლის 6 ოქტომბრით.

ივანე ჯავახიშვილი ახასიათებს დავით კაკაბაძეს, როგორც საუკეთესო სტუდენტს და ამასთანავე კარგ მხატვარს[1]. წერილიდან ვიგებთ, რომ ქართველ მეცნიერს დ. კაკაბაძისათვის მიუცია ძველი ქართული მხატვრობის ერთი ნიმუში (ვახტანგ VI და საბა ორბელიანის სურათი), რომელიც შემონახული ყოფილა ქართულ ხელნაწერში და უთხოვია მისი ასლის გადმოღება. მინდობილი საქმე მხატვარმა „საუცხოოდ აასრულა". ეს უნდა მომხდარიყო 1911 წელს, რადგან ივ. ჯავახიშვილი გარკვევით მიუთითებს, რომ შარშან მიეცით გადმოსახატავად, წერილი კი 1912 წელსაა დაწერილი. ივ. ჯავახიშვილისავე რჩევით ქართულმა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დ. კაკაბაძეს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში შენახული მარიამ დედოფლისა და სხვათა საისტორიო სურათების ფერადი

---

[1] დავით კაკაბაძე ამ დროისთვის უკვე საინტერესო მხატვარი ჩანს. იგი ჯერ კიდევ ადრე, პეტერბურგში გამგზავრებამდე (1909 წლამდე), ქუთაისში სწავლის პერიოდში ეწაფება სახვით ხელოვნებას. დღემდე შემორჩენილა მის მიერ 1906 წ. შესრულებული სურათი. იხ. რ. მეტრეველი, დავით კაკაბაძის უცნობი სურათი, საბჭოთა ხელოვნება, 1960 წ., № 10, გვ. 84.

ასლების გადაღება მიანდო, მხატვარს ეს დავალებაც წარმატებით შეუსრულებია.

როგორც ივ. ჯავახიშვილი წერილში იტყობინება, დ. კაკაბაძე 1912 წ. თებერვლიდან ამზადებდა გამოკვლევას — „ჩუქურთმიანი სახეების (ორნამენტი) განვითარება ქართულ საოქრომჭედლო ხელოვნებაში ქართული ხატების მიხედვით". თემაზე მუშაობისას მომავალ ხელოვანს დახმარებას უწევდა ივ. ჯავახიშვილი. მართლაც, 1913 წ. სამეცნიერო წრის სხდომაზე დავით კაკაბაძემ წაიკითხა ეს გამოკვლევა. მასში შეკრებილი იყო ქართული ორნამენტების ყველა ნიმუში და ქრონოლოგიურად იყო დათარიღებული მათი თანდათანობითი განვითარება. — „ერთი სიტყვით — წერს ივანე ჯავახიშვილი, — დ. კაკაბაძე ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლისათვის ემზადება და მისთვის ხელის გამართვა, როგორც მშრომელისა და ნიჭიერი ყმაწვილისათვის ძალიან სასურველია.

გთხოვთ თქვენ, ბ-ნო გიორგი, — მიმართავს იგი ზდანევიჩს, — მხარი დაუჭიროთ ამ თხოვნას და ხელი გაუმართოთ ამ ყმაწვილს.

თქვენი პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი".

ასეთია წერილის შინაარსი.

წერილი მეტად საინტერესოა დავით კაკაბაძის ბიოგრაფიის ადრეული პერიოდის ჩამოყალიბებისათვის, ასევე მნიშვნელოვანია ივანე ჯავახიშვილის პიროვნების, მისი კეთილშობილებისა და დიდბუნებოვნების დახასიათებისათვის.

ივ. ჯავახიშვილის უდიდეს მეცნიერულ დამსახურებასთან ერთად აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ ზრუნვას ახალგაზრდობაზე, მომავალ კადრებზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 20 წლისთავზე თავის მოხსენებაში „უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა საქართველოში" 1938 წლის 25 მაისს ივ. ჯავახიშვილი ამბობდა: „...ყოველ ჩვენთაგანს, მეტადრე მოხუცებულებს უნდა ახსოვდეთ, რომ „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". ძველმა თაობამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ტურფა საბაღნარო ტურფა საბაღნაროდ დარჩეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ ახალი კარგად მომზადებული კადრების შექმნით, რომლებიც არათუ ჩამოუვარდებიან ამ ძველ თაობას, არამედ ძველ თაობაზე უკეთესები იქნებიან".

აღნიშნული წერილი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ გამოჩენილი მეცნიერი ადრევე საქმით ასრულებდა თავის ამ ნათქვამს და მამობ-

რივ მზრუნველობას უწევდა მომავალ მოღვაწეებს, რა დარგისაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი[1].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წერილის ღირებულება დიდია.

ივ. ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ ადრე, ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედების გარიჟრაჟზე თქვა: „დ. კაკაბაძე მშვენიერი მხატვარიაო", დაინახა რა მასში ის დიდი ნიჭი, ძალა და ენერგია, რომელმაც შემდგომში საპატიო ადგილი მიუჩინა დავით კაკაბაძის შემოქმედებას ქართული ხელოვნების დიდ საგანძურში.

ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარი

მეტად ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ივ. ჯავახიშვილსა და ნ. მარს. მათი ნაცნობობა პეტერბურგიდან დაიწყო. უნივერსიტეტში სწავლისას ივ. ჯავახიშვილმა თავისი სიბეჯითითა და მეცნიერული ცოდნის დაუფლებისადმი დიდი ალღოთი სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო. მის შემფასებელთა შორის იყო პროფესორი ნიკო მარი, რომელიც ივ. ჯავახიშვილს ახასიათებდა, როგორც რუსული და ევროპული ენების ზედმიწევნით კარგად მცოდნეს[2]. შემთხვევითი არ იყო, რომ ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქვე იქნა დატოვებული (1899 წ.) საპროფესოროდ მოსამზადებლად; მისი ძირითადი ხელმძღვანელი პროფ. ნ. მარი იყო. 1901 წლის 27 იან-

---

[1] წერილი საინტერესოა იმითაც, რომ იგი ზოგიერთ ცნობას გვაწვდის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საქმიანობის შესახებ. როგორც ცნობილია სხვა საქველმოქმედო საქმიანობასთან ერთად, შავი ქვის მრეწველთა საბჭო სტიპენდიებს უნიშნავდა იმ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ და, კერძოდ, პეტერბურგში სწავლობდნენ.

ჩვენთვის უცნობია მართლაც შეწყვიტა თუ არა წერილის დაწერის პერიოდში შავი ქვის მრეწველთა საბჭომ სტიპენდიების მიცემა სტუდენტობისათვის, მაგრამ ის ფაქტია, რომ რაღაც ამგვარს ადგილი უნდა ჰქონოდა. ამის შესახებ, ივ. ჯავახიშვილის წერილში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი, მაგრამ ქართველ სტუდენტობაზე მოამაგე მეცნიერი მიუთითებს, რომ „მგონი სტიპენდიის მიცემა შეწყვიტეთო".

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივში დაცულია დავით კაკაბაძის მადლობის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი (როგორც ჩანს, მეცნიერის შუამდგომლობას თავისი დადებითი შედეგი მოჰყოლია).

[2] დ. გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1968, გვ. 12.

ვარს ივ. ჯავახიშვილმა გამოცდები ჩააბარა და მოიპოვა ქართული სიტყვიერების მაგისტრის ხარისხი[1]. ამის შემდეგ. იგი ბერლინის უნივერსიტეტში მიაელინეს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. საზღვარგარეთ ყოფნისას ივ. ჯავახიშვილი კავშირს არ სწყვეტს ნ. მართან, თავის მოსაზრებებსა და შთაბეჭდილებებს უზიარებს წერილობით. 1901 წლის 17 მარტს ივ. ჯავახიშვილი ნ. მარს სწერს: „ჩემს მიერ დასახულ ზოგიერთ სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის (საკითხებზე: „ქართულ-სომხური ეკლესიის გაყოფის შესახებ", „ქრისტიანობის ხასიათი ძველ სომხეთსა და საქართველოში", „ეკლესიის ორგანიზაცია", „სამღვდელოების ფეოდალური ხასიათის შესახებ საქართველოში", „მიწის ფეოდალიზაცია სომხეთსა და საქართველოში", „საეკლესიო ხელისუფლებისა და ფეოდალების ბრძოლის შესახებ დავით აღმაშენებლიდან თამარის პერიოდამდე, ე. ი. XII—XIIIსაუკუნეებში") სასურველია სპეციალურად შესწავლილი იქნას ქრისტიანული ეკლესიის დოგმათა ისტორია და საეკლესიო ლიტერატურა პროფ. ჰარნაკთან, აგრეთვე შუა საუკუნეების ევროპა და ფეოდალური ინსტიტუტების ისტორია გერმანიაში — პროფ. ლამპრეხთთან. ჩემთვის, რაკი ქართველოლოგიას ვსწავლობ, აუცილებელია ბიზანტიოლოგიაში მუშაობა, რათა გათვალისწინებულ იქნას ბიზანტიის გავლენა საქართველოზე, სასურველი იქნება ვიმუშაო ბიზანტიოლოგიაში პროფ. კრუმბახერთან"[2].

ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის ურთიერთობაში მეტად მნიშვნელოვანია ერთობლივი მოგზაურობა სინას მთაზე, ქართული ხელნაწერების მიკვლევისა და შესწავლის მიზნით (1902 წ. აპრილი-სექტემბერი). ნ. მარი ამ მოგზაურობაში კიდევ უფრო ახლოს გაეცნო ივ. ჯავახიშვილს, გულწრფელად მოსწონდა იგი, რის შესახებაც წერდა კიდეც, რომ „...ჯავახიშვილი მუშაობაში ძალიან ბეჯითი და ამტანი აღმოჩნდაო"[3].

შემდგომში, თურმე, ამ მოგზაურობას ნ. მარი დიდი სიამოვნებით იგონებდა. ყვებოდა, თუ როგორ მოჰქონდათ მათთან იქაურ ბერებს სხვადასხვა ქართული ხელნაწერები. ამ სამსახურისათვის ბერები

---

[1] სამაგისტრო დისერტაცია უფრო გეიან, 1907 წლის 13 მაისს დაიცვა თემაზე: „Государственный строй древней Грузии и древней Армении".

[2] წერილი მოგვყავს დ. გვრიტიშვილის ზემოდასახელებული წიგნიდან,

[3] ს. ყაუხჩიშვილი, ი. ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მნათობი, 1948 წ., № 3, გვ. 117.

ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილისაგან გარკვეულ გასამრჯელოს იღებდნენ. და, აი, ერთ დღეს ივ. ჯავახიშვილს ხელში ჩაუვარდა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ძვირფასი ხელნაწერი. ეს უდიდესი მონაპოვარი იყო. იგი მაშინვე მიხვდა თუ რა დიდმნიშვნელოვან ძეგლთან ჰქონდა საქმე. მადლიერ მოწაფეს ხელნაწერი მასწავლებლისთვის გადაუცია, თანაც დაუძენია: პირველ რიგში ძეგლის გაცნობა-შესწავლა თქვენ გეკუთვნითო[1]. ნ. მარი თავის მოწაფის ამგვარ დიდბუნებოვნებას მაღალ შეფასებას აძლევდა.

მოგზაურობა ძალზედ ნაყოფიერი გამოდგა. გამოვლინდა ბევრი საინტერესო ძეგლი, რომლებიც ფოტოგრაფიულად იქნა გადმოღებული, ზოგი გადმოიწერა. ასე რომ, ექსპედიციამ სინას მთაზე დიდი როლი შეასრულა ქართველოლოგიური მეცნიერების წინსვლის საქმეში.

ნ. მარსა და ივ. ჯავახიშვილს შორის საქმიანი ურთიერთობა შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა, ეს თავისთავად დიდი საკითხია და ცალკე განხილვას მოითხოვს. ჩვენ კი გვინდა მკითხველს მივაწოდოთ ერთი ფრიად საინტერესო წერილი, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის დავალებით მიუწერია[2] ივ. ჯავახიშვილს ნ. მარისათვის. წერილი გარკვეულ შეფასებას აძლევს ნ. მარის დამოკიდებულებას ქართული უნივერსიტეტისადმი. ამასთან, ჩვენ საშუალება გვაქვს დავრწმუნდეთ იმ პირუთვნელ პრინციპულობასა და პირდაპირობაში, რაც ეგრერიგად იყო დამახასიათებელი ივ. ჯავახიშვილისათვის:

„პატივცემულო ბ-ნო ნიკო

თქვენი წერილის მიღებისთანავე მისი შინაარსი ვაცნობე ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიას და შევეკითხე „სასურველია თუ არა იაფეტურ ენათმეცნიერისაგან ერთ და ერთ დღევანდელ მიწევნილებაზე ლექცია რომ ყოფილიყო ჩვენს უნივერსიტეტში თქვენ მიერ ქართულად წაკითხული. თქვენი თხოვნის თანახმად გაცნობებთ

---

[1] ნ. მარის მონათხრობი ჩვენ გადმოგვცა აკად. შ. ამირანაშვილმა, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ მას.

[2] ნ. მარს თბილისის უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვის სურვილი გამოუთქვამს და საგანგებო წერილიც დაუწერია სათანადო თხოვნით. წერილი, ნ. მარის თხოვნით, შალვა ამირანაშვილს ჩამოუტანია თბილისში და ივ. ჯავახიშვილისათვის გადაუცია.

სრულებით გულწრფელად კოლეგიის საერთო აზრს და პასუხს. ჩვეულებრივს პირობებში უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგია სიამოვნებით შეეგებებოდა ამ სურვილს თქვენი „სხვაფრივ მოაზრეობისდა“ — და მიუხედავად, მაგრამ თქვენ მიერვე შექმნილ პირობებში პროფესორთა კოლეგიას თქვენი სურვილის დაკმაყოფილება სრულებით შეუძლებლად მიაჩნია“[1]. აქ მხედველობაშია ის გარემოება, რომ ნ. მარს ქართული უნივერსიტეტის დაარსება-საქმიანობა თავისებურად ჰქონდა წარმოდგენილი და, როგორც ჩანს, გარკვეულ დრომდე არ უყურებდა ამ საქმეს პერსპექტიულად; ყოველივე ამას უნივერსიტეტის მესვეურთა უკმაყოფილება გამოუწვევია და მეცნიერის წინადადებაზე, რომ ლექციები წაეკითხა, უარით უპასუხიათ.

ივ. ჯავახიშვილი წერილს ჩვეული სიდარბაისლით ამთავრებს: „მომავალშიაც მრავალგვარ ზემოაღნიშნულ უსიამოვნებისდა მიუხედავად ყოველთვის გულწრფელად მოხარული ვიქნებით პეტერბურგელ მკვლევარის თვითოეული თხზულებისათვის... თქვენი წერილის დაბოლოვება შემდეგი მრავალ-მეტყველი სიტყვებით გინებებიათ: „თუმც სხვაფრივ მოაზრე, სულ იგივე და მისივე მსურველი, რასაც თქვენ მიელტვით“-ო, ჩვენთვის ბედნიერება იქნებოდა ეს გარემოება რომ ყველასათვის ცხადი ყოფილიყო...

დავშთები მაინც მარად თქვენთვის კეთილის მოსურნე ივ. ჯავახიშვილი(ხელრთვა). 7 დეკემბერი 1923 წ. ქ. ტფილისი“[2].

ივ. ჯავახიშვილსა და ნ. მარს შორის არც ამის შემდგომ შეწყვეტილა ურთიერთობა. ისინი კვლავ დიდის პატივისცემით ეკიდებოდნენ ერთმანეთის მეცნიერულ ნაღვაწს, უზიარებდნენ მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხებზე. ნ. მარი გატაცებული იყო თავისი იაფეტური თეორიით და თავდაუზოგავად იკვლევდა მთელ რიგ საკითხებს. 1928 წლის 20 ნოემბერს ნ. მარი ლაიპციგიდან სწერდა ივ. ჯავახიშვილს: „სიბერის დღეს ნამეტარი სიმძიმე დამეჭრა თავზე, ერთი აღმოჩენა მეორეს მოსდევს, რომ ყველა მოგწერო, თქვენც არ დაიჯერებთ მგონი, იმდენად ჩემთვისაც მოულოდნელი გამოჩნდნენ ყველანი ერთად და თითო ცალკე სხვაგვრივ, ვიდრე ადრე, გამოშუქებით. ბევრი უწინდელი უნდა უკუვაგდო, არათუ როგორც აღმოჩენილი ფაქტი, არამედ

---

[1] Архив АН СССР, фонд 800, опись 3, дело 318.

[2] ი ქ ვ ე

როგორც მთლიან აღმშენებლობის ნაწილი"[1]. ნ. მარი განსაკუთრებით დაინტერესებულა ეტრუსკული და ბასკური ენებით: „...ეტრუსკული და განსაკუთრებით (როგორც ცოცხალი ენა) ბასკური ენა საშველს არ მაძლევენ"[2]. წერილიდან აშკარად ჩანს, რომ ნ. მარი თბილისის უნივერსიტეტში მიუწვევიათ ლექციების წასაკითხად, იგიც საგანგებოდ მომზადებულა ამ საქმისთვის. ნ. მარი მის მიერ თბილისის უნივერსიტეტში გამოგზავნილი წიგნებით სარგებლობას სთავაზობს ივ. ჯავახიშვილს (საჭიროების შემთხვევაში). ერთი სიტყვით, წერილი მეტად თბილი და კეთილმეგობრულია.

ნ. მარი საქართველოს დიდი მოყვარული იყო. ამას მოწმობს არაერთი წერილი და სტატია, რომელშიაც მეცნიერულ სიღრმესთან ერთად, ნათლადაა გადმოცემული მისი დამოკიდებულება საქართველოსადმი[3], ამაზე მეტყველებს მისი დიდი ზრუნვა საქართველოს სიძველეთა დაცვისადმი, განსაკუთრებით 30-იანი წლების დასაწყისში. ნ. მარის გარდაცვალება მძიმე დანაკლისი იყო მეცნიერებისათვის. ძალზე მტკივნეულად განიცადა ეს მოვლენა ივ. ჯავახიშვილმა. მან ცრემლით დაიტირა მეგობარი.

ნ. მართან მეგობრობაში მკვეთრად გამოჩნდა ივ. ჯავახიშვილის დიდი ღირსება — მაღალადამიანური ჰუმანურობის მკაცრ მომთხოვნელობასა და პრინციპულობასთან შეხამების უნარი.

სხვადასხვა

აქ ჩვენ გვინდა ყოველგვარი კომენტარის გარეშე მივაწოდოთ მკითხველს ივ. ჯავახიშვილის მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა პიროვნებებისადმი (შემდგომში ცნობილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეებისადმი) გაცემული შუამდგომლობა — შეფასებანი, რაც

---

[1] ნიკო მარის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი, ცსა (თბ.), ფონ. რ.—471, საქ. 74, ფურ. 179; საისტორიო მოამბე, 21—22, 1967 წ., გვ. 484—485.

[2] იქვე.

[3] იხ. ნ. მარი, ორი სურათი ანისში; წმიდა ნინო და თამარ მეფე. ცნობის ფურცელი, 1905 წ. № 2884; მისივე, История Грузии (Культурно-исторический набросок). По поводу слова проф. И. Восторгова о грузинском народе, СПБ, 1906; მისივე, რა წილი აქვს ქართულს ენის შექმნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში, ტფ., 1930; მისივე, ქართველი ერის კულტურული შეხედულება ენათმეცნიერების მიხედვით, 1925, მნათობი № 4 (12). და სხვ.

საინტერესოა როგორც ავტორის პირუთვნელობის გასათვალისწინებლად, ასევე შეფასების ობიექტთა (უმეტესწილად მისი მოწაფეები არიან) ღირსებების შესაცნობად, ამ უკანასკნელთა მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე.

ივ. ჯავახიშვილის განმარტება სპარსეთ-საქართველოს ისტორიის კათედრასთან დატოვებულ სიმონ ნიკოლოზის ძე ჯანაშიასთვის მოსამზადებელი ვადის გაგრძელების შესახებ, მისი მოკლე დახასიათებით (1923 წ.)

სვიმონ ჯანაშია ყველა თავის ტოლ ამხანაგებში თავისი ნიჭითა, მკვირცხლი გონებითა და შრომის მოყვარეობით ერჩეოდა. სტუდენტობის დროსვე რამდენიმე კარგი მოხსენება დასწერა. საუკეთესოდ სწავლობდა როგორც ქართულსა და საქართველოს ისტორიას, არაბულს, სპარსულს და სომხურსაც. მისი სადიპლომო შრომაც კარგი გამოდგა. ამიტომ 1922 წ. ჩვენ უნივერსიტეტში სწავლის დამთავრებისთანავე დატოვებული იქმნა სპარსეთ-საქართველოს ისტორიის კათედრასთან. ერთი წლის განმავლობაში მუყაითად ემზადებოდა და პატარ-პატარა გამოკვლევებიც დასწერა. ამიტომ დატოვების ვადა გაენეგრძო კიდევ ერთი წლით.

ი. ჯავახიშვილი[1].

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა შუამდგომლობა უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს წინაშე სიმონ ყაუხჩიშვილის დოცენტად არჩევის შესახებ, შედგენილი ივანე ჯავახიშვილის მიერ. (1927 წ.)

სიმონ ყაუხჩიშვილმა 1920 წელს გამოსცა 1. „ხრონოლრაფი გიორგი მონაზონისა", რომელსაც ქართულისა და ბიზანტიური მწერლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს 330 გვერდიანი წიგნი დაიბეჭდა Monumenta Georgica-ს III Historici-ს სერიაში (№ 1). საზღვარგარეთ, ათინაში და ბერლინში უნივერსიტეტებში 4 წლის მუშაობის შემდგომ, ს. ყაუხჩიშვილი სამშობლოში დაბრუნებისთანავე კვლავ თავისი ნაშრომების გამოქვეყნებას შეუდგა და შემდეგი გამოკვლევები აქვს დაბეჭდილი: 2. კორიდეთის ბერძნული სახარების ქარ-

---

[1] ცსა (თბ.), ფონ. რ—471, საქ. 178; ფურ. 3—4; საისტორიო მოამბე, 21—22 თბ., 1967, გვ. 457. ივ. ჯავახიშვილსა და ს. ჯანაშიას შორის არსებული მიმოწერის საბუთები დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივში.

თული მინაწერების დათარიღებისათვის“ (ჩვენი მეცნიერება 1924 წ. № 11—12, გვ. 83—86).

3. „ტურინოს კომპილაციისათვის“ (ტ. უ. მოამბე, VI წიგნი, 1924 წ. გვ. 351—355).

4. „არტემი მიაფოლო“ (ჩვ. მეცნიერება, 1925 წ. № 3—4, გვ. 185—187).

5. „გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ“ (ს. ს. საზოგადოების მიმომხილველი, 1924 წ., გვ. 54—68).

6. „გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფიის ქართული თარგმანი, ნაწილი II, გამოკვლევა, ტფილისი 1926 წ. და სხვებიც. ყველა ამ გამოკვლევებში ს. ყაუხჩიშვილი ნიჭიერ, დინჯ და საუკეთესოდ განსწავლილ მეცნიერ მკვლევარად მოჩანს. წრეულს ჩვენმა ფაკულტეტმა მას სადისერტაციო შრომისათვის საჯარო პაექრობაზე დოქტორის სამეცნიერო ხარისხიც მიანიჭა. ს. ყაუხჩიშვილს ამასთანავე სათანადო გამოცდილება და სტაჟიცა აქვს, ვითარცა უნივერსიტეტის მასწავლებელს. ყველა ამ ზემოაღნიშნულის გამო ვფიქრობთ, რომ ს. ყაუხჩიშვილს უფლებაცა აქვს და ღირსიც არის სრულიად, რომ ჩვენი უნივერსიტეტის წესდებისდა თანახმად დოცენტად იქნეს არჩეული. ჩვენ ქვემორე ამისა ხელმომწერნი წინადადებას ვაძლევთ ფაკულტეტის საბჭოს ლექტორი ს. ყაუხჩიშვილი არჩეულ იქნეს დოცენტად.

პროფესორი ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, გ. წერეთელი, მ. პოლიევქტოვი, გ. აბჟელდიანი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე[1].

ივანე ჯავახიშვილის განმარტება სომხეთის ისტორიის კათედრასთან დატოვებულ თ ა მ ა რ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ა ს უ ლ ლ ო მ ო უ რ ი ს ა თ ვ ი ს მოსამზადებელი ვადის გაგრძელების შესახებ, მისი მოკლე დახასიათებით. (1923 წ.)

თამარ ლომოურმა, რომელსაც ჯერ პეტერბურგის ქალთა, უმაღლესი კურსები ჰქონდა დამთავრებული, შემდეგ ჩვენი უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საისტორიო დარგი გაათავა, ყველა მსმენელთა შორის საუკეთესო ცოდნა და ნიჭი გამოიჩინა და თანაბრად იყო დაწინაურებული, როგორც ქართულში, ისევე არა-

---

[1] ცსა (თბ.), ფონ. რ—471, საქ. 317, ფურ. 28., 29; საისტორიო მოამბე, თბ., 1967, გვ. 483—484.

ბულში, სპარსულში და სომხურში. სადიპლომო თხზულებაც კარგი აღმოჩნდა. ამიტომ 1922 წ. იგი დატოვებული იქმნა სომხეთის ისტორიის კათედრისათვის მოსამზადებლად. ამ ერთი წლის განმავლობაში მხნედ მუშაობდა არჩეულ დარგში და დამაკმაყოფილებელი გამოკვლევაც წარმოადგინა, ამიტომ განეგრძო მას დატოვების ვადა კიდევ ერთი წლით.

ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი[1].

ივანე ჯავახიშვილის შუამდგომლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოსადმი თ ა მ ა რ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ა ს უ ლ ლ ო მ ო უ რ ი ს დოცენტად არჩევის შესახებ. (1930 წ.)

უკვე მეორე წელიწადია, რაც თამარ ლომოური, რომელსაც სადოქტორო გამოცდები ჩაბარებული აქვს და გამოქვეყნებული და დაუბეჭდავი შრომები მოეპოვება, სადისერტაციო თხზულებაც დამზადებული აქვს, საკმაო პედაგოგიური სტაჟი მოეპოვება, და ფაკულტეტის დავალებით საქართველოს ისტორიის დამხმარე დისციპლინების სავალდებულო კურსებს კითხულობს. ამიტომ ვშუამდგომლობ მისი დოცენტად არჩევის შესახებ.

ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი[2].

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მკითხველისათვის პეტრე მელიქიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის მიმართვა თბილისის ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსადმი ხელოვნების ისტორიის გამოჩენილი მკვლევარის აკადემიკოს ნიკოდიმე პავლეს ძე კონდაკოვის უნივერსიტეტის საპატიო წევრად არჩევის შესახებ. მიმართვა შეიცავს მეცნიერის ვრცელ დახასიათებას; შედგენილია ივ. ჯავახიშვილის მიერ და მისივე ლამაზი ქართული ხელწერითაა შესრულებული. აი ეს საბუთიც:

---

[1] ცსა (თბ.), ფონ. რ—471, საქ. 178, ფურ. 1—2; საისტორიო მოამბე, 21—22, თბ., 1967 წ. გვ. 457—458.

[2] ცსა (თბ.), ფონ. რ—471, საქ. 17, ფურც. 148; საისტორიო მოამბე, 21—22, თბ., 1967 წ. გვ. 486.

ტფილისის ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს


აკადემიკოს ნიკოდიმე პავლეს ძის კონდაკოვის სახელი იმდენად განთქმულია ხელოვნების ისტორიაში, რომ მისი სამეცნიერო ღვაწლის დაწვრილებით აღნუსხვა საჭირო არ არის. ვის არ გაუგონია მისი და ი. ტოლსტოის გამოკვლევა „Русскія древности", რომელნიც მკითხველმა საზოგადოებამ ისე დაიტაცა, რომ აღარსად იშოვება. მისი. «Исторія Византійского искуства и иконографіи», ორ წიგნად გამოცემული, ფრანგულადაც არის ნათარგმნი. დიდტანიანი მისივე გამოკვლევანი „Путешествіе на Синай. Древности Синай. Древности Синайского Монастыря", „Македонія" „Сирія и Палестина" ხელოვნების ისტორიისათვის მრავალს ძვირფასს ცნობას შეიცავენ. მშვენიერია მისი სახელოვანი შრომა „Византійскія Эмали", რომლის მშვენიერი გამოცემა სიძვირის გამო ჩვეულებრივ მყიდველისათვის და გამომცემლის სურვილის წყალობით ხელმიუწვდომი არის. როგორც ყოველთვის აკად. კონდაკოვმა თავის გამოკვლევაში „Изследованіе Великокняжеского періода. Русскіе клады" т. I, СПб, 1896 წ. სრულებით ახალი შუქი მოჰფინა საგანსა და არაერთი საკამათო საკითხი გადასწყვიტა. დასასრულ მის სამეცნიერო ღრმა და თავისებურ შემოქმედების ბრწყინვალე დაგვირგვინებაა მისი საუცხოო მრავალტომიანი გამოკვლევა „Иконографія Богоматери„ და "Господа и Спаса Нашего И. Христа" აკად. ნ. პ. კონდაკოვის სამეცნიერო ღვაწლის სიდიადე ამგვარად სრულებით ცხადია, მაგრამ ჩვენთვის, მეცნიერების ქართულ ტაძრისათვის იმიტომაც არის ძვირფასი, რომ ქართული ხელოვნების ძეგლებიც თავის კვლევის საგნად გაიხადა და ყოველთვის, როდესაც იგი შეიძლებოდა ამ საგანს ეხებოდა ხოლმე. ჯერ კიდევ 1876 წ. მან დასწერა გამოკვლევა „Древняя архитектура Грузіи". „რუსულ სიძველეთა მე-IV წიგნშიაც როგორც ცნობილია ქართულ ხუროთმოძღვრების განვითარების მოკლე ისტორიაა მოთავსებული და იმ დროისათვის ბევრს სრულებით ახალს ცნობებს შეიცავს. მასვე ეკუთვნის საყურადღებო მიმოხილვა „Опись памятников древности Въ некоторыхъ храмахъ и монастыряхъ Грузіи» СПБ. 1890 წ. დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ კონდაკოვმა თავის განთქმულს გამოკვლევაში „Византійскіе эмали" ბევრი ისეთი ძეგლი გაარჩია, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა და ეკუთვნის. შეიძლება საზო-

გადოდ ითქვას, რომ თუ რუსეთში და ევროპაში ქართულ ხელოვნებისადმი ცხოველი ცოდნისმოყვარეობა არსებობს, ამას ჩვენ აკად. ნ. პ. კონდაკოვს უნდა ვუმადლიდეთ. ასეთ განსაკუთრებულ ღვაწლის გამო საზოგადო ხელოვნებისა და ქართულ ხელოვნების მეცნიერებისთვისაც სრულებით სამართლინი იქნება, რომ ჩვენ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ იგი ჩვენ უნივერსიტეტის საპატიო წევრად აირჩიოს.

ტფილისს
1918. 15. III.

პ. მელიქიშვილი
ივ. ჯავახიშვილი

აი კიდევ ერთი საბუთი — ივ. ჯავახიშვილის მოწაფის, შემდგომში გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ნიკოლოზ ბერძენიშვილის საგამოცდო ფურცელი. 1922 წლის 5 ივნისს მე-XIII ს. საქართველოს ისტორიაში გამოუცდია მეცნიერს ნ. ბერძენიშვილი და „ფრიად საკმაო“ შეფასება მიუცია.



ერთი დეტალიც

ივ. ჯავახიშვილი ყველა საკითხში სამართლიანად მოითხოვდა სიცხადეს. დიდად აფასებდა რა თავის ურთიერთობას სხვადასხვა პიროვნებებთან, არავის აძლევდა იმის უფლებას, რომ ამ ურთიერთობაში რაიმე დამახინჯებულად, უსწოროდ წარმოედგინა. როცა ერთერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა პრივატ-დოცენტის ნ. გ. ადონცის პროფესორად არჩევის შესახებ, თანაც იგი რამდენადმე ივ. ჯავახიშვილთან დაპირისპირებულად წარმოადგინა, ამ უკანასკნელმა, ხედავდა რა იმ გარემოებას, რომ საქმის ამგვარ მსვლელობას შესაძლო იყო რაიმე უხერხულობა მოჰყოლოდა, სასწრაფოდ გამოაქვეყნა წერილი გაზეთ „სახალხო ფურცელში". მეცნიერი განუმარტავდა საზოგადოებას საქმის ჭეშმარიტ ვითარებას. წერილში ჩანს ავტორის დიდი ღირსებები და, ამასთან, საინტერესო ცნობებია მოცემული პეტერბურგის უნივერსიტეტის სომხურ-ქართული კათედრის მდგომარეობის შესახებ:

„დიდად პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო!

გაზეთ „საქართველოს"-ს 228-ე №-ში „ქართულ ბეჭდვითი სიტყვა"-ს სათაურით ქუთაისის გაზეთიდან „ჩვენი მეგობარი" მოყვანილია ამბავი პრივ.-დოც. ნ. გ. ადონცის პროფესორად არჩევის შესახებ, რომელშიაც საქმის ვითარება სრულის სისწორით ვერ არის დაწერილი. მაინც „ჩვენ მეგობარ"-ში მოთავსებული ცნობა დინჯად და მშვიდად არის დაწერილი. გაზეთ „საქართველოს"-ს ამ წერილის შინაარსი თავისებურად გაუგია და საკუთარი დასკვნა დაურთავს. რაკი ამ საკითხს მოულოდნელად „საქართველო"-მ გარკვეული ელფერი მისცა და რედაქციის მსჯელობა ამ საგანზე სრულებით შემცდარია, ამიტომ სწორე მოგახსენოთ ძალიან მეწყინა, როდესაც გაზეთ „საქართველო"-ში ზემოაღნიშნული წერილი წავიკითხე.

საქმის ნამდვილი გარემოება ამგვარი გახლავთ: ბ. დეკანმა აღმოს. ენების ფაკულტეტის კრებაში წინადადება შეიტანა, რომ სომხ.-ქართულ კათედრაზე ერთ პროფესორის გარდა მეორეც არჩეულიყო მით უმეტეს, რომ ჩვენ გვყავს ისეთი პირი, პრ.-დოც. ნ. გ. ადონცი, რომელსაც დოქტორის დისერტაცია დაცული აქვსო. რაკი ერთ კათედრაზე ჩვეულებრივ ერთი პროფესორია ხოლმე, ამიტომ სამინისტროს კერძოდ შევეკითხე და იქ მითხრეს, რომ იმის საწინააღმდეგო

არაფერი ექნებათ. მხოლოდ ამის შესახებ ფაკულტეტმა სამინისტროს წინაშე საგანგებო შუამდგომლობა უნდა აღძრასო.

ბ. დეკანის ამგვარ წინადადების საწინააღმდეგო ფაკულტეტს არა ჰქონია რა და სამინისტროში შესაფერისი შუამდგომლობა და პრ.-დოც. ნ. გ. ადონცის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმოხილვა გაიგზავნა. როდესაც ნებართვა მოვა სამინისტროდამ, მხოლოდ მაშინ მოხდება ფორმალურად არჩევანიც. კათედრა კვლავ პრ. ნ. ა. მარრს უკავია და შემდეგშიაც ეკავება, სანამ ის თავს არ დაანებებს.

არავითარი შეცილება (კონკურსი) პრ.-დოც. ნ. გ. ადონცსა და ჩემს შორის არ მომხდარა და არც მოხდება და ამის გამო სრულებით უსაფუძვლოა „საქართველოს"-ს რედაქციის მსჯელობა იმის შესახებ, ვითომც ფაკულტეტმა გვერდი ამიხვია. თუნდაც რომ შეცილება მომხდარიყო, პრ.-დოც. ნ. გ. ადონცს ის ფორმალური უპირატესობა აქვს, რომ მას წელიწადზე მეტია რაც სადოქტორო დისერტაცია დაცული აქვს, მე კი სხვა და სხვა ჩემთვის უფრო საყურადღებო და საგულისხმიერო გამოკვლევებზე მუშაობის გამო სადოქტორო დისერტაციისათვის ჯერ ვერ მოვიცალე.

ყველა ზემომოყვანილის შემდგომ ცხადია, რომ ჩივილი იმის შესახებ, ვითომც „ჩვენს ეროვნულს თვითმოყვარეობას კიდევ ერთი წიხლი უთავაზეს" და ვითომც ამგვარი ბრალი ფაკულტეტს ედებოდეს, სრულებით უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს. ჩვენთვის ფრიად სამწუხაროა, რომ გაზ. „საქართველო"-ს მიერ ფაკულტეტისა და პრ.-დოც. ნ. გ. ადონცისადმი დაუმსახურებელი საყვედური და ეჭვები იყო გამოთქმული: არც ფაკულტეტი, არც მით უმეტეს პრ.-დოც. ნ. გ. ადონცი აქ არაფერ შუაშია.

რაც შეეხება სომხ.-ქართულ კათედრის გაყოფასა და ორ კათედრად ქცევის საკითხს, ასეთი დადგენილება ფაკულტეტს ვეონებ ათ წელიწადზე მეტია რაც აქვს და უნივერსიტეტის ახალ შტატების პროექტთან ერთად სამინისტროშია წარდგენილი, მაგრამ რაკი საუნივერსიტეტო ახალ წესდების შეტანა სახ. გან. სამინისტრომ საკანონმდებლო დაწესებულებაში აქამდის ვერ მოახერხა, ამიტომ ეს საკითხიც გადაწყვეტილი არ არის.

დასასრულ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ პროფესორების არჩევა

ფაკულტეტის ავტონომიურ უფლებას შეადგენს და ამ საკითხში გარეშე მხარეს ჩარევის უფლება არ აქვს და ჩემის აზრით არც სასურველია რომ ჩაერიოს.

1916 წ. 19 ოქტომბერს-
პეტრეს ქალაქს
ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი“

*
* *

ივ. ჯავახიშვილს საკმაოდ ფართო მიმოწერა ჰქონდა ცნობილ მოღვაწეებთან: კიტა აბაშიძესთან, მოსე ჯანაშვილთან, შიო არაგვისპირელთან, ივანე ბერიტაშვილთან, ვუკოლ ბერიძესთან, გიგო გაბაშვილთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, კორნელი კეკელიძესთან, აკაკი შანიძესთან, სიმონ ყაუხჩიშვილთან და მრავალ სხვასთან. ფრიად ნიშანდობლივია, რომ ივ. ჯავახიშვილის საზოგადო თუ კულტურის მოღვაწეებთან ურთიერთობას საფუძვლად ედო მაღალი პრინციპები, ხალხისა და მეცნიერების სამსახური: დიდი მეცნიერი ამბობდა: „სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომ ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოებულია ნიჭით... აქვს ნებისყოფა... აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ... ვალდებულია გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილა“. თვითონ ივ. ჯავახიშვილი ერისა და მეცნიერების სამსახურის განუმეორებელ მაგალითს იძლეოდა. მას, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველთვის წინ მიუძღოდა ჭეშმარიტება, უკან კი რჩებოდა „კვალი განათლებული“.

დიახ, ივ. ჯავახიშვილთან ურთიერთობით დიდად არიან დავალებული მისი დროის საზოგადო თუ კულტურის მოღვაწეები, რომელთაც დიდი მეცნიერი მტკიცე ბურჯად ედგა მხარში და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვის ჭეშმარიტ მაგალითს უჩვენებდა.

არწივები ცაში აფრენილი კვდებიან

„დალაჲ თქვით, დალაჲ მხედრებო!“
ხალხური

საკუთარი თავისადმი მომთხოვნი მეცნიერი ცხოვრებაში სრულიად უპრეტენზიო იყო. „არამცთუ აკადემიკოსობა, პროფესორობის მაძიებელიც კი არ ვყოფილვარ არას დროს — წერს ერთ პირად წერილში ივ. ჯავახიშვილი — ნ. მარს რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის: გადმოთარგმნეთ ერთ-ერთი თქვენი ქართული გამოკვლევა და სადოქტორო დისერტაციად წარმოადგინეთ, რომ ეს ფორმალობა თავითგან მოიშოროთ. მაგრამ რაკი ეს ჩემთვის დროის ზედმეტ დაკარგვას უდრიდა, სამაგისტრო დისერტაციის შემდგომ სადოქტორო დისერტაცია არ წარმიდგენია და არასდროს პირადად მე არამცთუ პროფესორის, არამედ პრივატდოცენტის წოდებულებითაც არ მისარგებლია“[1].

სამოც წელს გადაბიჯებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1938 წლიდან), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939 წლიდან) ივ. ჯავახიშვილი მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარს მეცნიერულ და საზოგადოებრივ საქმიანობას: კითხულობს ლექციებს, იკვლევს სხვადასხვა პრობლემებს, ასრულებს სადეპუტატო მოვალეობას. მისი დიდი ავტორიტეტი ქართულ მეცნიერებას მაღალ პრესტიჟს უქმნის. თვითონ მეცნიერი პარტიისა და მთავრობისაგან დაფასებული და პატივდებულია. ეს, თავის მხრივ, ფრთებს ასხამდა მას და ახალი ძალით შრომისაკენ უბიძგებდა. და, მიუხედავად იმისა, რომ მრავალმხრივი შეუსვენებელი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობა თავის დაღს ასვამდა ივ. ჯავახიშვილის ისე-

[1] ივ. ჯავახიშვილის წერილი ვ. დონდუასადმი, ჟურნ. მნათობი, 1968 წ. № 9, გვ. 1437

დაც გატეხილ ჯანმრთელობას[1], იგი თავის აუცილებელ მოვალეობად თვლიდა ებრძოლა სოციალისტური სამშობლოს აღორძინება-აყვავებისათვის: „ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მეცნერებისა და კულტურის სფეროში ვმუშაობდი, ჩემი მთელი მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებელს შევწირე, ბუნებრივია, რომ უმაღლეს საბჭოშიც ყოველი ჩემი ძალ-ღონე მსურს ვიხმარო ამავე საკითხების გასაშუქებლად, როგორც საბჭოთა საქართველოს შეშვენის"...[2]

დიახ, დიდი გეგმები ჰქონდა ივ. ჯავახიშვილს. საბჭოთა წყობილების წარმატებით გახარებული მეცნიერი თვით იძლეოდა გმირული შრომის მაგალითს. მაგრამ გატეხილმა ჯანმრთელობამ თავისი გაიტანა.

...1940 წლის 18 ნოემბერი... რამდენიმე დღით ადრე საგანგებო მოსაწვევი ბარათი აუწყებდა საზოგადოებრიობას, რომ ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავდა მოხსენებას თემაზე: „ფილოლოგიური მეცნიერების მიზნები და ქართული ლიტერატურული ძეგლები". პრობლემა მეტად მნიშვნელოვანი, არსებითი მნიშვნელობის მქონე იყო ისტორიის საკითხების კვლევის საქმეში. მრავალრიცხოვანმა მსმენელებმა მოიყარეს თავი. დანიშნულ დროს ივ. ჯავახიშვილმა მოხსენება დაიწყო... და სწორედ აუდიტორიაში, კათედრასთან, მოხსენების კითხვისას შეწყდა დიდი მეცნიერის მაჯისცემა... გარდაიცვალა ივ. ჯავახიშვილი; გარდაიცვალა მოქალაქეობრივი და მეცნიერული მოვალეობის შესრულების დროს. აი, მოხსენების დამსწრეთა ორიოდე ჩანაწერი:

ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე: „ყველა იქ მყოფთ ძარღვებში სისხლი გაუშრა, გონება დაებნა, ყველა შიშის ზარმა აიტანა... მთელი საზოგადოება შეშფოთდა და შეძრწუნდა, მღელვარებამ მოიცვა მთელი თბილისი, შორს გაისმა გლოვის ზარი"[3].

ს ი მ ო ნ ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი: „ეს იყო მისი უკანასკნელი მოხსენება, მისი უკანასკნელი საუბარი მეცნიერულ წრეებთან. თითქოს იგრძნოო — რომ ეს მისი უკანასკნელი მოხსენება იქნებოდა და გამოგვემშვიდობა საპროგრამო მოხსენებით იმ თემაზე, რომელიც მას

---

[1] ივ. ჯავახიშვილი 1899 წელს ზაფხულში ფუნთუშით მოიწამლა, რის შემდეგ კუჭ-ნაწლავი სამუდამოდ დაუავადდა. XX ს. 20-იან წლებში სმენაც საგრძნობლად დაუქვეითდა, რასაც იგი ძალზე მწვავედ განიცდიდა.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1939 წ., 9 ივლისი.

[3] აკ. შანიძე, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVIII, 1941, გვ. 16—17.

გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ მიაჩნდა ისტორიის საკითხების კვლავა-ძიებისათვის“[1].

დავით გვრიტიშვილი: „ძნელია კალმით ასწერო ის, რაც ლექციაზე დამსწრეებმა ვიგრძენით იმ წუთს“[2].

... ერთხელ პეტერბურგიდან ივ. ჯავახიშვილს წერილი გამოუგზავნია მეუღლისთვის[3], რომელშიც, სხვათა შორის, ნაამბობი იყო, რომ ივანე დასწრებია ერთ ლექციას, რომლის კითხვისას პროფესორი იქვე უეცრად გარდაცვლილა. ამ სურათით შთაგონებული იწერებოდა: უბედნიერესი კაცი ყოფილა, თავისი საყვარელი საქმის შესრულებისას გარდაიცვალაო. ბედნიერი იქნება ის, ვისაც ბედად ასეთი სიკვდილი უწერიაო...[4].

...გავიდა წლები და ივ. ჯავახიშვილსაც სწორედ ამგვარი სიკვდილი არგუნა ბედმა. არწივები თავის სტიქიაში, აფრენილნი კვდებიან თურმე; დიდი ივანეც, როგორც თვითონ ამბობდა, თავისი საყვარელი საქმის შესრულებისას წავიდა ამ ქვეყნიდან, მოკვდა ლამაზად, მისი მოწაფეების ხელებზე გადასვენებული, მოკვდა ისე, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იხდიდა ვალს ქვეყნისა და ხალხის წინაშე — მოქალაქეობრივსა და მეცნიერულ ვალს.

ქართველმა ხალხმა ცხარე ცრემლით დაიტირა დიდი მეცნიერი და შამულიშვილი. მისი ღვაწლისადმი უდიდესი პატივისცემის ნიშნად ივ. ჯავახიშვილი მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალეს.

დიდ მეცნიერზე, მამულიშვილსა და საზოგადო მოღვაწეზე ივანე ჯავახიშვილზე შთამომავლობას ხმამაღლა, სიამაყით შეუძლია გაიმეოროს დიდი ილიას სიტყვები: „აღასრულა მან თვისი ვალი“.

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის, ენიმკის მოამბე, XIII, 1942 წ., გვ. 278.

[2] დ. გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1968 წ., გვ. 33.

[3] აღნიშნული წერილი ნ. ჯავახიშვილის გადმოცემით დამოწმებული აქვს პროფ. დ. გვრიტიშვილს. იხ. მისი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1968 წ. გვ. 34.

[4] ეს წერილი, სამწუხაროდ, არ შემონახულა. იგი, როგორც ნათელა ჯავახიშვილმა გადმოგვცა, რუსულად ყოფილა დაწერილი.

* * *

უკვდავი არის შვილი...
ი. ჭავჭავაძე

...ოცდახუთმეტ წელზე მეტი დრო გავიდა ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან... ასი წელი შესრულდა მისი დაბადებიდან... რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ბუმბერაზი მოჩანს იგი. ჟამთასვლა კი არ ამკრთალებს მის ღვაწლსა და სახელს, არამედ აცისკროვნებს. ეს ხვედრია სამშობლოს ჭეშმარიტი შვილებისა. საბჭოთა სამშობლომ უკვდავყო მისი დიდი სახელი... დღეს საქართველოში რამდენიმე ქუჩა ატარებს ივანე ჯავახიშვილის სახელს, დაწესებულია მისი სახელობის სტიპენდიები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, მის სახელს ატარებს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, დიდი ტირაჟით გამოიცა მეცნიერის სხვადასხვა შრომები... თბილისის უნივერსიტეტის ეზოში დგას ივანე ჯავახიშვილის ძეგლი; მის შრომებზე იზრდება თაობები...

დღეს აღმავლობას განიცდის ქართული ისტორიული მეცნიერება. ფართო მასშტაბით მიმდინარეობს სხვადასხვა პრობლემათა კვლევა. ივანე ჯავახიშვილის მიერ ნოყიერ ნიადაგში ჩაგდებული მეცნიერული თესლი გაღვივდა, აღმოცენდა და წარმატებით მსხმოიარობს; ამის ნათელი დასტურია დიდი მეცნიერის მოწაფეებისა და, საერთოდ, ქართველ საბჭოთა ისტორიკოსთა მრავალრიცხოვანი არმიის შემოქმედებითი წარმატებები.

მადლიერმა შთამომავლობამ დიდი მეცნიერის უანგარო სამსახური ხალხისათვის, მეცნიერების წინსვლისათვის, მომავალი თაობის აღზრდისათვის, დიდად დააფასა — უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის შარავანდედით შემოსა ივანე ჯავახიშვილის სახელი, სახელი ჭეშმარიტი მამულიშვილისა... ხალხის სიყვარული კი ყველაზე დიდი საზღაურია მისი ერთგული შვილისადმი.

...ეს ნათელი შარავანდედი დღეს განსაკუთრებული ელვარებით ამკობს ერთი საუკუნის ივანე ჯავახიშვილს.

ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები[1]

1876 წ. 11(23) აპრილი — დაიბადა ივ. ჯავახიშვილი.
1885 წ. — შევიდა თბილისის პროგიმნაზიაში.
1888 წ. — მიღებული იქნა გიმნაზიის მეორე კლასში.
1895 წ. — დაამთავრა გიმნაზია.
1895 წ. აგვისტო — შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე.
1898 წ. — ნაშრომისათვის „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“ პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ივ. ჯავახიშვილი ოქროს მედლით დააჯილდოვა.
1899 წ. — დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი.
1899 წ. 21 მაისი — აღმოსავლური ენების ფაკულტეტის დადგენილებით დატოვებული იქნა უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად (დადგენილება ძალაში შევიდა 1 ივლისიდან).
1900 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები მეფის ძე დავით და ბატონიშვილი იულონ“.
1900 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „ანდრია მოციქულის და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“.
1901 წ. 27 იანვარი — ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები.

---

[1] წინამდებარე ქრონოლოგიურ ცხრილში შეტანილია ივ. ჯავახიშვილის სიცოცხლეში გამოქვეყნებული მისი უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები.

1901 წ. — მიწვეულ იქნა ბერლინის უნივერსიტეტში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

1902 წ. აპრილი-სექტემბერი — მოგზაურობს სინას მთაზე, ქართული ხელნაწერების აღწერისა და შესწავლის მიზნით (ნ. მართან ერთად).

1903 წ. იანვარი — დაინიშნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად.

1903 წ. — პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა საქართველოს ისტორიის შემსწავლელი სექცია.

1904 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „მამულიშვილობა და მეცნიერება".

1905 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია".

1905 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „Государственный строй древней Грузии и древней Армении", т. I, СПБ (Тексты и разыскания по армянско-грузинской филологии, кн.VIII).

1906 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „Политическое и социальное движение в Грузии в XIV в., СПБ).

1906 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში".

1906 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი: „საქართველოს ეკონომიური ისტორია", პირველი ნაწილი (VIII—XIII საუკ.).

1907 წ. 13 მაისი — დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია, თემაზე „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება" (ოფიციალური ოპონენტები: ნ. მარი და ვ. ბარტოლდი).

1907 წ. — პეტერბურგში ჩამოაყალიბა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე.

1908 წ. 14 ივლისი — ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველოს ისტორიკოსთა ფილოსოფიური და მეთოდოლოგიური შეხედულების განვითარება VIII—XII საუკუნეთა განმავლობაში".

1908 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია“, წიგ. I.

1909 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „ქართული სამართლის ისტორია“, პირველი ნაწილი (VIII—XII ს.).

1911-12 წწ. — ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენთა სამეცნიერო წრემ ჩაატარა ანკეტირება — გაარკვია რამდენი ქართველი სტუდენტი სწავლობდა რუსეთში და საზღვარგარეთ; რამდენი და რა სპეციალობის ქართველი სწავლული მოღვაწეობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

1913 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი I და II.

1914 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი II; (დართული აქვს საქართველოს რუკა და ბაგრატიონთა შთამომავლობითი შტოს ტაბულა).

1916 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი — ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I — ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—VIII ს.).

1917 წ. თებერვალი — ივ. ჯავახიშვილმა ჩაატარა პეტერბურგში მყოფი ქართველი მეცნიერების ერთი ჯგუფის (ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ი. ყიფშიძე და სხვ.) თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა ქართული უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული საკითხები.

1917 წ. აპრილი — ივ. ჯავახიშვილი გადმოდის თბილისში.

1917 წ. 12 მაისი — ჩატარდა უნივერსიტეტის დამფუძნებელთა პირველი კრება. ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ივ. ჯავახიშვილმა.

1917 წ. 17 მაისი — ქუთაისში ქართული გიმნაზიის შენობაში შედგა ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენელთა კრება, რომელიც უნივერსიტეტის დამ-

ფუძნებელ კრებად გამოცხადდა. მოხსენება გააკეთა ივ. ჯავახიშვილმა.

1917 წ. 3 ივნისი — შედგა თავისუფალი ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების საორგანიზაციო კომისიის კრება. უნივერსიტეტის წესდების შემუშავება იკისრა ივ. ჯავახიშვილმა.

1917 წ. 3 აგვისტო — ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების საორგანიზაციო კრებამ დაამტკიცა ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული უნივერსიტეტის წესდება და ძირითად დებულებათა პროექტი.

1917 წ. 3 ოქტომბერი — ჩატარდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების პირველი საერთო კრება. კრება გახსნა და შემდეგ ვრცელი მოხსენება გააკეთა უნივერსიტეტის დაარსებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ ივ. ჯავახიშვილმა.

1917 წ. 26 ნოემბერი — შედგა პროფესორთა საბჭოს პირველი წინასწარი სხდომა (ე. თაყაიშვილის ბინაზე). თავმჯდომარეობდა ვ. ჯავახიშვილი.

1917 წ. 27 ნოემბერი — ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულების დამტკიცებას სთხოვს ამიერკავკასიის კომისარიატს.

1917 წ. 6 დეკემბერი — შედგა ქართული უნივერსიტეტის გამგეობისა და საფინანსო კომისიის გაერთიანებული სხდომა. ივ. ჯავახიშვილმა დამსწრეთ გააცნო უნივერსიტეტის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა და წასაკითხი საგნების ნუსხა.

1917 წ. 8 დეკემბერი — გაიმართა პროფესორთა კოლეგიის მეორე წინასწარი სხდომა. ივ. ჯავახიშვილმა მონაწილეებს აცნობა, რომ უნივერსიტეტის დებულება სათანადო ორგანოებმა დაამტკიცეს.

1918 წ. 13 იანვარი — შედგა უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის პირველი ოფიციალური სხდომა. მომონაწილეებმა ივ. ჯავახიშვილს სთხოვეს რექტორობა, რაზეც მან უარი განაცხადა. ივ. ჯავახიშვილის წინადადებით პირველ რექტორად აირჩიეს პეტრე მელიქიშვილი.

1918 წ. 17 იანვარი — შეიკრიბა პროფესორთა საბჭო (პ. მელიქიშვილის ბინაზე), რომელმაც განიხილა ლექტორთა მოწვევის საკითხი.

1918 წ. 26 იანვარი — გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი.

1918 წ. 30 იანვარი — ქართულ უნივერსიტეტში პირველი ლექცია წაიკითხა ივ. ჯავახიშვილმა („ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობასა და ცხოვრებაში").

1918 წ. 15 მარტი — პ. მელიქიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის წარდგინებით პროფესორთა საბჭომ თაყის საპატიო წევრად აირჩია აკადემიკოსი ნიკოდიმე პავლეს ძე კონდაკოვი (1844—1925).

1918 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს.".

1918 წ. 21 მაისი — ივ. ჯავახიშვილის წინადადებით პროფესორთა საბჭომ ექვთიმე თაყაიშვილს მიანიჭა ქართული არქეოლოგიის დოქტორის ხარისხი.

1919 წ. — დაბეჭდა ნაშრომი „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში".

1919 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული".

1919 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I".

1919 წ. 17 დეკემბერი — ივ. ჯავახიშვილი არჩეულ იქნა უნივერსიტეტის რექტორად. მუშაობდა 1926 წლამდე.

1920 წ. 9 მაისი — თბილისის უნივერსიტეტში შედგა დისერტაციის პირველი საჯარო დაცვა. ენათმეცნიერების დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია თემაზე: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში" დაიცვა აკაკი შანიძემ (ოფიციალური ოპონენტები: ივ. ჯავახიშვილი და გ. ახვლედიანი; არა-

ოფიციალური ოპონენტები კ. კეკელიძე და პ. მირიანაშვილი).

1922—1927 წწ. — ივ. ჯავახიშვილი ასრულებს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობას.

1923 წ. დაიბეჭდა ნაშრომი „ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება.

1924 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, ნაწ. I (XV საუკ.).

1925 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი III, ნაკვეთი მესამე, — ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა — მეტროლოგია".

1926 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა", წიგნი III, ნაკვ. I, ქართული დამწერლობათ-მცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია".

1926 წ. — დაიბეჭდა ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი III, ნაკვ. II — ქართული სიგელთა მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა."

1931 წ. — დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად.

1934 წ. დაიბეჭდა ნაშრომი „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეში".

1934 წ. — დაინიშნა ფარმაცევტიული ქიმიის სამეცნიერო ინსტიტუტის სატერმინოლოგიო განყოფილების გამგედ.
